

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
გერმანული ფილოლოგია

თეა ფეტელავა

ნარატიული ტექსტის ინტერპრეტაციის შიდაენობრივი და  
გარეენობრივი ასპექტები

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი: ვიოლეტა ფურცელაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
სრული პროფესორი: ლალი ქეცბა-ხუნდაძე

თბილისი

2010

# შინაარსი

შესავალი . . . . . 5

## თავი I.

ტექსტის ლინგვისტიკა როგორც დამოუკიდებელი ენათმეცნიერული დისციპლინა

1.1. ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბების შემამზადებელი ფაქტორები . . . . 15

1.2. რიტორიკა და ტექსტის ლინგვისტიკა. . . . . 16

1.3. ჰერმენევტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა . . . . . 17

1.4. სტილისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა . . . . . 22

1.5. ინტერპრეტაციული სკოლა . . . . . 26

1.6. ტექსტის გრამატიკა . . . . . 30

1.7. ტექსტის სემანტიკა. . . . . 41

1.7.1. ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაციის გარეუბრები და მხმარე კომპონენტები. . . . . 42

პირველი თავის დასკვნები . . . . . 45

## თავი II.

### დისკურსის ცნების საკითხისათვის

2.1. დისკურსის ცნებითი შინაარსის გაფართოება. დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის პოსტულირება. . . . . 47

2.2. დისკურსიული მიმართება vs. ინტერტექსტუალობა. . . . . 56

2.3. დისკურსი როგორც ცალკეული ტექსტი და ტექსტის სახეობა (Textsorte). . . . . ტექსტების კლასიფიკაციის მოდელები. . . . . 61

მეორე თავის დასკვნები. . . . . 69

## თავი III.

### დისკურსი როგორც ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის ობიექტი

3.1. ცალკეული ტექსტი vs. დისკურსი როგორც ტექსტების ფორმაცია. . . . . 71

3.2. დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის ინტერპრეტაციის ზოგადი და კერძო მეთოდები . . . . . 76

მესამე თავის დასკვნები . . . . . 78

## თავი IV

### დისკურსის კორპუსის ინტერპრეტაციის ასპექტები

|  |    |
|--|----|
| 4.1. ნარატიული ტექსტი როგორც დისკურსის ინტეგრანტი. . . . .   | 79 |
| 4.2. ნარატიული ტექსტის როგორც ტექსტების ფორმაციის ინტეგრანტის ინტერპრეტაციის შიდაენობრივი და გარეენობრივი ასპექტები. . . . . | 83 |
| მეთხე თავის დასკვნები. . . . .   | 87 |

## თავი V

### ემპირიული მასალის ინტერპრეტაცია

#### ტექსტი I: შტ. ცვაიგის ნოველა „ლეპორელა“ (*Leporella*)

|   |     |
|---|-----|
| 5.1. „ ლეპორელა“ ინტერტექსტი თუ სუიციდის ინტეგრანტი? . . . . .      | 88  |
| 5.2. სემანტიკური ინტერპრეტაცია. . . . .                             | 90  |
| 5.3. სტილისტიკური ინტერპრეტაცია. . . . .                            | 99  |
| 5.4. გრამატიკული ინტერპრეტაცია. . . . .                             | 103 |
| 5.5.გარეენობრივი მახასიათებლები; არქიტექტონიკური სტრუქტურა. . . . . | 107 |
| მეხუთე თავის დასკვნები. . . . .                                     | 109 |

## თავი VI.

#### ტექსტი II. ბერნჰარდ შლინკის რომანი „უკითხავს მას“ (*Vorleser*)

|  |     |
|--|-----|
| 6.1. დიდი მოცულობის ტექსტის ინტერპრეტაციის სიძნელეები. . . . . | 110 |
| 6.2. ტექსტის ინტერპრეტაციის გარეენობრივი დონე. . . . .         | 111 |
| 6.3. სემანტიკური ინტერპრეტაცია . . . . .                       | 112 |
| 6.4. გრამატიკული ინტერპრეტაცია. . . . .                        | 129 |
| 6.5. ტექსტის სტილისტიკური ინტერპრეტაცია. . . . .               | 134 |
| მეექვსე თავის დასკვნები. . . . .                               | 137 |

## თავი VII.

#### ტექსტი III. ჰაინრიხ ფონ კლაისტის პაროდია „ახალი (უფრო ბედნიერი) ვერთერი“ (*Der neuere (glücklichere) Werther*)

|   |     |
|---|-----|
| 7.1. პაროდია – დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის პერიფერიული ინტეგრანტი. . . . . | 139 |
|---|-----|

|      |  |     |
|------|--|-----|
| 7.2  | პაროდია როგორც მეორადი ტექსტი. ინტერპრეტაციის შიდაენობრივი ასპექტები.. . . . . | 142 |
| 7.3. | ტექსტის არქიტექტონიკური თავისებურებები. . . . .                                | 149 |
| 7.4. | ინტერგრანტების თანხვედრი და განმასხვავებელი მახასიათებლები. . . . .            | 150 |
|      | საერთო დასკვნები . . . . .   | 155 |
|      | გამოყენებული და მითითებული ლიტერატურის სია. . . . .                            | 160 |

## შესავალი

თემის აქტუალობა: მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისი ენათმეცნიერებაში აღინიშნა ახალი მიმართულების შემოსვლით. თუ აქამდე უმაღლეს ენობრივ ერთეულად წინადადება ითვლებოდა, დადგა წინადადების საზღვრების გარღვევისა და ზეფრაზულ ერთეულებზე გადასვლის აუცილებლობა. მთავრად ფრაზებად იქცა: „ენობრივი კომუნიკაცია ადამიანებს შორის ხორციელდება არა წინადადებით, არამედ ტექსტებით“, „კომუნიკაციის უმაღლესი ერთეული ტექსტია და არა წინადადება.“ ლინგვისტთა კვლევის არეალში წინადადების ნაცვლად მოექცა ტექსტი როგორც საწყისეული ენობრივი ნიშანი. ტრადიციული დისციპლინები წინადადების ფარგლებში რჩებოდნენ. მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური დამოკიდებულებების კვლევის ობიექტები შესაბამისად იყო მორფემა, სინტაქსემა, სემემა (სემა), რომელთა აღწერა და იდენტიფიკაცია საკუთრივ ენობრივ (ლანგის) დონეებს არ სცილდებოდა. ტექსტის ლინგვისტიკის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბების პროცესთან ერთად ხდებოდა ენობრივი ერთეულებისათვის უფრო მაღალი რანგის სტატუსის მინიჭება. ახალ მიდგომას შედეგად მოჰყვა მორფოლოგიური და სინტაქსური კატეგორიების, სიტყვების, სემანტიკური მიმართებების და ფუნქციების გაფართოება და ტექსტის დონეზე გადატანა.

თანამედროვე თეორიულმა მიღწევებმა ტექსტი წარმოაჩინა როგორც მრავალმხრივი ენობრივი წარმონაქმნი, რომლის კვლევისას ყურადღება მახვილდება არა მხოლოდ მის გრამატიკულ, სტრუქტურულ, სემანტიკურ და ესთეტიკურ მხარეებზე, არამედ სიტუაციურ და კომუნიკაციურ ფუნქციებზეც. თუ ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების პირველ ეტაპზე კვლევის ფოკუსი მიმართული იყო ტექსტის უმაღლეს ერთეულად მიჩნეულ იქნა თავად ტექსტი, რომლის კვლევა ახალ თეორიასა და მეთოდებს საჭიროებდა. გამოიკვეთა ახალი მიდგომა, რომელმაც წინა პლანზე წამოსწია ტექსტის როგორც პოლისტური წარმონაქმნის ონტიური (არსობითი) მახასიათებლები. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების შემდგომ წლებში აღინიშნა წერილობითი და ზეპირი, შესაბამისად, ტექსტის ლინგვისტიკისა და დისკურსიული ლინგვისტიკის

გამიჯვნის ცდები, რასაც მოჰყვა მათი კვლევის ობიექტების სპეციფიკურობის თანდათანობით გამოკვეთა.

ტექსტის ლინგვისტიკის უწყვეტ განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მის ფარგლებში აქტუალური ხდება ცნებები, რომელთა სემანტიკური სტრუქტურა ახალი შინაარსებით ივსება. ეს ითქმის აგრეთვე ტერმინზე „დისკურსი“, რომელიც თანამედროვე ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში ახალი კუთხით დაფიქსირდა. ლინგვისტიკის პოზიციიდან გამოიკვეთა დისკურსის ცნების ორი გაგება: პირველი, დისკურსი – ცალკეული ტექსტი (**Einzeltext**) და მეორე, დისკურსი – ტექსტების ფორმაცია (**Formation der Texte**). ცალკეული ტექსტი შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი წარმონაქმნი და განიხილებოდეს პირობითად იზოლირებულ, თავისთავად ენობრივ ფენომენად. მეორე მხრივ, დისკურსი შეიძლება პოსტულირებულ იქნას როგორც აბსტრაქტული სისტემა, ტექსტების ფორმაცია, რომელიც მოიცავს გარკვეული ტექსტების ნიმუშების მოცულობას (პოტენციალს). ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან თემატური მიმართებით და პრაგმატული ფაქტორით, რაც იძლევა ტექსტების გაერთიანების შესაძლებლობას ერთი რომელიმე სემანტიკური ბაზისის (თემის) საფუძველზე. დისკურსი როგორც ტექსტების ფორმაცია ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომუნიკაციის უმაღლეს ერთეულად მიიჩნევა, ხოლო მის ფარგლებში ცალკეული ტექსტი წარმოდგენილია როგორც განსაზღვრული თემატური ჯაჭვის რგოლი, რომელსაც ჩვენ პირობითად ინტეგრანტს ვუწოდებთ.

დისკურსის ცნების ასეთი გაგება, რომლის საფუძველად სემანტიკური ბაზისის ფაქტორი მოიაზრება, ლოგიკურად უკავშირდება სათანადო ემპირიული მასალის მოძიებას და ჩვენებას, თუ როგორ გარდაიქმნება გარკვეული ტექსტების ფორმაცია დისკურსად. დისერტაციაში შესაძლებლად არის მიჩნეული ერთ-ერთ დისკურსს სემანტიკურ ბაზისად დაედოს სიკვდილის თემა.

სიკვდილი ოდითგანვე აჩრდილივით თან სდევს სიცოცხლეს. ადამიანის ყოფიერების ეს თითქმის შეუცნობელი ფენომენი რჩებოდა და დღესაც რჩება დიღემად რელიგიასა და ფილოსოფიაში, ეთიკასა და ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიასა და კულტუროლოგიაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში. მისი აღქმა ადამიანების მიერ, ერთი მხრივ, ინდივიდუალურია, მეორე მხრივ, სოციალური. მას გამოვლინების სხვადასხვა ფორმა აქვს. რეფერენციულად ის ყოველი ადამიანისათვის ერთნაირად გასაგებია, მაგრამ სხვადასხვა

კულტურებში განსხვავებულად არის შეფერილი. მისი აღმნიშვნელი ენობრივი ნიშნების შინაფორმები განსხვავდება არა მარტო არამონათესავე, არამედ მონათესავე ენებში და თვით ერთი ენის ფარგლებშიც კი. შევადაროთ მაგალითად, ერთი მხრივ, ქართული და გერმანული „გარდაცვალება“ და „*verscheiden*“; მეორე მხრივ, გერმანული **ins Gras beißen** და **verrecken**. გერმანული ენის სინონიმურ და სტილისტურ ლექსიკონებში დაფიქსირებულია სიკვდილის აღმნიშვნელი ასეულობით ნეიტრალური და სტილისტურად შეფერილი ენობრივი ერთეული – სიტყვა, შესიტყვება, წინადადება, ფრაზეოლოგიური ერთეული, იდიომა. სუიციდის აღმნიშვნელი სიტყვა ლექსიკონებში შეტანილია ცალკე ლემად სათანადო სტატიით, რომლებიც საკმაოდ შთამბეჭდავია. (**Wahrig:2008, Duden:2008**)

ინტელექტუალური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის სიკვდილის ფენომენი საქართველოში ისევე წარმოადგენდა და წარმოადგენს ფიქრისა და განსჯის საგანს, როგორც, ვთქვათ გერმანიაში. ამას მოწმობს თუნდაც საქართველოში **2008** წელს გამოცემული **ვეროპულ ძიებათა** სერიის მესამე კრებული, რომლის ერთ-ერთი მონაკვეთი ეძღვნება სიკვდილისადმი მიმართებას ქართულ და გერმანულ კულტურებში. (**1, 163-211**). ასეთმა ფაქტორებმა გვიბიძგა სწორედ ამ პრობლემით დაინტერესებისაკენ და აღვიძრა სურვილი გამოგვეკვლია, თუ როგორ აისახება ეს პრობლემა ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში და, კერძოდ, ტექსტის ლინგვისტიკაში.

დისკურსის ამგვარი რაკურსით გაგება და კვლევა ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში ბოლო წლებში დაიწყო და ჯერაც ბევრი რამ არის სადავო და საკამათო. ტექსტის ლინგვისტიკაში აქტუალური პრობლემები კვლავაც ჩნდება, მისი განვითარება უწყვეტი პროცესია და იგი დაინტერესებულ მკვლევარებს ახალ პერსპექტივებს სთავაზობს.

დისერტაციაში არის მცდელობა აღიწეროს სუიციდის სემანტიკურ ბაზისზე შექმნილი გერმანულენოვანი ნარატიული ტექსტების ინტერპრეტაციის შიდაენობრივი და გარეენობრივი ასპექტები და ფაქტორები. ამასთან დასაბუთდეს ამ ტექსტების გაერთიანების შესაძლებლობა ერთ დისკურსად ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში.

დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის კატეგორიის შემდგომი თეორიული განვითარება უშუალოდ უკავშირდება სათანადო ინტეგრანტების მოძიებას და ინტერპრეტაციის საფუძველზე ამ ტექსტოლინგვისტიკური

კატეგორიის დაშვების არგუმენტირებას. თავისთავად ცხადია, რომ სიკვდილის აღმნიშვნელი ენობრივი ერთეულის სემანტიკური სტრუქტურა მრავალკომპონენტიანია და მას არა ერთი თემა შეიძლება დაუკავშირდეს. ამიტომ მისი ყოვლისმომცველი შესწავლა მხოლოდ ტექსტოლინგვისტიკური თვალსაზრისით არსებითად შეუძლებელია და სცილდება ერთი ნაშრომის ფარგლებს. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სადოქტორო დისერტაციაში მიზანშეწონილად არის მიჩნეული მხოლოდ სიცოცხლის ნებაყოფლობით შეწყვეტის დისკურსის პოსტულირება და სათანადო გერმანულენოვანი ნარატიული ტექსტების გაერთიანება სუიციდის დისკურსში.

**პრობლემის მეცნიერული შესწავლის დონე და კვლევის წყაროები:** ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემები მრავალი ენათმეცნიერის კვლევის არეალში მოექცა. ამას ადასტურებს ის მეცნიერული შრომები, რომლებიც გამოქვეყნებულია ევროპულ ენებზე. მიზანშეწონილად ვთვლით, პრობლემის მეცნიერული შესწავლის დონე განვიხილოთ ისტორიული პროცესის სახით და, ერთი მხრივ, სათანადოდ გამოვაპირობოთ ძირითადი მიმართულებების წარმომადგენლების წვლილი ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებაში და, მეორე მხრივ, მოვნიშნოთ ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის ობიექტის ტრანსფორმაციები ზეფრაზულ (ტრანსფრასტული) ერთეულიდან დისკურსამდე როგორც ტექსტების ფორმაციამდე.

ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების საწყის ეტაპზე ძირითადი ყურადღება გამახვილდა ზოგადად ტექსტზე როგორც პოლისტურ ფენომენზე. ინტერპრეტაციული სკოლის ფუძემდებელმა ლეო შპიცერმა ტექსტის კვლევა ახალ რაკურსში გადაიტანა. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი მისმა მთავარმა ნაშრომმა „**Stilstudien**“ (*სტილისტური შტუდიები*). ლ. შპიცერი მთლიანობაში განიხილავს მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტილისტურ მხარეს. მისი აზრით, სტილი წარმოადგენს ენობრივი საშუალებების შეგნებულ გამოყენებას სათანადო ეფექტის მისაღწევად. იგი გაგებულ უნდა იქნას როგორც შთაბეჭდილება, რომელსაც მხატვრული ტექსტი მკითხველზე ახდენს. ინტერპრეტაციული სკოლის მიმდევრები (მაგალითად, ვოლფგანგ კაიზერი) მხატვრულ ნაწარმოებს მიიჩნევენ ხელოვნების ენობრივ ნიმუშად, რომლის



ინტერპრეტაციისას აუცილებელია ავტორის სულიერი მდგომარეობის გათავისება და ინდივიდუალური სტილის მიხნევა კვლევის პრიორიტეტად.

ემპირიული მასალის ტექსტოლინგვისტიკური ანალიზისას ითვალისწინებთ აგრეთვე **გ. მიშელის, ვ. ფლაიშერის, ბ. ზანდიგის, ბ. სოვინსკის** და **ე. რიზელის** მოსაზრებებს. გრამატიკული დამოკიდებულებების აღწერის დროს ძირითადად ვეყრდნობით **ჰარალდ ვაინრიხის** ტექსტის გრამატიკას, რომელშიც სისტემური გრამატიკული მოვლენები ტექსტის დონეზე განიხილება.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ცნობილ ტექსტის მკვლევართა თეორიული შრომები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენ მიერ დისერტაციაში ჩამოყალიბებულ დებულებებს. მათ შორის უნდა დასახელდეს: **ჰ. შტაინთალი, რ. ბოგრანდი, ვ. დრესლერი, თ. კოსერიუ, ტ. ვან-დეიკი, მ. ჰაინემანი, ა. ლინკე/მ. ნუსბაუმერი/პ. პორტმანი, კ. ბრინკერი, კ. ადამჩიკი, ლ. შპიცერი, ი. ვარნკე, ფ. შიოსლერი, მ. შვარცი, რ. კელერი, ლ. გიოტცე, ქ. განზელი/ფ. იურგენსი, უ. ფიქსი, მ. სტელი** და სხვ.

დისკურსიული მიმართებების კვლევაში განსაკუთრებული როლი ენიჭება დისკურსის კონცეპტუალურ ბაზისს, რომლის დადგენა წარმოადგენს წინაპირობას დისკურსის წარმოქმნისა და გაგების საკითხების განხილვისას. ამ პრობლემების გადაჭრა უკავშირდება **მიშელ ფუკოსა და იურგენ ჰაბერმასის** მიერ დამკვიდრებულ ფილოსოფიურ თეორიებს, რომლებიც განვითარებულ იქნა ენათმეცნიერული მიმართულებებით **ი. ვარნკეს, დ. ბუსეს, კ. ფრაასის, მ. კლემის, ი. ანგერმიულერის, ვ. ტობერტის** და სხვა მკვლევართა მიერ.

ტექსტების სახეობების (**Textsorte**) კლასიფიკაციაში სადისერტაციო ნაშრომი ეფუძნება როგორც ლინგვისტიკაში დამკვიდრებულ მოდელებს ასევე ითვალისწინებს ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარებულ ტექსტების ტრადიციულ ჟანრობრივ კლასიფიკაციას. ერთგანზომილებიანი მოდელები წარმოდგენილია **ერნსტ ულრიხ გროსეს** და **ჰორსტ იზენბერგის** ტექსტების კლასიფიკაციებში. ტექსტის სახეობათა მრავალგანზომილებიანი მოდელების ვარიანტები შემუშავებულია **გ. ჰაინემან/დ. ფიივეგერისა** და **ბ. ზანდიგის** მიერ. ლიტერატურული ტექსტების თავისებურებებს ითვალისწინებს **ვ. შმიდის** მოდელი.

საქართველოში ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებისათვის ნაყოფიერი აღმოჩნდა გასული საუკუნის ბოლო პერიოდი. ამას მოწმობს სპეციალური მონოგრაფიები და ნაშრომები, რომლებიც უშუალოდ ეძღვნება ტექსტოლინგვისტიკურ პრობლემებს ან ამ პრობლემებს რამდენადმე

უკავშირდება. დისერტაციაში ძირითადად გამოყენებულია შემდეგი შრომები: ვ. ფურცელაძის „ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება“, თ. გამყრელიძის, ზ. კიკნაძის, ი. შადურის, ნ. შენგელაიას „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, მ. გვენცაძის „კომუნიკაციური ხდომილება და ტექსტი“ და „ლინგვისტური გერმანისტიკა“, ლ. ქეცბა-ხუნდაძის გერმანიაში გამოქვეყნებული შრომები (*Zur Strukturspezifik des Textes. „Eine indische Dichtung“ von Hermann Hesse; Die sprachliche Gestaltung der dualistischen Lebensauffassung im Schaffen Hesses; Manifestation der kulturspezifischen Deutungsweisen verbaler Vergangenheitsgefüge (Im Kontrast: Deutsch/Georgisch)*), ნ. ქიმერიძის „ტექსტის გრაფიკულ-გრაფიკული სუბსტრატი და მისი ინტერპრეტაციის ასპექტები“, ნ. კაპანაძის „ტექსტთაშორისი მიმართებები და მეტატექსტის წარმოქმნის ფაქტორები“, მ. კინწურაშვილის „ინტერტექსტუალობა როგორც ტექსტის ინტერპრეტაციის ერთ-ერთი საშუალება“, ლ. ცაგარელის „არნო შმიტის გვიანდელი პროზა როგორც მეტაფიქცია“.

**დისერტაციის მიზნები და ამოცანები:** საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია:

- დისკურსის კვლევითი მიმართულების გამოკვეთა დინამიკაში ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების კვალდაკვალ;
- დისკურსის ცნების დაზუსტება თეორიულ ასპექტში: კერძოდ, დისკურსის როგორც აბსტრაქტული კორპუსის და ტექსტების ფორმაციის განსაზღვრა;
- დისკურსის როგორც ტექსტოლინგვისტიკური კატეგორიის პოსტულირება;
- სიკვდილის დისკურსის ზოგადი დახასიათება და სუიციდის დისკურსის სპეციფიკაცია;
- სუიციდის დისკურსის ინტეგრანტების – ნარატიული ტექსტების-კორპუსის შედგენა;
- დისკურსის სისტემაში ინტეგრანტების ინტერპრეტაციის პრინციპების განსაზღვრა და მათი განხილვა ინტერტექსტთან და ტექსტის სახეობასთან შეპირისპირებით;

ამ მიზნების განსახორციელებლად დისერტაციაში დასახულია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. ტექსტის ლინგვისტიკა და მისი მომიჯნავე დისციპლინების – რიტორიკის, ჰერმენევტიკის, სტილისტიკის, გრამატიკის, სემანტიკის ურთიერთმიმართების ჩვენება;
2. ინტერპრეტაციული სკოლის წარმომადგენლების, განსაკუთრებით მისი ფუძემდებლის – ლეო შპიცერის თეორიების განხილვა;
3. ტექსტის გრამატიკის განვითარების ძირითადი ეტაპების მიმოხილვა; ( ტრანსფრასტული გრამატიკიდან ჰარალდ ვაინრიხის თეორიამდე);
4. ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის ობიექტის (ცალკეული ტექსტი vs. დისკურსი როგორც ტექსტების ფორმაცია) ცნების დაზუსტება;
5. დისკურსის გამიჯვნა ინტერტექსტისაგან; ტექსტების კლასიფიკაციის მოდელების მიმოხილვა, ნარატიული სტრუქტურის მქონე ტექსტისა და დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის ადგილის განსაზღვრა ტექსტების სახეობათა იერარქიულ მოდელში;
6. სუიციდის დისკურსის ინტეგრანტების ტექსტოლინგვისტიკური ინტერპრეტაცია:
  - ა) შტეფან ცვაიგის ნოველა „ ლეპორელა” (*Leporella*)
  - ბ) ბერნჰარდ შლინკის რომანი „უკითხავს მას” (*Vorleser*)
  - გ) ჰაინრიხ ფონ კლაისტის პაროდია „ ახალი (უფრო ბედნიერი) ვერთერი” (*Der neuere (glücklichere) Werther*)
7. სუიციდის დისკურსის ინტეგრანტების საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა; საერთო დასკვნები;

**კვლევის მეთოდი:** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ემპირიული მასალის კვლევისათვის არის ადეკვატური მეთოდის შერჩევა.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ძირითადი ობიექტი არის ნარატიული სტრუქტურის მქონე ტექსტები, რომელთა ინტერპრეტაცია ხორციელდება შიდაენობრივი და გარეენობრივი ასპექტების საფუძველზე. ტექსტის ინტერპრეტაციის ზოგად პრინციპად შერჩეულია ჰერმენევტიკა – გაგებისა და საზრისის ამოკითხვის (დივინაციის) თეორია და მეთოდი. გარდა ამისა ინტერპრეტაციის ასპექტების სპეციფიკის მიხედვით გამოიყენება სათანადო კერძო ენათმეცნიერული მეთოდები.

ნარატიული ტექსტის სუპერსტრუქტურას წარმოადგენს „პლოტი“. იგი აერთიანებს ტექსტში კომპოზიციურად გაფორმებულ ეპიზოდებს, რომლებსაც ჩვენ პირობითად *ნარატემებს* ვუწოდებთ. ნარატემებად ტექსტის დაყოფის უპირატესობა ნაჩვენებია ინსტრუქციის მეთოდთან, ტექსტის სეგმენტებად დისკრეტაციასთან შეპირისპირებით. ჩვენი აზრით, ინტერპრეტაციის ისეთი კრიტერიუმები, როგორცაა, ტექსტის კომპოზიციური ნაწილები, ფაბულის განვითარების ეტაპები, ტექსტის შიდაენობრივი და გარეენობრივი მახასიათებლები, მთლიანი ტექსტის ძირითადი ნიშნები, თემატური პროგრესია, კოჰერენცი, კოჰეზია და საერთოდ ტექსტუალობა – ათვალსაჩინოებს ტექსტის სუპერსტრუქტურას – **პლოტს**, ხოლო პლოტის **ნარატემებად** დაყოფა აადვილებს მთლიანი ტექსტის შინაარსის აბსტრაქტიზებული სურათის შექმნას და საზრისის ვერბალურად დაფიქსირებას.

ემპირიული მასალის ინტერპრეტაციისას გათვალისწინებულია ლიტერატურათმცოდნეობითი ფაქტორები და სოციო-კულტურული ფონი. სხვადასხვა მეთოდების სინთეზური გამოყენება საშუალებას იძლევა, წარმოაჩინოს დისკურსის თავისებურებები, აღწეროს მისი ინტეგრანტების ნარატიული სტრუქტურა და გამოკვეთოს მათი თავისებურებანი. კვლევის ობიექტის ინტერპრეტაცია ხორციელდება კომპლექსური მეთოდით, რომლის ზოგად საფუძველს წარმოადგენს ჰერმენევტიკული მეთოდი როგორც ტექსტოლინგვისტიკური ინტერპრეტაციის ძირითადი პრინციპი, ხოლო მისი შევსება საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო კერძო მეთოდებით.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე:** ენათმეცნიერული გერმანისტიკის განვითარების კვლადაკვალ ფიქსირდება კვლევის ახალი ობიექტები, შესაბამისად, ტექსტის ლინგვისტიკის არეალიც ფართოვდება. დისერტაციაში დასმულია გერმანულენოვანი ნარატიული ტექსტების ტექსტოლინგვისტიკური ინტერპრეტაციის პრობლემა და დასახულია მისი გადაჭრის გზები.

ნარატიული ტექსტების გაერთიანება დისკურსში როგორც განსაზღვრულ სემანტიკურ ბაზისზე გაერთიანებულ ტექსტების ფორმაციაში სიახლეს წარმოადგენს და ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის ობიექტს შესაბამისად ახალი რაკურსით წარმოაჩენს.

დისკურსის ახალ პარადიგმაში ნარატიული ტექსტების ჩართვა და მათი გაერთიანება სუიციდის სემანტიკური ბაზისის საფუძველზე დაკავშირებულია

ადეკვატურ თეორიულ მიდგომასთან ისევე როგორც სათანადო ემპირიული მასალისა და მისი ინტერპრეტაციის მეთოდების შერჩევასთან.

სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე:

- ნარატიული ტექსტის სუპერსტრუქტურად პლოტის პოსტულირება;
- პლოტის დისკრეტაცია კომპოზიციურ ერთეულებად, რომლებსაც პირობითად ნარატემებს ვუწოდებთ;
- დიდი მოცულობის ნარატიული ტექსტის ინტერპრეტაციის შიდაენობრივი და გარეენობრივი ასპექტების განსაზღვრა;
- ტექსტის ინტერპრეტაციაში სოციო-კულტურული ფონის ჩართვა;
- დისერტაციაში წამოყენებული საკვანძო საკითხების განხილვა და გადაჭრა ტექსტის ლინგვისტიკაში განვითარებული თანამედროვე თეორიების შუქზე;

**ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება:** დიდი მოცულობის ფიქციონალური ტექსტების ლინგვისტიკური ინტერპრეტაცია დაკავშირებულია ბევრ სიძნელესთან. ეს განპირობებულია, ერთი მხრივ, თავად ტექსტის მოცულობით, ხოლო, მეორე მხრივ, მისი არსობითი მახასიათებლების მრავალმხრივობით.

წარმოდგენილ დისერტაციაში არის მცდელობა ტექსტის ლინგვისტიკის განვითარება წარმოჩინდეს უწყვეტ პროცესად და ნაჩვენები იქნას მისი შემამზადებელი ტრადიციული დისციპლინების ინტეგრაცია ამ შედარებით ახალგაზრდა ენათმეცნიერულ დისციპლინაში.

თეორიული პრინციპები და ინტერპრეტაციის მეთოდები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზები ეფუძნება ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპს.

ნარატიული ტექსტების განხილვა დისკურსიული მიმართებების კონტექსტში ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული და ბევრ ხარვეზს შეიცავს. დისერტაციაში სადისკუსიოდ არის დასმული დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის პოსტულირება. მისი მართლზომიერება გამყარებულია გერმანულენოვანი ნარატიული ტექსტების ინტერპრეტაციით.

დისკურსის ახლებური კუთხით წარმოჩენა ტექსტის ლინგვისტიკით დაინტერესებულ პირებს კვლევის ახალ პერსპექტივებს სთავაზობს. დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის განხილვა და მისი სტატუსის დადგენის

მცდელობა ტექსტის გაგების ახალ პარადიგმას ეფუძნება. თეორიული კუთხით ეს პრობლემა აქტუალურია და მრავალასპექტობრივ მიდგომას გულისხმობს.

პლოტის კვალიფიცირებას ტექსტის სუპერსტრუქტურად და მის დისკრეტაციას კომპოზიციურ კომპონენტებად – **ნარატემებად** ახალი მეთოდური ხედვა შეაქვს დიდი მოცულობის ნარატიული ტექსტების ინტერპრეტაციაში. მისი გამოყენება პრაქტიკულ სემინარებზე დაეხმარება ტექსტის ლინგვისტიკით დაინტერესებულ პირებს ნარატიული ტექსტების გაგებასა და საზრისის ამოკითხვაში.

დისერტაციაში შემუშავებული თეორიული დებულებები შეავსებს ქართულ ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში არსებულ გარკვეულ ხარვეზებს და ხელს შეუწყობს ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებას. დისერტაციის თეორიული ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნას ქართული უმაღლესი სასწავლებლების გერმანული ფილოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში.

## თავი I

### ტექსტის ლინგვისტიკა როგორც დამოუკიდებელი ენათმეცნიერული დისციპლინა

#### 1.1. ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბების შემამზადებელი ფაქტორები.

ტექსტის ლინგვისტიკამ როგორც დამოუკიდებელმა ენათმეცნიერულმა დისციპლინამ განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. პირველ ეტაპზე განიხილება ამ დისციპლინის რაობის, მისი შემადგენლობისა და კვლევის ობიექტის პრობლემები. ჯერ კიდევ არ არის დიფერენცირებული ტექსტისა და დისკურსის, შესაბამისად წერილობითი და ზეპირი წარმონაქმნების ცნებები.

განვითარების მეორე ეტაპზე ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის აქცენტი გადატანილია კომუნიკაციურ და პრაგმატულ ასპექტებზე. ენობრივი ქმედება განიხილება კომუნიკაციურ სიტუაციაში, რომლის მონაწილეები რომელიმე ენის და ინტენციის მატარებელი სუბიექტებია. ენობრივი კომუნიკაციის მოდელი გარდა კომუნიკატორის და კომუნიკანტისა გულისხმობს მედიუმის როლსაც, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ენობრივი მოღვაწეობა. ტექსტი აღიქმება კომპლექსური ენობრივი ქმედების შედეგად, რომელიც ხორციელდება ზეპირი და წერილობითი ფორმებით. ტექსტის ინტერპრეტაცია მოიცავს როგორც ტექსტის შიდასტრუქტურული მიმართებების დადგენას, ასევე კომუნიკაციური გარემოსა და პრაგმატული ურთიერთობების ჩვენებას.

ტექსტის მრავალსახეობამ და მრავალმხრივობამ განაპირობა ტექსტის კვლევის ახალ-ახალი ასპექტების წინ წამოწევა. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების მესამე ეტაპზე ტექსტის მკვლევარის მიზანს შეადგენს არა მარტო ენობრივი წარმონაქმნების შიდაენობრივი, არამედ გარეენობრივი მახასიათებლების კვლევაც, ტექსტის კვლევის პროცესში კოგნიტიური და სოციო-კულტურული ფონის ჩართვაც.

ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბებას თავისი ისტორია აქვს. ამ ენათმეცნიერული დისციპლინის დაფუძნებაში აქტიური როლი ჩვეულებრივ მიეწერება რამდენიმე უძველეს დისციპლინას, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ნიადაგს უმზადებდნენ მის დამკვიდრებას. ასეთ დისციპლინებად მიჩნეულია რიტორიკა, ჰერმენევტიკა, სტილისტიკა, გრამატიკა. ეს დისციპლინები თავის მხრივ საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდნენ, ჩვენამდე განახლებული სახით მოაღწიეს და ახალი მიღწევების საფუძველზე მათი საზღვრების გაფართოება

კვლავაც გრძელდება. დისერტაციაში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ჰერმენევტიკას, სტილისტიკასა და გრამატიკას, ვიდრე რიტორიკას, რადგან მიგვაჩნია, რომ პირველი სამი ზემოთაღნიშნული დისციპლინებიდან უფრო მეტად არის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მთელი რიგი მიმართებებით ინტეგრირებული ტექსტის ლინგვისტიკაში (თუმცა დამოუკიდებლობა არც ერთ მათგანს არ დაუკარგავს), ხოლო რიტორიკა უპირველეს ყოვლისა პერსუასიული მიმართულებით განვითარდა და საბოლოოდ უფრო ახლოს აღმოჩნდა ენის პოლიტიკასა და მეტყველების კულტურასთან.

## 1.2. რიტორიკა და ტექსტის ლინგვისტიკა.

მეცნიერების უძველესი დარგი რიტორიკა არის მეტყველების ხელოვნების თეორია და ტექნიკა, რომელიც მჭევრმეტყველს ურჩევს სათანადო ენობრივი ნიმუშებით გამოსატოს სათქმელი, აღწეროს იგი რიტორიკული წესების მიხედვით და შთამბეჭდავი ფორმით მიაწოდოს ადრესატს. რიტორიკის მიზანია უზრუნველყოს ადრესანტის გავლენა ადრესატზე. იგი არ მოითხოვს მათემატიკურ სიზუსტეს, არჩევს ალბათობის საუკეთესო ვარიანტებს, რომლებიც სათანადო ზეგავლენას მოახდენენ საზოგადოებასა თუ ცალკეულ ადრესატზე. რიტორიკა უშუალოდ ასახავს სიტუაციურ მიმართებას, რომლის ძირითადი კომპონენტებია: ადრესანტი, ადრესატი, კომუნიკაციური გარემო და კომუნიკაციის საგანი. კლასიკურ რიტორიკაში გამოიყოფა ზეპირი გამოსვლისა და მომზადების, ტექსტის კომპონირების საფეხურები, რომლებიც ტექსტის და დისკურსიულ ლინგვისტიკაში ნორმატიული თვალსაზრისით დღესაც ინარჩუნებენ თავის ფუნქციებს: პირველი—**inventio** მასალის მოძიებას გულისხმობს, მეორე—**dispositio** თემატური მასალის მოწესრიგებას და განლაგებას სიტუაციის შესაბამისად; მესამე კომპონენტის—**elocutio** ამოცანაა დაგეგმილი მასალის სათანადო ენობრივ-სტილისტური ფორმულირება, მეოთხე ნაბიჯი—**memoria** მოიაზრებს მნემოტექნიკური ხერხებით საპრეზენტაციო მასალის დამახსოვრებას. მეხუთე – **pronuntiatio** და **actio** გულისხმობენ ზეპირი ტექსტის წარმოთქმას შთამბეჭდავად, რაშიც აქტიურად იქნება ჩართული არა მარტო ფონეტიკური საშუალებები, არამედ ქესტ-მიმიკაც.

თავდაპირველად რიტორიკა ორიენტირებული იყო ზეპირ მეტყველებაზე, მაგრამ თანდათანობით ცხადი გახდა, რომ პირველი ოთხი საფეხურის დაუფლება აუცილებელი იყო აგრეთვე ტექსტის მოტივირებულად



შედგენისათვის. დღესაც წარმოდგენილია წერილობითი წარმონაქმნის კომპოზიციური აგება ამ საფეხურების გავლის გარეშე. ეს საფეხურები ეხმარება ადრესანტს ივარჯიშოს ზეპირი და წერილობითი ფორმების დაოსტატებაში, რათა შთამბეჭდავად გამოხატოს თავისი სათქმელი, გამოიტანოს სწორი დასკვნები, დაიცვას საკუთარი პოზიცია, დადებითად განაწილოს ადრესატი და გამოიწვიოს მისი სიმპათია. ყოველივე ეს უზრუნველყოფს შემდგარ კომუნიკაციურ აქტს, რომელშიც ადრესანტი, ადრესატი და მედიუმი ერთ მთლიანობად არის წარმოდგენილი.

რიტორიკის საზღვრები მის განვითარებასთან ერთად ფართოვდება, გამოიყოფა კვლევის ახალი ობიექტები და სფეროები. განსაკუთრებით აქტუალური ხდება კომუნიკატორის დამარწმუნებელი ძალისა და ილოკუციური მხარის კვლევა. (6, 5)

### **1.3. ჰერმენევტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა.**

ჰერმენევტიკა არის მოძღვრება გაგებისა და გაგებინების შესახებ, რომლის მთავარი ფუნქციაა ტექსტის მეცნიერული შესწავლა და ინტერპრეტაცია (**Auslegung**). თავად ტექსტით მრავალი დისციპლინაა დაინტერესებული, აქედან გამომდინარე, ჰერმენევტიკის თეორიასა და მეთოდოლოგიას მრავალი მეცნიერების დარგი იზიარებს. ენობრივი წარმონაქმნის ანალიზი წრიული პროცესია. ტექსტის მკვლევარი ერთდროულად რეციპიენტიც არის და ინტერპრეტატორიც. თავდაპირველად იგი შეარჩევს სათანადო ემპირიულ მასალას, თანდათანობით მოიპოვებს წინარე ცოდნას, შეაფასებს და გააღრმავებს მას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტერპრეტაცია არასდროს არის ზუსტი, ის მხოლოდ მიახლოებითი (**approximativ**) შეიძლება იყოს.

ჰერმენევტიკა არის უნივერსალური თეორია და მეთოდი, რომელსაც შეიძლება დაეფუძნოს ნებისმიერი ტექსტის ანალიზი. ეს არის მოძღვრება ინტერპრეტაციულ შემეცნებაზე, ახსნასა და განმარტებაზე.

ბერძნული სიტყვის „**hermeneue**” სამ ძირითად ლექსიკონურ მნიშვნელობას გამოყოფს ჰ. ზაიფერტი: 1. საუბარი; 2. ახსნა, განმარტება, ინტერპრეტაცია და 3. თარგმნა. (102,9)

სიტყვა „ჰერმენევტიკა” თავდაპირველად პლატონთან გვხვდება, ხოლო არისტოტელემ შექმნა წიგნი სახელწოდებით „**peri hermeneias**”. მართალია მასში არ არის დაფიქსირებული „ჰერმენევტიკა” როგორც ტერმინი, მაგრამ ამ

სიტყვასთან დაკავშირებით მსჯელობაა ენის ფილოსოფიასა და სემანტიკაზე. 1654 წელს თეოლოგი იოჰან კონრად დანჰაუერი აქვეყნებს წიგნს სათაურით – „**თეოლოგიური ჰერმენევტიკა ანუ წმინდა წერილის განმარტების მეთოდი**“ (**Theologische Hermeneutik oder die Methode der Auslegung der Heiligen Schrift**), სადაც ის პირველად იყენებს სიტყვა **ჰერმენევტიკას** ტერმინოლოგიური მნიშვნელობით.

საწყისს ეტაპზე ჰერმენევტიკოსის ფუნქცია მხოლოდ თარჯიმნობა იყო. მას ევალებოდა წყარო ენაში დაფიქსირებული გაუგებარი სიტყვის ნაცვლად ეკვივალენტური ერთეულის მოძებნა მშობლიურ ენაზე და შესაბამისს კონტექსტში მისი ჩასმა.

როგორც აღვნიშნეთ, ჰერმენევტიკა წარმოადგენს ნებისმიერი სახის ტექსტის გაგება-ინტერპრეტაციის უნივერსალურ თეორიასა და მეთოდს. ტექსტით დაინტერესებულია მრავალი მეცნიერული დარგი. აქედან გამომდინარე ჰერმენევტიკის გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა. ის გვხვდება როგორც ცნობილია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მათ შორის ფილოლოგიურშიც. **ჰ. ზაიფერტი** თავის ნაშრომში ჰერმენევტიკის ოთხ სახეობას გამოყოფს: 1) დოგმატურ ჰერმენევტიკას, რომელიც აერთიანებს როგორც თეოლოგიურ, ასევე იურიდიულ და ფილოლოგიურ ჰერმენევტიკას. 2) ისტორიულ ჰერმენევტიკას, როდესაც ინტერპრეტატორი საანალიზოდ იღებს მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებს. 3) ენის ჰერმენევტიკას, რომელიც განმარტავს ენის კომუნიკაციურ ფუნქციას; 4) ცხოვრებისეულ ჰერმენევტიკას, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე. (102)

ჰერმენევტიკის განვითარება დაკავშირებულია ცნობილი ფილოსოფოსების სახელებთან. გერმანელმა ფილოსოფოსმა და თეოლოგმა **დანიელ ერნსტ ფრიდრიხ შლაიერმახერმა** გამოაცხადა ჰერმენევტიკა გაგების ჭეშმარიტ ხელოვნებად, ცენტრალურ ფილოსოფიურ დისციპლინად და მას მეცნიერებათა მეცნიერება უწოდა. (ფრ. შლაიერმახერის თეორიამ ჩვენამდე მოაღწია ლექციების კურსის სახით, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ მისმა მოწაფემ **ლიუკემ** გამოაქვეყნა). იგი ინტერპრეტაციის რამდენიმე საფეხურს გამოყოფს: გრამატიკულს, ფსიქოლოგიურს, ისტორიულსა და ტექნიკურს. (94)

ჰერმენევტიკამ უარყო ტექსტთან ტრადიციული მიდგომის გამოცდილება და ყურადღება გაამახვილა არა მარტო ტექსტის ავტორზე და მის ინტენციასზე, არამედ მკითხველ/ინტერპრეტატორზეც. კომუნიკატორების მიერ გამოყენებული ენა არასდროს არის იმდენად ნათელი, რომ არ საჭიროებდეს ახსნა-

განმარტებას. წარმოქმნილი დაბრკოლებებისა და გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად და ურთიერთგაგების სწორად წარმართვისათვის აუცილებელია ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენება. მაგრამ ტექსტის საზრისი არასდროს არ დგინდება სრული სიზუსტით, იგი მიახლოებითია და ამიტომ ინტერპრეტატორმა უნდა მიმართოს დივინაციის ხელოვნურ ხერხს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ტექსტის საზრისის დადგენა. (94, 318)

ფრ. შლაიერმახერმა წინ წამოსწია ინდივიდუალურობის მომენტი. ხელოვანი ქმნის ტექსტს და დებს მასში საკუთარ ნააზრევს. ინტერპრეტატორმა თავი ავტორის როლში უნდა წარმოიდგინოს, გაითვალისწინოს ის ისტორიული ეპოქა, რომლის პირმშობაა ენობრივი წარმონაქმნი, გაითავისოს ტექსტის შექმნის პროცესში პროდუცენტის განწყობილება და შემდეგ დაიწყოს ტექსტის ანალიზი. ინტერპრეტაციის საუკეთესო საშუალებად ფრ. შლაიერმახერი წრიულ პროცესს გვთავაზობს, რომელიც მიმართულია კერძოდან ზოგადისაკენ და ზოგადიდან კერძოსაკენ. ეს ხერხი ჰერმენევტიკული წრის სახელით არის ცნობილი. ინტერპრეტატორი ჰერმენევტიკული წრის გარეშე ვერ შესძლებს ობიექტის შეცნობას. ამ თეორიის მიხედვით, ხელოვნების ნიმუში გაგებულ უნდა იქნას არა თავისი თავიდან არამედ შემოქმედის ინდივიდუალური ფსიქეს გათვალისწინებით. (17, 22)

გერმანელმა ფილოსოფოსმა, ფსიქოლოგმა და პედაგოგმა ვილჰელმ დილთაიმ, რომელიც ჰუმანიტარული მეცნიერების დამფუძნებლად ითვლება, თავის ნაშრომში „ჰერმენევტიკის წარმოშობა“ (**Die Entstehung der Hermeneutik, 1910**) საფუძველი ჩაუყარა ჰერმენევტიკას როგორც ფილოსოფიურ დისციპლინას. ამ ნაშრომით დილთაიმ ჰერმენევტიკა განსაზღვრა როგორც წერილობით ფიქსირებული „ცხოვრებისეული განსჯების“ (**Lebensäußerungen**) გაგების მოძღვრება, რომელმაც აღიარება ჰპოვა ბიბლიურ ეგზეგეტიკაში, განმანათლებლობაში, იდეალიზმსა და ფსიქოლოგიზმში. მან დააზუსტა და დაამკვიდრა ისეთი ცნებები, როგორიცაა „ინტერპრეტაცია“, „გაგება“, „ჰერმენევტიკული წრე“. დილთაი თავის ფილოსოფიაში უგულებელყოფს აბსტრაქტულ მსჯელობებს და ანალიზის აუცილებელ პირობად ისტორიული ხდომილებების გათვალისწინებას მიიჩნევს. მან ერთმანეთს დაუპირისპირა ბუნების მეცნიერებანი და ჰერმენევტიკა. პირველნი იკვლევენ მიზეზებს, ხოლო მეორე ცდილობს ამ მიზეზების გამომწვევი პირობების დადგენას. დილთაის

თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა მარტინ ჰაიდეგერისა და ჰანს-გეორგ გადამერის ჰერმენევტიკული თეორიების განვითარებაზე.

მე-20 საუკუნიდან ჰერმენევტიკა **მარტინ ჰაიდეგერის** სახელს უკავშირდება. იგი ენას განიხილავს სისტემად, რომელიც საუკეთესო საშუალებაა ღირებულებათა შენახვისათვის. ჰერმენევტიკული ურთიერთობა მყარდება ენაში როგორც ყოფიერების სახლში, სადაც იკვრება ჰერმენევტიკული წრე. ჰაიდეგერისათვის ჰერმენევტიკა არის ინდივიდუალობის დაძლევის საშუალება. (65, 267)

ჰერმენევტიკის თანამედროვე თეორიები ძირითადად ემყარება **ჰანს გეორგ გადამერის** მიერ შემოთავაზებულ თეზისებს. 1960 წელს იგი აქვეყნებს ნაშრომს „**ჭეშმარიტება და მეთოდი.**“ (**Wahrheit und Methode. Grundzüge einer philosophischen Hermeneutik**), რომელშიც ჰერმენევტიკის თეორიის მეთოდები ახლებურად არის წარმოჩენილი. გადამერი აკრიტიკებს სხვა ფილოსოფოსების შეხედულებებს ჰერმენევტიკაზე. ინტერპრეტატორის მიერ ისტორიული წარსულის განცდა ხელს უშლის ანალიზის სწორად წარმართვას. დასახული მიზნის მისაღწევად ინტერპრეტატორმა უნდა გაწყვიტოს კავშირი ისტორიულ ფაქტებთან. ჰ. გ. გადამერის თეორიის მიხედვით, ინტერპრეტაციის აუცილებელი პირობაა ისტორიული ჰორიზონტისა და ტექსტის ჰორიზონტის შერწყმა, რაც ხორციელდება ჰერმენევტიკულ წრეში. (52)

**იურგენ ჰაბერმასის**ათვის ჰერმენევტიკული წრე არ ნიშნავს მხოლოდ წრიულ პროცესს მიმართულს ზოგადიდან კერძოსაკენ და პირიქით, არამედ ჰერმენევტიკული წრე მოიცავს საინტერპრეტაციო მასალის კომპლექსურ გაგებას, ისტორიულ-ემპირიული ფაქტორების ახსნა-განმარტებას. იდეოლოგიურ-კრიტიკულ ინტერპრეტაციაში ჰაბერმასი გულისხმობს როგორც ტექსტის უშუალო კავშირს ეპოქასთან, ასევე ენობრივი წარმონაქმნის პოტენციალს, აქტუალობას. წრიული პროცესი ითვალისწინებს როგორც ფაქტებს წარსულიდან ასევე მომავლის პერსპექტივებს. (63)

ტექსტის კვლევა და ინტერპრეტაცია ერთმანეთზე გადაჯაჭვული ცნებებია. ენობრივი წარმონაქმნის ინტერპრეტაცია რთული პროცესია, იგი ზედაპირული მომენტების გარდა ბევრ სიღრმისეულსაც ითვალისწინებს: თავად ინტერპრეტატორი ერთდროულად მკითხველიც არის და განმმარტებელიც, რომელმაც თვითონაც უნდა შეძლოს ტექსტის გაგება და სხვასაც გააგებინოს იგი. ტექსტის საზრისის ამოკითხვა აუცილებელი პირობაა და ეს მოითხოვს

სათანადო კომპეტენციის ქონას. მხოლოდ წინარე ცოდნის საფუძველზე შეძლებს მკითხველი/ინტერპრეტატორი ტექსტის ადეკვატურ ინტერპრეტაციას. ინტერპრეტატორმა, რომელსაც კვლევის კონკრეტული ამოცანები და მიზნები აქვს დასახული, თავდაპირველად უნდა წაიკითხოს საინტერპრეტაციო მასალა, ყურადღება მიაქციოს გაურკვეველ ადგილებს და წინასწარ შემუშავებული ანალიზის კრიტერიუმების საფუძველზე განმარტოს ისინი. თუ მკვლევარი/ინტერპრეტატორი შეძლებს ენობრივი წარმონაქმნის ობიექტურად შეფასებას, უპირობოდ მიადვებს დასახულ მიზანს. (17, 34)

ჰაიმან შტაინთალი ინტერპრეტაციის ექვს საფეხურს გამოყოფს. იგი ანალიზს სიტყვით იწყებს, შემდეგ გადადის წინადადებაზე და ბოლოს განიხილავს წინადადებათა კავშირებს. ინტერპრეტაციის პირველ ფორმად მას გრამატიკული მიაჩნია (**die grammatische Interpretation**), რომელიც საფუძველია ყოველი მომდევნო ფილოლოგიური ინტერპრეტაციისა, ხოლო მეორე ფორმა-საგნობრივი ინტერპრეტაციაა (**die sachliche Interpretation**). შემდგომ, მესამე საფეხურს შეადგენს სტილისტიკური ინტერპრეტაცია (**die stilistische Interpretation**). მისი ობიექტი ნაწარმოების კომპოზიციაა. მას მოსდევს მეოთხე, ინდივიდუალური ინტერპრეტაცია (**die individuelle Interpretation**), რომლის არსი მწერლის სტილის თავისებურებების ახსნა-განმარტებაში მდგომარეობს. შტაინთალი ინტერპრეტაციის მეხუთე საფეხურად ისტორიულს (**die historische Interpretation**) განიხილავს. ყველაფერს აქვს განვითარების სხვადასხვა ეტაპი. თავად ესა თუ ის სიტყვა ან სინტაქსური შენაერთი ამა თუ იმ დროს სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი იყო, ამიტომაც ისტორიული ფონის გათვალისწინება ინტერპრეტატორისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ინტერპრეტაციის ბოლო, უმაღლესს საფეხურად **ჰ. შტაინთალი** თვლის ფსიქოლოგიურ (**die psychologische Interpretation**) ინტერპრეტაციას, რომელიც ანალიზის სხვა ფორმებთან ერთად ინტერპრეტატორს ხელს უწყობს გაგების პროცესის სრულყოფაში. მისი მიზანი მწერლის სულში წვდომაა. ამ ხერხის მეშვეობით ინტერპრეტატორმა უნდა გამოკვეთოს ნაწარმოების შექმნის პროცესში ჩართული მნიშვნელოვანი მომენტები და გაანალიზოს ავტორის მიერ შექმნილი ახალი სიტყვები და გამონათქვამები. (111, 540) შტაინთალის ეს მიდგომა გარკვეულ საფუძველს წარმოადგენს როგორც ლიტერატურული ისე ლინგვისტური ჰერმენევტიკის განვითარებისათვის.

ამრიგად, ჰერმენევტიკა როგორც უნივერსალური თეორია და მეთოდი გულისხმობს ემპირიული მასალის მრავალმხრივ ინტერპრეტაციას, უპირველეს ყოვლისა კი საზრისის დადგენას. მას აინტერესებს ზოგადად არა მარტო წერილობით ფიქსირებული ენობრივი წარმონაქმნი, არამედ პროდუცენტიც, მედიუმიც და რეციპიენტიც. უახლოეს წარსულში გაძლიერდა ინტერესი ჰერმენევტიკის ისტორიისადმი. კვლევის ცენტრში მოექცა ტექსტის გაგების პრობლემები, რაც ძირითადად ინიცირებულ იქნა ტექსტის განმარტების პროტესტანტული პრინციპის მიმდევრების და რიტორიკის მკვლევარების მიერ. ჰერმენევტიკის ისტორიის კვლევის შემდგომი პერსპექტივებისათვის ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს.

#### **1.4. სტილისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა.**

ტექსტის ლინგვისტიკის დაფუძნებაში ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა **სტილისტიკამ**.

სტილისტიკა უძველესი ფილოლოგიური დისციპლინაა, რომელიც თავის მხრივ მჭიდროდ უკავშირდება რიტორიკის ერთ-ერთ ოპერაციას, ე.წ. **elocutio**-ს, რომელიც თემის მიხედვით სათანადო ენობრივი საშუალებების (მასალის) შერჩევას გულისხმობს.

სტილისტიკა როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა ახალი სახით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იკიდებს ფეხს, ხოლო თეორიული საფუძვლები მას მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ეყრება. მომდევნო წლებში ზუსტდება ე.წ. ტრადიციული სტილისტიკის მიზნები და მეთოდები. ამ პერიოდში ყურადღება გამახვილებულია ენის სისტემის შინაგან სტილისტიკურ პოტენციალზე.

ენათმეცნიერებაში კომუნიკაციური პარადიგმის დამკვიდრებამ საფუძვლიანად შეცვალა სტილისტიკის მიზნები და მეთოდები. კვლევის ფოკუსმა გადაინაცვლა ენის კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ ფუნქციებზე და მათ საკომუნიკაციო-სიტუაციურ აქტუალიზაციაზე ტექსტის ფარგლებში.

სტილისტიკა მრავალპლანიანი დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის ენობრივ საშუალებებს. ის იკვლევს მეტყველების სხვადასხვა სახეობების სტრუქტურასა და ფუნქციონირებას, მათ შორის კანონზომიერებათა დადგენის პრინციპებს, ენობრივ საშუალებათა აქტუალიზაციას, ენობრივი ნორმების, ცოდნისა და წესების რეალიზაციას.

სტილისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა ერთმანეთზე გადაჯაჭვული დისციპლინებია. მათი კავშირი საკმაოდ მჭიდროა და ძნელია თითოეული მათგანის საკვლევი ობიექტების საბოლოო გამოჯენა. სტილისტიკის შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ვხვდებით. მას შემდეგ მიმდინარეობს ამ დისციპლინის განვითარება და გამდიდრება ახალი თეორიებითა და მეთოდებით. განვითარების ადრეულ ეტაპზე სტილისტიკის ყურადღებას იმსახურებდა ორატორთა ხელოვნება, მსმენელთა წინაშე მონოლოგური მეტყველების გამოხატვის ხერხი და საშუალება.

თავდაპირველად სტილისტიკის შესწავლის საგანი იყო ცალკეული სიტყვებისა და გამოთქმების სტილი, სტილისტიკური ფუნქციები, ხოლო მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან, როდესაც ყურადღება გამახვილდა თავად ტექსტზე, გამოიკვეთა სტილის კვლევის ახალი მიმართულებები. განვითარების ამ ეტაპზე კვლევის ცენტრში ლიტერატურული ტექსტები მოექცა. მიმდინარეობდა მსჯელობა მხატვრულ სტილზე და მის რაობაზე. ლიტერატურათმცოდნეებმა წინა პლანზე წამოსწიეს მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური მხარეები. ინტერპრეტაცია იყო შინაარსზე მიმართული და ფორმაზე ორიენტირებული. ამ დროიდან მსჯელობენ სტილზე როგორც ტექსტის თვისებაზე.

სტილისტიკის საზღვრების გაფართოებასთან ერთად ფართოვდება მისი კვლევის საგანიც. მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან სტილისტიკის კვლევა ახალ ფაზაში გადადის. სტილი აღარ მიეწერება მხოლოდ ლიტერატურულ ტექსტებს, არამედ კვლევის საგანი ხდება ყოველგვარი ენობრივი გამოხატულება, იქნება ეს ზეპირი თუ წერილობითი ფიქსირებული. სტილის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სტილი ძვეს როგორც ენის სისტემაში (langue) ასევე მეტყველებაში (parole): ენის სისტემაში სტილისტიკური საშუალებები და კატეგორიები პოტენციურად არსებობენ და სისტემური ხასიათი აქვთ, ხოლო მეტყველებაში ხდება ამ პოტენციური საშუალებების აქტუალიზაცია. **(104, 9)**

გასული საუკუნის 60-იანი წლები ნაყოფიერი აღმოჩნდა სტილისტიკისთვისაც. ენის კვლევის იმანენტური პრინციპი შეივსო კომუნიკაციური პარადიგმით. ყურადღება გამახვილდა ენის გამოყენებაზე რეალურ კომუნიკაციურ სიტუაციებში.

კონვენციონალური მიკროსტილისტიკის გვერდით ჩნდება მაკროსტილისტიკის როგორც კომპლემენტარული დისციპლინის ცნება. **ელიზე**

**რიზელი** ერთმანეთისაგან განასხვავებს მიკრო- და მაკროსტილისტიკის სფეროებს. მიკროსტილისტიკა მცირე ენობრივი ერთეულების სტილისტიკურ დახასიათებებს გვთავაზობს, მაკროსტილისტიკა კი კვლევის უფრო ფართო სპექტრს მოიცავს, კერძოდ იგი ტექსტზეა ორიენტირებული. (89)

ზოგადად სტილისტიკის კვლევის საგანს სამი ობიექტი წარმოადგენს – ნორმატიული სტილი, ენის გამომსახველობითი პოტენციალი და მხატვრული ლიტერატურის სტილისტური თავისებურებანი. შესაბამისად გამოიყოფა სტილისტიკის სამი მიმართულება: პრესკრიფციული სტილისტიკა, დესკრიფციული სტილისტიკა და მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკა.

პირველი აკანონებს ენობრივ გამომსახველობით ნორმებს, მეორე აღწერს ენის გამომსახველობით პოტენციებს. მესამე შეისწავლის ლიტერატურული სკოლების და ეპოქების სტილისტურ თავისებურებებს და ადგენს მხატვრული ნაწარმოების სტილისტიკური ინტერპრეტაციის მეთოდებს.

სტილის ცნება საკმაოდ ფართოა და ვერ თავსდება ვიწრო ჩარჩოში. სტილი, ერთი მხრივ, განისაზღვრება როგორც ენობრივ საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული ეპოქის, ლიტერატურული მიმდინარეობის, მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტებისათვის. მეორე მხრივ, სტილი ენობრივ წარმონაქმნთა სპეციფიკური თავისებურების გამოვლენის ფორმაა, ნიშანდობლივ თვისებათა ერთობლიობა.

მკვლევარები სტილის უამრავ სახეობას გამოყოფენ. თითოეულ ენობრივ ქმედებას საკუთარი სტილი მიეწერება, რომლის შერჩევასაც ავტორს სრული თავისუფლება ენიჭება. ყოველ გამონათქვამს აქვს საკუთარი სტილი. სტილის შერჩევაში პროდუცენტი თავისუფალია. მას შეუძლია ენობრივი რესურსიდან შეარჩიოს სასურველი სტილი და შექმნას გარკვეული ენობრივი წარმონაქმნი. ყოველ ენაში არსებობს უამრავი ალტერნატივა, ორიგინალურად შერჩეული სტილისტიკური ერთეულები ანიჭებს მკითხველს ესთეტიკურ სიამოვნებას.

სტილი არის ტექსტის თვისება, რომელშიც თავისებურებების ობიექტივიზაცია ხდება. იგი განიმარტება აგრეთვე როგორც ენობრივი გამოთქმის მანერის თვალშისაცემი თავისებურებების კომპლექსი (17, 14).

სტილისტური ცნებები არსებობენ ჩვენს ირგვლივ და ხასიათდებიან კომპლექსურობით. სტილი შეიძლება იყოს ინდივიდუალური და კონვენციონალური. სტილის მრავალმხრივობას განაპირობებს ინდივიდთა და საზოგადოების მრავალფეროვანი ინტერესები. ინდივიდუალური სტილის



კვლევამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლიტერატურის თეორიის განვითარებაში. სტილისტიკა მჭიდრო კავშირშია წერისა და მეტყველების ზოგად დამახასიათებელ ნიშნებთან, კვლევის ცენტრში ექცევა ტექსტის ფუნქცია, რომელიც უშუალო მიმართებაშია ენობრივი საშუალებების შერჩევასთან.

ყოველ ენობრივ წარმონაქმნში, იქნება ეს ლიტერატურული ტექსტი თუ სპონტანური, ზეპირი გამონათქვამი, ფიგურირებს სტილის ნიშნები, ერთი მხრივ, სტილისტური შეფერილობა (**Stilfärbung**), რომელსაც ქმნიან ცალკეული სიტყვები და სიტყვათა ჯგუფების ემოციური და ექსპრესიული კომპონენტები. მეორე მხრივ, ნებისმიერი ტექსტი საკუთარი სტილით გამოირჩევა. სტილისტიკური ელემენტების კომპლექსს, რითაც განისაზღვრება ტექსტის სტილი, სტილისტურ რეგისტრს (**Stilzüge**) უწოდებენ. სტილისტიკური საშუალებების ჭარბი ან იშვიათი გამოყენება განსაზღვრავს ტექსტის რეგისტრს. (**106, 58**) მაგალითად, ნომინალურ რეგისტრზე (სტილზე) მსჯელობა, თუკი ტექსტში არსებითი სახელების დიდი რაოდენობაა გამოყენებული. ზმნების ჭარბი რაოდენობა განაპირობებს ტექსტის ან მისი მონაკვეთის ვერბალურ რეგისტრს. რეგისტრის გაგებას საფუძვლად უდევს კომუნიკანტების ქცევა, რომელიც არ არის ერთგვარი და იცვლება სიტუაციის, თანამოსაუბრის, საუბრის თემის და სხვა ფაქტორების შესაბამისად. სწორედ ამ ფაქტორების მიხედვით ირგებენ ისინი საკომუნიკაციო როლებსა და სხვადასხვაგვარად მეტყველებენ. მეტყველი თავისი მშობლიური ენის ფარგლებში ფლობს სხვადასხვა რეგისტრს, რომლებსაც ის, ხშირად გაუცნობიერებლად იყენებს ამა თუ იმ მოცემული სიტუაციის შესაბამისად. მას ასევე შეუძლია სრულიად გაცნობიერებულად, განზრახ აირჩიოს შეუსაბამო რეგისტრი, დაარღვიოს ნორმა და სწორედ ამით მიადწიოს ეფექტს. ასევე ლიტერატურულ ტექსტებში შეიძლება მწერალმა შემოიტანოს ზეპირი, მაგ: ქუჩური ჟარგონის რეგისტრი და ამით შექმნას ზეპირი მეტყველების ილუზია.

**ბ. ზანდიგი** სტილს განიხილავს ტექსტების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად. სტილის აქტუალიზება ტექსტების განსაზღვრული თვისებების შედეგია. თავად ტექსტის სტრუქტურის თვისებები ნათელს ფენს სტილის სტრუქტურას. (**92, 18**)

სტილისტიკური მახასიათებლები ხშირად იმპლიციტურია. ტექსტის ლექსიკურ-გრამატიკული და სემანტიკური ბმულობისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ გრამატიკული კორექტულობა. ენობრივი მოწესრიგებულობა მარტო

გრამატიკის დამსახურება როდია. სწორედ სტილისტიკური საშუალებების სათანადო შერჩევა განაპირობებს ტექსტის სტრუქტურასა და ფუნქციას, რომლებიც სტილის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია. **(92, 19)**

უნდა შევნიშნოთ, რომ მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაციის აუცილებელ ასპექტად ითვლება ის, თუ როგორ აისახება ტექსტში ავტორის ინდივიდუალური სტილი და რა ენობრივი საშუალებებით გამოიხატება იგი. სტილი მწერლობის ზოგადი სპეციფიკის ეპოქისეული გამოვლინებაა. კონკრეტული ნაწარმოები როგორც სინამდვილის ესთეტიკური ათვისების თავისებური ფორმა იცვლება სინამდვილის ცვლასთან ერთად. გარესამყაროში მომხდარი სოციო-კულტურული კატაკლიზმები გარკვეულ ცვლილებებს ახდენენ ენობრივ კორპუსზე. იცვლება ესთეტიკური ათვისების პრინციპები.

რაც შეეხება ეპოქის (დროის) სტილს, მას ზოგადად ნაკლები ყურადღება ექცევა მხატვრული ტექსტის ანალიზისას. ჩვენ შევეცდებით ნარატიული ტექსტების ინტერპრეტაციისას იმ ენობრივი საშუალებების გამოკვეთას, რომლებიც ეპოქის სტილს უშუალოდ ან შუალობით ასახავენ ტექსტში.

### **1.5. ინტერპრეტაციული სკოლა.**

ინტერპრეტაციული სკოლა როგორც ფსიქოლოგისტური ყაიდის მიმართულება ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. მისმა მიმდევრებმა ახალ ღირებულებებს ჩაუყარეს საფუძველი, კერძოდ, წინა პლანზე წამოსწიეს ლიტერატურულ-ესთეტიკური მომენტები, თუმცა ტექსტის ენობრივ-სტილისტური თავისებურებებიც არ დარჩათ ყურადღების მიღმა.

ინტერპრეტაციული სკოლა ხელოვნების თეორეტიკოსის **ბენედეტო კროჩეს** ესთეტიკურ საფუძვლებს ემყარება. ბენედეტო კროჩე - იტალიელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი, ითვლება იტალიური პოზიტივიზმისა და იდეალიზმის ფუძემდებლად. კროჩეს პოპულარიზაციას გერმანიაში ხელი შეუწყო **კარლ ფოსლერმა**, რომელმაც გერმანულად თარგმნა და გამოაქვეყნა მისი შრომები.

ინტერპრეტაციული სკოლის მამამთავარი და დამფუძნებელია ავსტრიელი რომანისტი **ლუო შპიცერი**, რომელიც ფილოსოფიური და პოზიტივისტური მიმართულებების მიმდევარია.

ევროპული ლიტერატურის კრიტიკა, თეორია და ტექსტის ლინგვისტიკა განიცდიან ლუო შპიცერის ინტეგრირებული შემოქმედების გავლენას. მის მიერ

შემუშავებული ტექსტის ანალიზის მეთოდს იყენებენ რომანისტიკისა და გერმანისტიკის სფეროში მომუშავე მკვლევარები. ლ. შპიცერის მთავარი ნაშრომებია: „სიტყვაწარმოება როგორც სტილისტიკური საშუალება ილუსტრირებული რაბლეს ნაწარმოებებით“ („**Die Wortbildung als stilistisches Mittel exemplifiziert an Rabelais**“, 1910), „სტატიები რომანული სინტაქსისა და სტილისტიკის შესახებ“ („**Aufsätze zur romanischen Syntax und Stilistik**“, 1918) , „სტილისტიკური შტუდიები“ („**Stilstudien**“, 1928), „რომანული სტილისა და ლიტერატურის შტუდიები“, („**Romanische Stil- und Literaturstudien**“, 1931).

ლ. შპიცერი ისევე როგორც კ. ფოსლერი ხელოვნების ნიმუშში ინდივიდუალურ სტილს ეძებს, რომელიც ასახავს შემოქმედის სულიერ მდგომარეობას. შპიცერის აზრით, თითოეულ მკითხველს თავად შეუძლია აღმოაჩინოს ნაწარმოების თვალშისაცემი თავისებურებანი, იპოვოს სტილი, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალური შეიძლება იყოს და ჩაწვდეს პოეტის სულიერ მდგომარეობას. ლ. შპიცერის ინტერპრეტაციული მეთოდი გულისხმობს: ა) დეტალის ინტუიციურ აღქმას და ბ) ტექსტის წაკითხვის დროს მწერლის სულიერი მდგომარეობის გათავისებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველი მკითხველი თავად უნდა იყოს ინტერპრეტატორი და გაითვალისწინოს შემოქმედის სულიერი მდგომარეობა, მისი ფსიქე. (108)

ლ. შპიცერმა 1916 წელს თავის მეგობარ ჰანს შპერბერთან ერთად დაიწყო კვლევა სახელწოდებით „**მოტივი და სიტყვა**“ (**Motiv und Wort**), რომელიც ემყარებოდა ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ფსიქოანალიტიკურ საფუძვლებს. შპიცერი იქვე ავითარებს იმ მოსაზრებას, რომელიც მან თავის დისერტაციაში საკმაოდ თანმიმდევრულად ჩამოაყალიბა, კერძოდ იგი ხაზს უსვამს ენის სტრუქტურის რელაციურ დინამიკას, ანალიზებს არა მარტო ლიტერატურულ-პროზაულ ტექსტებს, არამედ პოეტურ ნიმუშებსაც. (108)

**უტც მასი** სინანულით აღნიშნავს, რომ ბევრი ენათმეცნიერის, მათ შორის ლეო შპიცერის დგაწლი სათანადოდ არ არის დაფასებული თანამედროვე მკვლევარების მიერ. თუმცა მას ბევრი მიმდევარი ჰყავს. განსაკუთრებით ნოვატორულია მის მიერ ტექსტების ინტერპრეტაციაში კულტუროლოგიური ასპექტისა და სპეციფიკური კონოტაციების რეკონსტრუირება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მან თავის შემოქმედებაში ფაქტობრივ ჩამოაყალიბა ის

ძირითადი დებულებები, რომლებსაც საერთოდ დისკურსიული ანალიზი ეყრდნობა, წერს უ. მაასი. (83,727)

შპიცერის თეორიის მაღალი შეფასება გვიბიძგებს სადისერტაციო ნაშრომში სათანადო ადგილი დაუთმოთ და შედარებით დაწვრილებით განვიხილოთ ლ. შპიცერის მონოგრაფია „**Stilstudien**” („სტილისტური შტუდიები“), რომელიც შედგება ორი ტომისაგან: პირველია „**Sprachstile**” („ენობრივი სტილები“), მეორე – „**Stilsprachen**” („ინდივიდუალური სტილები“).

ამ ნაშრომს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ავტორის თეორიული და მეთოდოლოგიური მრწამსის გაგებისათვის. მასში დასმული პრობლემები გადაწყვეტილია სტილის კვლევის პრაქტიკულ ჭრილში და მჭიდრო კავშირშია იმ თვალსაზრისთან, რომელიც ჩამოყალიბებულია **კარლ ფოსლერის** პუბლიკაციაში: „**სტატიები რომანულ სინტაქსსა და სტილისტიკაზე**” (1918), სადაც წინა პლანზეა წამოწეული ინდივიდუალური სტილი.

ღეო შპიცერის აღნიშნული ნაშრომის პირველ ტომში ენების სტილისტური პოტენციების შედარებითი მომენტია განხილული, მეორე ტომში კი შედარების მომენტები ნეიტრალიზებულია და საკითხი ინდივიდუალურ-ენობრივის სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი, თუმცა მკაცრი ზღვარი მათ შორის არ არის გავლებული.

პირველი ტომი „**Sprachstile**”, რომელშიც ავტორი საერთო ენობრივს გულისხმობს, თექვსმეტი თავისაგან შედგება და წარმოადგენს ფრანგული, იტალიური, ესპანური და რუმინული ენების სტილისტური საშუალების კვლევას ემპირიული მასალის საფუძველზე. (მაგ., „არსებითი სახელების ატრიბუტული თანწყობა ფრანგულ ენაში” („**Attributive Anreihung von Substantiven im Französischen**”), „ასინდეტური შედარება იტალიურსა და რუმინულში” („**Asyndetische Vergleiche im Italienischen und Rumänischen**”). აქვე მოჰყავს ლ. შპიცერს ენათმეცნიერთა და ლიტერატურათმცოდნეთა, კერძოდ- კ. ფოსლერის, კ. მიულერის, მაიერ-ლიუბკეს, ლ. ტობლერის და ა.შ მოსაზრებებიც, მათ პოზიციებს იგი ხან იზიარებს და ათვალსაჩინოებს კონკრეტული ნიმუშების ინტერპრეტაციით, ხან პირიქით, აკრიტიკებს მათ.

ღეო შპიცერის აზრით, სტილი წარმოადგენს ენობრივი საშუალებების შეგნებულ გამოყენებას სათანადო ეფექტის მისაღწევად და ძვეს ზოგადსა და ინდივიდუალურს შორის. სტილი უნდა გავიგოთ არა როგორც კომუნიკატორის

ინტენცია, არამედ როგორც შთაბეჭდილება, რომელსაც იგი კომუნიკანტზე ახდენს.

ლეო შპიცერი ძველი ფილოლოგების მსგავსად აცხადებს, რომ ფილოლოგისათვის უფრო მნიშვნელოვანია ნიმუშებით დამოწმებული მასალა და მოწიწება ტექსტის მიმართ, ვიდრე მასზე ზოგადი მსჯელობა: „Die Andacht zum Text ist noch immer wichtiger als die „Dacht“ über ihn“ (107,1). იდეალისტებისა და პოზიტივისტების საპირისპიროდ, რომლებიც მხოლოდ იდეალისტურს ან პოზიტივისტურს აღიარებენ, ლეო შპიცერი მხარს უჭერს „პოზიტივისტურ-იდეალისტურს“ ან „იდეალისტურ-პოზიტივისტურს“, რაც არასოდეს უგულებელყოფს ფილოლოგიურ მუშაობაში ხელოსნურ-ტექნიკურ მომენტს.

პირველი ტომის შესავალშივეა დაფიქსირებული ლეო შპიცერის მეთოდოლოგიური კვლევის მთავარი მიზანი. ავტორი მას „mein Ziel“-ს უწოდებს: სწრაფვა ზოგადისაკენ და მისი წვრილმანებში განცდა: „Nach dem Größten streben und im Kleinsten es erleben“ (107,3)

მეორე ტომში, რომელიც ინდივიდუალურ სტილს ეძღვნება, ავტორი გვთავაზობს ცალკეული მწერლების სტილის ანალიზს. (მაგ. შარლ პეგიუს სტილი) („Charles Pegueys Stil“) „მარსელ პრუსტის სტილის საკითხისათვის“ („Zum Stil Marsel Proust's“). იგი შესავალში მსჯელობს ენათმეცნიერებასა და სიტყვის ხელოვნებაზე, ენათმეცნიერების დამოკიდებულებაზე ესთეტიკის მიმართ, რასაც ანესთეზირებულს უწოდებს. მისი აზრით, ენათმეცნიერება იგნორირებს ენაში ხელოვნების ღირებულებების უდავო არსებობას, რომლის განვითარების საფეხურებიდან გამომდინარე, მსგავსი ფსევდო-ისტორიული დამოკიდებულება გასაგებიცაა. დღეს ფოსლერის, ვალცელის, ლენსონის ნაწარმოებების წყალობით იგი უკვე ანაქრონიზმს წარმოადგენს. ასეთი მკვლევარები ვერც უარყოფენ გრამატიკის წვლილს ტექსტის ანალიზში და ვერც გრამატიკული კატეგორიების მხატვრულ ზეგავლენას ამა თუ იმ შემოქმედთან. აქედან გამომდინარე, ის დაწესებული ზღვარი, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს ლიტერატურულ და ლინგვისტიკურ სფეროებს, უნდა მოიშალოს. რომანისტი, რომელიც მხოლოდ ან რომანული ენების ან მხოლოდ ლიტერატურის კვლევით არის დაკავებული, მუშაობს სანახევროდ. ლეო შპიცერი მკვლევარებს მოთხოვნად უყენებს ენისა და ლიტერატურის ინტერესების არა თუ გაყოფას, არამედ პირიქით გაერთიანებას. (107,108)

ლეო შპიცერი ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ინტერესების გამაერთიანებელ ხიდად სტილის კვლევას მიიჩნევს: „**Die gangbarste Brücke zwischen Sprach - und Literaturwissenschaft ist aber die Stilforschung**”. სტილს ავტორი განსაზღვრავს როგორც ხელოვნების დონეზე აყვანილი ენის გამოყენების ნიმუშს „**Sprache als Kunst verwendet**”. (108, 3-4) ყოველ ინდივიდუალურ სტილს აქვს საკუთარი სტილისტური სახე („**Stilgesicht**”) და არ ჰგავს მეორეს. იგი აქვე ავითარებს იმ აზრს (ფრანგული ენიდან მოყვანილი შესაბამისი მაგალითებით), რომ სტილი ვლინდება სხვადასვა ენობრივ ქმედებაში და პირიქით გრამატიკა თავად აირეკლება სტილისტურ ელემენტებში. აქედან გამომდინარე ავტორი გრამატიკისა და სტილისტიკის ურთიერთმიმართებას ერთმანეთში გადაჯაჭვულს უწოდებს. (108, 2-11)

ამრიგად, ლეო შპიცერი აღიარებს ხელოვნების ინდივიდუალურობას, იგი ენაში ინდივიდუალურ მხარეს ეძებს, თუმცა ენის სოციალურ ბუნებასაც არ გამოორიცხავს. იგი ამოდის საერთო ენობრივიდან და მიემართება ინდივიდუალურისაკენ, საერთო ენა ხომ ინდივიდუალური ენების გადაკვეთაა.

### 1.6. ტექსტის გრამატიკა.

ენის სისტემა რომ მეცნიერულად აღიწეროს, გათვალისწინებული უნდა იყოს ის არსებითი ცვლილებები, რასაც ენის გაგებაში იწვევს ისტორიული განვითარება.

გრამატიკა ვიწრო გაგებით შეისწავლის სიტყვას, შესიტყვებისა და წინადადების სტრუქტურას, ხოლო ფართო გაგებით ტექსტის აგებულებასა და ფუნქციას. გრამატიკა შეიქმნა ძველი ბერძნული ენის შესწავლისას და მას შემდეგ იგი მუდმივად ვითარდება. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების ადრეულ ეტაპზე ტექსტის გრამატიკა მჭიდრო კავშირშია ტექსტის სტილისტიკასთან. XX საუკუნის დასაწყისიდან მრავალი შრომა მიექცნა ტექსტის მხატვრული, გრამატიკული, ენობრივი და სტილისტური თავისებურებების აღწერას.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ტექსტის კვლევა ახალ ფაზაში გადადის. ინტენსიური მუშაობა ტექსტთან დაკავშირებული პრობლემების ირგვლივ 70-იანი წლებიდან იწყება. ამას მოწმობს ის სამეცნიერო კონფერენციები თუ გამოქვეყნებული შრომები, რომლებიც ამ მიმართულებით ტექსტის კვლევის ირგვლივ აქტუალურ ხასიათს იძენენ. ისმება კითხვა: რას

წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკა? არის თუ არა იგი ერთიანი და განუყოფელი, თუ აერთიანებს რამდენიმე ერთმანეთთან ახლომდგომ დისციპლინას იმის მიხედვით, თუ ტექსტის რომელი ასპექტი წამოიწევა წინ. **ვოლფგანგ დრესლერი** ტექსტის ლინგვისტიკის შემადგენელ ასპექტებზე მსჯელობს. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს ტექსტის სემანტიკას, ტექსტის პრაგმატიკას, ტექსტის სინტაქსს და ტექსტის ფონეტიკას. (42)

**ოიგენიო კოსერიუ** ტექსტის ლინგვისტიკის სამ სახეობას გამოყოფს. საზრისის ლინგვისტიკას (1) იგი ჰერმენევტიკასთან აიგივებს და ავტონომიურ დისციპლინად მიიჩნევს, რომელიც მხედველობაში არ იღებს ეროვნულ ენობრივ განსხვავებებს. რაც შეეხება ტექსტის თავისებურებების შესწავლას ცალკეული ენების ფარგლებში, ეს, მისი აზრით, ტრანსფრასტული ანუ ტექსტის გრამატიკის კომპეტენციაა (2). ტექსტის გრამატიკა იკვლევს ენობრივ მიმართებებს, რომლებიც წინადადების დონეს სცილდება და ადგენს მათ სტატუსსა და ფუნქციებს ტექსტში. აქტუალური ხდება იმ გრამატიკული მოვლენების ანალიზი ტექსტის დონეზე, რომლებიც განეკუთვნება ტრანსფრასტული გრამატიკის კომპეტენციას და გულისხმობს ცალკეული ენების პოტენციურ შესაძლებლობების აღწერას ამა თუ იმ საზრისის გამოსახატავად. **ო. კოსერიუს** აზრით, ამ გრამატიკის ემპირიულ მასალას ქმნის ცალკეული ენების სტრუქტურები როგორც ზოგადად შესაძლებელი და კონკრეტულ შემთხვევაში აქტუალიზებული. შესწავლის საგანი ხდება მიმართებებები, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ტექსტის გრამატიკული ანალიზისას. მესამე სახეობის პრეროგატივაა ტექსტების კლასიფიკაცია (3), რომელიც თავის მხრივ ანალოგია პირველი სახეობისა და გამოყოფას არ საჭიროებს. (40)

ტექსტის გრამატიკის პრობლემებია განხილული **ოლგა მოსკალსკაიას** ნაშრომში „ტექსტის გრამატიკა“ მასში ტექსტის დონეზე ხდება იმ გრამატიკული პრობლემების გადაჭრა, რომლებიც წინადადების ჩარჩოში ვერ ხერხდება. გრამატიკული მოვლენების ერთ ნაწილს, ტრადიციულად მხოლოდ წინადადების დონეზე რომ განიხილებოდა, ახალმა მიდგომამ ტექსტური კატეგორიის სტატუსი მიანიჭა. ტექსტის გრამატიკა **ო. მოსკალსკაიას** ფართო გაგებით ესმის. ნაშრომის შინაარსიდან აშკარაა, რომ ავტორი თავის წიგნში საკითხების უფრო მრავალფეროვან სპექტრს განიხილავს, ვიდრე სათაურიდან ჩანს, რადგან იქ სემანტიკურ და სხვა პრობლემებზეც არის მსჯელობა. (24).

ტონ ვან დეიკის “ტექსტმცოდნეობა” (Textwissenschaft) ახალ ინტერდისციპლინარულ კვლევას წარმოადგენს. ავტორი განიხილავს ტექსტების აგების საშუალებებს და ერთმანეთისგან განასხვავებს გრამატიკულ, სტილისტიკურ, რიტორიკულ და სქემატურ ტექსტთა სტრუქტურებს. იგი ცალკე თავს უძღვნის ტექსტისა და გრამატიკის დამოკიდებულებებს. ყოველი ინდივიდი, ინდივიდთა ჯგუფი ან ენობრივი კოლექტივი კომუნიკაციის პროცესში დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებასა და კომუნიკაციის კონტექსტზე. ისინი ენის სისტემას მეტ-ნაკლებად სხვადასხვა ფორმით იყენებენ. გრამატიკა არის წესების, კატეგორიებისა და დეფინიციების ერთობლიობა, რომელიც განფენილია ენის სისტემაში; რადგან წინადადებებსა და ტექსტებს აქვთ სპეციფიკური ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლები, ავტორი ერთმანეთისაგან მიჯნავს წინადადებისა და ტექსტის დონეებს. (112)

**ჰორსტ იზენბერგის** სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე ტექსტის გრამატიკის განვითარება. იზენბერგი ტექსტს განსაზღვრავს როგორც „წინადადების კავშირების კოჰერენტულ შედეგს“. იგი ფიქრობს, რომ წინადადებებს შორის არსებობს მიმართებები, რომლებიც ტექსტის გრამატიკის დონეზე უნდა განიხილებოდეს, კერძოდ:

- წინადადებების წრფივი თანამიმდევრობა;
- მარცხენა და მარჯვენა საზღვრები;
- შეფარდებითი დასრულებულობა;
- წინადადებებს შორის ბმულობა;
- სემანტიკური ურთიერთობა ზედაპირულ კონსტიტუენტებს შორის; (73,1)

ტექსტის გრამატიკის ახალ კონცეფციას გვთავაზობს **ჰარალდ ვაინრიხი**. მისი აზრით, ლინგვისტიკის ძირითადი ამოცანაა გრამატიკული ფორმებისა და სტრუქტურებისათვის მარტივი, ნათელი თეორიების შექმნა. ტექსტი მას მიაჩნია ენობრივი ნიშნების კავშირთა ერთობლიობად, რომელშიც სრულყოფილად არის წარმოჩენილი ამ კავშირების კანონზომიერებანი. ავტორი ემპირიულ მასალებად იყენებს როგორც ზეპირ გამონათქვამებს, ისე წერილობით ტექსტებს.

„ლინგვისტიკა, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგები, ოპერირებს სპეციალური დარგობრივი ენით. თავად გრამატიკა ანტიკური ხანიდან დაწყებული საკუთარ ტერმინოლოგიას იყენებს. ლინგვისტიკური ცნებები/ტერმინები დროთა განმავლობაში იცვლება, ხდება მათი სპეციალიზაცია ტექსტის დონეზეც“, წერს **ჰ. ვაინრიხი** (122,17-20).



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰ. ვაინრიხის მიერ შემდეგი ძირითადი საკითხების წინ წამოწევა:

- ემპირიულ მასალად წერილობითი ტექსტების გამოყენება;
- ანაფორულ – კატაფორული მიმართებების დადგენა;
- საბაზისო ერთეულების დეტერმინაცია;
- ჩარჩოს კონსტრუქციები;
- ბმულობის საშუალებები;
- იუნქციების სინტაქსი;
- ზმნა და მისი პოზიციები;

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შედარებით დაწვრილებით შევჩერდეთ ტექსტის გრამატიკის ძირეული საკითხების განხილვაზე, რომლებსაც ჰ. ვაინრიხი ამკვიდრებს ტექსტის ინტერპრეტაციის ახალ მოდელში.

1. ჰ. ვაინრიხი ემპირიულ მასალად არა მარტო მხატვრულ ტექსტებს იყენებს, არამედ აგრეთვე სპეციალურ ტექსტებს სხვადასხვა მეცნიერული დარგებიდან. მაგალითად, ვნებით გვარს იგი განხილავს ეკონომიკური ტექსტის ერთ-ერთ მონაკვეთში, ამასთან ტექსტს თან ურთავს გრამატიკულ კომენტარს, სადაც გრამატიკული მიმართებები ტექსტის დონეზეა აღწერილი:

ტექსტი:

Nach dem Erscheinungsbild lasse sich (1) sehr unterschiedliche Inflationsformen unterscheiden. Das moderne Phänomen der schleichenden Inflation ist (2) hier einzuordnen: Von schleichender Inflation wird gesprochen (3), wenn die Preissteigerungsraten „gering“ sind und über mehrere Perioden hinweg ohne nennenswerte Beschleunigung zu beobachten sind.(4)

გრამატიკული კომენტარი:

(1)**lassen sich- unterscheiden**: რეფლექსური მნიშვნელობით გამოყენებული ზმნა „**lassen**“ ზმნის ინფინიტივთან ერთად არის მოდალური პასივის ეკვივალენტი: „können unterschieden werden“.

პასივის ეს „აღწერილობითი“ ფორმა ხშირად გვხვდება ტექსტებში როგორც პასიური ფორმების ჩანაცვლების საშუალება.

(2) **ist- einzuordnen**: აქაც საქმე ეხება მოდალურ პასივს, რომელსაც ქმნის

დამხმარე ზმნა **ist**-ი ინფინიტივთან და წინდებულ **zu**-სთან ერთად, რომელიც აქ, როგორც ინფიქსი ორ ნაწილიან ზმნას შორის არის ჩართული. მოდალური მნიშვნელობა ბუნდოვანია, თუმცა იმ საზღვრებშია, რომელიც მოდალური ზმნების პარადიგმით არის დადგენილი. იგი მერყეობს **kann** **eingeorndet werden**-სა და **muss** **eingeorndet werden**-ს შორის.

(3) **wird gesprochen**: აშკარად ნაგულისხმევია ეკონომისტი-მეცნიერი, რომელიც განსაზღვრულ პირობებში მცოცავ ინფლაციაზე საუბრობს. ამდენად გაურკვეველი ქვემდებარე შეიძლება ლექსიკურად დაუსახელებელი დარჩეს. ასე რომ მთელი ყურადღება მიმართულია საგანზე, მცოცავი ინფლაციის ცნებასთან დაკავშირებით

(4) **wenn-zu beobachten sind** მოდალური პასივი ნაწარმოები დამხმარე ზმნა **sein** -ით და წინდებულისანი ინფინიტივის ფორმით. მოდალური მნიშვნელობით ეს არის შესაძლებლობების მოდალობა. მაშასადამე, მოდალური პასივის ეს ფორმა ნიშნავს: **wenn die Preissteigerungsraten beobachtet werden können**

(122,170)

2. ჰ. ვაინრიხის აზრით, ანაფორული და კატაფორული ურთიერთობები მიმართულია კონტექსტში ჩადებულ და მისგან გამომდინარე გააქტიურებულ ინფორმაციაზე. ანაფორული მიმართებების გამოხატვის მარკერად მიჩნეულია განსაზღვრული არტიკლი, ხოლო კატაფორის მარკერად განუსაზღვრელი არტიკლი.

3. წიგნში გამოყოფილია დეტერმინანტების სამი სახეობა: პრედიკატული, ატრიბუტული და აპლიკაციური. პრედიკატულია დეტერმინანტი, როდესაც დეტერმინანტის როლს სუბიექტი ასრულებს: *der Vogel singt*. ატრიბუტული დეტერმინანტის საბაზისო ერთეულს არსებითი სახელი წარმოადგენს, რომელიც ტექსტში განისაზღვრება რომელიმე დეტერმინანტით, მაგალითად, ზედსართავი სახელით: *der blaue Vogel*. მესამე ტიპს ვაინრიხის თეორიაში აპლიკაცია ჰქვია. ამ შემთხვევაში დეტერმინანტის საბაზისო ერთეულებად გამოყენებულია არა ნომინალური სიტყვები, არამედ აპლიკაციურად ნახმარი ზედსართავი სახელი ან ზმნიზედა: *er singt kräftig, er singt immer*. ამ ტიპს ტრადიციულ გრამატიკაში შეესაბამება გარემოებითი სიტყვები.

4. ტექსტები საშუალებას იძლევა თვალსაჩინო გახადოს ჩარჩოს კონსტრუქციის მრავალი ტიპი, წერს ვაინრიხი. ამ თვალსაზრისით იგი გერმანულ ენას ჩარჩოს ენას უწოდებს და ჩარჩოს სამ ტიპს განასხვავებს. ა) ზმნური ჩარჩო მოიცავს იმ მონაკვეთის ინფორმაციას, რაც ტექსტში გვხვდება საწყისს და ბოლო კომპონენტებს შორის. მაგალითად, *gehe...fort, bin...gegangen*; ბ) სახელადი ჩარჩო მოიცავს ყველა ენობრივ ერთეულს და მათ შესატყვის ინფორმაციებს, რომლებიც არტიკლსა და სახელს შორის არის მოცემული: *der (x, y)Tag*; გ) მესამე ტიპი იწოდება ადიუნქტების ჩარჩოდ. იგი გაშლილია დამოკიდებულ წინადადებებში საწყის იუნქტორსა და ბოლო პოზიციაზე მდგომ ზმნას შორის: *wenn... beginnt*. ჩარჩოს გამსხნელი ელემენტი აღძრავს იმ მოლოდინს, რომელიც მართლდება ჩარჩოს დამხურავი ელემენტით. (122, 23)

5. ტექსტის ბმულობის საშუალებებად ჰ. ვაინრიხი ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში ამკვიდრებს ისეთ ტერმინებს, როგორცაა იუნქტორი, ადიუნქტი. იუნქცია არის დეტერმინაციული სტრუქტურა, რომელშიც დეტერმინაციული ბაზისი ქმნის იუნქციის ბაზისს, ხოლო დეტერმინანტი არის ადიუნქტი. სხვა დეტერმინაციული სტრუქტურებისაგან იუნქცია იმით განსხვავდება, რომ დეტერმინაციაში ყოველთვის მონაწილეობს იუნქტორი, რომელიც მიეკუთვნება ადიუნქტს:

*„Junktionen sind Determinationsgefüge besonderer Art. In einer Junktion heißt die Determinationsbasis Junktionbasis, und die zugehörige Determinante heißt Adjunkt. Das besondere einer Junktion gegenüber Determinationsgefügen anderer Art liegt darin, dass an dieser Determination immer ein Junktor beteiligt ist, der als Operator zum Adjunkt gehört und der dessen Determinationsleistung ausdrücklich spezifiziert“ (122, 22)* იუნქტორების ჯგუფს მიეკუთვნება წინდებულები, მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები, ასევე გენიტივის ფლექსია როგორც ერთადერთი ბრუნვა, რომელიც წარმოადგენს სახელ – ნიშანს.

6. კ. ვაინრიხი ცალკე თავს უძღვნის იუნქციების სინტაქსს. ტექსტში ყველა ენობრივი ნიშანი ერთმანეთთან გარკვეულ კავშირშია. ეს კავშირი კი სხვადასხვა სახით ვლინდება. ტექსტური ბმულობის განსაკუთრებულ სახეს იუნქციები ქმნიან, ხოლო იუნქცია არის დეტერმინაციის სტრუქტურა. სიმბოლურად ეს სტრუქტურა შემდეგნაირად გამოისახება:

|              |     |                 |
|--------------|-----|-----------------|
| ich wohne    |     | meinen Freunden |
| eine Wohnung | bei |                 |
| wohnhaft     |     | ihnen           |

|        |               |          |
|--------|---------------|----------|
| ბაზისი | იუნქტორი      | ადიუნქტი |
|        | ი უ ნ ქ ც ი ა |          |

(122, 612)

იუნქციის ელემენტებს აქვთ საკუთარი მნიშვნელობები. ორი ელემენტის – ბაზისისა და იუნქტორის – დაკავშირება მხოლოდ იუნქციის საშუალებით ხდება. აქ არის მინიშნება კომუნიკატორის მიერ ადიუნქტის თვალსაზრისის გაზიარებისა, რომელიც განიხილება იუნქტორის მითითების შესაბამისად. ერთმანეთისაგან განსხვავდება: (1) იუნქციების გრამატიკული მნიშვნელობები, (2) იუნქციის ორივე წევრის ლექსიკური მნიშვნელობა, (3) იუნქციების საერთო ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობა.

იუნქციების ხმარების საერთო წესიდან გამომდინარე, ვაინრიხი განასხვავებს იუნქტორების შემდეგ ტიპებს:

- წინდებულებს, რომლებიც აკავშირებენ ნებისმიერ საბაზისო ერთეულს სახელად ან ნაცვალსახელურ ადიუნქტთან;

- ერთადერთ ფლექსია-იუნქტორს, რომელიც გენტივის ბრუნვის ნიშანს წარმოადგენს. იგი ნომინალურ ბაზისს სახელად ადიუნქტთან აკავშირებს.
- კავშირებს, რომლებიც წინადადების ფორმის მქონე ერთეულის ბაზისს აკავშირებენ წინადადების ფორმის ადიუნქტებთან.
- მიმართებით იუნქტორებს, რომლებიც აკავშირებენ ნომინალურ ან პრონომინალურ ბაზისს წინადადების ფორმის ადიუნქტთან.

7. **ჰ. ვაინრიხი** ტექსტებს ზმნის პოზიციიდან აანალიზებს. იგი მათ ტექსტების საორგანიზაციო ცენტრებად მიიჩნევს. ეს პრინციპი ორ მეთოდოლოგიურ საფუძველს ემყარება. ერთი მხრივ ზმნის სტანდარტულ ფორმებად ვაინრიხის გრამატიკაში აღებულია არა საწყისი, ინფინიტიური ფორმები, არამედ ზმნის პირიანი ფორმები, კერძოდ მხოლობითი რიცხვის პირველ პირის ფორმა, რომელსაც ავტორი მოლაპარაკის როლს (**Sprecherrolle**) უწოდებს, როგორცაა: „*sage, stehe, schreie*.” რაც შეეხება უპირო ზმნებს, ისინი წარმოდგენილი არიან ტრადიციულად III პირის ფორმით ანუ რეფერენციული როლით (**Referenzrolle**): „*regnet, hagelt*”. მეორე მხრივ, გერმანულში ზმნას აქვს უნარი შექმნას ჩარჩოს კონსტრუქციები. ვაინრიხი ვირტუალური თვალსაზრისით ორ კომპონენტთან ზმნებს უფრო მაღალ შეფასებას აძლევს ვიდრე მარტივ ზმნებს. ზმნის ჩარჩო აღიქმება როგორც დინამიკური სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს ტექსტის სეგმენტებს.

ასევე მნიშვნელოვანია ზმნის დროის კატეგორიისა და მისი პოზიციების შეფასება **ჰ. ვაინრიხის** მიერ. ტერმინი „დრო” მისი აზრით არის კომპლექსური ცნება. დრო და უღლება ორ ჯგუფად იყოფა: მარტივი დროის უღლებად და ჩარჩოს მაწარმოებელი ზმნების უღლებად, ხოლო პოზიციები არის მოქმედების ძირითადი ფორმები, რომლებიც ხუთ კომპონენტად ჯგუფდება. კერძოდ: თხრობითი კილოს, კონიუნქტივის, იმპერატივის, ინფინიტივის ფორმებად და მოდალურ ზმნებად. **ჰ. ვაინრიხი** იყენებს ტერმინს – დროის რეგისტრი („**Tempus-Register**”), რომელიც წარმოადგენს პოზიციათა კატეგორიას. მის საფუძველზე დგინდება პრედიკაციის ფუნქცია, რომელშიც დროის ორი რეგისტრი გამოიყოფა: განსჯა (**Besprechen**) და თხრობა (**Erzählen**). (122, 198)

აქვეა განხილული დროის პერსპექტივა ანუ სივრცეში განვითარება, რომელიც თავის მხრივ ორ ქვეჯგუფად იყოფა – ნეიტრალურ პერსპექტივად და

დიფერენციალურ პერსპექტივად. პირველი დროის ორ ფორმას აერთიანებს—პრეზენსსა და პრეტერიტუმს, ხოლო მეორე თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა—უკუპერსპექტივად და წინამავალ პერსპექტივად. პირველს მიეკუთვნება პერფექტისა და პლუსკვამპერფექტის დროის ფორმები, ხოლო მეორეს – ფუტურუმი:



(122, 208)

8. ჰ. ვაინრიხის მიხედვით კავშირებითი კილოს კატეგორიაში გამოიყოფა რესტრიქტიული და ინდირექტიული ფორმები. რესტრიქტივი კავშირებითი კილოს ორი ფორმის სახით გვხვდება—სინთეზურით და ანალიზურით. თითოეული დრო ორ პერსპექტივას განასხვავებს: ნეიტრალურ პერსპექტივას და უკუპერსპექტივას. ეს უკანასკნელი ყოველთვის ქმნის ჩარჩოს:

*დამხმარე ზმნა ინფინიტივი*  
 Wir **würden** ja gerne **heiraten**, wenn . . .

**ზ მ ნ უ რ ი ჩ ა რ ჩ ო**

რესტრიქტიული ფორმების გამოყენება სპეციალურ წესებს ემორჩილება:

- ანალიზური რესტრიქტივის ფორმები შეირჩევა ძირითადად სუსტ ზმნებში, რომლებსაც აქვთ პრეტერიტუმისა და რესტრიქტიული კონიუნქტივის საერთო ფორმები:

*Er sagte mir, er **würde** diese Arbeit gerne **machen**, wenn...*

*Sie dachte, dass er das wohl nicht **sagen würde**, wenn nicht...*

სინთეზური რესტრიქტივის ფორმები **machte** და **sagte** მოცემულ მაგალითებში არ იქნებოდა განსხვავებული მათი აქტივის პრეტერიტუმის ფორმებისაგან.

- კოპულატიურ, დამხმარე და მოდალურ ზმნებთან უფრო ხშირია სინთეზური რესტრიქტივის გამოყენება ვიდრე ანალიზურის:

***Wenn ich ein Vöglein wäre und auch zwei Flügel hätte***

- სხვა ძლიერ ზმნებთან, რომელთა ფორმებიც პრეტერიტუმსა და სინთეზურ რესტრიქტივში განსხვავებულია, უპირატესობა არ ენიჭება არც სინთეზურ და არც ანალიზურ ფორმებს:

***Ich gäbe mir gewiss alle Mühe mit dieser Besorgung, wenn***

ან

***Ich würde mir gewiss alle Mühe mit dieser Besorgung geben, wenn...***

- უკურესტრიქტივთან, როგორც წესი, სინთეზური რესტრიქტივი იხმარება. იგი დამხმარე ზმნების **habe** და **bin** ფორმებისაგან შედგება. მათი სინთეზური რესტრიქტიული ფორმები თავიანთი უმლაუტით განსხვავდებიან თხრობითი კილოს პრეტერიტუმის ფორმებისაგან.

***Was hättest du denn an meiner Stelle getan?***

***Warst du damit einverstanden gewesen?***

რაც შეეხება ინდიკეტივის ხმარების წესებს, მას არსებითად უფრო შეზღუდული ფორმები აქვს, ვიდრე რესტრიქტივს. უმეტესწილად იგი იხმარება მხოლოდითი რიცხვის III პირში:

***Er/sie/es/ rede***

**(122, 245-258)**

9. კ. ვაინრიხი ზმნის გვარის კატეგორიაში ორ ჯგუფს გამოყოფს – მოქმედებითსა და ვნებითს. ვნებითი გვარის კატეგორიაში გამოიყოფა სახეობები, რომელთა ნათელსაყოფად ვახდენთ სემანტიკური როლების– აგენსის, პაციენსის და რეციპიენტის პარაფრაზირებას, რომლებიც სიღრმული სტრუქტურის ტერმინებია.

- **Das Objekt-im-Subjekt-Passiv**-პაციენსი, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურაში ქვემდებარეა.

***Soziale Phänomene*** werden am besten mit den Methoden der Feldforschung untersucht.

- **Das Partner-im-Subjekt** – პასივ-რეციპიენტი, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურაში ქვემდებარეა.

***Der Versicherte*** bekommt die Krankhauskosten erstattet (ასეთ შემთხვევაში პასივის მანვენებელია ზმნები: **kriege**, **bekomme** და (იშვიათად) **erhalte**).

- **Das Subjekt-im-Verb-Passiv**-აგენსი, რომელიც იგულისხმება პასიურ კონსტრუქციაში .

*Heute wird in unserem Betrieb gefeiert.*

ასევე განასხვავებენ კვაზი პასიურ ფორმებს(1), ფუნქციონალურ პასივს(2) და მოდალურ პასივს(3):

***Sie haben deutlich erkennbare Fortschritte gemacht.**(1)*

***Die Probleme werden verfremdet zur Sprache gebracht.**(2)*

***Der Haushaltsplan ist in Einnahme und Ausgabe auszugleichen.**(3) (122, 155-182)*

ამრიგად, ჰარალდ ვაინრიხმა ახლებურად გაიაზრა გრამატიკული მიმართებები. მან შექმნა ახალი ტერმინოლოგიური და ცნებითი აპარატი ტექსტის გრამატიკის ფარგლებში, რითაც უშუალოდ დაუკავშირა ერთმანეთს ენის გრამატიკული სისტემა და ტექსტი.

იმისათვის, რომ კორექტულად იხმაროს ტექსტის ინტერპრეტატორმა ეს ტერმინები, მას გათავისებული უნდა ჰქონდეს მათი ცნებითი შინაარსები. ამდენად, ვფიქრობთ, ზედმეტი არ არის ჩვენ მიერ შემოთავაზებული პარაფრაზირებული ვარიანტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქართულ ტექსტის ლინგვისტიკაში მათ დამკვიდრებას და მკვლევარი ინტერპრეტატორების მიერ ადეკვატურ გამოყენებას.

გრამატიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის ურთიერთმიმართებების განხილვა უნდა დავასრულოთ **ლუტც გოეტცეს** „გერმანული გრამატიკის“ (**Grammatik der Deutschen Sprache**) მოკლე მიმოხილვით. წიგნი მოიცავს თეორიულ ნაწილს, რომელიც ორიენტირებულია ენის კომუნიკაციურ გამოყენებაზე. ტექსტის გრამატიკა შეისწავლის არა მარტო ენის სისტემას, არამედ თანამედროვე ენის გამოყენების სპეციფიკასაც. მათი შერწყმის შედეგია სწორედ ტექსტის გრამატიკის თანამედროვე ვარიანტის არსებობა, რომლის კვლევის საგანია დღევანდელი გერმანული ენის ფუნქციონირების კანონზომიერებების დადგენა ტექსტის დონეზე. ახალი სახეობის გრამატიკა ითვალისწინებს ენის გამოყენების კომუნიკაციურ და პრაგმატულ ასპექტებს. თანამედროვე გრამატიკის ფარგლები გასცდა წინადადების საზღვრებს და შეიჭრა ტექსტის დონეზე. ამ გრამატიკის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში აღწერილია არა მარტო მორფოლოგიისა და სინტაქსის ნორმები, არამედ მოცემულია აგრეთვე ენობრივი საშუალებების გამოყენების შემთხვევები სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციებში. (58)



ლ. გიორგი ტექსტის ანალიზის ორ სიბრტყეს გამოყოფს: ტექსტის მაკროსიბრტყეს (1) და ტექსტის მიკროსიბრტყეს (2), თითოეული მათგანი გარკვეულ ფაქტორებს აერთიანებს. ამ ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

1. -პრესუპოზიცია,  
-ხდომილების ძირითადი სტრატეგიები და შინაარსი.
2. -ხდომილებების მსვლელობის დეტალების განმარტება;  
-ავტორის ინტენცია, რომლის შესახებაც ტექსტში არაფერია ნათქვამი;  
-წინადადებებსა და წინადადებებს შორის არსებული სინტაქსურ სემანტიკური ურთიერთობების განხილვა (რეფერენცია, კონექსია)  
-ტექსტის ენობრივი ფორმა: ერთიანი, სალიტერატურო ენა, დარგობრივი ენა, საზოგადოების ერთი რომელიმე კონკრეტული ჯგუფის ენა.

ამრიგად, თანამედროვე გრამატიკა თანდათან „ტექსტური“ ხდება. ის ორიენტირებულია სოციალურ სიტუაციებში ენის სისტემის გამოყენებაზე და ენობრივი ერთეულების ფუნქციონირებაზე ტექსტის ფარგლებში.

### **1.7. ტექსტის სემანტიკა.**

ტექსტის ჰერმენევტიკის კვლევის ძირითადი მიზანია ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის კომპონენტების დადგენა და საზრისის ამოცნობა. განვითარების საწყისს ეტაპზე სემანტიკის ინტერესების სფერო შემოიფარგლებოდა ტექსტში განფენილი სიტყვების, შესიტყვებების და წინადადებების ურთიერთმიმართებებით. შემდეგ კვლევის ფოკუსმა გადაინაცვლა ზეფრაზულ ერთეულებზე, ანაფორულ და კატაფორულ მიმართებებზე, პროპოზიციებს შორის არსებულ კავშირებზე.

მას შემდეგ, რაც ტექსტის საკვლევ ობიექტად ტექსტი გამოცხადდა, სემანტიკური ინტერპრეტაციის ცენტრში მოექცა არა ცალკეული სიტყვები, შესიტყვებები და წინადადებები, არამედ მთლიანი ტექსტი. კვლევის ძირითად ობიექტად მიჩნეულ იქნა ტექსტის სემანტიკური მაკროსტრუქტურა, თემა და იზოტოპია. სემანტიკური ეკვივალენტურობა ითვლება ტექსტის სემანტიკის ბაზისად, რომელიც უზრუნველყოფს კოჰერენციასა და თემის პროგრესიას.

ტექსტის სემანტიკურ ინფორმაციულ ცენტრს წარმოადგენს თემა, რომელიც მიკროსტრუქტურების სემანტიკური თავშეყრის ადგილია. ის არის მიკროსტრუქტურის ძირითადი კომპონენტი, რომელიც აწესრიგებს ლოგიკურ ურთიერთმიმართებებს (28,68). თემა შეიცავს ბირთვულ ინფორმაციას, რომელიც

აერთიანებს მთლიანი ტექსტის ინფორმაციის კომპონენტებს. იგი ერთი მხრივ წარმოადგენს სემანტიკურ ექსტრაქტს, მეორე მხრივ-ინფორმაციის პოტენციალს. თემა ჩვეულებრივ იწყება ტექსტის საწყის მონაკვეთში და თანმიმდევრულად ვითარდება მომდევნო ნაწილებში. რეციპიენტს აქვს საშუალება ტექსტის მიკროსტრუქტურაზე დაყრდნობით განაზოგადოს მთლიანი ტექსტის სემანტიკური სტრუქტურა. საზრისის ამოკითხვის ერთ-ერთი დამხმარე საშუალებაა იზოტოპია ანუ ტოპიკალური ჯაჭვები, მთავარი თემის პროგრესია, ქვეთემების გაშლა-განვითარება, პრონომინალიზაცია და სხვა, რომლებიც წარმოადგენენ ტექსტუალობის ექსპლიციტურ მარკერებს და ხელს უწყობენ მიკროსტრუქტურის ფარგლებში საზრისის ამოკითხვას.

სემანტიკური ინტერპრეტაციის ძირითადი მიზანი არის ტექსტის გაგება (**Verständnis**), რომლის ძირითადი საფეხურებია საზრისის ამოცნობა (**Divination, erraten**) და სემანტიკური დასკვნის გამოყვანა (**Inferenz**). ეს პროცესი წარიმართება ინტერპრეტატორის მიერ აბსტრაქციის მაღალ საფეხურზე და ფიქსირდება ვერბალურად საზრისის სახით.

### 1.7.1. ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაციის გარეუბრივი დამხმარე კომპონენტები.

#### ა) ლექსემების ქსელი:

ტექსტის გაგების ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია გაშუალებული მეთოდია, რომელიც გულისხმობს: შეგნებულ, გააზრებულ მიდგომას ობიექტისადმი, წინარე ცოდნას, სოციო-კულტურული ფონის გათვალისწინებას, ინტერპრეტაციის დამხმარე კომპონენტებს და სხვა. გვინდა ყურადღება შევანეროთ ზოგიერთ მათგანზე, რომელიც ტექსტის გაგების დამხმარე საშუალებაა და საზრისის ამოცნობის ხერხად შეიძლება ჩაითვალოს.

ჰ. ვაინრიხის აზრით, ლინგვისტმა უნდა უპასუხოს კითხვას, თუ როგორ გაერკვეს მკითხველი ტექსტში არსებული პირველადი მონაცემების თვალუწვდენელ კომპლექსში. ამ პრობლემის გადაჭრას მოცემულ სიტუაციაში გვთავაზობენ ენობრივი ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ (**instruierend anweisen**) მკითხველს როგორ უნდა მოათვინიეროს (**bändigem**) და დაალაგოს (**ordnen**) ისინი, რომ ადეკვატურად იმოქმედოს, ე.ი. გაიგოს ტექსტი. ამას ემსახურება ენის

სემანტიკური ინსტრუქციები, რომლებიც მართავენ (**steuern**) გაგების პროცესს (123,17).

ჰ. ვაინრიხი გამოყოფს სამ ცნებას: კომუნიკაციას (**C**), ინსტრუქციას (**I**) და ტექსტს (**T**). ეს სამი ცნება ლინგვისტებს შეუძლიათ მიიჩნიონ ფუნდამენტურ ცნებებად და იმ ლინგვისტიკას, რომელსაც ეს ლინგვისტები აღიარებენ, შეიძლება ეწოდოს მნემოტექნიკური **C-J-T** ლინგვისტიკა, რომელიც ინტერპრეტაციას ყოველთვის ტექსტით იწყებს. (123,11)

ემპირიულ მასალად ჰ. ვაინრიხი იღებს მაქს ფრიშის მიერ დღიურის სახით 1972 წელს გამოქვეყნებულ წიგნს სათაურით *Tagebuch 1966 bis 1971*. ჩვენი მიზანი ამჟამად არის არა ვაინრიხის მთელი ინტერპრეტაციის გადმოცემა სამივე ძირითადი ცნების შესაბამისად, არამედ მხოლოდ ინსტრუქციის როგორც ტექსტის საზრისის ამოცნობის ერთ-ერთი ხერხის განმარტება. ყველაზე მნიშვნელოვნად ჰ. ვაინრიხის კონცეფციაში მიგვაჩნია ის, რომ ტექსტის სემანტიკა განასხვავებს კოდურ მნიშვნელობას (**Kode-Bedeutung**), უბრალოდ, სიტყვის მნიშვნელობას და ტექსტის მნიშვნელობას (**Meinung**). ეს უკანასკნელი ტექსტში წარმოიშობა იმით, რომ სიტყვები თავისი კოდური მნიშვნელობით ერთმანეთთან შეთავსებადობას ზღუდავენ კონტექსტებში. როგორ არის შესაძლებელი, რომ მკითხველი მყისიერად გაერკვეს ამ აბურღულ (**wirr**) ქსოვილში (**Gewebe**)? ის რომ, იგი ფაქტიურად ახერხებს ამის გაკეთებას იმით აიხსნება, რომ ტექსტი თავად შეიცავს მრავალმხრივ დახმარებას ტექსტის საზრისის დეკოდირებისათვის. კოდური სიტყვები ემსახურებიან რეფერენციული სემანტიკის მიზნებს გამოსატონ მიმართება გარესამყაროს ფაქტებთან. მაგრამ ერთი-ერთზე მიმართება (**Eins-zu-Eins-Relation**) არ უდრის მთლიანი ტექსტის სემანტიკას. (123,16-17). ტექსტის სემანტიკის ამოცნობისათვის თემა წარმოადგენს ძირითად კომპონენტს. თემის შესაბამისად ტექსტში მიზანმიმართულად (და არა ქაოტურად) განეფინება ლექსემები, რომლებიც ტექსტის სეგმენტების გავლით ლაგდებიან საზრისის ქსელებად (**die Wortnetze des Sinnes**) და ქმნიან იზოტოპიას (ტოპიკალურ ჯაჭვებს). **იზოტოპია** წარმოადგენს კოდური სიტყვების საპირისპიროდ მთლიანი ტექსტის სემანტიკის შემადგენელ ნაწილს. ტექსტი თვითონ შეიცავს ინსტრუქციებს, რომლებიც მიანიშნებენ ინტერპრეტატორს, როგორ უნდა გაიგოს ტექსტი, გამოიყოს

დექსემების ქსელები, შეიქმნას მისი წარმოსახვითი (*imaginär*) სურათი და დააფიქსიროს ვერბალურად ტექსტის საზრისი.

მთლიანი ტექსტის საზრისის ამოცნობას ხშირად ხელს უწყობს პრესიგნალი, რამდენადაც იგი მაკროლინგვისტიკური მოლოდინის ინტერპრეტაციას შეიცავს და ინტერპრეტატორს ეხმარება წარმოსახვის გააქტიურებაში.

### ბ) ტექსტის დისკრეტაციის საშუალებები. სეგმენტი vs. ნარატემა.

ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაციის ძირითად პრობლემას წარმოადგენს მთლიან ტექსტში ჩაქსოვილი საზრისის ამოცნობა, მისი დიფინაცია. საზრისის ამოკითხვის მეთოდის სხვადასხვა ხერხი არსებობს: ტექსტის დისკრეტაცია სეგმენტებად, კომპოზიციურ სტრუქტურაში ძირითადი ერთეულების გამოყოფა, კოჰერენტული მიმართებების დადგენა და ა.შ. ასე მაგალითად, ვ. ფურცელაძე რაინერ მარია რილკეს მოთხრობის „*Der Drachentöter*“ ინტერპრეტაციის ხერხად სეგმენტებად დაყოფას ირჩევს. პირველ ეტაპზე სემანტიკური ინტერპრეტაციის საყრდენი წერტილების დასაფიქსირებლად იგი გადმოცემს ტექსტის მოკლე შინაარსს და ტექსტს ხელოვნურად ყოფს სეგმენტებად. ტექსტი დისკრეტირებულია 6 სეგმენტად. ტექსტის სეგმენტირების საფუძვლად მიჩნეულია ღიაობის პრინციპი. პირველი სეგმენტი წარმოადგენს ექსპოზიციას.

ყოველი შემდგომი სეგმენტი წინას გაგრძელებაა და მომდევნოს დასაწყისი. სეგმენტების მიხედვით გამოკვეთილია როგორც კოჰეზიის ისე კოჰერენციის სახეები: მთლიანი ტექსტის თემის გამჭოლი განვითარება და ფოკუსის გადაადგილება ენობრივი ერთეულების ორგანიზების საშუალებით, კონექტორები, კომპოზიციური სიგნალები, სინტაქსური სტრუქტურა, კომპრესია, სეგმენტების ფარგლების მონიშვნა და ა.შ. (17, 52). მეორე ეტაპზე ვ.ფურცელაძე ყურადღებას ამახვილებს ტექსტში თემის განვითარებაზე, ასევე არქიტექტონიკურ და კომპოზიციურ სტრუქტურაზე. მისი აზრით, ტექსტის სათაურს განსაკუთრებული ფუნქციური დატვირთულობა აქვს, მის ირგვლივ იკვრება და ვითარდება თემა. სემანტიკური ინტერპრეტაციის მესამე კრიტერიუმად ვ.ფურცელაძე მიიჩნევს კოჰერენცს, რომელიც ხორციელდება იზოტოპიისა და პრესუპოზიციის მეშვეობით. ტექსტის ანალიზისას გამოყოფილია რამდენიმე ტოპიკალური ჯაჭვი. ინტერპრეტატორი ტექსტის საზრისის ამოკითხვას სტრიქონთშორის ჩაქსოვილი ინფორმაციიდან ახერხებს

და ასკვნის: „სიკეთის ქმნა ანაზღაურებას არ საჭიროებს, სიკეთის ქმნა უანგარო უნდა იყოს“ ( 17, 61). ამრიგად, ტექსტის სემანტიკის მიზანია არა ცალკეული ეპიზოდების ინტერპრეტაცია, არამედ მათ შორის არსებული მიმართებების აყვანა ჰერმენევტიკული სპირალის წვერზე.

არსებობს ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაციის სხვა გზაც. ინტერპრეტაციის საკვანძო ერთეულად შეიძლება ავიღოთ არა სემანტი, არამედ ნარატემა, რადგან, ჩვენი აზრით, პირველი უფრო არქიტექტონიკურ ერთეულად აღიქმება და შეზღუდულია, ვიდრე მეორე, რომელშიც ტექსტუალობის უფრო მეტი მაჩვენებელი აღინიშნება. ნარატემებში სინთეზირებულია მთლიანი ტექსტის ძირითადი, გამჭოლი ელემენტები, რომლებიც ერთიანდებიან პლოტად.

საკუთრივ „პლოტი“ ინგლისური სიტყვაა და ნარატოლოგიაში მისი სინონიმებია: **Handlung** (მოქმედება), **Fabelführung** (ფაბულის განვითარება), **Szenario** (სცენარი). პლოტი არის ფიქციონალური თხრობის მნიშვნელოვანი ელემენტი. ტონ ვან დეიკი ნარატიული სტრუქტურის ანალიზისას ყურადღებას ამახვილებს პლოტზე, რომელიც თხრობით ტექსტში ეპიზოდების კრებულს წარმოადგენს.(112, 141) დღესდღეობით მეტად აქტუალურია დისკუსიები პლოტის შესახებ. ამას მოწმობს ციურიხის უნივერსიტეტში ჩატარებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა პლოტის თეორიის არსებობა-განვითარებას. (2005 წელი, ციურიხი).

მიზანშეწონილად მიგვაჩნია პლოტის სტრუქტურულ ნაწილებს ვუწოდოთ ნარატემა და ტექსტოლინგვისტიკური კვლევის კიდევ ერთ გარეენობრივ საშუალებაზე შევაჩეროთ ყურადღება. ვფიქრობთ, რომ ემპირიული მასალის ინტერპრეტაცია ნათელყოფს მისი გამოყენების მართებულობას, რაც ნაჩვენები იქნება დისერტაციაში ემპირიული მასალის ინტერპრეტაციისას.

### პირველი თავის დასკვნები

1. ტექსტის ლინგვისტიკამ განვითარების გრძელი გზა განვლო. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ზოგიერთ მოძღვრებასა და სკოლასთან, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით მის ჩამოყალიბებაში. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს რიტორიკამ, ჰერმენევტიკამ, სტილისიკამ, ინტერპრეტაციულმა სკოლამ, გრამატიკამ და სემანტიკამ.

2. კლასიკური რიტორიკის მიზანია დაეხმაროს ადრესანტს სათანადო ზეპირი და წერილობითი ფორმების შერჩევასა და ადრესატზე ზემოქმედებაში. იმ რეკომენდაციებს, რომლებსაც რიტორიკა ადრესანტს თავაზობს, დღესაც არ დაუკარგავთ თავისი ფუნქცია და მნიშვნელობას ინარჩუნებენ თანამედროვე ნორმატიულ სტილისტიკასა და ტექსტის ლინგვისტიკაში.

3. ჰერმენევტიკა არის უძველესი ფილოლოგიური მოძღვრება გაგებისა და გაგებინების შესახებ. ეს არის უნივერსალური თეორია და მეთოდი, რომელსაც ეყრდნობა მრავალი მეცნიერული დისციპლინა, მათ შორის ტექსტის ლინგვისტიკაც.

4. სტილისტიკა ითვლება ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთ წინამორბედად. დღესაც მიმდინარეობს ამ დისციპლინის განვითარება ახალი თეორიებითა თუ მეთოდებით, რასაც მოწმობს ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბება.

5. გრამატიკა ტრადიციულად აღწერს ენის მორფოლოგიურ და სინტაქსურ სისტემას, ახდენს ენობრივ ერთეულთა კლასიფიკაციას და ადგენს სიტყვებისა და წინადადებების კორექტული გამოყენების წესებს ზეპირმეტყველებასა და წერაში. გრამატიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ლინგვისტური კვლევის უმაღლეს ერთეულად წინადადება აღარ მიიჩნევა და კვლევის ფოკუსი გადატანილია ტექსტზე. ამ პროცესს შედეგად მოჰყვა წინადადების საზღვრების გარღვევა და მისი ინტეგრირება იერარქიულად უფრო მაღალ კომუნიკაციურ ერთეულში – ტექსტში. გრამატიკამ შეიძინა ახალი სახე, რომელიც ტექსტებზეა ორიენტირებული.

6. სემანტიკის ინტერესების სფეროს მიეკუთვნებოდა იზოლირებული სიტყვები თუ შესიტყვებები და მათ შორის ურთიერთმიმართებების დადგენა. თავისი კვლევის საგნად ტექსტის სემანტიკას მიაჩნია მთლიანი ტექსტის საზრისის ამოცნობა და მასში სემანტიკური სტრუქტურებისა და ლოგიკური მიმართებების დადგენა. ტექსტი განიხილება როგორც ჰოლისტური, ამავე დროს სტრუქტურირებული წარმონაქმნი, რომლის მთლიანობაში აღქმისათვის აუცილებელია მისი დისკრეტაცია. მთლიანი ტექსტის საზრისის ამოცნობის ერთ-ერთი დამხმარე საშუალებაა ინტერპრეტაციის გარეენობრივი კომპონენტების მოშველიება. ეს შეიძლება იყოს ლექსემების ქსელი, სემანტიკის ნარატემა.

## თავი II დისკურსის ცნების საკითხისათვის

### 2.1. დისკურსის ცნებითი შინაარსის გაფართოება. დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის პოსტულირება.

ყოველი მეცნიერული დარგის ტერმინოლოგიისადმი წაყენებული ერთ-ერთი მოთხოვნაა ტერმინებისა და ცნებების ხმარებაში სიმეტრიულობის დაცვა, რაც უნდა გამოიხატოს მიმართებაში ერთი ცნება – ერთი ტერმინი. მაგრამ ამ მოთხოვნის დაცვა ფაქტობრივ შეუძლებელი ჩანს განსაკუთრებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. თავდაპირველად ჩნდება ახალი ცნება, შესაბამისად ახალი ტერმინი. შემდგომ მიმდინარეობს მათი გადატანა უკვე სათანადო ნიუანსებით სხვა მეცნიერულ დარგებში. ენობრივი ნიშნის ასიმეტრიულობის კანონის შესაბამისი მიმართება ერთი-ერთზე ირღვევა. ცნების სემანტიკური სტრუქტურა ივსება ახალი შინაარსებით, ტერმინი კი იგივე რჩება, ან პირუკუ. ასე შემოვიდა ტექსტის ლინგვისტიკაში ორი ენობრივი ნიშანი „ტექსტი“ და „დისკურსი“, რომელთა ხმარება თავდაპირველად ტერმინოლოგიური თვალსაზრისით სპეციალიზებული არ იყო. ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში ამ ორი ტერმინის ჭიდილი ნაწილობრივ დაცხრა მას შემდეგ, რაც ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის ობიექტად **ტექსტი** – წერილობითი წარმონაქმნი იქნა აღიარებული, ხოლო დისკურსიული ლინგვისტიკის კვლევის ობიექტად **დისკურსი** - ზეპირმეტყველებითი წარმონაქმნი. ამჟამად ტერმინი **დისკურსი** არის მრავალი დისციპლინის, მათ შორის ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის, სოციოლოგიის, ფოლოსოფიისა და სოციალური-ფსიქოლოგიის კვლევის საგანი. ლინგვისტები საუბრობენ ნარატიულ დისკურსზე, სოციალური-ფსიქოლოგის წარმომადგენლები რასიზმის დისკურსზე, სოციოლოგები უმაღლესი სასწავლებლების რეფორმის დისკურსზე და ა.შ

ტერმინს „დისკურსი“ განვითარების რთული ისტორია აქვს და თეორეტიკოსები მას განსხვავებული თვალსაზრისით იყენებენ. „დისკურსი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან **discursus** და საწყისეულად ნიშნავს „მისვლა-მოსვლას“ (**durchlaufen, hin- und herlaufen**). შემდგომ ჩნდება ტერმინის ფილოლოგიური შინაარსით შევსების მცდელობები. ტრივიალური მნიშვნელობით დისკურსი განიმარტება როგორც ენობრივი ინტერაქციის,

ენობრივი გამოთქმის შედეგი, წერილობითი ტექსტის ვერბალური გაცხადება, ზეპირი დიალოგური მეტყველება.

ფილოსოფიაში ტერმინი „დისკურსი“ განვითარდა როგორც ზეტექსტური კომუნიკაციური სიდიდე. იურგენ ჰაბერმასის თეორიის მიხედვით დისკურსი არის კომუნიკაციური რაციონალურობის არენა, რომელშიც საუბარი ანუ დისპუტი არგუმენტაციის შედეგად თემად მკვიდრდება. იგი შეიცავს თანხმობის ელემენტებს, რომელიც წარმოიშვა კომუნიკაციური ქმედების შესაბამისად (63). ფილოსოფიაში დისკურსის დამკვიდრება ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ ფუკოს სახელს უკავშირდება. იგი ყურადღებას ამახვილებს „დისკურსიული პრაქტიკის“ ენობრივ ნაწილზე, რომელიც მოიცავს როგორც ენობრივ ისე არაენობრივ ქმედებებს. დისკურსი არის სივრცე, რომელშიც თავს იყრის ნათქვამთა ჯამი. ეს არის მობილური ერთეული, რომელიც ცალკეული გამონათქვამებისაგან შედგება. ფუკოს მიხედვით გამონათქვამები მიეკუთვნება დისკურსიულ ფორმაციებს, როგორც წინადადება ტექსტს (51,170).

ფუკოს მოძღვრებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დისკურსის ცნების განვითარებაში. სარა მილსი განიხილავს რა მიშელ ფუკოს თეორიულ ნააზრევს დისკურსის ირგვლივ, გამოყოფს სამ განმარტებას, რომელსაც მიშელ ფუკო სხვადასხვა დროს გეთავაზობს. პირველი: დისკურსი არის გამონათქვამების უსაზღვრო სფერო; მეორე: გამონათქვამების განსაზღვრული ჯგუფი; მესამე: რეგულარული პრაქტიკა, რომელიც მიმართებაშია გამონათქვამების გარკვეულ რიცხვთან (85,14). მიშელ ფუკოს შემდგომ დისკურსიული ლინგვისტიკა მიმართულია არა კომუნიკაციის მხოლოდობით მონოლოგურ ფორმებზე, არამედ გამონათქვამების პლურალიზმზე (121,18).

დისკურსმა ადგილი დაიმკვიდრა ენათმეცნიერებაშიც თუმცა სხვადასხვა თვალსაზრისით. ინგლისურ ენაში ეს ტერმინი უახლოვდება “ტექსტის” ცნებას. ფრანგულში და რომანულ ენებში lat.“discursus” ნიშნავს მოხსენებას, ქადაგებას, დარიგებას და ორიენტირებულია ენისა და აზროვნების სემანტიკურ-ეპისტემოლოგიურ განზომილებაზე. გერმანულენოვან სამყაროში დისკური ჯერ კიდევ XVI საუკუნეში შემოვიდა ფრაგული ენიდან მნიშვნელობით „კავშირი/მიმოსვლა/ურთიერთობა“ (Verkehr, Umgang). მე-17 საუკუნიდან იგი გამოიყენება სინონიმად ტერმინის „საუბრის ხელოვნება“ („Konversation“), XVIII საუკუნეში იგი იხმარებოდა სასაუბრო ენაში და XX საუკუნის სამოციან



წლებამდე მას არ ჰქონდა ტერმინოლოგიური მნიშვნელობა, ამდენად ახალი შინაარსით შევსებას კარგად ექვემდებარებოდა.

ლინგვისტიკაში ტერმინ „*დისკურსის*“ განვითარება ამერიკულ სტრუქტურალიზმს უკავშირდება. (121,21) 1952 წელს ჰარისი იყენებს ტერმინს „*discourse analysis*“ დისტრიბუციის ლინგვისტიკაში ინდიელთა ენების სტრუქტურულ-გრამატიკული ანალიზისას და დისკურსის ცნებაში გულისხმობს სწორედ იმ ფენომენს, რასაც მოგვიანებით ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში ტერმინი „ტექსტი“ აღნიშნავს, ანუ ერთ წინადადებაზე მეტ ენობრივ გამოხატულებას, სტრუქტურას. (76, 14).

დისკურსის ცნების განვითარებაში მნიშვნელოვანია ფრანგი სტრუქტურალისტებისა და პოსტსტრუქტურალისტების მოსაზრებები. სტრუქტურალისტები დისკურსში იკვლევენ აბსტრაქტული და ობიექტური წესების სტრუქტურას, ხოლო პოსტსტრუქტურალისტები სტრუქტურისა და ხდომილებების (*Ereignis*) ურთიერთმიმართებებს (76, 14-15).

თანდათანობით მოხდა *დისკურსის* ცნების შევსება სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსებით. ტონ ვან დეიკი ენისა და კოგნიტიური ასპექტების კვლევისას დისკურსს ტექსტუალობის რეალიზაციად მიიჩნევს (112).

ოიგენიო კოსერიუ ენობრივი კორპუსის შემადგენლობას შემდგენაირად განსაზღვრავს: ეს არის საუბრის აქტივობა, ცალკეული ენა და დისკურსი. აღნიშნულ ტრიადაში დისკურსი წარმოადგენს აქტუალური პროდუცირების, ქმედების ენობრივ დონეს, რომელიც სუბიექტზეა მიმართული (40, 5).

დისკურსის ცნების გაფართოება ამით არ დასრულებულა. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების ბოლო ორი ათეული წელი აღინიშნა მისი სემანტიკური სტრუქტურის შევსების ახალი ცდებით, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ცნებითი შინაარსის კიდევ უფრო გაფართოებაში, კერძოდ, ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში დისკურსი განიმარტება როგორც აბსტრაქტული სისტემა, რომელიც შედგება ტექსტების, ტექსტების ტიპებისა და კონტექსტების გარკვეული მოცულობისაგან. (26, 254) ისინი ერთმანეთთან პრაგმატული და სემანტიკური თვალსაზრისით არიან დაკავშირებული და ინსტიტუციონალურად დამოკიდებული. დისკურსის საფუძვლად მიჩნეულია თემატური მიმართება და პრაგმატული ერთიანობა. თუნდაც დროის სხვადასხვა

მონაკვეთში შექმნილ ტექსტებს შეიძლება ჰქონდეთ საერთო თემა, რომელიც გაერთიანებულია დისკურსიულ ერთეულად. ცალკეული ტექსტი შეიძლება გაგებულ იქნას როგორც მონაკვეთი, ფრაგმენტი საერთო დისკურსისა. კ. ადამიკი ტექსტებს მიიჩნევს უნივერსუმის ნაწილად, მონაკვეთად, ნაწევრად, ფრაგმენტად. (26, 255)

არსებული სტრუქტურა საწყისეულად თავისუფალია და შეიძლება შეივსოს ახალ-ახალი შინაარსით. კ. ადამიკი წერს: „ბუნებრივია, რომ აღნიშნულ ერთიანობაში საქმე ეხება პრინციპულად ღია სიდიდეს, რადგან ყოველი დისკურსი შეიძლება შეივსოს ახალ-ახალი ტექსტებით“ (25, 46)

დისკურსი ასახავს ცოდნას თემის შესახებ, რომელიც მოიაზრებს საზოგადოებრივ პერსპექტივებს, ნორმებს, ინტერესებს და დამოკიდებულებებს. იგი წარმოადგენს ისტორიულად და სოციალურად განსაზღვრულ, შინაარსობრივ და პირობით სტრუქტურას, კომუნიკაციური პრაქტიკის განსაზღვრულ ნიმუშს, რომელიც ცალკეული ტექსტებისაგან შედგება. **დიტრის ბუსე** დისკურსს განიხილავს როგორც კონტექსტუალურ ბმულობას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ენათმეცნიერული კონტექსტური ცნებების გაფართოება ტრანსტექსტუალური სტრუქტურების დონეზე. (37) ამგვარი ტექსტები ქმნიან დისკურსის კორპუსს (82, 290). ტექსტი რომელიც გამონათქვამების ჩარჩოს (121, 12) წარმოადგენს, არის დისკურსიული ველის ღია სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი. ამდენად დისკურსი არ არის მხოლოდ მარტივი, თემატურად გაერთიანებული კორპუსი, არამედ ღია კომპლექსური გამონათქვამების სიდიდეა. (121, 18)

დისკურსის მეთოდოლოგიურ საფუძვლებად და პერსპექტივებად მიჩნეულია შემდეგი პრინციპები:

- შებრუნების პრინციპი (Prinzip der Umkehrung)
- სპეციფიკურობის პრინციპი (Prinzip der Spezifität)
- ფორმალური გამოსატყულების პრინციპი (Prinzip der Äußerlichkeit)

ხოლო მეთოდურ პერსპექტივებში მოიაზრება:

- ზეტექსტური სტრუქტურები (textübergreifende Strukturen)
- სიტყვასიტყვითი გამოსატყულება (literale Äußerungen)

- ინტერტექსტუალური მიმართებები ( intertextuelle Bezüge)

დისკურსის განზომილებაში რამდენიმე დონე გამოიყოფა. მათ შორის: დისკურსი როგორც

- შინაარსობრივად დაკავშირებული ტექსტების სემანტიკური გაერთიანება;
- თემების შერწყმა ტექსტებში;
- ნიშნების, რიგებისა და სემანტების ერთიანობა;
- ცალკეული ტექსტების სიდიდე;
- ტექსტური დიალოგების ფორმები;
- აზროვნებისა და არგუმენტაციის სისტემების კორესპონდენციული, ურთიერთმიმართებითი ფორმები;
- ინტერაქცია საზოგადოებაში;
- ვირტუალური ტექსტის კორპუსი;

(121, 34)

ენათმეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიშელ ფუკოს თეორიაზე დაყრდნობით ავითარებს დისკურსიული ანალიზის თეორიებს. ანდრეას გარდტი დისკურსის ანალიზისას გამოყოფს სამ კატეგორიას: თეორიას, მეთოდს და პოზიციას (Haltung), რომელშიც იგულისხმება მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის წარმომადგენლთა პოზიციები. (54, 19). იოჰანეს ანგერმიულერის მიხედვით დისკურსი არის კონკრეტული ენობრივი მონაცემების ჯამი ან უფრო მეტად ანონიმური სტრუქტურა, ისეთივე დიდი მნიშვნელობის მქონე როგორი პრობლემური სტატუსიც სუბიექტს გააჩნია ენობრივი აქტივობის შემთხვევაში.(29, 20 ) ბუსსე და ტობერტი დისკურსს მიიჩნევენ ვირტუალურ კორპუსად, რომლის შემადგენელი ნაწილების კომპოზიცია განსაზღვრულია ზოგადად შინაარსობრივი (სემანტიკური) კრიტერიუმებით. დისკურსს მიეკუთვნება ტექსტები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო თემით. (37,14).

დისკურსი, როგორც ტექსტუალური შემთხვევების ერთობლიობა მიჩნეულია თემატურ-სემანტიკური გამონაქვამების შეფარდებით სისტემად. პრაგმატული თვალსაზრისით და სემანტიკურ ბაზისზე დაყრდნობით მასში

ერთიანდება ტექსტების სხვადასხვა სახეობები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთზე ინსტიტუციონალურად არიან დამოკიდებულნი. სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ტექსტები შეიძლება გაერთიანდეს ვირტუალურ კორპუსში – დისკურსში, რომელიც ორი კომპონენტის ლინგვისტურის და ექსტრალინგვისტურისგან აიგება. ექსტრალინგვისტური (სოციო-კულტურული, პრაგმატული, ფსიქოლოგიური და კოგნიტიური) ფაქტორების განსაზღვრა კომუნიკატორის ინტენციაზეა დამოკიდებული. დისკურსი როგორც უმაღლესი საკომუნიკაციო ერთეული არის იმ ტრიადის შემადგენელი, რომელიც ავტორს (1), სემანტიკურ საბაზისო-ტექსტებს ან ტექსტების სახეობებს(2), და მკითხველს (3) გულისხმობს. ეს მიმართება შემდეგ სახეს იღებს:

**ავტორი /ადრესანტი – დისკურსი - მკითხველი /ადრესატი.**

ტექსტები უმეტეს წილად წარმოდგენილი არიან კომპლექსურ კომუნიკაციურ ფორმებში. დისკურსი არის სწორედ კომუნიკაციური სტრუქტურული დონე, მოდელი, რომელიც ტექსტების ერთობლიობას წარმოადგენს. დისკურსის სემანტიკური სტრუქტურა შეიძლება დაჯამდეს შემდეგი მატრიცის სახით:

**დისკურსის ცნების სემანტიკური სტრუქტურა:**

|   |
|---|
| თავდაპირველი მნიშვნელობა:<br>მისვლა-მოსვლა , მიმოქცევა<br>(durchlaufen, hin -und herlaufen) |
|---|

დისკურსის მნიშვნელობა  
ფილოსოფიაში:

- კომუნიკაციური რაციონალობის არენა;
- სტრუქტურული ერთეული, რომელშიც თავმოყრილია ცალკეული გამონათქვამების ჯამი

დისკურსის მნიშვნელობა  
ენათმეცნიერებაში:

- მე-17-18 საუკუნეები: დისკურსი-საუბრის ხელოვნება
- მე-20 საუკუნე: ცნების ახალი მნიშვნელობებით შევსება დისკურსი-ტექსტი
- 70-80-იან წლები- დისკურსი- ზეპირი მოხსენების ფორმა
- დისკურსი - აქტუალური პროდუქციის ენობრივი დონე
- ტექსტუალობის რეალიზაცია
- სემანტიკური ბაზისის საფუძველზე ორგანიზებული ინტეგრანტების ვირტუალური კორპუსი

დისკურსიული ერთეულის შექმნისათვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობები. კერძოდ, კომუნიკანტის მიზანი, კომუნიკაციური არხისა და სემანტიკური ბაზისის ამორჩევა, ტექსტების სახეობების შერჩევა.

დისკურსი გამორიცხავს პოლითემატურობას. იგი არსებითად მონოთემატურია, მაგრამ ძირითად თემას შეიძლება ახლდეს თანამდევი, შედარებით ნაკლები მნიშვნელობის თემები. მათი აქტუალიზაცია ხდება სხვადასხვა კომუნიკაციურ ჭრილში, იქნება ეს წერილობითი ფორმა თუ ზეპირი. დისკურსში ერთიანდება როგორც ლიტერატურული ტექსტები, ასევე ტექსტები, რომლებიც ყოველდღიურ ყოფით თუ სოციალურ კომუნიკაციაში გამოიყენება, მაგალითად საუბრობენ ისეთ დისკურსიულ სისტემებზე, როგორცაა ლტოლვილთა უფლებები, გადასახადების რეფორმა და მისთ.

ტექსტოლინგვისტიკური დონის ფარგლებში ტექსტზე უფრო მაღალი რანგის – დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის პოსტულირება დაკავშირებულია ნარატიული ან სხვა სახის ტექსტების მოქცევასთან განსაზღვრულ საკლასიფიკაციო ერთეულებში, რომლებშიც მოხდება ამა თუ იმ სემანტიკური ბაზისის ვარირება. დისკურსში გაერთიანებულ ტექსტებს აერთიანებს განსაზღვრული ინტენციები, რომელიც

კომუნიკატორიდან/ადრესანტიდან მომდინარეობს. წინამდებარე ნაშრომში კვლევის ფოკუსი მიმართულია ნარატიულ ტექსტებზე, რომლებიც გაერთიანებულია სუიციდის დისკურსში.

დისკურსის ამგვარი გაგება და, მით უმეტეს, კვლევა, მხოლოდ ბოლო პერიოდში დაიწყო და ჯერაც ბევრი რამ არის სადავო და საკამათო. დისკურსში შემავალი ცალკეული ტექსტი წარმოადგენს ერთიანი სისტემის - დისკურსის შემადგენელ ერთეულს, რომელსაც ჩვენ პირობითად ინტეგრანტს ვუწოდებთ.

დისკურსი შეიძლება ეფუძნებოდეს სემანტიკური დაჯგუფების პრინციპს, განსაკუთრებით ყოველდღიური გამოცენების საკომუნიკაციო ტექსტებში: მაგალითად, წერილს, როგორც წესი, მოსდევს პასუხი. დისკურსის შექმნის ერთ-ერთ კრიტერიუმად მიჩნეულია კოგნიტიური ოპერაციების შედეგად გამოკვეთილი სემანტიკური ორგანიზება.

ამრიგად, დისკურსი როგორც ფუნქციურ-სემანტიკური მთლიანობა, წარმოადგენს უნივერსალურ მოდელს. მასში თავმოყრილია განსაზღვრული სემანტიკური ბაზისის საფუძველზე ორგანიზებული ტექსტების **n** რაოდენობა, რომელთა ინტერპრეტაცია მკვლევარის ინტენციაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება **სუიციდის**, სიცოცხლის ნებაყოფლობით შეწყვეტის დისკურსის ინტერპრეტაციას, ის უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ამოსავალ პრინციპებს, რომლებიც საშუალებას მისცემს მკვლევარ-ინტერპრეტატორს გამოკვეთოს მისთვის საინტერესო შესასწავლი ობიექტის არსებითი ნიშნები.


დისკურსი როგორც უნივერსალური მოდელი თემატურად ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ერთობლიობაა, რომლის განვითარება და შევსება კიდევ სხვა ტექსტით არის შესაძლებელი. დისკურსის სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ვერბალური წარმონაქმნი, შესაბამისად, დისკურსის სისტემაში შეიძლება გამოიყოს როგორც ცენტრალური ასევე პერიფერიული ტექსტები. რამდენადაც დისკურსი როგორც ტექსტების ფორმაცია ნაწილებისაგან შემდგარი მთლიანი წარმონაქმნია, იგი მოითხოვს როგორც ჰოლისტურ მიდგომას ასევე დისკრეტულ ერთეულებად დაყოფას და მათ ინტერპრეტაციას ადეკვატური მეთოდებით. დისკურსიული კორპუსის ინტერპრეტაციისას მნიშვნელოვანია არა მარტო ინტეგრანტების კოჰეზიური და კოჰერენტული ბმულობის აღწერა, არამედ მათი სტრუქტურისა და კულტუროლოგიური ასპექტების ანალიზიც. კონკრეტულ ინტეგრანტში შეიძლება ჭარბობდეს რომელიმე რეგისტრი, რომელიც ინტერპრეტატორის მიზნებიდან

გამომდინარე გარკვეული ლექსემების სემანტიკური ქსელის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. (მაგალითად, სუიციდის ლექსიკის აღმნიშვნელი ქსელი). მოცემული ქსელი ამავე დროს საზოგადოების სოციო-კულტურული ღირებულებების ინდიკატორია.

ტექსტის ლინგვისტიკაში დისკურსის ცნების ახალი ცნებითი შინაარსით დამკვიდრება ადასტურებს, რომ ცალკეული ტექსტი აღარ არის ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის უმაღლესი ერთეული. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ არა ცალკეული ტექსტი, არამედ დისკურსი, რომელიც შედგება ერთი სემანტიკური ბაზისის ირგვლივ გაერთიანებული ტექსტებისაგან, წერილობითი კომუნიკაციის უმაღლესს ერთეულს წარმოადგენს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეული ტექსტი განიღვენოს ტექსტოლინგვისტიკური კვლევის სფეროდან. იგი რჩება ამ სფეროში თავისთავად ობიექტად, რომელიც იერარქიულად დისკურსზე უფრო დაბალი რანგის ობიექტია. სწორედ იგი ექვემდებარება დამკვიდრებული მეთოდებით ინტერპრეტაციას. ენათმეცნიერული დისციპლინების მოდელში ტექსტის ლინგვისტიკის საბაზისო ერთეულების იერარქიული პოზიცია შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:

ენათმეცნიერული დისციპლინა:

საკვლევი ობიექტი



ამრიგად, ენათმეცნიერული ცნებები/ტერმინები ტრანსფორმაციას განიცდიან. გამოხატვისა და შინაარსის პლანების ასიმეტრიულობა განაპირობებს მათი

ახალი შინაარსებით შევსებას. „დისკურსის“ ახალი მნიშვნელობით ხმარება შესაძლოა ერთგვარ უხერხულობას ქმნის ტერმინის მრავალმნიშვნელობის გამო, მაგრამ იგი კანონზომიერია და აუცილებელიც ტექსტების კლასიფიკაციისა და ინტერპრეტაციის კუთხით. ჯერ ერთი, ტერმინების პოლისემიური ხმარება გარდაუვალი პროცესია განსაკუთრებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მეორეც, თუ მკვლევარი გამოაპირობებს მეცნიერული დისციპლინის სპეციფიკის შესაბამისად ტერმინის მისეულ გაგებას და დააზუსტებს ადეკვატური დეტერმინანტებით, უხერხულობა ერთგვარად მოიხსნება. ამჟამად ტექსტის ლინგვისტიკის განვითარება ახალ ფაზაში შევიდა, მაგრამ არ დასრულებულა. იკვეთება მისი განვითარების სხვა ტენდენციები, თუმცა საბოლოო დასკვნების გამოყვანა მხოლოდ სავარაუდო შეიძლება იყოს. ამიტომაც სავსებით გასაგებია ტექსტის ლინგვისტიკის არეალში გამოჩენილი **ფროთოსანი** ფრაზა **Quo vadis Textlinguistik. (67, 239)**

## **2.2. დისკურსიული მიმართება vs. ინტერტექსტუალობა.**

დისკურსიული მიმართება დისერტაციაში გაზიარებული გაგებით უახლოვდება ინტერტექსტუალობის ცნებას. ტექსტებში ხშირად გვხვდება ექსპლიციტური სიგნალები, რომლებიც აშკარად მიანიშნებენ ტექსტის მიმართებაზე სხვა რომელიმე ტექსტთან. მსგავს შემთხვევებში ლინგვისტები მსჯელობენ ინტერტექსტუალობის ფენომენზე.

პირველად აღნიშნული ტერმინი ლიტერატურათმცოდნემ, სემიოტიკოსმა და პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსმა ჟულია კრისტევაშემოგვთავაზა თავის პუბლიკაციაში „ზოგადი თეორია“ „Theorie generale“ (კრისტევა 1960), რომელიც ეფუძნებოდა რუსი მეცნიერის მიხაელ ბახტინის დიალოგის თეორიას რომანის პოლიფონიურობისა და დიალოგურობის შესახებ. ჟ. კრისტევა ტექსტს ადარებს ციტატების მოზაიკას. ტექსტი არ არის სხვა ტექსტებისაგან დამოუკიდებელი ერთეული, იგი წარმოადგენს ციტატების კრებულს. ყოველი ტექსტი სხვა ტექსტთან აბსორბციის შედეგია (კრისტევა 1969), თუმცა მას ძალუძს დამოუკიდებელ პროდუქტადაც განვითარდეს. ყოველი ტექსტი იმავდროულად ინტერტექსტს წარმოადგენს, რომელშიც კოდირებულია არა მარტო ენობრივი ქმედებები, არამედ კულტურული სისტემებისა და კოდების ენობრივი გამოხატულებები. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა **ჟერარ ჟენეტის** კლასიფიკაციის მცდელობა, რომელშიც იგი ყოველგვარ გამოხატულებას,



რომელსაც ისტორიულ ჭრილში კავშირი აქვს ცალკეულ ტექსტთან, განიხილავს როგორც „ტრანსტექსტუალობის“ სფეროს ნაწილს. კლასიფიკაციაში იგი გამოყოფს შემდეგ ასპექტებს: ინტერტექსტუალობას, პარატექსტუალობას, მეტატექსტუალობას, ჰიპერტექსტუალობას და არქიტექსტუალობას. (72, 32)

ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში „ინტერტექსტუალობის“ დამკვიდრება ა. ბოგრანდისა და ვ. დრესლერის სახელს უკავშირდება. ისინი ტექსტუალობის შვიდი კრიტერიუმიდან (კოჰეზია, კოჰერენტულობა, ინტენციურობა, აქცეპტაბელურობა, ინფორმატიულობა, სიტუაციურობა, ინტერტექსტუალობა) ყველაზე მნიშვნელოვნად ინტერტექსტუალობას მიიჩნევენ და მას უკავშირებენ ურთიერთმიმართებას პროდუქცია/რეცეპციასა და კომუნიკანტთა სამყაროს ცოდნას შორის. (32)

სუზანე ჰოლთუსი ცდილობს დაადგინოს ტექსტებს შორის კონკრეტული მიმართებების ფორმები, რომლებშიც გათვალისწინებულია მკითხველის როლი ინტერტექსტუალური მიმართებების აღქმის და დამუშავების პროცესში.

ს. ჰოლთუსი ორ მხარეს გამოყოფს, პირველში მოიაზრებს ინტერტექსტუალურ დისპოზიციებს, ტექსტს რომ გააჩნია, და მეორეში, მატერიალურ და რელაციურ განზომილებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირიშია ინტერპრეტაციის ჰიპოთეზებთან და მიზნებთან. (72, 32)

ინტერტექსტუალობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ტექსტების სახეობების განსაზღვრაში. კ. ადამჩიკი ინტერტექსტუალობის კვლევაში ორ მიმართულებას გამოყოფს. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება ტექსტების სახეობების განსაზღვრის პრობლემატიკას, რომელსაც იგი უწოდებს პარადიგმატიკულ, გლობალურ და ტიპოლოგიურ ინტერტექსტუალობას, თუმცა საპირისპიროდ ამისა იგი მსჯელობს აგრეთვე სინტაგმატიკურ, წრფივ და მცირე ტექსტებზე მიმართულ ანუ რეფერენციულ ინტერტექსტუალობაზე, რომელიც ეხება ცალკეული ტექსტებისა და ტექსტების მონაკვეთების კონკრეტულ ურთიერთმიმართებებს. მეორე მიმართულებაში იგი გულისხმობს ლიტერატურათმცოდნეობით წყაროებსა და მოტივებს, რომლებიც მოიცავენ ტექსტთან მიმართებების ქვეტიპების სიმრავლეს. თითოეული ტექსტი ავტონომიური ქმნილებაა, ხოლო ინტერტექსტი წარმოადგენს კვეთას ტექსტების მიმართებებში. (25,50)

**ულა ფიქსი** ინტერტექსტუალური ურთიერთმიმართების სამ ტიპს გამოყოფს, ტექსტის მიმართებას ტექსტის სამყაროსთან, ტექსტის მიმართებას ტექსტთან და ტექსტის მიმართებას ტექსტის ნიმუშთან. ინტერტექსტუალობა არ არის წმინდა ენობრივი ცნება, იგი ტექსტის ესთეტიკური მახასიათებელია. ამრიგად, კონკრეტული ტექსტი ფორმალურად ან შინაარსობრივი თვალსაზრისით გარკვეულ მიმართებაშია სხვა ტექსტების ნიმუშებთან. (48, 32).

ტექსტის ლინგვისტიკისთვის საკმაოდ პრობლემურია ინტერტექსტუალობასთან დაკავშირებული ტექსტების კლასიფიკაცია, რადგანაც ეს, თავის მხრივ, უკავშირდება ისეთ მიმართებებს როგორცაა რეფერენციული ინტერტექსტუალობა და ტიპოლოგიური ინტერტექსტუალობა, რომლებიც არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. ინტერტექსტუალობის ცალსახა განმარტება ჯერ კიდევ არ არსებობს, თუმცა იკვეთება კვლევის ორი ასპექტი: პირველი ყურადღებას ამახვილებს ტექსტთაშორის ურთიერთობებზე ერთი სახეობების ტექსტების კლასში, ხოლო მეორე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ურთიერთმიმართებაზე კონკრეტულ პრეტექსტებთან. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ არა მარტო ლიტერატურულ ტექსტებში არსებობს აშკარად მარკირებული ინტერტექსტუალური მიმართებები, არამედ ყოველდღიური გამოყენების ტექსტებშიც.

ინტერტექსტისათვის შემდეგი ფაქტორია ნიშანდობლივი: ყოველ ინტერტექსტს აქვს წყაროტექსტი. ამ კუთხით ინტერტექსტუალობის საუკეთესო მაგალითებია იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ და ულრიხ პლენცდორფის „ახალგაზრდა გ-ს ახალი ვნებანი“. ამ ორ ტექსტს შორის მიმართება სათაურშივეა ექსპლიციტურად წარმოდგენილი როგორც გოეთეს ცნობილი რომანის პერიფრაზი. ორივე ტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, თუ რა საერთო და განმასხვავებელი ფაქტორები განაპირობებენ ტექსტთაშორის მიმართებებს.

გოეთეს რომანი „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ წერილების სახით არის დაწერილი და მოიცავს აქტანტის ცხოვრების სამ წელიწადს. პრეტექსტსა და ინტერტექსტს შორის ინტერტექსტუალური მიმართება სათაურშივეა ექსპლიციტირებული. ადრესანტი ინიციალით „W“ აინტრიგებს ადრესატს და მისი ფანტაზიის უნარს ანდობს საკითხს, თუ ვინ იგულისხმება აღნიშნული ინიციალით: მხოლოდ ტექსტის პროტაგონისტი თუ მისი ძველი, გოეთეს ვერთერისეული *გგო*. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ადრესატს არ

გააჩნია წინარე ცოდნა და სათანადო კომპეტენცია, გაუჭირდება რაიმე მიმართების დანახვა. ორივე ტექსტში შეინიშნება ძირითადი თემის თანხვედრა. ინტერტექსტი თითქმის უცვლელად ინარჩუნებს წყაროტექსტის ძირითად შინაარსს. ულრის პლენცდორფმა თავის ნაწარმოებში მოახდინა გოეთეს სიუჟეტის რეკონსტრუქცია სხვა საზოგადოებრივ რეალობაში. აქტანტების კონსტელაცია ფაქტობრივად ემთხვევა ინტერტექსტსა და პრეტექსტში. ედვარ ვიბო ისევე როგორც გოეთეს ვერთერი მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგება არსებულ საზოგადოებრივ ნორმებს. არც ერთ მათგანს არ შესწევს ძალა ადეკვატურად განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები. ორივე ტექსტის მთავარი პროტაგონისტი შეყვარებულია დანიშნულ ქალბატონებზე. პრეტექსტში მისი სახელია ლოტე (შარლოტე), ხოლო ინტერტექსტში შარლი. ერთეულების მიმართება ასეთია:

**პრეტექსტი**

**ინტერტექსტი**

**აქტანტთა კონსტელაცია**

*ვერთერი*

*ვიბო*

*შარლოტე*

*შარლი*

*დედა*

*დედა*

*ალბერტი*

*დიტერი*

*მეგობარი ვილჰელმი*

*მეგობარი ვილი*

**საკომუნიკაციო არხი**

*წერილები*

*მავნიტოფონის ლენტები*

ორივე ტექსტში განსხვავებაა დროისა და სივრცობრივი მიმართების მხრივ. ორივე აქტანტი თავს გარიყულად გრძნობს არსებულ საზოგადოებრივ გარემოში, ვერც ერთი ვერ ახერხებს ინდივიდუალური მიზნების რეალიზაციას. არცერთი აქტანტი არ სცემს პატივს დამკვიდრებულ სტერეოტიპებს. ვერთერი ისევე როგორც ვიბო კონფლიქტშია საკუთარ „მე“-სთან. ორივე ტექსტი სიკვდილით სრულდება. ავტოაგრესიის შედეგი ორივე შემთხვევაში არის სიუციდი. თვითმკვლელობის მოტივაცია პრეტექსტში თანდათანობით ვითარდება და კულმინაციასაც აღწევს. რაც შეეხება ინტერტექსტს, აქ ადრესანტი თავიდანვე ასახელებს სიკვდილის ფაქტს და რეტროსპექტიულ თხრობის სტილში აღწერს პროტაგონისტის მიერ განცდილ ამბავს. ორივე ტექსტზე

დაკვირვება ცხადყოფს იმ იმპლიციტურ მიმართებებს, რომელთა დადგენა ადრესატს შეუძლია ინფერენცის მოშველიების გარეშე. ინტერტექსტში გადმოცემულია ამბიციური ახალგაზრდის ედგარ ვიბოს ისტორია. ჩვიდმეტი წლის ასაკში მიატოვებს ის სწავლას, დედას და გაურბის არსებულ სიტუაციას.

რაც შეეხება პრეტექსტისა და ინტერტექსტის განმასხვავებელი ელემენტების მარკირებას, ისინი ექსპლიციტურად ვლინდება ტექსტების გრაფიკულ-გრაფიკულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი ნარატიული ტექსტების სახეობას წარმოადგენს, პრეტექსტის ფორმა წერილების სახით არის წარმოდგენილი. ხოლო ინტერტექსტის ლეიაუტი აბსოლუტურად განსხვავებულია და წარმოადგენს თხრობის გაფორმებას ორ ხმაში.

ამრიგად, დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის ცნებითი შინაარსი საკმაოდ უახლოვდება ინტერტექსტულურ ფენომენს. თუმცა ამ ორ ცნებას შორის განსხვავება მაინც შესამჩნევია და თითოეული მათგანს თავისი კვლევის სფერო აქვს.

დისკურსიული მიმართება გულისხმობს ტექსტებს შორის ურთიერთმიმართებას დომინანტური თემატური ბაზისის საფუძველზე. ცალკეული ტექსტი დისკურსიულ მოდელში წარმოდგენილია ინტეგრანტის სახით, რომელიც მიმართებაშია სხვებთან.

რაც შეეხება ინტერტექსტუალობას, აქ საქმე ეხება ექსპლიციტური თვალსაზრისით ტექსტების ურთიერთმიმართებას სხვა ტექსტებთან, როდესაც ცალკეული ტექსტი წარმოდგენილია ინტერტექსტის სახით. სრულიად შესაძლებელია, რომ ურთიერთმიმართება ტექსტებს შორის არ იყოს ორგანიზებული სემანტიკური ბაზისის საფუძველზე, თუმცა ეს პრობლემას არ ქმნის.

ინტერტექსტის ძირითადი მახასიათებელია წყაროტექსტიდან ციტატების ( ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) გადმოტანა. ეს შეიძლება იყოს ცალკეული სიტყვა, შესიტყვება, წინადადება, აბზაცები, აგრეთვე საკუთარი სახელების პირდაპირი ან მინიშნებითი გამეორება, ალუზია.

ტექსტი შეიძლება განიხილებოდეს როგორც ერთგანზომილებიანი ან მრავალგანზომილებიანი მოდელის კომპონენტი და გაანალიზდეს ინტერპრეტატორის ინტენციის შესაბამისად როგორც სიტუაციური ტექსტის სახეობა, როგორცაა ინტერტექსტი ან დისკურსის (ტექსტების ფორმაციის) ინტეგრანტი.

## 2.3. დისკურსი როგორც ცალკეული ტექსტი და ტექსტის სახეობა (Textsorte).

### ტექსტების კლასიფიკაციის მოდელები.

ტექსტის ლინგვისტიკამ თავისი კვლევის არეალი უფრო და უფრო გააფართოვა. თუკი განვითარების პირველ ეტაპზე ყურადღება მხოლოდ ცალკეული ტექსტის გრამატიკულ-სტრუქტურულ და სემანტიკურ საკითხებზე მახვილდებოდა, მოგვიანებით კვლევის ფოკუსმა გადაინაცვლა ტექსტის სიტუაციურ, კომუნიკაციურ და ფუნქციონალურ მახასიათებლებზე, ხოლო დაახლოებით ბოლო ათი წელია ტექსტის გაგების პარამეტრები კულტუროლოგიური კვლევის მიმართულებით გაფართოვდა. იმის თაობაზე, რომ ტექსტების ტიპები ჰეტეროგენული, პროტოტიპულად სტრუქტურირებული კატეგორიებია ღია საზღვრებით, აღარ დაობენ. ყურადღება გამახვილდა აგრეთვე ტექსტზე როგორც კულტუროლოგიურად გამოკვეთილ ფენომენზე. ამ თვალსაწიერიდან ტექსტი წარმოადგენს კომუნიკაციის ნიმუშს, რომლის მეშვეობითაც ენობრივი წარმონაქმნები აღიქმება როგორც სხვადასხვა სოციო-კულტურული ფაქტორების ერთობლიობა.

ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების ამ ეტაპზე გამოიკვეთა ახალი კულტუროლოგიური ასპექტი, როგორც ტექსტების ინტერპრეტაციის ერთ-ერთი კრიტერიუმი. ანალიზებენ რა ინტერპრეტატორები ტექსტის სახეობებს, სათანადო ყურადღებას აქცევენ ტექსტის როგორც ინტერნულ, ასევე სიტუაციურ, ფუნქციონალურ და კულტუროლოგიურ ფაქტორებს.

ტექსტის სახეობების განსაზღვრაში ფარდობითობა და ჰეტეროგენულობა აღარ მიიჩნევა დამაბრკოლებელ ფაქტორებად. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში მისაღებია ისეთი მოქნილი კლასიფიკაციები, რომელებსაც ინტერდისციპლინარული ხასიათი აქვთ. ტექსტის განთავსება გარკვეულ კლასში ინტერპრეტატორის ინტენციაზეა დამოკიდებული. ტექსტის სახეობები არ არის მონოკულტურულად გამოკვეთილი. პირიქით, ტექსტის სახეობები წარმოადგენს კომუნიკაციურ განზრახვათა უთვალავ რაოდენობას და ერთიანი კულტურის მთლიანი სისტემის ნაწილებს. ფაქტია, რომ არსებობს კულტურათა შორის არსებითი განსხვავებები, რომლებიც ისტორიულ მთლიანობაში წარმოშობს ტექსტის იმ სახეობებს, რაც კონკრეტული კულტურული სოციუმისათვის არის დამახასიათებელი. ტექსტის სახეობებში კულტურული ფენომენის მარკირება ახალ სიტყვას წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკაში.

ულა ფიქსი ტექსტუალობის შვიდ ნიშანს – მერვე ნიშანს უმატებს და განაგრძობს კულტუროლოგიური ასპექტით. (48,73)

ტექსტების ნაირსახეობა და რაოდენობა მკვლევართა წინაშე ბუნებრივად აყენებს ტექსტების შედარების, მათ შორის მსგავსებისა და განსხვავებულობის გამოვლენის ამოცანას. ენათმეცნიერები ცდილობენ განსაზღვრული ნიშნების მიხედვით მათ გაერთიანებას როგორც ინტერნულ ელემენტებზე დაყრდნობით, ასევე ექსტერნული მახასიათებლების გათვალისწინებით. ტექსტების კლასიფიკაციას საფუძველად უდევს თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპები, რომელთაგან ერთ-ერთის მიზანი არის სემანტიკური სტრუქტურის და თემის ექსპლიციტურობის მიხედვით ტექსტების ტიპების დადგენა.

ტექსტის კლასიფიკაციის მცდელობებს დიდი ხნის ისტორია აქვს. არსებული მოდელები და კრიტერიუმები დღესაც იხვეწება და უფრო სრულყოფილი ხდება. არსებობს ტექსტების კლასიფიკაციის ბევრი მოდელი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

**1. ერთგანზომილებიანი მოდელები: ერნსტ ულრის გროსე** გერმანული და ფრანგული წერილობითი ტექსტების კვლევის საფუძველზე გამოყოფს რვა კლასს, რომლებიც იერარქიულად არის განლაგებული კომუნიკაციური ფუნქციის შესაბამისად. ტექსტის ფუნქცია მიჩნეულია ადრესანტის მიერ ტექსტში ჩადებულ ინტენციად, რომელიც კომუნიკაციის ფუნქციით არის კოდირებული. ერნსტ ულრის გროსეს მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია წარმოდგენილია შემდეგი სქემის სახით:

| ტექსტების კლასი                           | ფუნქცია               | ნიმუშები          |
|---|-----------------------|-------------------|
| 1. საქმიანი ინფორმაციის შემცველი ტექსტები | ინფორმაციის ტრანსფერი | მეცნიერული ტექსტი |
| 2. მოწოდებითი ტექსტები                    | მოწოდება              | რეკლამა           |
| 3. თვითწარმოჩენის ტექსტები                | შეტყობინება           | დღიური, ბიოგრაფია |
| 4. საკონტაქტო ტექსტები                    | საკონტაქტო ფუნქცია    | მილოცვა           |
| 5. ნორმატიული ტექსტები                    | ნორმატიული ფუნქცია    | კანონი,           |

ხელშეკრულება

- |                               |  |                   |
|-------------------------------|--|-------------------|
| 6. ჯგუფური ტექსტები           | ჯგუფური ფუნქცია                              | ჯგუფური სიმღერები |
| 7. პოეტური ტექსტები           | პოეტური ფუნქცია                              | რომანი, კომედია   |
| 8. გარდამავალი ტიპის ტექსტები | ორმაგი ფუნქცია<br>ნორმატიული და ინფორმატიული | კანონები          |

( 60, 20)

შემოთავაზებული მოდელი შედგება სამი გრაფისაგან: 1. ტექსტის კლასი; 2. ტექსტის ფუნქცია; 3. ნიმუშები; კლასიფიკაციაში ტექსტების რვა ტიპი არის წარმოდგენილი ტექსტის ფუნქციის შესაბამისად. მერვე პუნქტში დაფიქსირებულია ორმაგი ფუნქცია, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ტექსტები შეიძლება განლაგდნენ როგორც ერთ ისე მეორე გრაფაში.

**2. ჰორსტ იზენბერგის** დამსახურებად მიჩნეულია ტიპოლოგიური საკითხების წინ წამოწევა და ტექსტების ტიპოლოგიისათვის ზოგადი მოთხოვნების ფორმულირება. მის მიერ შექმნილი კლასიკური კლასიფიკაციის მთავარი პრინციპი არის ტექსტის განხილვა მთლიანობაში ძირითად კრიტერიუმზე დაყრდნობით. ეს კრიტერიუმებია:

1. უნიფიკაცია, ანუ ყველა ტექსტი ერთი და იმავე კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს;
2. მონოტიპურობა ანუ იმ შესაძლებლობის გამორიცხვა, რომელიც უარყოფს ტექსტების ნიმუშების განმეორებით განთავსებას სხვა რომელიმე ტექსტების კლასში.

აქვე წარმოგიდგინო ჰორსტ იზენბერგის კლასიფიკაციის მოდელს:

| I                         | II                               | III                             | IV   |
|---------------------------|----------------------------------|---------------------------------|--|
| ტექსტის ტიპის სახელწოდება | გლობალური შეფასების კრიტერიუმები | ფუნდამენტური ურთიერთობის მიზანი | ტექსტები (მაგალითები)                              |
| გნოსოგენური ტექსტი        | თეორიული ადეკვატურობა            | სოციალურად ორგანიზებული ცოდნის  | მონოგრაფია, მეცნიერული დისკუსია, მეცნიერული სტატია |

|                       |                               | მოპოვება                                    | და სხვ.  |
|-----------------------|-------------------------------|---|--|
| კოპერსონალური ტექსტი  | პიროვნებათა შორის კორექტულობა | ადამიანთშორისი ურთიერთობის ფორმირება        | ძალდაუტანებელი საუბარი რკინიგზის ვაგონის კუპეში, ოჯახურ გარემოში, ფამილარული საუბარი, პირადი წერილი და სხვ.      |
| ერგოტროპული ტექსტი    | საქმიანობის ეფექტურობა        | საქმიანი ურთიერთობის /პრობლემების მოგვარება | ინსტრუქცია, ექიმისა და პაციენტის საუბარი, რეპორტაჟი, ლექცია და სხვ.  |
| კალოგენური ტექსტი     | ესთეტიკური ფუნქცია            | სოციალური ფანტაზიის გაშლა                   | რომანი, სონეტი, ბალადა, დრამა, იგავი, ზღაპარი, ნოველა, ტრივიალური რომანი, კრიმინალური რომანი, რადიოპიესა და სხვ. |
| რელიგიოტროპული ტექსტი | რელიგიური განცდა              | რელიგიური მუნყოფნის დაძლევა                 | ქადაგება, ლოცვა, აღსარება, ლიტურგიული ტექსტი, სურა და სხვ.   |
| ლუდოფილური ტექსტი     | წამიერი თავშექცევა            | საერთო მხიარულების გამოწვევა                | გამოცნობანას თამაში, მუსაიფი, რებუსების გამოცნობა, ენის გასატეხი, თავსატეხი და სხვ.                              |

(17, 103)

ამ მოდელში გამოყოფილია ოთხი გრაფა და ტექსტების ექვსი ტიპი: გნოსოგენური, კოპერსონალური, ერგოტროპული, კალოგენური, რელიგიოტროპული და ლუდოფილური ტექსტები. გლობალური შეფასების



კრიტიკრიუმებად მიჩნეულია თეორიული ადეკვატურობა, პიროვნებათა შორის კორექტულობა, საქმიანობის ეფექტურობა, ესთეტიკური ფუნქცია, რელიგიური განცდა, წამიერი თავშექცევა და ა. შ.

ჰ. იზენბერგი ტექსტს მიიჩნევს არა მიკროელემენტებისაგან შემდგარ ერთეულად, არამედ მთლიან წარმონაქმნად, ერთიანი კომუნიკაციური ურთიერთობის ჩარჩოდ. ეს კლასიფიკაცია მოიცავს როგორც ზეპირ და ისე წერილობით მონოლოგურ და დიალოგურ ტექსტებს. თავის კლასიფიკაციაში იზენბერგი სათანადო ადგილს უთმობს ლიტერატურულ ტექსტებს და მათ მიაკუთვნებს კალოგენური ტექსტების ტიპს, რომელსაც აქვს ესთეტიკური ფუნქცია და რომლის მიზანია მკითხველის სოციალური ფანტაზიის გაშლა.

ე. უ. გროსესა და ჰ. იზენბერგის კლასიფიკაციები მიჩნეულია ერთგანზომილებიან მოდელებად, რომლებშიც ერთი რომელიმე კრიტიკრიუმია დომინანტური.

3. კომუნიკაციური პრაქტიკიდან, სოციალური ურთიერთობებიდან და ტექსტების ამბივალენტური ბუნებიდან გამომდინარე, ტექსტის ლინგვისტიკაში ბოლო დროს მსჯელობენ აგრეთვე ტექსტების კლასიფიკაციის მრავალგანზომილებიან მოდელებზე, რომლებიც კლასიფიკატორის ინტერესებზეა დამოკიდებული, გულისხმობს ტექსტების დაყოფას განსაზღვრულ ტიპებად და ერთი და იმავე ტექსტის რამდენსამე კლასში განთავსებას. მაგალითად, ელექტრონული ფოსტა (E-mail) მიეკუთვნება, ერთი მხრივ, ონლაინ წერილების კატეგორიას, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლებელია თავისი შინაარსით მიეკუთვნებოდეს სხვა რომელიმე ტექსტების ტიპს, მაგალითად, მწერლის პირად წერილს გარკვეული ესთეტიკური ფუნქციით.

4. ჰაინემანი/ფიივეგერი ტექსტების ტიპოლოგიაში ხუთ ტიპს გამოყოფენ: ფუნქციონალურს, სიტუაციურს, მეთოდურს, სტრუქტურირების და პროტოტიპული ფორმულირების ტიპებს. ავტორები *პირველ* ჯგუფს საფუძვლად უდებენ ტექსტის ისეთ ფუნქციებს, როგორებიცაა: ენობრივი აქტის, კოგნიტიურ-გნოსოგენური, ესთეტიკური, ემოციური, სოციალური ფუნქციები. *მეორე* ჯგუფში ისინი აერთიანებენ ტექსტებს, რომლებიც გამოიყენება ინტერაქციონალური საქმიანობის სფეროებში, როგორიცაა მაგალითად, სასამართლო, ჯანდაცვა, მეცნიერება, კულტურა, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვ. *მესამე* ჯგუფში ავტორები განიხილავენ ნარატიულ, დესკრიფციულ და არგუმენტაციულ

ტექსტებს. ტექსტის სტრუქტურების მიხედვით ადგენენ *მეოთხე* ჯგუფს, ხოლო *მეხუთე* ჯგუფს მიაკუთვნებენ პროტოტიპული ფორმულირების ნიმუშებს.

მათი აზრით, ტექსტის ინტერნული მახასიათებლები არის აუცილებელი კრიტერიუმი ტექსტების კლასიფიკაციისათვის, მაგრამ ასევე საჭიროა კომუნიკანტების მიზნებისა და სტრატეგიების გათვალისწინება, ტექსტების როლისა და ფუნქციის განსაზღვრა ინტერაქციაში.

5. ვ. ფურცელაძის მოდელში ერთმანეთისაგან გამიჯნულია წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის ნიმუშები, რაც ნიშნავს იმას, რომ კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმი კომუნიკაციური არხი.

**კომუნიკაციის უმაღლესი ენობრივი ერთეულების კლასიფიკაცია  
ძირითადი პარამეტრი – კომუნიკაციის არხი**

| 1. | კომუნიკაციური ერთეული          | ტექსტი (წერილობითი წარმონაქმნი)   | დისკურსი (ზეპირმეტყველებითი წარმონაქმნი)  |
|----|--------------------------------|---|---|
| 2. | ტექსტისა და დისკურსის ნიმუშები | ფიქციონალური ტექსტები: პროზაული (რომანი, ნოველა, ზღაპარი), პოეტური (ლექსი, პოემა, სონეტი, ბალადა); რელიგიური ტექსტი; მეცნიერული სტატია, მონოგრაფია; საქმიანი წერილი; დიპლომატიური, ოფიციალური, საგაზეთო ტექსტები; ინსტრუქცია, ბრძანება, ბრძანებულება; სამართლებრივი ტექსტი (კოდექსი, ბრძანებულება, ხელშეკრულება) და მისთ. | სპონტანური საუბარი (ქუჩაში, ექიმთან, ტრანსპორტში); ფამილარული საუბარი მეგობრებს შორის; საუბარი ოჯახურ გარემოში; შემეცნებით-აღმზრდელობითი საუბარი სკოლაში; ზეპირი კამათი ოფიციალურ სიტუაციაში, სამეცნიერო კონფერენციაზე და მისთ. |

|    |                         |  |  |
|----|-------------------------|--|--|
| 3. | ენობრივი ქმედება        | წერა   | ზეპირი მეტყველება  |
| 4. | ენობრივი ნიშანი         | გრაფემა  | ფონემა   |
| 5. | აქტუალიზება             | ხელნაწერი, მანქანაზე დაბეჭდილი, ტიპოგრაფიული წესით ან კომპიუტერზე აწყობილი | ზეპირად წარმოთქმა  |
| 6. | კომუნიკაციური დისტანცია | გაშუალებული, დროსა და სივრცეში დაშორებული ბათიზმატურ ველზე გაშლილი         | დეიქტიკურ ველში კომუნიკაციის პარტნიორის თანდასწრებით წარმოთქმული |
| 7. | რეფერენცია              | ვიზუალური  | აუდიური  |
| 8. | კომუნიკაციის პარტნიორი  | დამწერი-ტექსტი – მკითხველი   | მოლაპარაკე, მსმენელი   |

(17, 100)

კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმია მედიუმის ფიზიკალური პარამეტრი. ენობრივი ერთეულების მახასიათებლები გამოყოფილია კომუნიკაციური (გარეენობრივი) ნიშნების მიხედვით. კომუნიკაციის პროცესების ცალკეული საფეხურები განლაგებულია ვერტიკალურად პირველ გრაფაში. მეორე და მესამე გრაფაში ასევე ვერტიკალურად ფიქსირდება ამ საფეხურების ფუნქციონირების ადეკვატური შედეგები: ტექსტისა და დისკურსის სახეობები, აგრეთვე ენობრივი ქმედების განხორციელების საშუალება/გზა და კომუნიკაციური სიტუაციების კომპონენტები.

ეს მოდელი არსებითად ერთგანზომილებიანია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი არ გამორიცხავს კომუნიკაციის ორ ძირითად ერთეულს – წერილობითსა და ზეპირმეტყველებითის გვერდით მესამე, შერეული ერთეულის პოსტულირებას. „შერეული“ არ ნიშნავს ერთმანეთში გათქვეფილ ახალ ერთეულებს, განმარტავს ავტორი, არამედ ორსახა წარმონაქმნს, რომელიც საპირისპიროდ ალტერნატივისა – ან ტექსტი ან დისკურსი – შეიძლება საწყისეულად იყოს როგორც ტექსტი ასევე დისკურსი. (17,111)

ჩვენი აზრით, ენობრივი წარმონაქმნების ასეთი გაგება იძლევა შესაძლებლობას, რომ ისინი ინტერპრეტირებულ იქნას როგორც ფორმით

განსხვავებული, მაგრამ ფუნქციით და თემატურად იგივეობრივი საკომუნიკაციო ერთეულები (მაგალითად, ზეპირი ინტერვიუ – დისკურსი და პრესაში წერილობით გამქვეყნებული ინტერვიუ – დიალოგური ტექსტი). ეს მოდელი შეფასებისა და დაზუსტების შემდეგ შეიძლება მიჩნეულ იქნას ორგანზომილებიან მოდელად, რამდენადაც ერთსა და იმავე თემაზე აგებული მედიუმის ფორმით განსხვავებული ენობრივი წარმონაქმნების განთავსება შესაძლებელია როგორც ტექსტის და ასევე დისკურსის გვერდით სპეციალურ გრაფაში (როგორც ბივალენტური წარმონაქმნი).

მიუხედავად ტექსტების ტიპოლოგიის მრავალი ვარიანტისა, მაინც არ არსებობს კლასიფიკაციის ერთი მოდელი, რომელიც მისაღები იქნებოდა ნებისმიერი მკვლევარისათვის. ტექსტების კლასიფიკაციის საზღვრები დახურული არ არის და პრინციპულად ღიაა ადეკვატური ცვლილებისათვის.

გამომდინარე იქიდან, რომ ტექსტის ლინგვისტიკის უმაღლეს საკლასიფიკაციო ერთეულად დისერტაციაში პოსტულირებულია დისკურსი მისი ახლებური გაგებით როგორც ტექსტების ფორმაცია, ლოგიკური იქნებოდა წარმოგვედგინა დისკურსის ჩვენეული მარტივი მოდელი, რომელიც წარმოადგენს არსებული საკლასიფიკაციო მოდელების ვარიანტს.

**კომუნიკაციის უმაღლესი ერთეული - დისკურსი როგორც ტექსტების ფორმაცია  
ძირითადი პარამეტრი – სემანტიკური ბაზისი**

|                           |   |
|---------------------------|---|
| კომუნიკაციური ერთეული     | დისკურსი როგორც ტექსტების ფორმაცია      |
| საკლასიფიკაციო კრიტერიუმი | თემატური/სემანტიკური ბაზისი             |
| მედიუმი                   | წერილობითი ტექსტები<br>ზეპირი ტექსტები  |
| სტრუქტურა /შემადგენლობა   | ტექსტების ჯგუფი<br>რამდენიმე ინტეგრანტი |

|                          |   |
|--------------------------|---|
| კომუნიკაციური დისტანცია  | გაშუალებული ან დროსა და სივრცეში დაშორებული |
| კომუნიკაციის პარტნიორები | როდუცენტი - დისკურსი - რეციპიენტი           |

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში კომუნიკაციის უმაღლესი ერთეულის – დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის ძირითადი საკლასიფიკაციო კრიტერიუმია თემატური ბაზისი. დისკურსი მიჩნეულია სტრუქტურირებულ მთლიანობად, რომლის სტრუქტურა შეიძლება დაიყოს რამდენიმე ინტეგრანტად, რომლებიც შესაძლებელია იყოს როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ტექსტები და, შესაბამისად, კომუნიკაციური დისტანციაც გაშუალებული (წერილობით ტექსტებთან) ან უშუალო (ზეპირ ტექსტებთან).

### მეორე თავის დასკვნები

1. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების ამ ეტაპზე გამოიკვეთა ახალი ცნებები. ეს ითქმის აგრეთვე ცნება/ტერმინზე „დისკურსი“, რომელიც პოსტულირებულ იქნა როგორც ტექსტების ფორმაცია, რომელშიც ტექსტების ურთიერთმიმართებას სემანტიკური ბაზისი განაპირობებს.

2. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში შეიქმნა ტექსტების კლასიფიკაციის ე.წ. მრავალგანზომილებიანი მოდელები, რომლებიც ეფუძნება ტექსტის როგორც ინტერნული ისე ექსტერნული მახასიათებლების მსგავსება-განსხვავებულობის გამოვლენას.

3. არ არსებობს სტერილური სახით მანიფესტირებული ინტერტექსტი, დისკურსიული ტექსტი ან ტექსტის სახეობა. ყოველ მათგანში (თვით წყაროტექსტშიც კი) აღინიშნება სამივე ტიპის ნიშნები, ისე რომ ერთი და იგივე ტექსტი შეიძლება გახდეს კვლევის ობიექტი როგორც ინტერტექსტუალობის ასევე დისკურსიულობის ასპექტში კვლევის კონკრეტული მიზნების მიხედვით.

ტექსტის მიკუთვნებას ამა თუ იმ ტიპისათვის განაპირობებს ორი ძირითადი ფაქტორი: რომელი უპირატესი სტრუქტურა არსებობს ობიექტურად ტექსტში ემპირიულ დონეზე და რა ჰერმენევტიკული პრინციპი უდევს საფუძვლად ტექსტის ინტერპრეტაციას მკვლევარის ინტენციის შესაბამისად. დასაშვებია,

ერთი ტექსტის სათაური იმეორებდეს რომელიმე პრეტექსტის სათაურს და იგი ჩაითვალოს ინტერტექტის პრესიგნალად. მაგრამ, თუ კრიტერიუმად ავიღებთ ნარატიული ტექსტის პლოტის სემანტიკური განვითარების დინამიკას, ცხადი გახდება, რომ ამ ტექსტის კვალიფიკაცია როგორც რომელიმე დისკურსის ინტეგრანტისა სავსებით გამართლებული იქნება. დისერტაციაში არის მცდელობა უპირატესობა მიენიჭოს მეორე მიდგომას და იგი ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის საფუძველზე დასაბუთდეს.

### თავი III

## დისკურსი როგორც ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის ობიექტი

### 3.1. ცალკეული ტექსტი vs. დისკურსი როგორც ტექსტების ფორმაცია.

ენა არის ნიშანთა სისტემა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება კომუნიკაციური ინტერაქცია. ენობრივი აქტივობის გარეშე წარმოდგენელია საზოგადოების არსებობა. ენის გამოყენება გარკვეული წესების შესაბამისად ხორციელდება. ის სრულყოფილ გამოხატულებას მხოლოდ და მხოლოდ ტექსტებში პოულობს. ენობრივი კომუნიკაციის ძირითად ერთეულად ათწლეულების მანძილზე წინადადება იყო მიიჩნეული. იგი ითვლებოდა უნივერსალურ ენობრივ ფენომენად და უმაღლეს საანალიზო ერთეულად. ამ აზრს იზიარებდნენ არა მარტო ტრადიციული გრამატიკის მიმდევრები, არამედ ენათმეცნიერების უახლესი მიმართულების წარმომადგენლებიც.

რევოლუციურ გარდატეხად ჩაითვალა პეტერ ჰარტმანის თეზისი, რომ ტექსტი და არა წინადადება არის საწყისეული ენობრივი ნიშანი – (**originäres sprachliches Zeichen (64, 10)**) ენის გაცხადება სრულყოფილად ტექსტით ხდება და ის არის ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარების უმაღლესი ერთეული. პ. ჰარტმანის ამ თეზისმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ტექსტის ლინგვისტიკაში ახალი მიდგომების ჩამოყალიბებას. კვლევის საგნად გამოცხადდა ენობრივი წარმონაქმნის ტექსტური ფორმა.

ვოლფგანგ დრესლერი ტექსტის ლინგვისტიკას რამდენიმე დისციპლინის ერთობად წარმოგვიდგენს იმის მიხედვით, თუ ტექსტის კვლევისას რომელი ასპექტი წამოიწევს წინ. ტექსტის ლინგვისტიკის შემადგენელ დისციპლინებად იგი თვლის ტექსტის გრამატიკას, ტექსტის პრაგმატიკას, ტექსტის სემანტიკას და ტექსტის ფონეტიკას. ასევე საყურადღებოა ერნსტ ულრის გროსეს მოსაზრება, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ე.წ. გამოყენებით ტექსტებზე (**Gebrauchstexte**). „ტექსტის ეს სახეობები ენათმეცნიერების ყურადღების მიღმა რჩება და მათი შესწავლა ისევე აუცილებელია, როგორც ლიტერატურული ტექსტებისა,“ წერს ე.უ.გროსე გასული საუკუნის 70-იან წლებში (**60, 9**). როგორც უკვე აღვნიშნეთ ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე კვლევის ობიექტად ყოველთვის ტექსტი ცხადდება, მაგრამ მისი დეფინიცია არ არის ერთგვაროვანი, რადგან ის დამოკიდებულია მკვლევარის მიზნებსა და იმ

ენათმეცნიერული მიმართულების პრინციპებზე, რომლებსაც მკვლევარი იზიარებს.

**ტექსტი** არის წინადადებების კოჰერენტული თანამიმდევრობა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ბმულობის საშუალებებით. (73). წინადადებების ეს თანამიმდევრობა გარკვეულ თემას ქმნის (28,31), რომლის ორგანიზებაც ლოგიკურ-სემანტიკური რელაციების მეშვეობით ხორციელდება. (35,21)

ტერმინს „ტექსტის ლინგვისტიკა“ 1967 წელს პირველად იყენებს **ჰარალდ ვაინრიხი** თავის სადისკუსიო გამოსვლაში „**სინტაქსი როგორც დიალექტიკა**“ (Syntax als Dialektik) და ტექსტად მიიხნევს ენობრივი ნიშნების რაციონალურ მონაცვლეობას. ( 123, 222).

ჯერ კიდევ ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბების ფაზაში იყო მსჯელობა ტექსტის კომუნიკაციურ ფუნქციაზე. ასე მაგალითად, **ე.უ. გროსე** ყურადღებას ამახვილებს ტექსტზე, როგორც ენობრივი კომუნიკაციის გამოსატულებაზე (60, 254). **გ. ჰელბიგი** ხაზს უსვამს ტექსტის გამოკვეთილად კომუნიკაციურ ფუნქციას. (69, 160).

ტექსტში წინადადებების ბმულობა გარკვეულ წესებს ემორჩილება. თუ სტრუქტურალისტებისათვის წინადადება არის ენობრივი გამოსატულების უმაღლესი ერთეული, დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენლებისთვის გამოსატულების აქტი შედგება უფრო მეტი ერთეულისგან ვიდრე ეს ერთი წინადადება შეიძლება იყოს. ცალკეული წინადადებები არ არის დამოუკიდებლად აღებული რომელიმე უფრო მაღალი რანგის კონსტრუქციაში ჩაბმული.

ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს რთული ენობრივი კონსტრუქცია, რომელიც იქმნება სემიოტიკური ნიშნების გამოყენებით. ეს არის ენობრივი კომუნიკაციის ძირითადი საშუალება, რომლის მეშვეობითაც შეიძლება შედგეს კომუნიკაციის ნებისმიერი აქტი. მეცნიერების მრავალ დარგში მსჯელობენ ტექსტებზე. მაგალითად, მათემატიკური ამოცანები, რომლებშიც ციფრები და სიმბოლოები არის გამოყენებული, შეიძლება ტექსტებად მივიჩნიოთ.

ტექსტის ლინგვისტიკაში განასხვავებენ ტექსტებს და არა-ტექსტებს (**Texte / Nicht Texte**). პირველ ტერმინში მოიაზრება წინადადებებისაგან შემდგარი კომპლექსური წარმონაქმნები, რომლებიც გარკვეული შინაარსის/თემის და კომუნიკაციური ფუნქციის მატარებელია, ხოლო მეორე ტერმინი აერთიანებს



ტექსტების იმ სახეობებს, რომლებიც გამოიყენება მეცნიერების სხვადასხვა დარგში. არა-ტექსტი არის ენობრივი წარმონაქმნი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ტექსტუალობის კრიტერიუმებს. (66)

ტექსტის მრავალსახეობიდან გამომდინარე, არ არსებობს ტექსტის ერთი საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ყველა ლინგვისტის ინტერესებს. ტექსტის დეფინიციათა ფართო პალიტრაში პირობითად შეიძლება გამოიყოს მკვლევართა ორი ჯგუფი, რომლებიც ტექსტის სხვადასხვაგვარ განსაზღვრებას გეთავაზობენ.

პირველი ჯგუფის წარმომადგენლები ტექსტად მიიჩნევენ ნებისმიერ ენობრივ გამოსატყულებას, იქნება ეს ზეპირი თუ წერილობითი ფორმა, არ აღიარებენ რომელიმე მათგანის უპირატესობას. ამ ჯგუფის წარმომადგენელი კლაუს ბრინკერი ტექსტად მიიჩნევს ენობრივი ნიშნების გარკვეულ თანამიმდევრობას, რომლის ორგანიზებაც ხდება კოჰეზიის საშუალებით. (35,17). დასრულებულ ენობრივ გამონათქვამს უწოდებს ტექსტს ვოლფგანგ დრესლერი: „**Ein Text ist eine abgeschlossene sprachliche Äußerung**” (42, 1) ტექსტი არის კომპლექსური ენობრივი ნიშანი, რომელიც იქმნება ენის სისტემაში (იგულისხმება ლანგი) არსებული წესების მიხედვით. (62, 47). იმ ლინგვისტთა აზრით, რომლებიც ტექსტის დეფინიციისას ზოგადობის ცნებიდან ამოდიან, ტექსტი არის კომუნიკაციის შემადგენელი ნაწილი, შესაბამისად ზეპირი ან წერილობითი აქტი, რომელიც სხვადასხვა მოცულობის შეიძლება იყოს. იგი მერყეობს ერთი ენობრივი ნიშნიდან მათ განუსაზღვრელ რაოდენობამდე. ამ თვალსაზრისით ტექსტად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ცალკეული შორისდებული და ცალკეული სიტყვა, ასევე ფრაზა, წინადადება, ზეპირი გამოსვლა და ბოლოს მთელი წიგნი.

მეორე ჯგუფის წარმომადგენლები ტექსტად აღიარებენ მხოლოდ წერილობით წარმონაქმნს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ზეპირი ენობრივი წარმონაქმნისაგან, საწყისეულად წერილობით არის დაფიქსირებული, წინადადებების კოჰერენტული ბმულობის შედეგია, რომელშიც ბმულობას ტექსტის გრამატიკული კანონები განსაზღვრავს, ეს მიდგომა ყურადღების მიღმა ტოვებს ტექსტის შექმნის კომუნიკაციურ პირობებს, რომლებიც აუცილებელია ტექსტის ლინგვისტიკის ინტეგრირებისათვის კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში, რადგან მხოლოდ ამ გზით ხდება შესაძლებელი ტექსტის ჩართვა კომუნიკაციის

პროცესში, ისევე როგორც კომუნიკატორის, ტექსტისა და კომუნიკანტის ურთიერთკავშირის გათვალისწინება.

**გ. ფურცელაძე** ტექსტს მიიჩნევს წერილობითი კომუნიკაციის უმაღლეს ერთეულად, რომელიც განსხვავდება ზეპირი გამონათქვამისაგან. **მ. ნუსბაუმერი** ტექსტს თვლის აგრეთვე წერილობით ფიქსირებულ ენობრივ გამოსატყულებად, რომელიც წინადადებათა რამდენიმე რიგს მოიცავს. „მათი ბმულობა ხორციელდება სპეციფიკური კავშირით,” წერს იგი (**87, 33**). მოგვიანებით მან **ლინკესთან** და **პორტმანთან** ერთად ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნა ტექსტის ლინგვისტიკა და დისკურსიული ლინგვისტიკა. (**82**). ამრიგად, მოხდა ზღვრის გაღლება ენობრივი მოღვაწეობის ზეპირ და წერილობით ფორმებს შორის და ზეპირი ნიმუშები დისკურსიული ლინგვისტიკის სფეროში გადავიდა, რომელიც აგრეთვე დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბდა საკუთარი კვლევის მიზნებითა და ამოცანებით.

ჩვენ ვიზიარებთ მეორე ჯგუფის წარმომადგენლების თვალსაზრისს და ტექსტად მივიჩნევთ წერილობით ფიქსირებულ ენობრივ ერთეულს, რომელიც როგორც წესი, ერთ წინადადებაზე მეტს მოიცავს. ეს არის ენობრივ ერთეულთა უწყვეტი ჯაჭვი, გარკვეული კოჰერენტული მთლიანობა, რომელიც როგორც კომუნიკაციური ასევე ესთეტიკური ფუნქციის მატარებელია. ტექსტის ცნება უკავშირდება აგრეთვე კოგნიტიურ ასპექტს. კოგნიტიური პროცედურები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ტექსტების ორგანიზების ასევე მათი აღქმის პროცესში. ტექსტი ხომ მომხმარებელთა მენტალური და კოგნიტიური პროცესების შედეგია. (**42, 7**)

ტექსტს როგორც ენობრივი მოღვაწეობის შედეგს განსაზღვრავს კომუნიკაციური ოკურენცი, რომელსაც ტექსტუალობის რამდენიმე ნიშანი აქვს. ტექსტუალობის ცნება უკავშირდება **ბოგრანდისა და დრესლერის** სახელებს და წარმოადგენს კრიტერიუმს, რომელიც ტექსტს განასხვავებს არატექსტისგან. ტექსტი განისაზღვრება ექსტერნული და ინტერნული მაჩვენებლებით. ექსტერნული გულისხმობს ტექსტუალობას ტექსტის კომუნიკაციური ფუნქციის გათვალისწინებით. ინტერნული კი კოჰერენცის სისტემური ელემენტების მნიშვნელობას წამოწევს წინა პლანზე. **კლაუს ბრინკერი** ტექსტუალობას საფუძვლად უდებს კომუნიკაციურ ფუნქციას და აკავშირებს მას ტექსტის სტრუქტურასთან. იგი ლინგვისტიკური ანალიზის ძირითად ერთეულად მიიჩნევს წერილობით ფიქსირებულ ენობრივ ერთეულს—ტექსტს და ორ მიმართულებას

გამოყოფს. ერთი ორიენტირებულია ენის სისტემაზე და ეფუძნება სტრუქტურულ ლინგვისტიკას და გენერატიულ გრამატიკას; მეორე იზიარებს კომუნიკაციური ლინგვისტიკის პრინციპებს, რომელიც ვითარდება პრაგმატიკის ფონზე. კომუნიკაციური ლინგვისტიკის თვალთახედვით ადამიანები როგორც კომუნიკაციის პარტნიორები მოქმედებენ კონკრეტულ სიტუაციებში. კომუნიკაციური სიტუაცია შეიძლება განისაზღვროს დროისა და ადგილის მიხედვით. კომუნიკაციური ლინგვისტიკა გულისხმობს აგრეთვე კულტურულ სივრცეს, რომლის განსაზღვრა საჭიროა ტექსტების აღქმისას. თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკამ კვლევის პარამეტრებში სხვა ასპექტებთან ერთად ჩართო როგორც კოგნიტიური ასევე სოციო-კულტურული ფონი, რომლის გათვალისწინებაც მკვლევარ-ინტერპრეტატორს საშუალებას აძლევს მრავალ პლანში განიხილოს როგორც ლიტერატურული ასევე გამოყენებითი ტექსტები.

ტექსტის ლინგვისტიკა ვითარდება როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერება. ისმება კითხვა: არის კი ცალკეული ტექსტი კომუნიკაციის უმაღლესი ერთეული, თუ არსებობს ისეთი ობიექტი ან სტრუქტურა, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს თვითონ ტექსტი. თანამედროვე კვლევებმა ცხადყო, რომ კომუნიკატორის მიერ დასრულებულ მთლიანობად წარმოდგენილი ტექსტი სულაც არ არის დამოუკიდებელი სხვა ტექსტებისაგან. ტექსტი შეიძლება იყოს იმ აბსტრაქტული სისტემის ერთ-ერთი ნაწილი, ინტეგრანტი, რომელშიც თემატური მიმართება პრიორიტეტულ როლს იძენს.

ამრიგად, ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის ობიექტად შეიძლება პოსტულირებული იქნას სემანტიკურ ბაზისზე დაფუძნებული ტექსტების აბსტრაქტული მოდელი – დისკურსი, რომელიც წარმოადგენს **n** რაოდენობის ტექსტების ერთობას. ინტერპრეტატორის ინტენციის შესაბამისად ცალკეული ტექსტი შეიძლება დარჩეს ერთი მხრივ კვლევის დამოუკიდებელ ობიექტად როგორც საწყისეულად თვითკმარი ენობრივი წარმონაქმნი, ხოლო, მეორე მხრივ, გახდეს ტექსტების აბსტრაქტული კონსტრუქციის შემადგენელი კომპონენტი – ინტეგრანტი და დარჩეს ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში როგორც ზეტექსტური ერთეული.

### 3.2. დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის ინტერპრეტაციის ზოგადი და კერძო მეთოდები.

დისკურსი თემატურად დაკავშირებული ტექსტების ერთობლიობაა, რომლის განვითარება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. ჩვენ დისერტაციაში დისკურსად გაერთიანებულია ტექსტები, რომელთა სიუჟეტიც სუიციდის თემის ირგვლივ იკვრება და ვითარდება. შემოთავაზებულ დისკურსში სუიციდის თემის უმთავრესი ფუნქციაა ინტეგრანტებს შორის სემანტიკური მიმართების დამყარება და თანხვედრი შინაარსების განსაზღვრა.

მხატვრულ ლიტერატურაში სიკვდილი აქტუალური თემაა, რომელიც განსხვავებულ კონტექსტებში განსხვავებულ სემანტიკურ და ემოციურ კონოტაციებს აჩენს. სუიციდის მაგალითები მსოფლიო ლიტერატურაში მრავლადაა. ნიშანდობლივია, რომ თვითმკვლელობა არის კონცეპტი, რომელიც მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. სიცოცხლის ნებაყოფლობით დასრულება ბინდში ხვევს მოვლენებს, ბადებს გაურკვეველობას. სუიციდის თემა შესაძლებლობას იძლევა, შეიქმნას მობილური კორპუსი დისკურსი, მასში წარმოდგენილი ინტეგრანტები ჩვენ შეგვიძლია ერთ საანალიზო სიბრტყეზე განვალაგოთ და სათანადო მეთოდით მოვახდინოთ მათი ინტერპრეტაცია. თემატიკის გარდა ინტეგრანტებს აერთიანებს რამდენიმე ფაქტორი: ადამიანის სულში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, აქტანტების ფარული განწყობების კონსტრუირება, ფსიქიკურ გამოვლინებათა აღწერა.

სუიციდის დისკურსის ინტერპრეტაციის უნივერსალურ მეთოდად დისერტაციაში აღიარებულია ჰერმენევტიკული მეთოდი. ინტეგრანტებად მიჩნეულია სუიციდის სემანტიკური ბაზისის საფუძველზე ორგანიზებული ტექსტები.

1. ჰერმენევტიკული მეთოდის ძირითადი მოთხოვნებიდან ემპირიული მასალის ინტერპრეტაციისათვის შერჩეულია შემდეგი კრიტერიუმები:

- ემპირიული მასალისადმი შეგნებული მიდგომა;
- სათანადო წინარეცოდნის მოპოვება;
- ტექსტის განხილვა მთლიანობაში როგორც ჰოლისტური წარმონაქმნისა;
- ინტერპრეტაციის განხორციელება როგორც ტექსტის ვერტიკალურ ისე ჰორიზონტალურ ჭრილში;
- ჰერმენევტიკული წრის (სპირალის) მოთხოვნების დაცვა;
- ტექსტის საზრისის დივინაცია და სემანტიკური ინფერენცის გამოყვანა.

2. გამომდინარე იქიდან, რომ სუიციდის დისკურსი მოიცავს ინტეგრანტების **n** რაოდენობას, რომლებიც საჭიროებენ ცალკეული ასპექტების ინტერპრეტაციას, გარდა უნივერსალური მეთოდის გამოყენებისა აუცილებელია კერძო მეთოდების მოხმობაც ტექსტის შიდაენობრივი და გარეენობრივი ფაქტორების ანალიზის შესაბამისად. ასე მაგალითად, სტილისტიკური ინტერპრეტაცია უნდა ხორციელდებოდეს ლინგვისტიკური მეთოდით ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტის ფონზე. ამასთან ყურადღება უნდა მახვილდებოდეს სისტემური (langue) ელემენტების ლექსიკურ-სემანტიკურ და გრამატიკულ ერთეულებზე, რომლებიც უზურუნველყოფენ კომუნიკანტში ემოციური ეფექტის გამოწვევას.

3. გრამატიკული ფაქტორით განისაზღვრება ტექსტის ბმულობის საშუალებები, მორფოლოგიური და სინტაქსური ელემენტების ექსტრაპოლირება ტექსტის დონეზე და მათთვის ტექსტოლოგისტიკური სტატუსის მინიჭება. მაგალითად, ნაცვალსახელები და კავშირები მორფოლოგიაში აღიწერება როგორც მეტყველების ნაწილები, ხოლო ტექსტის დონეზე როგორც კონექტორები, რომლებიც ტექსტის ბმულობას ახორციელებენ. აქტუალური სინტაქსის თემა-რემატული მიმართება განიხილება ტექსტის დონეზე როგორც კოჰეზიის საშუალება. ტრადიციული გრამატიკა იძენს ტექსტურ სახეს და ყალიბდება ავტონომიური ტექსტის გრამატიკის სახით. ენობრივი ერთეულების ტექსტებში ფუნქციონირების დადგენით დესკრიფციული მეთოდი უზურუნველყოფს გრამატიკული სისტემის ინტეგრირებას ტექსტის ლინგვისტიკის დონეზე.

4. ინტეგრანტების სემანტიკური კვლევის ძირითადი მეთოდია დისკურსიულ ტექსტებში სათანადო ლექსიკურ-სემანტიკური ელემენტების გადატანა ტექსტის დონეზე, ტექსტის საზრისის დადგენა ენობრივი ელემენტების სემანტიკური ბმულობის, კოჰეზიის საშუალებების გამოვლენით; თემა-რემატული ჯაჭვების გამოკვეთა ინტეგრანტების მთავარი აქტანტების შესაბამისად.

5. სუიციდის ინტეგრანტებში ინტერპრეტაციის ზოგადი და კერძო მეთოდების გამოყენება მოტივირებული უნდა იყოს სუიციდის დისკურსის როგორც ავტონომიური ერთეულის პოსტულირების დასაბუთებით.

## მესამე თავის დასკვნები

ტექსტი წარმოადგენს წერილობით ფიქსირებულ კომპლექსურ წარმონაქმნს, რომელიც წინადადებების კოჰერენტული ბმულობის შედეგია. ტექსტის ლინგვისტიკის უმაღლესს საკვლევ ობიექტად წლების მანძილზე მიხნეული იყო ტექსტი წერილობითი თუ ზეპირი ფორმით. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე უმაღლესს საკვლევ ობიექტად მანიფესტირებულია დისკურსი, ვირტუალური კონსტრუქცია, რომელშიც სემანტიკურ ბაზისზე დაფუძნებული ტექსტები ინტეგრანტებად ერთიანდებიან.

დისკურსის ინტეგრანტების ინტერპრეტაცია დისერტაციაში ეფუძნება, ერთი მხრივ, უნივერსალურ მეთოდს - ჰერმენევტიკას, ხოლო, მეორე მხრივ, ლინგვისტიკაში დამკვიდრებულ კერძო მეთოდებს, რომელთა გამოყენებით აღიწერება სუიციდის დისკურსის ინტეგრანტების ინტერპრეტაციის შიდაენობრივი და გარეენობრივი ასპექტები.

## თავი IV

### დისკურსის კორპუსის ინტერპრეტაციის ასპექტები

#### 4.1. ნარატიული ტექსტი როგორც ტექსტების ფორმაციის – დისკურსის ინტეგრანტი.

ყველა ენაში არსებობს ტექსტების უსასრულო რაოდენობა. მათი ორგანიზება შესაძლებელია დისკურსიულ მოდელში სემანტიკური ბაზისის საფუძველზე. საკომუნიკაციო მოდელში დისკურსის განმსაზღვრელი მთავარი როლი საერთო თემას აკისრია. ყოველი თემა, როგორც წესი, ატარებს გარკვეულ ინფორმაციას და საფუძველად ედება დისკურსის ინტეგრანტების ორგანიზებას. დისკურსი ორგანიზებული მთლიანობაა, რომლის შემადგენელი ერთეულები არ არის ერთმანეთისაგან იზოლირებული და კონექცია ხორციელდება ცალკეული ტექსტური ინტეგრანტებით. დისკურსიულ მოდელში ტექსტების რაოდენობა შეუზღუდავია. ინტეგრანტები განსაზღვრავენ დისკურსის სემანტიკურ სტრუქტურას. ყოველი მათგანი საერთო თემის ირგვლივ გარკვეულ ფორმალურ-სემანტიკურ ურთიერთმიმართებებს ამყარებს.

დისკურსიული კორპუსი რთული და კომპლექსურია, ამდენად მისი კვლევა შეუძლებელია გამარტივების გარეშე, რაც გულისხმობს პირველ რიგში ინტეგრანტების გამოცალკავებას. დისკურსის ორგანიზება ეფუძნება ტექსტებს შორის სემანტიკური მიმართებების დამყარებას, ხოლო დისკურსის გაგება ნიშნავს ამ მიმართებათა ამოცნობას.

ტექსტოლინგვისტიკური ინტერპრეტაციის ერთ-ერთი ამოცანაა დისკურსის როგორც მთლიანობის შესწავლა და მისი სახეობების გამოყოფა. მკვლევარები მსჯელობენ სიყვარულის დისკურსზე, სიკვდილის დისკურსზე, პოლიტიკურ დისკურსზე, არქიტექტურულ დისკურსზე და ა.შ. ჩვენი კვლევის ფოკუსი მიმართულია სუიციდის დისკურსზე, რომელშიც გაერთიანებულია სამი ნარატიული ტექსტი/ინტეგრანტი. ისინი დისკურსის სტრუქტურაში ერთიანდებიან სემანტიკური ბაზისის საფუძველზე. თითოეული ინტეგრანტის ძირითადი თემა სიცოცხლის ნებაყოფლობით შეწყვეტა ანუ სუიციდია.

ნარატიული ტექსტი არ წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის საშუალებას, იგი აქტანტის ცხოვრების ფსიქიკურ მხარეებსაც ასახავს. მხატვრული ნაწარმოები ამოუწურავი წყაროა, რომელსაც რეციპიენტი ფიქციონალურ სამყაროში შეჰყავს და მას ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს.

მკითხველი იფიქრებს გარე-სამყაროს და როგორც მჭკრეტელი ტექსტში ასახული ხდომილებებისა ხდება ამ სამყაროს თანაზიარი და გარკვეულწილად „თანამონაწილე“.

ლიტერატურათმცოდნეობაში ნარატოლოგიის ორ კონცეფციას გამოყოფენ. ერთი მათგანი კლასიკური თხრობის თეორიის სახით ჩამოყალიბდა, ხოლო მეორე - სტრუქტურალისტებს უკავშირდება, რომლებიც კვლევის ფოკუსს მიმართავენ თვით მონათხრობზე. ისინი ნარატოლოგიის კლასიკურ სფეროს მიაკუთვნებენ ისეთ წარმონაქმნებს, როგორცაა ლირიკული და დრამატული ტექსტები. სტრუქტურალისტური კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს იმ მედიუმებზე, რომელთა რეფერენტს არ გააჩნია ტემპორალური სტრუქტურა და რომლებიც არ შეიცავენ ცვალებადობის პუნქტს. ნარატოლოგიის მინიმალური მოთხოვნაა, წარმოდგენილ ვითარებში სულ ცოტა ერთი ცვლილების განხორციელება მოცემულ დროში. თუმცა შესაძლებელია ვითარების ცვლილება ისე, რომ პირობები არ ექვემდებარებოდეს ექსპლიციტურ გამოსატულებას.

ვითარების ცვლილებას სამი რამ განაპირობებს:

1. ტემპორალური სტრუქტურა სულ ცოტა ორი პუნქტით, ამოსავალი წერტილით და დასკვნითი ნაწილით.
2. ამოსავალი წერტილისა და დასკვნითი ნაწილის იდენტურობა და განსხვავება;
3. ორივე მდგომარეობა მიმართული უნდა იყოს ერთი და იმავე მოქმედების სუბიექტსა თუ ობიექტზე.

ნარატიულ ტექსტებს ლიტერატურათმცოდნეები უპირისპირებენ დესკრიფციულ ტექსტებს, რომლებიც აღწერენ ვითარებებს, სურათებს, პორტრეტებს, წარმოაჩენენ სოციალურ ფენასა და მოვლენებს, თუმცადა მკაცრი საზღვრების გავლება ნარატიულ და დესკრიფციულ ტექსტებს შორის შეუძლებელია. ყოველი ნარატიული ტექსტი შეიცავს დესკრიფციული ტექსტების ელემენტებს და პირუკუ. საინტერესოა აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობით თეორიებში წარმოდგენილი ტექსტების კლასიფიკაცია, რომელშიც ტექსტები ნაწევრდებიან ნარატიულ, დესკრიფციულ და ა.შ. სახეობებად. ნარატიული ტექსტები თავის მხრივ იყოფა თხრობით და მიმეტურ ტექსტებად.



## ტექსტები

|           |              |          |
|-----------|--------------|----------|
| /         | \            | \        |
| ნარატიული | დესკრიფციული | სხვა     |
| ტექსტები  | ტექსტები     | ტექსტები |
| /         | \            |          |
| თხრობითი  | მიმეტური     |          |
| ტექსტები  | ტექსტები     |          |


(97, 19)

ნარატოლოგია იკვლევს თხრობის სხვადასხვა სახეობას, იქნება ეს ნოველა, მოთხრობა თუ რომანი. ნარატიული ტექსტები იქმნება ენობრივ ნიშანთა თანამიმდევრობის განლაგებით, რომლითაც ავტორი წარმოგიდგენს შემთხვევების, ამბებისა და ისტორიების მონაცვლეობას დროის განსაზღვრულ პერსპექტივაში. ნარატიული ტექსტები უნივერსალური, ტრანსისტორიული და ტრანსკულტურული წარმონაქმნებია. ვან დეიკი ნარატიული ტექსტების სამ დონეს გამოყოფს: პირველში იგი აერთიანებს ტექსტური კომუნიკაციის ფორმებს, რომლებიც გვხვდება ყოველდღიურ კომუნიკაციაში; მეორეს იგი მიაკუთვნებს ანეკდოტებს, მითებს, ლეგენდებს, თქმულებებს, ხოლო მესამეს აერთიანებს კომპლექსური თხრობის ნიმუშებში, რომლებიც ლიტერატურული აღწერის შედეგად (მაგ. რომანი, მოთხრობა, ნოველა) იქმნება.

ყოველდღიურ ანუ ბუნებრივი თხრობის ნარატიულ ტექსტებში ვან დეიკი გამოყოფს ორ კატეგორიას: კომპლიკაციასა და რეზოლუციას, რომელთა მთლიანობასაც იგი მოვლენას (ამბავს) უწოდებს. თითოეული მოვლენა გარკვეულ სიტუაციაში, გარკვეულ დროსა და განსაზღვრულ პირობებში ხორციელდება. თხრობითი ტექსტის ცალკეულ ნაწილს, რომლის ფარგლებშიც ხდება მათი ცალკეულ ნაწილებად წარმოდგენა, იგი ჩარჩოს უწოდებს. ჩარჩო და ხდომილება ერთად ქმნიან ეპიზოდს. ხოლო ეპიზოდების გარკვეული რიგი თხრობით ტექსტებში პლოტების სახით არის წარმოდგენილი. ინტერპრეტაციისათვის საგულისხმოა ის მომენტები, რომლებიც თავად მოთხრობელის მენტალურ რეაქციას, აზრს თუ შეფასებას გადმოსცემენ და ტექსტის მოდალობას განაპირობებენ.

ვან დეიკი კატეგორიას, რომელიც პლოტთან ერთად საკუთრივ ისტორიას ქმნის და ამავე დროს მას აფასებს, ვვალუაციას უწოდებს, რაშიც იგულისხმება

მთხრობელის რეაქცია პლოტზე. ემპირიული აღწერისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ კატეგორიები *ჩარჩო*, *ევალუაცია* და *მორალი* შესაძლებელია იმპლიციტურად დარჩეს. ამ მიმართულებებს ვან დეიკი ათვალსაჩინოებს ქვემოთ მოყვანილი დიაგრამის სახით.



(112, 142)

ვ. ჰაინემანი/დ. ფიივეგერი ავითარებენ ვან დეიკის მიერ შემოთავაზებულ ნარატიული სტრუქტურის მოდელს და მასში გამოყოფენ ორ დონეს: **Narr 1** (ნარაცია1) და **Narr 2** (ნარაცია2). პირველი წარმოადგენს შედეგზე ორიენტირებულ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს ევალუაციას და პლოტს, ეს უკანასკნელი თავის მხრივ წარმოადგენს ჩარჩოს და ამბის ერთობლიობას, ხოლო ნარაცია 2 – შემთხვევაზე ორიენტირებულ სტრუქტურას. (66, 242)

ლიტერატურათმცოდნეობაში განასხვავებენ ნარატიული ტექსტის ორ მხარეს: ენობრივ ნიშანთა თანამიმდევრობას ანუ ტექსტს და ხდომილებების რიგს ანუ ისტორიას. ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან და დროის განზომილებას უკავშირდებიან.

ნარაცია ზოგადად გულისხმობს პროპოზიციების და ილოკუციების დროში თანამიმდევრობას, რომლებიც ერთად აღებული გარკვეული ხდომილების ან ხდომილებების მაჩვენებელია. **ჟერარ ჟანეტის** აზრით, ნარატიული თხრობა განსხვავდება ყოველდღიური თხრობისაგან. **როლანდ ბარტი** ნარაციას ცხოვრებას აღარებს, ორივეს აღენიშნება დასაწყისი და დასასრული, რომელთა შორის თავსდება დროში განფენილი ხდომილებების განსაზღვრული რაოდენობა. თხრობის პროცესში გარკვეული თვალსაზრისით მთხრობელია

ჩართული, რომელიც გადმოგვცემს განცდილ ამბებს. კ. ბრინკერის აზრით, მთხრობელის პოზიცია დაფიქსირებულია თემატურ კატეგორიებში. თემატურ კატეგორიებად იგი მიიჩნევს – კომპლიკაციას-ანუ უზგეულო შემთხვევების ასახვას, რეზოლუციას – სირთულეების გადაჭრას დადებითი ან უარყოფითი თვალსაზრისით, ევალუაციას. ნარატიული თემატიკისათვის დამახასიათებელი კატეგორიის შეფასებას. სემანტიკური თვალსაზრისით, თოთოეული ხდომილება ითვალისწინებს წინა და მომდევნო სიტუაციას. მაგალითად, **a** პუნქტს **b** მოსდევს, შემდეგ **c** და ა.შ. სემანტიკური თვალსაზრისით **b** ითვალისწინებს **a**-ს, **c** ითვალისწინებს **b**-ს, ხოლო **y** არის **abc**-ს საერთო ჯამი (68, 187), რომლებსაც თხრობის თეორიაში „პლოტის თეორიას“ უწოდებენ.

ნარატიული თხრობა შეიძლება თხრობის ორ პერსპექტივაში მიმდინარეობდეს: მთხრობელი – „მე“ პირველი პირის ფორმით (ich –Erzähler) გადმოსცემს ტექსტში განვითარებულ ამბებს, ხოლო მთხრობელი–„ის“-წარმოდგენილია მესამე პირის ფორმით (er-Erzähler), ხოლო ავტორი ხდომილებების ობიექტურ მეთვალყურედ გვევლინება.

დისერტაციაში შემოთავაზებული დისკურსიული მოდელის შემადგენელ ინტეგრანტებს წარმოადგენს ნარატიული ტექსტების მცირე მოცულობის კორპუსი, რომელშიც გაერთიანებულია დისკურსში საერთო თემის, კერძოდ, სუიციდის ირგვლივ. სუიციდის დისკურსის ინტეგრანტებია:

1. შტეფან ცვაიგის ნოველა „ლეპორელა“ (Leporella)
2. ბერნჰარდ შლინკის რომანი „უკითხავს მას“ (Vorleser)
3. ჰაინრიხ ფონ კლაისტის პაროდია „ახალი (უფრო ბედნიერი) ვერთერი“ (Der neuere (glücklichere) Werther). დასახელებული ტექსტები სხვადასხვა ჟანრისაა, თუმცა მათ აერთიანებთ საერთო თემატური მიმართება ერთ კონკრეტულ მოდელში, რომელიც მობილურია და შესაძლებელია განივრცოს ტექსტის ნებისმიერი სახეობით (ჟანრით).

#### 4.2. დისკურსიული ტექსტის როგორც ტექსტების ფორმაციის ინტეგრანტის ინტერპრეტაციის შიდაენობრივი და გარეენობრივი ასპექტები.

დისკურსი დისერტაციაში განხილულია ერთიან ღია სტრუქტურად, რომელიც დინამიკურია და მზადაა ადეკვატური ცვლილებებისათვის.

დისკურსი როგორც მთლიანი წარმონაქმნი, აგებულია ერთ სემანტიკურ ბაზისზე. დისკურსიულ ტექსტებში თემა იშლება ლოგიკურ-სემანტიკური და

ენობრივი კომპონენტების ურთიერთშეწყობისა და შეთავსების საფუძველზე. ამ წინაპირობების გათვალისწინებით ინტერპრეტატორი ირჩევს სათანადო მასალას და ჰერმენევტიკული ხერხების გამოყენებით ახორციელებს მის ინტერპრეტაციას.

დისკურსიული ტექსტების ლინგვისტიკური ანალიზი მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. დისკურსის საზრისის დადგენა შეიძლება რამდენიმე მიმართულებით წარიმართოს. დისკურსი ტექსტებისაგან შედგენილი მთლიანი წარმონაქმნია და მოითხოვს როგორც ჰოლისტურ მიდგომას, ასევე დისკრეტულ ნაწილებად დაყოფას და ცალკეული ტექსტების ანალიზს, თითოეულ მათგანში ნარატემების ბმულობის დადგენას. ინტერპრეტაციისთვის აუცილებელია აგრეთვე ტექსტოლინგვისტიკური ცნებების მოშველიება (კონექცია, კოჰერენცია, კოჰეზია და ა.შ). ისინი უშუალო კავშირში არიან ბმულობის სემანტიკურ და ფორმალურ გამოსატყულებებთან და ფიქსირდებიან ტექსტის მთლიან სტრუქტურაში.

დისერტაციაში დისკურსის ინტერპრეტაციები მათი არსისა და ფუნქციების მიხედვით განიხილება რამდენიმე ასპექტში, კვლევის ფოკუსი ძირითადად მიმართულია ემპირიული მასალის ინტერპრეტაციის შიდაენობრივი და გარეენობრივი ასპექტების აღწერასა და ანალიზზე.

ტექსტის ინტერნულ ფაქტორებად მიჩნეულია:

- გრაფიკული დონე: ლეიაუტი;
- ტექსტის მოცულობა;
- ტექსტის სტრუქტურის ნიმუში: ცალკეული ტექსტების თანამიმდევრობა;
- ტექსტის დაყოფის სიგნალები;
- ლექსიკის შერჩევა: ტიპური ლექსემები;
- წინადადებების აგებულების სახეობები და სისშირე. გრამატიკული კატეგორიები;
- თემა-რემატული დანაწევრება;

ტექსტის ექსტერნულ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- ტექსტის ფუნქცია;
- საკომუნიკაციო მედიუმი: პირისპირ საუბარი, წერილი, საგაზეთო სტატია/წიგნი და მისთ.
- საკომუნიკაციო სიტუაცია, მოქმედების კერძო, ოფიციალური, საზოგადოებრივი სფეროები. (109, 36-37)

ტექსტის შიდაენობრივი ფაქტორებიდან დისერტაციაში წინ წამოწეულია ნარატიული ტექსტების გრამატიკული, სტილისტიკური და სემანტიკური მახასიათებლები, ხოლო გარეენობრივ ექსტერნული ასპექტებიდან გათვალისწინებულია დისკურსის ინტეგრანტების სოციალურ-კულტურული ფონი, საკომუნიკაციო მედიუმი, გრაფიკული დონე.

ტექსტში გრამატიკული ასპექტების კვლევა ორ დონეს მოიცავს: ერთი მხრივ, მთლიან ტექსტში ბმულობის საშუალებების აღწერას, ხოლო მეორე მხრივ, ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შიგნით არსებული კავშირების დადგენას.

(17, 8). ცალკეული ინტეგრანტების ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია კოჰეზიის საშუალებების აღწერა, რომლებიც უშუალოდ კავშირშია ენობრივ გამოხატულებასთან. ტექსტში თემის განვითარება და მისი სტრუქტურის ორგანიზება კოჰერენციის საშუალებით არის განხორციელებული, ხოლო ტექსტის ზედაპირული, ენობრივ-ფორმალური გადაბმა კოჰეზიის საშუალებით ხდება. კოჰეზია მოიაზრებს ისეთ მიმართებებს, როგორცაა რეკურენცი, ლექსიკური კოჰეზია, ხოლო კოჰერენცი წარმოადგენს დროისა და კილოს ასპექტებს, კონექტორებს, წინადადებების ბმულობას, აბზაცების ლოგიკურ გადასვლას ერთმანეთში, გრამატიკული ერთეულების კონსტელაციას მთელ ტექსტში და ა.შ.

ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაცია ორი მიმართულებით წარიმართება. ერთია ლექსიკური დონეების ელემენტების ცოდნა, რომლებიც შეესაბამება ამავე დონეების ელემენტების ენის სისტემას და მეორეა ლექსიკური დონეების ელემენტებით გაშუალებული ტექსტის სემანტიკა, რომელიც არ უდრის ამ დონის ელემენტების მნიშვნელობათა უბრალო ჯამს, არამედ ეს არის მთლიანი ტექსტის საზრისი, რომელსაც ამოკითხვა ესაჭიროება. ფრ.შლაიერმახერის მისეღვით ტექსტის ლინგვისტიკაში დამკვიდრებული ინტერპრეტაციული ტერმინი „დიფინაცია“ არის ტექსტის საზრისის ამოკითხვის უპირველესი ხერხი.

ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაციის ძირითადი ორიენტირია თემა, რომელიც ინტეგრანტის სემანტიკურ ღერძს წარმოადგენს და საზრისის ამოცნობის წინაპირობაა. დისკურსიულ ტექსტს საფუძვლად უდევს სინამდვილის ან ფიქციონალური სამყაროს ამბები. თემის საფუძვლეზე გაშლილ სტრუქტურაში ხორციელდება მთავარი თემის და ქვეთემების განვითარება. სემანტიკური ინტერპრეტაცია რამდენიმე ასპექტში შეიძლება წარიმართოს. იქნება ეს სიტყვის, წინადადების თუ ტექსტის დონე. სემანტიკის როგორც

ენათმეცნიერების დარგის კვლევის საგანს წარმოადგენს აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის მიმართება, რომელიც კონვერსიულია. (5, 336)

ყოველ ენაში უამრავ მნიშვნელობათა სიმრავლეები არსებობს, რომლებიც გამოხატავენ სამყაროში არსებული საგნებისა და მოვლენების ურთიერთმიმართებებს. სემანტიკური სტრუქტურა თავისებურია არა მარტო სხვადასხვა ენაში, არამედ ერთი ენის ფარგლებშიც. ყოველი ტექსტის სემანტიკური სტრუქტურა განსხვავებულია მეორისგან და ასახავს კონკრეტული საზოგადოების მატერიალური და სულიერი კულტურის რომელსამე სპეციფიკას. ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის კომპონენტებს შეადგენს კომპოზიციური ერთეულები - ნარატემები. საზრისის ამოცნობას ხელს უწყობს ისეთი მიმართებების აღწერა, როგორცაა იზოტოპია, პრესუპოზიცია, რეკურენცი.

ყოველი ენის სემანტიკური სისტემა ცვალებადია, რაც აიხსნება მნიშვნელობების უშუალო მიმართებებით გარეენობრივ სინამდვილესთან. ტექსტის ლექსიკური მნიშვნელობები იცვლება სოციალური და კულტურული ფაქტორების ზეგავლენით. ტექსტში მოცემული ინფორმაციის გარკვეული ნაწილი ხშირად იმპლიციტურადაა მარკირებული. მევლევარ/ინტერპრეტატორი უპირველეს ყოვლისა უნდა ფლობდეს წინარე ცოდნას და კომუნიკაციურ კომპეტენციას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ავტორის ინტენციისა და ტექსტის საზრისის ამოცნობა.

ფონური ინფორმაცია შეიცავს ენის სოციო-კულტურულ თავისებურებებს, რომლის ცოდნაც აუცილებელია ტექსტის აღსაქმელად. ტექსტი გარკვეული ისტორიული ეპოქის ნაყოფია. ყოველი ტექსტი განიხილება როგორც ერის კულტურისა და კულტურული ტრადიციების მატარებელი. თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკაში სულ უფრო და უფრო იზრდება ენისა და კულტურის ერთმანეთთან დაკავშირების მნიშვნელობა. სწორედ ენისა და კულტურის ურთიერთკავშირი წარმოადგენს ლინგვოკულტუროლოგიის კვლევის ობიექტს.

კულტურის მეცნიერებები სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ინგლისურ და ამერიკულ სკოლებში დაიბადა. კულტურული პროცესები და ურთიერთმიმართები საფუძვლიანად იცვლება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და პერსპექტივების კვალდაკვალ. ცივილიზაციებსა და კულტურებს შორის ახალი ურთიერთობები და ფორმები ყალიბდება, რაც აისახება ცალკეული კულტურების ენობრივ ქმედებებში.

თანამედროვე ეპოქაში კულტურის ცნება დაკავშირებულია ინგლისელი მოაზროვნის ფრენსის ბეკონის სახელთან, რომლის აზრით კულტურა ადამიანის და ბუნების ურთიერთქმედების შედეგია. კულტურის შესახებ თეორიულ მოსაზრებებს გამოთქვამენ ისეთი ფილოსოფოსები, როგორებიცაა **თ. ჰობსი, ი.გ. ჰერდერი, ვ. ფ. ჰუმბოლტი, ი. კანტი, მ. ფუკო, ვ. დილთაი** და ა.შ.

საზოგადოების კულტურული ასპექტები ენაში აისახება, ყოველი ენა თავისებურად აფიქსირებს სამყაროს. კულტურისა და კულტურული ტრადიციების ყურადღების ცენტრში სუბიექტი დგას მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ტექსტი საზოგადოების აზროვნების მოძრაობის ამსახველია. ლიტერატურული ტექსტი შეიძლება განხილულ იქნას როგორც კონკრეტული ერის კულტურისა და კულტურული ტრადიციების მატარებელი.

### **მეოთხე თავის დასკვნები**

1. დისკურსი როგორც ტექსტების ფორმაცია ღია სიდიდეა და შესაძლებელია განივრცოს ნებისმიერი ნარატიული ტექსტით, რომელიც ჰარმონიულ სემანტიკურ მიმართებაში იქნება აღნიშნული დისკურსის კონსტრუქციასთან.

2. სუიციდის დისკურსის ინტერპრეტაცია ეფუძნება ცალკეული ინტეგრანტების შიდაენობრივი და გარეენობრივი მახასიათებლების გამოვლენას. ტექსტების ინტერნულ ასპექტებში წინ წამოწეულია ტექსტის გრამატიკის, ტექსტის სტილისტიკისა და ტექსტის სემანტიკის ასპექტები, ხოლო ექსტერნულ ასპექტებში კვლევის ფოკუსი მიმართულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა კომუნიკაციური და სოციო-კულტურული ფონი.

თავი V  
ემპირიული მასალის ინტერპრეტაცია

ტექსტი I: შტ. ცვაიგის ნოველა  
„ლეპორელა“ (Leporella)

**5.1. „ლეპორელა“ ინტერტექსტი თუ სუიციდის ინტეგრანტი?**

ემპირიული მასალის ინტერპრეტაცია მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. საკითხი უფრო რთულდება, როცა საქმე დიდი მოცულობის ტექსტებს ეხება. ტექსტის საზრისის დადგენა რამდენიმე მიმართულებით შეიძლება წარიმართოს, თუმცა მხოლოდ მთლიანი სტრუქტურის დონეზე არის შესაძლებელი ტექსტის სრულყოფილად გაგება და განმარტება. დისკურსიული ტექსტების ინტერპრეტაციისას, ერთი მხრივ, უნდა გამოიყოს ტექსტის შიდაენობრივი ასპექტი, რომელიც მოიაზრებს ტექსტის აღწერას სემანტიკურ, სტილისტიკურ და გრამატიკულ დონეზე, ხოლო მეორე მხრივ, გარეენობრივი ასპექტი, რომელიც მოიცავს თითოეული ინტეგრანტის გრაფემულ-გრაფიკულ, არქიტექტონიკურ მხარეს, კომუნიკაციურ გარემოს და სოციალურ-კულტურულ ფონს. ემპირიული მასალის ტექსტოლინგვისტიკური ინტერპრეტაციის შემდეგ შევეცდებით შედარებითი მეთოდის მოშველიებით გამოვკვეთოთ ის კონვერგენტული და დივერგენტული პარამეტრები, რომლებიც აერთიანებენ ან განასხვავებენ სუიციდის დისკურსის ამ ორ ინტეგრანტს.

პირველ საინტერპრეტაციო ტექსტად შერჩეულია **შტეფან ცვაიგის ნოველა „Leporella“**. ემპირიული მასალის ანალიზისას მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა სახის ტექსტთან გვაქვს საქმე: მხატვრულ ნაწარმოებთან, სამეცნიერო თუ სიტუაციურ ტექსტთან (**Textsorte**). ამ კონკრეტულ შემთხვევაში საინტერპრეტაციო მასალას წარმოადგენს სუიციდის დისკურსის ერთ-ერთი ინტეგრანტი. ტექსტის ლინგვისტიკას აინტერესებს, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი ტექსტის ლექსიკურ-გრამატიკული და სემანტიკური მთლიანობა. მხოლოდ მთლიანი ტექსტის სტრუქტურის დონეზე შეიძლება ტექსტის საზრისის დივინაცია. ენობრივი ნიშნები და სტრუქტურული მახასიათებლები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ტექსტის მთლიანობაში განხილვის გარეშე შეუძლებელია მათი ინტერპრეტაცია.



ნოველაში შერჩეულია ადამიანის ცხოვრების დრამატული მომენტები, კრიტიკული სიტუაციები, როდესაც ფსიქიკური კონფლიქტი კრიზისს წარმოშობს და მას აქტანტი თვითმკვლელობამდე მიჰყავს. შტეფან ცვაიგის მხატვრულ სტილზე უშუალო ზეგავლენა მოახდინა ვენის ლიტერატურულმა სკოლამ, სადაც მოღვაწეობდა ფსიქონალიზის მამამთავარი ზიგმუნდ ფროიდი. შტ. ცვაიგი ფსიქონალიზის თეორიის გარდა სწავლობდა ფილოსოფიას, რომანისტიკასა და გერმანისტიკას.

ზოგადად, ნარატიული ტექსტის სიუჟეტი არის ფიქციონალურ ხდომილებათა ჯაჭვი, გარემოებათა ურთიერთმონაცვლეობის ბირთვი. მთავარი თემის უბრალოდ დასახელება და განსაზღვრა არ იძლევა სრულ წარმოდგენას ნარატიულ ტექსტზე. ამიტომაც, ტექსტის ინტერპრეტაციისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნოველის მოკლე შინაარსის გადმოცემა.

ნოველა მოგვითხრობს უსახურ და გონებაჩლუნგ გლეხ ქალზე, რომლის სრული სახელი და გვარია კრესჩენცია ანა ალოზია ფინკეჰუბერი. უკანონოდ შობილი კრესჩენცია ცხოვრობდა ტიროლის პატარა სოფელ ცილერთალში. გლეხის ქალი პირუტყვს არა მარტო გარეგნული ნიშნებით ჰგავდა, არამედ მანერებითაც. უკანონოდ შობილი თემმა აღზარდა. თორმეტი წლიდან უკვე შინამოსამსახურედ მუშაობდა, შემდეგ ჭურჭლის მრეცხავად, ბოლოს კი მზარეულად ერთ-ერთ კეთილმოწყობილ სასტუმროში. კრესჩენცია მთელ დღეს მძიმე შრომაში ატარებდა მხოლოდ იმისათვის, რომ თვის ბოლოს კიდევ ერთი კუპიურა მიემატებინა თავისი ქისისათვის, რომლის ადგილსამყოფელი არავინ იცოდა. მხოლოდ ფულისათვის დატოვა ამ გონებაჩლუნგმა არსებამ მშობლიური ტიროლი და დიდ ქალაქში გადავიდა შინამოსამსახურედ. ბარონის მხრიდან ნახევრად ხუმრობით წამოწყებული შემთხვევითი საუბრის შემდეგ კრესჩენცია ქვეშეცნეული გრძნობით განიმსჭვალა ახალგაზრდა, ლამაზი, ქარაფშუტა მამაკაცის მიმართ. ამ უცხო გრძნობამ ქალი მთლიანად დაიმორჩილა. ბარონის მიმართ ძალღვივით ერთგული და მორჩილი, ბარონესას მიმართ მტრობასა და სიძულვილს ვერ მალავდა. ეს გრძნობა გლეხის ქალს აზარტულ გატაცებად ექცა, რამაც არა მარტო ავი დიასახლისი იმსხვერპლა, არამედ სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ თავად კრესჩენციაც.

ტექსტის მრავალგანზომილებიანი მოდელის აღიარება თითქოს საფუძველს იძლევა სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე ნოველა–„ღეპორელა“ ჩაითვალოს ინტერტექსტად, თუმცა არც ის არის გამორიცხული, მას სხვა

კვალიფიკაცია მიეცეს. დისერტაციაში უკვე იყო მსჯელობა დისკურსისა და ინტერტექსტის ურთიერთმიმართებაზე და ამ პრობლემაზე აღარ შევჩერდებით.(იხ.გვ.55) ჩვენ მხოლოდ შევეცდებით დავასაბუთოთ, რატომ მივიჩნევთ ნოველას არა ინტერტექსტად, არამედ სუიციდის დისკურსის ინტეგრანტად.

1. ნოველის ძირითადი თემა და სემანტიკური ბაზისი, რაზედაც აგებულია ტექსტი არის თვითმკვლელობა და არა ის, რომ მთავარი აქტანტი ძალღივით ერთგული მსახურია ბარონისა ისევე, როგორც დონჟუანისა ამავე სახელის მსახურისა.

2. თუ ინტერპრეტაციის საგნად ავირჩევდით ლეპორელას ხასიათს ამ ერთ-ერთი ნიშნის მიხედვით, საჭირო იქნებოდა დონჟუანის მხატვრული სახის აქტუალიზება, ამ თემაზე შექმნილი თქმულების, ლიტერატურული თუ მუსიკალური ნაწარმოებების განხილვა, ნოველის მათთან შედარება და ტექსტოლინგვისტიკური ინტერპრეტაციის პრინციპების საფუძველზე დასაბუთება, რომ ნოველა ინტერტექსტია. ამ პირობების გათვალისწინებით არც ეს არის გამორიცხული, რადგან ყოველ მკვლევარ-ინტერპრეტატორს აქვს ასეთი არჩევანის უფლება.

3. დისერტაციაში კვლევის პრინციპად არჩეულია სემანტიკური ბაზისი, რომელიც აერთიანებს ნოველას ზოგადად სიკვდილის დისკურსში. ძალღივით ერთგულება პატრონის მიმართ ამ ნოველის მეორეხარისხოვანი თემაა, რადგან ეს მთავარი აქტანტის მხოლოდ ერთ-ერთი და არა ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია, რომელიც სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობებს მის თვითმკვლელობას. ნოველაში წინა პლანზეა წამოწეული კონკრეტული ხდომილებრივი სიტუაცია, ტექსტი აგებულია ძირითადად ერთ სიუჟეტურ ხაზზე.

ჩვენი აზრით, ძირითადი თემატური ღერძი, რომელზედაც აგებულია ნოველა სწორედ მთავარი აქტანტის თვითმკვლელობაა, რომლის გამომწვევი მიზეზები მოსაძიებელია იმ სოციო-კულტურულ გარემოში, რომელშიც გადის ტექსტის მთავარი აქტანტის ყოფიერების გზა.

## **5.2. სემანტიკური ინტერპრეტაცია.**

ინტეგრანტის სემანტიკური ინტერპრეტაციის ძირითადი კომპონენტია პლოტი, ტექსტის თემის განვითარება კომპოზიციური ერთეულების /ნარატემებისა და თემა-რემატული პროგრესის მიხედვით, მთავარი აქტანტების ტოპიკალური

ჯაჭვები, სიტყვაწარმოების საშუალებები, სუიციდის აღმნიშვნელი სიტყვების ქსელი.

ტექსტის დისკრეტაციის მარტივი ტრადიციული მოდელის მიხედვით ნოველა იყოფა სამ ძირითად კომპოზიციურ ნაწილად. ესენია:

- **ტექსტის დასაწყისი**, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია მთავარი თემის შესახებ;

- **ძირითადი ნაწილი**, სადაც იშლება ტექსტის სიუჟეტი;

- **დასასრული**;

ტექსტის გრაფემულ-გრაფიკული და არქიტექტონიკური ფენების კომპონენტები არ არის თვალშისაცემად გამოკვეთილი. თუ არ ჩავთვლით ორ-ორი ინტერვალით გამოყოფილ ორ მონაკვეთს. ვიზუალურად აღქმადი ძირითადი ერთეულები მხოლოდ სათაურია და აბზაცები. რაც შეეხება კომპოზიციურ სტრუქტურას, სათაურისა და აბზაცების მეშვეობით მაინც შესაძლებელი ხდება ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის საფეხურებრივ განვითარებაზე დაკვირვება და კომპოზიციური ერთეულების, ნარატემების გამოყოფა. თითოეული ნარატემის მიხედვით საფეხურებრივად იშლება და ვითარდება ნოველის მთავარი თემა.

ტექსტის პირველ ნარატემაში კრესჩენცია ტოვებს მშობლიურ ტიროლს და ქ. ვენაში ბარონთან ეწეობა შინამოსამსახურედ.

**მეორე ნარატემაში** შემოდის ნოველის სხვა აქტანტები; ახალგაზრდა ბარონი, რომელიც არც გვარიშვილობით გამოირჩეოდა და არც სიმდიდრით. თვითგადარჩენის მიზნით იგი ქორწინდება მდიდარი მეფაბრიკის ხანდაზმულ ქალიშვილზე. ეს ქორწინება თავიდანვე განწირულია. ძალზე დაუდევარი და აღვირახსნილი, თუმცა კეთილი ბარონი, ქორწინების პირველი დღეებიდანვე საკუთარ ახალგაზრდულ გატაცებებს უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ვიდრე სქელკისერა, ზორბა და ანგარიშიან მეუღლეს.

**მესამე ნარატემაში** კიდევ უფრო მატულობს დაძაბულობა. მკითხველ/ინტერპრეტატორი ცდილობს შეკრას ნოველის სიუჟეტური კვანძი, რომლის გახსნა ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციით არის შესაძლებელი. კრესჩენციას პირველად მიეცა ადამიანთან ნორმალური ურთიერთობის შესაძლებლობა. ბარონთან ფამილარულმა საუბარმა, მოფერებითმა სახელმა „ჩენციმ“ თავგზა აუბნია უსახურ გლეხის ქალს და მის ქცევაში წინა პლანზე წამოწია ქვეცნობიერი ინსტიქტები, გაურკვეველი ფსიქიკური კონფლიქტები, რამაც დანაშაულამდე მიიყვანა იგი. **მეოთხე ნარატემაში** ხელახლა იკვეთება

და ახალი ინფორმაციით ივსება პრესიგნალი, რომელიც სათაურის სახით არის შემოთავაზებული. ზედსახელი- „ლეპორელა“ კრესჩენციას ბარონის მორიგმა საყვარელმა შეარქვა.

**მესუთე ნარატემაში** ნელ-ნელა მწიფდება ლეპორელაში ის ზრახვები, რამაც საბოლოოდ დაღუპა და გაანადგურა არა მარტო თავად იგი, არამედ სულიერი დარტყმა მიაყენა ახალგაზრდა ქარაფშუტა არისტოკრატ ბატონს.

**მექვსე ნარატემაში** შემოდის კიდევ ერთი აქტანტი, ჭადარათმიანი, დინჯი, მოსამსახურე მამაკაცი, რომლის გამოჩენამ საბოლოოდ მოშალა და გაანადგურა ეს სულიერად ავადმყოფი ქალი. ნოველა სრულდება ერთი წინადადებით:

**„ Und erst als der Polizeibericht am nächsten Tage den selbstmörderischen Sturz einer etwa vierzigjährigen Frau von der Brücke des Donaukanals meldete, mußten die beiden nicht länger fragen,wohin Leporella geflohen sei” (126, 436)**

ნოველაში დაწვრილებით არ არის აღწერილი აქტანტის თვითმკვლელობის ამბავი. მხოლოდ დივინაციის მეშვეობით შეგვიძლია აღვადგინოთ დეტალები თუ მინიშნებები და გამოვიყვანოთ სათანადო ინფერენცი. მართალია გრაფიკულად მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი ნოველის არქიტექტონიკური მხარე, რომელიც დაგვეხმარებოდა კომპოზიციის კომპონენტების გამოყოფაში, მაგრამ ხელოვნური დისკრეტაცია ნარატემებად შესაძლებელს ხდის კომპოზიციური სტრუქტურის გამოსახვას და პლოტის გამოკვეთას:

**პრესიგნალი**

|   |
|---|
| ტექსტის დასაწყისი   |
| <p><b>პლოტი</b></p> <p><b>ტექსტის მაკროსტრუქტურა</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ნარატემა –(გვ. 408-411)</li> <li>2. ნარატემა –(გვ. 411-413)</li> <li>3. ნარატემა –(გვ. 413-418)</li> <li>4. ნარატემა –(გვ. 418-422)</li> <li>5. ნარატემა –(გვ. 422-427)</li> <li>6. ნარატემა –(გვ. 427-436)</li> </ol> |

## ტექსტის დასასრული

ნოველა მონოთემატურია, სათაური წარმოადგენს პრესიგნალს, რომელიც გამოხატულია საკუთარი არსებითი სახელით. მას ერთგვარი ფუნქციური დატვირთვა აქვს, რადგან იგი ინტერპრეტატორს საშუალებას აძლევს წინარეცოდნის საფუძველზე გარკვეული წარმოდგენა შეიქმნას მთავარ აქტანტზე. ტექსტის პრესიგნალით გამოწვეული მოლოდინი კომუნიკანტს სანახევროდ უცრუვდება, თუმცა ტექსტის პლოტის განვითარებასთან ერთად იგი შეძლებს პარალელი გაავლოს შტ. ცვაიგისა ლეპორელასა და „დონჟუანის“ ამავე სახელის მქონე პერსონაჟს შორის. აქვე შევნიშნავთ, რომ ნოველის პრესიგნალი ინტეგრირებულია ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურაში და შესაძლებელია იგი აღვიქვათ როგორც ქვეთემა.

აქტანტთა ძირითადი რიცხვი სამს არ აღემატება. პირველ აქტანტს ავტორი გვაცნობს პირველსავე ნარატემაში სრული სახელით, გვართ, შერქმეული ზედსახელით და წარმომავლობით. მეორე აქტანტი წარმოდგენილია სოციალური ფენის აღმნიშვნელი სიტყვით და ინიციალით - F, ხოლო მესამესი მხოლოდ წარმომავლობა სახელდება.

ნოველის პირველსავე წინადადებაში მთავარი აქტანტი შემოყვანილია ნაცვალსახელით **sie**, რომელიც ტექსტის დასაწყისში ასრულებს კატაფორულ ფუნქციას და მიუთითებს შემდგომ ქმედებებზე. შერწყმულ წინადადებაში ნაცვალსახელი წარმოადგენს იდენტურობის მინიშნების საშუალებას.

„ **Sie** hieß mit ihrem bürgerlichen Namen **Crescentia Anna Aloisia**

**Finkhuber**, war neununddreißig Jahre alt, stammte aus unehelicher Geburt und einem kleinen Gebirgsdorf im Zillertal “ (126, 408)

მთავარი აქტანტის მეშვეობით იწყება ტექსტთან გაცნობა და სრულდება ტექსტი. ნაცვალსახელი **sie** უზრუნველყოფს წინადადებების ცალკეული ნაწილების ტექსტად შეკავშირებას. ცნებები **კატაფორა** და **ანაფორა** ტექსტის ფორიკის სახეობებია. პირველი არის ენობრივი ელემენტი, რომელიც ვერბალურ გამოხატულებაში შემდგომ ინფორმაციაზე მიანიშნებს. იგი კომუნიკანტს უღვივებს ინტერესს მომდევნო გამონათქვამის მიმართ. რაც შეეხება ანაფორას,

ფორიკის ეს სახეობა მოცემულია ტექსტის მომდევნო მონაკვეთში და მიუთითებს წინა მონაკვეთისა თუ გამონათქვამის კონკრეტულ ერთეულზე.

**„In diesen Tagen erhielt Crescenz auch ihren neuen Namen. Jene muntere Opernelevin, die gerade die Donna Elvira studierte und scherzhaft ihren zärtlichen Freund zum Don Juan zu erheben beliebte, hatte einmal lachend zu ihm gesagt: „Ruf doch deine Leporella herein“ (126, 420)**

მოყვანილ მაგალითში ანაფორული ერთეულია ihren neuen Namen, რომელიც განსაზღვრავს და ენაცვლება საკუთარ სახელს Crescenz. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ანაფორასა და მის მიერ მითითებულ სიტყვას შორის არ არსებობს გრამატიკული შეთანხმება, კერძოდ **Crescenz** ქვემდებარეა ნომინატივში, ხოლო **ihren neuen Namen** პირდაპირი დამატება.

ნოველის მთლიანი ქსოვილის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ფაქტორია ტექსტის თემა-რემატული სტრუქტურა. ამ თვალსაზრისით თემად შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტის დასაწყისი, ხოლო პირველი ნარატემა რემად. თემაში მოცემულია უკვე ნაცნობი ინფორმაცია, რემაში კი ახალი ინფორმაცია. რემას შემოჰყავს ახალი შინაარსები, ძლიერდება დაძაბულობა და ადრესატს ყურადღების მოდუნების საშუალება არ ეძლევა. თემა – რემატული ოპოზიციები განაპირობებენ ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურას. პირველი ნარატემა თემაა, ხოლო მეორე რემა. შესაძლებელია თემა არის ექსპლიციტურად დასახელებული ან იმპლიციტურად ნაგულისხმევი. პირველ ნარატემაში სახელდება თემა: ნოველის მთავრი აქტანტის სახელი და გვარი. პირველ რემად შეიძლება ჩავთვალოთ მისი წარმომავლობა და ასაკი. შემდეგ ფიქსირდება მეორე რემა, კერძოდ აქტანტის ფიზიკური დახასიათება. ანალოგიურად შეიძლება დაიყოს მთელი ტექსტი.

სუიციდის აღმნიშვნელი ლექსიკა ნოველაში ნაკლები სიხშირით გვხვდება. ეს არ შეიძლება ნოველის ნაკლად ჩაითვალოს. მთავარი აქტანტი ლეპორელა წარმოდგენილია როგორც პირველყოფილი ადამიანი – არც ცხოველი და არც გონიერი არსება. ლეპორელას მეტყველებიდან, რომელიც უფრო უტყვია ვიდრე მეტყველი, ჩანს, რომ ეს საცოდავი, მახინჯი გლეხის ქალი არ გამოირჩევა აზროვნების სიღრმითა და ზეამადლებული გრძნობების სიფაქიზით. ის არ შეიძლება თავისი არსების შესაბამისად თვითმკვლევლობაზე ფიქრობდეს და

ღრმა განსჯებში იძირებოდეს. ნოველის ნარატემებში სავსებით ლოგიკურია ამ აქტანტის გაქვავებული, უგრძობი, უსულო ბუნების აქცენტირება.

მხოლოდ უცნობი ქალის თვითმკვლელობის აქტის პრესაში დაფიქსირების შემდეგ ჩნდება ნოველაში სუიციდის შესაბამისი ლექსიკური ერთეულები. თუმცა იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ ტექსტის მთელ სტრუქტურაში არის სუიციდზე მინიშნებები იმპლიციტურად ამ ქმედების აღმნიშვნელი ენობრივი ერთეულების დასახელების გარეშე. გარკვეული ქცევა რაღაც ალბათობის გამოვლინებაა. ხშირად ქცევის რომელიმე ფორმის საფუძველში არსებული მიზეზების ზუსტი ახსნა საშუალებას აძლევს მკვლევარს იწინასწარმეტყველოს აქტანტის მომავალი ქცევა. მდინარის არხის ნაპირზე მდგომი ლეპორელა, დაჰყურებს წყლის დინებას, როგორც რაღაც ნაცნობს:

**„An ihrem ersten Wiener Ausgangstag ,versuchte sie einen Spaziergang...**

**gelangte sie bloß bis zum Donaukanal; dort starrte sie das strömende Wasser an wie etwas Bekanntes, machte kehrt und stapfte auf demselben Wege, immer an den Häusern entlang und die Fahrstraße ängstlich vermeidend,wieder zurück.”**

(126, 411)

„ნაცნობის” დივინაცია იმაზე მიანიშნებს, რომ ეს მდინარე აქტანტის ბუნებისათვის უცხო არ არის და შესაძლოა სათანადო სიტუაციაში ის მოეველინოს მსსნელად.

მესამე ნარატემაში გვხვდება მეორე მაგალითი „**freiwillig hörig**” (ნებაყოფლობით მორჩილი). ეს შესიტყვებაც აქტანტის ბუნების ადეკვატურია: მისი დივინაცია იმაზე მიანიშნებს, რომ იგი ბედისწერას წინააღმდეგობას არ გაუწევს და ნებაყოფლობით დაემორჩილება. ანალოგიურად შეიძლება ინტერპრეტაცია შესიტყვებისა „**ein tödlicher Schuß**” (სასიკვდილო გასროლა). ასეთია მეტაფორული გამოთქმა ლეპორელას მეტყველების დასახასიათებლად, როცა მას ბარონი ატყობინებს ბარონესას სახლში დაბრუნების ამბავს.

ტექსტში ბარონესას სიკვდილის მიზეზიც არ არის ექსპლიციტურად წარმოჩენილი. არ ჩანს ვინ გახსნა გაზის ონკანი, რამაც გამოიწვია ქალის გაგუღვა. მხოლოდ ინტერპრეტატორს შეუძლია დივინაციის ხერხის მოშველიებით გამოიყვანოს სათანადო ინფერენცი. სიკვდილის მიზეზი უნდა ყოფილიყო ლეპორელა, რის დასკვნის საშუალებასაც იძლევა მისი მტრული დამოკიდებულება და გამომწვევი ქცევა ბარონესას მიმართ.

**„Die Schultern bockig vorgestemmt,stand sie hölzern da und beantwortete**

**dermaßen unwirsch alle Fragen, daß sich die Ungeduldige bald von ihr abwandte: In den Rücken der Ahnungslosen aber stieß Crescenz mit einem einzigen Blick den ganzen aufgespeicherten Haß.” (126, 425)**

ანალოგიურია ტექსტის ბოლო ნარატემაც. ბარონსა და მის ახალ მსახურს ტექსტის დასკვნითი ნაწილში ადეკვატური ინფერენცი გამოჰყავთ პოლიციის შეტყობინების საფუძველზე.

**„Und erst als der Polizeibericht am nächsten Tage den selbstmörderischen Sturz einer etwa vierzigjährigen Frau von der Brücke des Donaukanals meldete, mußten die beiden nicht länger fragen, wohin Leporella geflohen sei.” (126, 436)**

რაც შეეხება უშუალოდ სუიციდის აღმნიშვნელ ენობრივ ერთეულებს, ისინი ტექსტში ფიქსირდებიან მეხუთე და მეექვსე ნარატემებში, რომლებიც ნოველის წინა ნაწილიდან ორი ინტერვალით არის გამოყოფილი. ეს ერთეულებია:

**„ die selbstmörderische Absicht;  
den Selbstmord zu Protokoll genommen (126, 427)  
hat sich umbracht (126, 428)  
den selbstmörderischen Sturz einer etwa vierzigjährigen Frau von der Brücke des Donaukanals meldete, mußten die beiden nicht länger fragen, wohin Leporella geflohen sei.”( 126, 436)**

სიკვდილის აღმნიშვნელი ენობრივი ერთეულების ქსელიდან ნოველაში გვხვდება რამდენიმე, კერძოდ:

**den Totenvogel (126, 430)  
die Leiche (126 , 428)  
die war einen Mord imstande (126 , 438)  
wie ein Totenschädel (126, 434)**

სუიციდის აღმნიშვნელი ლექსიკურ - სემანტიკური ქსელის ეს შეზღუდულობა არ შეიძლება ჩაითვალოს ნოველის ნაკლად, რადგან ეს საკვებით შეესაბამება პროდუცენტის (ავტორის) ინტენციას, ისე განაღავოს ნარატემებში აქტუალური ლექსიკურ-სემანტიკური მასალა, რომ კომუნიკანტის (მკითხველი) მოლოდინი დაიძაბოს და კვანძის გახსნა უფრო ეფექტური იყოს.

ნოველაში უხვად არის გამოყენებული სიტყვაწარმოების სხვადასხვა საშუალება. ერთეულები, რომლებიც შედგება ორი ან სამი დამოუკიდებელი



მნიშვნელობის მატარებელი სიტყვისაგან ერთ მთლიანობად იკვრებიან და ქმნიან კომპოზიტს. ავტორი ქმნის ოკაზიონალურ კომპოზიტებს, რომლებსაც არ აქვთ ლექსიკალიზებული ერთეულების სტატუსი. მაგალითად, **das Dienstbotenbuch, die Mauleselart, das Fünfminutengespräch;**

სემანტიკურ მთლიანობას ტექსტში უზრუნველყოფს კოჰერენცი, რომელიც ტექსტის კონსტიტუენტების გადაბმის საშუალებას წარმოადგენს. კოჰერენცი არის „სემანტიკური მიმართებების კონსტელაცია, ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის საფუძველი, ტექსტის სემანტიკური ორგანიზაცია“. (18, 47). სემანტიკური გადაბმის საშუალება შეიძლება რამდენიმე სახის იყოს: ასე მაგალითად, ძველი ინფორმაციის თემატიზაცია, შედეგობრივი რელაცია, ტემპორალური ფაქტორისა და წინა პირობების გათვალისწინება, კითხვა-პასუხი. (114, 297) შედეგობრივი სემანტიკური მიმართება მყარდება არა მარტო ცალკეულ წინადადებებს შორის, არამედ აზნაცებსა და ნარატემებს შორის.

წინადადებებს შორის შედეგობრივი მიმართებაა ტექსტის შემდეგ მონაკვეთში:

**„Die Männer ließen ihr Ruhe, sei es, weil dies Vierteljahrhundert verbissenen Robotens alles Weibliche von ihr weggeschunden, sei es, weil sie stockig und maulfaul jede Annäherung abwirschte.“(126, 409)**

მამაკაცები ლეპორელას არ აწუხებდნენ, რადგან ყოველივე ქალური მისი არსებიდან განდევნილი იყო. მიზეზ-შედეგობრივ მიმართებას გამოხატავს მაგალითი, რომელშიც არსებული ვითარების გამომწვევი მიზეზები მომდევნო დამოკიდებულ წინადადებაში სახელდება: „**Jetzt geh, brave Cenzi,**“- ბარონის ამ მიმართვამ და ფამილარულმა ქესტმა განაპირობა ლეპორელას მომდევნო ქმედებები. იმ დღიდან მოყოლებული კრესჩენციას დახშულ სამყაროს, რომელიც მხოლოდ ხუთი წეს-ჩვეულებით (ფული, ბაზარი, სადილის მომზადება, ეკლესია და ფულის შეგროვება) შემოიფარგლებოდა, დაემატა უჩვეულო გრძნობა, რაც თავდაპირველად ბარონის ტანსაცმლის მოვლა-პატრონობაში გამოიხატებოდა, შემდეგ ბარონესას მიმართ ეჭვიანობაში და საბოლოოდ მის მიერ ჩადენილ დანაშაულში. ამ ფაქტებიდან ნათლად ჩანს შედეგობრივ მიმართებათა ქსელი არა მარტო წინადადებებს შორის, არამედ მთლიანი ტექსტის ნარატემებს შორის. ერთი კონკრეტული წინადადებისა და ქცევის შედეგია ნარატემების სიუჟეტური ხაზის განვითარება და ზოგადად ნოველის ფინალური სცენაც.

ნოველაში უხვად გვხვდება კომპოზიციური სიგნალები, რომელთა ფუნქციებს ასრულებენ ზმნიზედები, წინდებულებიანი არსებითი სახელები,

შესიტყვებები და თავად წინადადებები. რაც შეეხება კონექტორებს, ისინი ფუნქციონირებენ წინადადებების შიგნით და განაზოგადებენ რეალურ სამყაროში არსებულ დამოკიდებულებებს. (als, wie, denn, etwas, weil, einzig, während;) ტექსტში წინადადებები ერთმანეთს მისდევენ და ჯაჭვის რგოლებით არიან გადაბმული. სხვადასხვა ენობრივი ერთეულები რეფერენციულად იდენტურნი არიან, რადგან ერთი და იმავე საგანს ასახელებენ. ტოპიკები ახორციელებენ ტექსტის ბმულობას. ემპირიულ მასალაში გამოიყოფა რამდენიმე ტოპიკალური ჯაჭვი. პირველი ტოპიკალური ჯაჭვი იქმნება პირველსავე აბზაცში, რომლის რეფერენტია – *Crescentia*:

**„Sie- Crescentia Anna Aloisia Finkenhuber-ih-Sie-sie-sie- Chenzi “** და .ა.შ მეორე ტოპიკალური ჯაჭვს ტექსტის მეორე ნარატემაში ქმნის რეფერენტი–**Freiherr**:

**„Freiherr-Ehemann-seinen-seiner-er-ihm-er-seine-er“** და ა.შ.

ანალოგიურად არის შესაძლებელი ნოველის სხვა აქტანტების ტოპიკალური ჯაჭვების გამოყოფა. საინტერესოა, რომ მთელ ტექსტში დომინირებს მთავარი აქტანტის ტოპიკალური ჯაჭვი, რომელიც ქმნის ლეპორელას როგორც ფსიქოლოგიურ პორტრეტს, ასევე მისი შინაგანი სამყაროს სურათს.

**ტოპიკალური ჯაჭვი, რომლის რეფერენტია –ლეპორელა:**

**„ Sie- Crescentia-ähnlich einem abgetriebenen, starkknochigen,dürren Gebirgspferd-als uneheliches Kind- an ihre eigene klobige spitz ausfahrende Gestalt war sie tierhaft-dies dumpfe Geschöpf- ihre klotzige Bauernstirn-wie die Kuh vor dem Automobil- schlief wie ein Tier- wie ein Droschkengaul-wie ein Dreschflegel... “.**

ტოპიკალური ჯაჭვების სემანტიკურ რგოლებს ქმნიან პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები, განსაზღვრებები, კომპოზიციები.

ამრიგად, ნოველის სემანტიკური ინტერპრეტაცია შესაძლებელია მრავალ ასპექტში წარიმართოს. სემანტიკური კატეგორიების მეშვეობით ხორციელდება ტექსტის მთლიანი სურათის შექმნა. ტექსტის გაგებისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისეთი კატეგორიები, როგორცაა ანაფორული და კატაფორული მიმართებები, ტოპიკალური ჯაჭვები და სიტყვაწარმოების საშუალებები.

### 5.3. სტილისტიკური ინტერპრეტაცია.

სტილისტიკური ინტერპრეტაციისას ყურადღება მახვილდება ტექსტის მთლიან სტილზე, რეგისტრზე, ენობრივ პორტრეტზე. თუ სტილისტიკის განვითარების საწყისს ეტაპზე სტილის ანალიზი მხოლოდ სიტყვას ან წინადადებას მოიცავდა, ახალმა მიდგომამ სტილი ტექსტს დაუკავშირა და მისთვის დაწესდა წარმოაჩინა, რომლის გამოვლენა მხოლოდ და მხოლოდ ტექსტებშია შესაძლებელი. თავად ჰაიმან შტაინთალიც ინტერპრეტაციის ერთ-ერთ საფეხურად სტილისტიკურს გამოყოფს, რომლის მიზანია ენობრივი წარმონაქმნის მთლიანობაში გაანალიზება და ჩვენება, თუ როგორ იკვეთება ტექსტის საზრისი ამ საფეხურზე.

თუ ტექსტს დავაკვირდებით, მასში თხრობის რამდენიმე რეგისტრი გამოიყოფა. ტექსტის დასაწყისს სტატიკური რეგისტრი ახასიათებს, რომელიც განპირობებულია ნომინალური სტილით, თხრობა საკმაოდ მდორეა. მოქმედება ფაქტიურად არ ვითარდება. ნარატემაში სხვადასხვა რეგისტრია დაფიქსირებული. სტატიკურ რეგისტრს ცვლის დინამიკური რეგისტრი, სადაც ვერბალური სტილი დომინირებს.

სტატიკური რეგისტრი:

**„Vom Halfter der Arbeit gelöst, pflegte Crescenz, die knochigen Hände lose ineinander gefaltet, mit abgeschragten Ellbogen dumpf vor sich hinzudösen, wie Tiere im Stalle stehen, mit gleichsam eingezogenen Sinnen.“ (126, 408)**

დინამიკური რეგისტრი:

**„ Um fünf Uhr morgens stand die Crescenz dort tagtäglich auf, werkte, fegte, putzte, feuerte, bürstete, räumte, kochte, knetete, walkte, preßte, wusch und prasselte bis spät hinein in die Nacht.“ (126, 409)**

**„ ...wieder heim, fegte, feuerte und räumte an dem neuen wie an dem früheren Herd, ohne eine Veränderung zu bemerken.“ (126, 410)**

**„ Sie lief durch Zimmer hin und her, Treppen auf und ab, ..., packte unaufgefordert alle Koffer und schleppte sie mit eigener Hand zum Wagen “ (126, 418)**

ნოველის ტექსტის დასაწყისი საკმაოდ დიდი მოცულობისაა. იგი შედგება სამი მოზრდილი აბზაცისაგან, რომლებშიც გადმოცემულია ინფორმაცია მთავარ აქტანტზე. ეს არის არა მარტო ბიოგრაფიული მონაცემები, არამედ სათანადო სტილში დახატული ქალის ფიზიკური და ფსიქოლოგიური პორტრეტი.

ტექსტის პირველსავე ნარატემაში მონიშნულია მთავარი აქტანტის ცხოვრების გზა, რომელიც იწყება ბარონის სახლიდან და მთავრდება ხიდთან.

პირველი ნარატემა იწყება კომპოზიციური სიგნალით, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო ტექსტის შინაარსის ლოგიკურ ბმულობას, არამედ ნეგატიურ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ნოველის მთავარ აქტანტზე:

„ **Einzig des Geldes halber hatte auch dies dumpfe Geschöpf mit siebenunddreißig Jahren seine tirolische Heimat zum erstenmal verlassen.**“  
(126, 410)

ამავე ნარატემაში გრძელდება მთავარი აქტანტის როგორც ფიზიკური მხარის, ასევე სულიერი შტრიხების ხაზგასმა.

„ **Diese Banknoten prüfte sie jedesmal lange und mißtrauisch. Sie fältelte sie umständlich auseinander und glättete sie schließlich beinahe zärtlich flach... Diese ungefüge, klobige kleine Truhe war das ganze Geheimnis, der Sinn ihres Lebens.“ (126, 411 )**

ტექსტის კოჰერენციის ერთ-ერთ ეფექტურ კომპონენტად შეიძლება ჩაითვალოს ლეპორელას ენობრივი პორტრეტი (**Sprachporträt**), რომლის თვალსაჩინო მახასიათებელია ტიროლური დიალექტი. როგორც ცნობილია, ენობრივი პორტრეტი სტილისტიკური კატეგორიაა და უკავშირდება აქტანტის მეტყველების თავისებურებებს: ის შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით, მათ შორის დიალექტიზმებითაც. ვერბალურ პორტრეტს ძალუძს მიანიშნოს აქტანტის ხასიათზე, მის სიღრმულ განზომილებაზე. ლეპორელას მიერ ტიროლურ დიალექტზე წარმოთქმული პირველივე სიტყვებით „**Woll, woll**“ იწყება ტექსტში ამ აქტანტის ენობრივი პორტრეტის შექმნა. მომდევნო ნარატემაში გრძელდება ტოპიკალური ჯაჭვის ანალოგიური რგოლების ჩართვა. ლეპორელას ტიროლური დანაწევრებული მეტყველება არის ნიშანი იმისა, რომ ის საზოგადოების გაუნათლებელი და უკულტურო მარგინალია. სიტყვების დიალექტური, შეკვეცილი ფორმების გამოყენება, მეტყველების პროცესში ვერბალური საშუალებების ძებნა, რაც იწვევს პაუზების გაჩენას წინადადებების სეგმენტებს შორის - ქმნის ლეპორელას პორტრეტს. ყოველივე ეს, ერთი მხრივ, ამ აქტანტის არსებობის სოციო-კულტურული გარემოს მკვეთრი მაჩვენებელია, ხოლო მეორე მხრივ ტექსტის სემანტიკური ბმულობის საშუალება. ტექსტში თავიდან ბოლომდე ჩართული აქტანტის მიერ წარმოთქმული დიალექტიზმები ასრულებენ ტოპიკალური ჯაჭვის რგოლების

ფუნქციას. ტექსტის მთავარი აქტანტისათვის ნიშანდობლივია მდაბიური, დაბალი სტილით მეტყველება. მის მეტყველებაში ჩაქსოვილია დაბალი სტილის ლექსიკა, რომელიც უპირისპირდება სალიტერატურო მეტყველებას. მდაბიურ სტილს ახასიათებს უარყოფითი შეფასება, ფამილარული, უხეში ელფერი.

„ **Entschuldigen scho, gnä Herr...Ober die Tochter vom Khonditor is drin “  
**Ein hübsches Mäddel... die hätt so gern den gnä Herrn kenneng’lernt”**( 126, 423)**

„**Da ... da khönnt... da khönnt ma scho was machen”** (126, 424 )

„ **Fahrn der gnä Herr nur guet, i wer scho alles mochn”** (126, 427)

რაც შეეხება ტექსტის მეორე აქტანტის, კერძოდ, ბარონის ენობრივ პორტრეტს, კომუნიკატორი მას ქმნის ფამილარული სტილით შეფერილი სალიტერატურო ენით, რომელიც ნეიტრალურია. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„ **Jetzt geh, brave Cenzi, und da hast du noch zwei Kronen dafür,weil du aus dem Zillertal bist.**” (126, 414)

„ **Lass sie einmal anschauen**” (126, 423)

„ **Mir scheint,dich freut,s auch nicht,Chenzi.Aber da kann man halt nichts machen**” (126, 424)

„ **Ich halte es nicht mehr aus**” (126, 426)

„**Jetzt habe ich es satt**” (126, 426)

მართალია ნოველაში აღწერილია ლეპორელას ცხოვრების გზა – დასაწყისიდან დასასრულამდე, მაგრამ მასში არც ლეპორელას დაბადებაზეა დაწერილებით მოთხრობილი და არც სიკვდილზე. აქტანტის სულიერი მდგომარეობა, მისი შინაგანი განცდები, კონფლიქტები საკუთარ თავთან, მის „ფსიქეში” იმპლიციტურადაა გამოხატული. არსად ჩანს გრძელი მონოლოგები და დიალოგები, კრეჩენციას მსჯელობა საკუთარ მესთან, თვითანალიზი. ავტორი მისი სულის ამოცნობას მკითხველს ანდობს. ინტერპრეტატორმა თავად უნდა სცადოს სტრიქონებს შორის ჩადებული საზრისის ამოცნობა, მან უნდა განმარტოს ხდომილებანი, რაც მხოლოდ ჰერმენევტიკული წრის მეშვეობით არის შესაძლებელი.

მაგალითი 1.

„ **Ihre einzige Freude fand sie im baren Geld, das sie mit dem hamsterhaften Instinkt**

**der Baurischen und Einschichtigen zäh zusammenraffte,um nicht, alt geworden, im Armenhaus noch einmal das bittere Brot der Gemeinde würgen zu müssen”**

**(126, 409)**

მაგალითი 2.

**„ Diese Banknoten prüfte sie jedesmal lange und mißtrauisch. Sie fältelte sie umständlich auseinander und glättete sie schließlich beinahe zärtlich flach, ehe sie die neuen Blätter zu den anderen in das gelbe geschnitzte Holzkästchen legte,das sie vom Dorfe her mitgebracht. (126, 411)**

მაგალითი 3.

**„... es sei denn,das die gehäuften blauen Banknoten in ihrem Kästchen um einen Zoll breit sich hoben und, wenn sie mit feuchtem Finger Zettel um Zettel am Jahresende durchzählte,die magische Tausendzahl nicht mehr ferne war.( 126, 413)**

სამივე მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ რა იყო კრესჩენციას ერთადერთი სიხარული და ცხოვრებისეული მიზანი – ნაღდი ფული, რომელსაც სიძუნწის ინსტიქტით შეკერობილი ქალი გულმოდგინებით აგროვებდა, გადათვლიდა და საიდუმლოდ ინახავდა. მოყვანილი მაგალითებიდან მკვლევარ-ინტერპრეტატორს შეუძლია ჰერმენევტიკული წრის მეშვეობით შეიქმნას ცხადი წარმოდგენა მთავარ აქტანტზე, განსჯერიტოს მისი ცხოვრების გზა და ინფერენციც გამოიყვანოს ტექსტის ნარატემებიდან: ადამიანმა ფული კერპად არ უნდა გაიხადოს. კუპიურების უზომო სიყვარული დაუშვებელია და მან შეიძლება დაღუპვამდე მიიყვანოს ადამიანი.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ტექსტში გაბნეული ეპითეტები, რომელთა საშუალებითაც ხაზი ესმება ტექსტის მთავარი აქტანტის ფიზიკურ მხარეს. თითქმის ყოველ კომპოზიციურ ერთეულში უხვად გვხვდება სტილისტური შედარებები, რომლებიც ქმნიან ლეპორელას ფიზიკურ პორტრეტს:

**„ähnlich einem abgetriebenen, starkknochigen, dünnen Gebirgspferd “(126, 408)**

**„schlief wie ein Tier mit offenem Mund, bis der Wecker sie morgens aufkrachte. “**

**(126, 410)**

**„Einzig Crescenz stand, wie ein Droschkengaul im Regen “(126, 413)**

**„Wie ein Dreschflgel hart und fühllos werkend” (126, 413 )**

ტექსტში დომინირებს პარტიციპული განსახდვრებების ჭარბი გამოყენება. მათი დანიშნულებაა აღუძრას მკითხველს გარკვეული დაძაბულობა და შეუნარჩუნოს მას იგი ახალი ფაქტების მოლოდინში. ავტორი „პარტიციპულ სტილს“ იყენებს

განსაზღვრული ინფორმაციის აქცენტუირებისათვის და მისი მკითხველისათვის ემფატიკურად მიწოდების მიზნით.

**„Denn etwas unverkennbar Pferdhaftes lag in dem Ausdruck des schwerfallenden Unterlippe, dem zugleich länglichen und harten Oval des gebräunten Gesichtes, dem dumpfen, wimperlosen Blick und besonders dem filzigen, dicken, mit Fett an die Stirn angesträhten Haar.“ (126, 408)**

მთელ ტექსტში შენარჩუნებულია შტ. ცვაიგის მხატვრული ენისათვის დამახასიათებელი სტილი. მთელი ყურადღება მთავარი აქტანტის სულიერი მდგომარეობის აღწერაზეა გადატანილი. მოზრდილი აბზაცებით, სიტუაციების იმპლიციტურად გაშუქებით, ტექსტში აქტანტთა შეზღუდული რაოდენობით, რომელთა დახასიათებაც საკმაოდ ლაკონურია, იქმნება ნოველის დინამიკური სტილისტური სახე სუიციდური ფინალით.

#### **5.4. გრამატიკული ინტერპრეტაცია.**

ტექსტის გრამატიკული ინტერპრეტაციისას წინა პლანზეა წამოწეული ისეთი ტექსტოგრამატიკული კატეგორიები, როგორცაა კოჰეზია, თხრობის პერსპექტივები, მორფოლოგიური და სინტაქსური ასპექტები, ჩარჩოს კონსტრუქციები. პლოტსა და ნარატემებში წინადადების ცალკეული ნაწილები ტექსტად ყალიბდება პრონომინალიზაციის, განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლის გამოყენებით, თემისა და რემის მონაცვლეობით:

**პრონომინალიზაცია: „Jeden Sonntagmorgen aber ging Crescenz in ihrem gefältelten, weitgeplusterten Rock und der bäurischen Tellerhaube zur Kirche. Und ein einziges Mal, an ihrem ersten Wiener Ausgangstag, versuchte sie einen Spaziergang.“ ( 126, 411)**

პრონომინალიზაცია ტექსტში ენობრივი ერთეულების გადაბმის საშუალებაა. იგი გამოიყენება ლექსიკური ერთეულების გამეორების თავიდან ასაცილებლად.

მთელი ტექსტი აბზაცებად არის დაყოფილი. თითოეული აბზაცი გამოირჩევა უჩვეულო სიდიდით, ზოგჯერ მთელ გვერდსაც მოიცავს. აბზაცები იწყება უმეტესწილად ნაცვალსახელებით, ზმნიზებებით, მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირებით, წინდებულებიანი არსებითი სახელებით:

**„Sie hieß mit ihrem bürgerlichen Namen Crescentia Anna Aloisia Finkehuber....  
Als uneheliches Kind zu Lasten der Gemeinde aufgezogen,.....  
Einzig des Geldes halber hatte auch dies dumpfe Geschöpf....**

**Aber diese flüchtige Sekund des Unbehagens ging rasch vorüber,...**

**Von dieser merkwürdigen Verwandlung der ihm Verfallenen nahm ihr unbewusster Urheber,...** “და ა.შ.

რაც შეეხება დროის პერსპექტივას, თხრობა მიმდინარეობს ნეიტრალური პერსპექტივის - პრეტერიტუმის ფორმაში, რაც დამახასიათებელია ნარატიული თხრობისათვის. პრეტერიტუმი გადმოსცემს მომხდარ ამბავს მესამე პირში. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ტექსტის საორგანიზაციო ცენტრები ანუ ზმნები ნოველაში რეფერენციულ ფუნქციას ასრულებენ:

**„Immerhin: einen gewissen Zwang legte er sich noch einige Tage auf, ehe er die letzten Rücksichten von sich warf. Dann aber, aus mehrfachen Anzeichen ihrer Verschwiegenheit gewiß, begann er, wieder ganz Junggeselle, sich, s in seiner eigenen Wohnung bequem zu machen.“** ( 126, 419)

ზმნები არსებით სახელებს გრამატიკულად შეეწყობიან (**grammatische Kongruenz**). ისინი წარმოადგენენ წინადადებების და მთელი ტექსტის ორგანიზების ცენტრს. ამ მონაკვეთში ზმნის ფლექსიური ფორმები წარმოდგენილია როგორც ერთწევრა ასევე მრავალწევრა ერთეულებით:

**legte er sich auf**

**warf/ begann**

ტექსტში კონიუნქტივიანი წინადადებები უფრო იშვიათად გხვდება, ვიდრე ინდიკატივიანი, რომლის უმთავრესი დანიშნულება მდგომარეობს მოდალური შინაარსების რეალიზაციაში.

**„ ...sie möge abends ein kaltes Nacht Mahl für zwei Personen bereitstellen und sich dann zu Bett legen; alles andere werde er selbst besorgen.“**

**(126, 419)**

მთელ ტექსტს გასდევს ნომინალური სტილი, რომელსაც ქმნიან ატრიბუტული დეტერმინანტები:

**„ mit ihrem bürgerlichen Namen;**

**ein querer, verneinender Strich;**

**ein dickes Sieb;**

**das runde hitzende Stück Feuer im Herd;**

**ihre einzigste Freude“** და ა. შ.

ატრიბუტული დეტერმინანტების ეს სახეობები ქმნიან სახელად ჩარჩოს, რომელიც მოიცავს არტიკლს/ნაცვალსახელსა და სახელს შორის მოცემულ



ინფორმაციას. მთლიანი ტექსტის მახასიათებლებად შეიძლება ჩაითვალოს როგორც ზმნური ასევე ადიუნქტების ჩარჩო, რომელშიც გაშლილია დამოკიდებული წინადადება.

ნარატემების ბმულობის საშუალებებად გამოყენებულია იუნქტორები, რომლებსაც მიეკუთვნება წინდებულები, მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები, ისინი იმ სიღრმულ სემანტიკურ ბმულობაზე მიგვანიშნებენ, რის მეშვეობითაც ხდება ნარატემების მონაკვეთების დაკავშირება:

„ **Als uneheliches Kind zu Lasten der Gemeinde aufgezogen, mit zwölf Jahren bereits als Magd verdingt, späterhin Scheuerin in einer Gaststube, war sie endlich aus jener Fuhrwerkerkneipe, wo sie durch ihre zähe, stiernacktige Arbeitswut auffiel, in ein angesehenes Touristengasthaus als Köchin vorgedrungen“.**(126, 409)

იუნქტორისა და ადიუნქტის ბაზისი ერთიანდებიან იუნქციაში, რაც ნიშანდობლივია ყოველი ნარატემისათვის.

„ ...weil sie stockig und maulfaul jede Annäherung abwirschte;... obwohl eben das Menschliche nur in ganz abgedumpter und verschüteter Weise aus ihrem Gehaben zutage trat. ...sobald ihr Sermon zu Ende war;... dass die gehäuften blauen Banknoten in ihrem Kästchen um einen Zoll breit sich hoben und, wenn sie mit feuchtem Finger Zettel um Zettel am Jahresende durchzählte“

ჩარჩოს სხვადასხვა კონსტრუქციებით იქმნება თხრობის განსაკუთრებული სტილი. გვხვდება როგორც ზმნური ჩარჩო, რომელიც მოიცავს საწყის და ბოლო კომპონენტებს შორის ჩადებულ ინფორმაციას, ასევე სახელადი ჩარჩო, რომელიც შეიცავს არტიკლსა და სახელს შორის კოდირებულ ინფორმაციას. ადიუნქტების ჩარჩო დომინირებს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებაში. ჩარჩოს გამსხნელი ელემენტით მკითხველს აღეძვრება მოლოდინი, რომელიც მართლდება ან არ მართლდება ჩარჩოს დამხურავი ელემენტით.

ზმნური ჩარჩოს ტიპური ნიმუშებია

„Crescenz **blickte** ihn begeistert **an**... **Eigenhändig** **trug** sie dann den Koffer und das Gewehr zum Wagen **hinab**. Aber als er nun nach einem Wort suchte, um ihr für ihren Eifer zu danken, **fuhr** sein Blick erschreckt **zurück**. (126, 426-427 )

Der Verdüsterte **hörte** verworren **zu**, hob einmal unwillkürlich den Blick gegen die verschlossene Tür zum Schlafzimmer und **duckte** ihn feige wieder **zurück**.”

(126,428)

ტიპური სახელადი ჩარჩოს ნიმუშებია:

dies dumpfe Geschöpf, (126, 410)

eine berufsmäßige Vermittlerin, (126, 410)

der gereizte, bis zum Hysterischen hochgejagte Schreitton (126, 412)

die rechnerische Gattin (126, 412)

diese flüchtige Sekunde (126, 418)

die störrische Mauleselart (126, 408)

ადიუნქტების ჩარჩოს ნიმუშებია:

„ Sie strahlte, wenn ein neues weibliches Wesen der Schwelle betrat, blickte enttäuscht und wie in einer Erwartung gekränkt, kehrte er abends ohne zärtliche Begleitung zurück.” (126, 422)

„ Und ebenso wartete der Baron, ob dieser gräßliche Krampf von Grauen bei ihrem Anblick weichen würde. ... Noch ehe er sie sah, wenn er nur ihren Schritt vom Gang draußen hörte,... “(126, 431)

ნარატული თხრობა ზმნის მესამე პირის ფორმებით არის გადმოცემული და ნეიტრალურ პერსპექტივაში მიმდინარეობს, თუმცა ტექსტში ვხვდებით აგრეთვე დიფერენციალურ პერსპექტივას, კერძოდ უკუ-პერსპექტივას, რომელიც გადმოცემულია პლუსკვამპერფექტის დროის ფორმით:

„ ..sowie die Pantoffel seiner Frau waren erwartungsvoll bereitgestellt”

„Damit war das schweigende Einvernehmen zwischen beiden völlig besiegelt.”  
( 126,420)

„Als seine Parodie war der Name gedacht: aber in ungewollter Treffsicherheit hatte die angehende Operndiva mit diesem Namen dem eigenartigen Geschöpf ein geradezu zauberhaft passendes Wortkleid umgeworfen” (126, 420)

ტექსტში ფიქსირდება რესტრიქტივის ფორმები, რომლებიც ხან სინთეზური ფორმით არის წარმოდგენილი ხან ანალიზურით:

„Die Männer ließen ihr Ruhe, sei es, weil dies Vierteljahrhundert verbissenen Robotens alles Weibliche von ihr weggeschunden.. morgens schon schellte er, daß sie dem gelanten Eindringling beim Ankleiden behilflich sei,... als wollte sie sich die Finger zerbrechen”

ამრიგად, ნარატემების ბმულობა ტექსტში ხორციელდება მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალებებით, რომლებიც ტექსტის დონეზე უფრო მაღალ ენობრივ სტატუსს იძენენ და კოჰეზიის ფუნქციას ასრულებენ.

**5.5. გარეგნობრივი მახასიათებლები; არქიტექტონიკური სტრუქტურა.**

ტექსტი რეციპიენტისათვის ვიზუალურად აღსაქმელი ენობრივი წარმონაქმნია, რომლის გარეგნული სტრუქტურა (ლექსიკა) დამხმარე კომპონენტია საზრისის დადგენაში. ტექსტის გარეგნულ სტრუქტურაში ხშირად ჩადებულია გარკვეული მინიშნება, რომელიც ინტერპრეტატორმა უნდა ამოიცნოს. ტექსტში კოდირებული გარკვეული სიგნალით შესაძლებელია კომუნიკანტის წინარეცოდნის გამდიდრება. წინადადებებსა და სტრიქონებს შორის არსებული ინტერვალებით, აბზაცების მოცულობა მიანიშნებს, რომ აქ ერთი ნარატემა მთავრდება და მეორე იწყება, რაც მკითხველს ეხმარება თვალი გაადევნოს ხდომილებების განვითარებას.

ნოველა არ არის ექსპლიციტურად დაყოფილი არქიტექტონიკურ ერთეულებად. თუმცა ტექსტში მხოლოდ ორ ადგილას სტრიქონთშორისი ინტერვალით არის მინიშნება ახალი ხდომილებების დასაწყისზე. ვიზუალურად აღქმადი ელემენტია სათაური. ტექსტი დისკრეტირებულია უპირატესად დიდი მოცულობის აბზაცებად. დიალოგები მხოლოდ რამდენიმე ნარატემაში ფიქსირდება ბრჭყალებში ჩასმული პირდაპირი ნათქვამის სახით. ტექსტის მეორე ნარატემა ფრჩხილებში მოცემული ინფორმაციით შეიცავს მთავარ აქტანტზე გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც ერთი შეხედვით მეორეხარისხოვანია, მაგრამ ინტერპრეტატორისათვის საუკეთესო საშუალებაა ჩაწვდეს ავტორის ინტენციას და დივინაციის ხერხის მოშველიებით ადეკვატურად გაანალიზოს იგი:

**(wie sie genannt sein möge, obwohl eben das Menschliche nur in ganz abgedumpfter und verschütteter Weise aus ihrem Gehaben zutage trat)**

**(126,411)**

ემპირიული მასალის გააზრება სოციო-კულტურულ ასპექტში ტექსტის ინტერპრეტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. აქტანტების საშუალებით ნოველაში ერთმანეთს უპირისპირდება არისტოკრატებისა და გლეხების ფენა მათთვის დამახასიათებელი ენით.

ტექსტის მთავარი აქტანტი წარმოადგენს კონკრეტული სოციალური ჯგუფის პირმშოს. მის სულიერ სახეს განსაზღვრავს არა მარტო მისი მშობლიური სოფელი ცილერთალში, არამედ წიგნაკის განსაკუთრებული ნიშნების გრაფაში ჩაწერილი უარყოფითი ნიშანიც:

**„In der Rubrik „ Besondere Kennzeichen“ ihres Dienstbotenbuches stand ein querer, verneinender Strich;“ ( 126,408)**

აქტანტის სოციალურ წარმომავლობაზე მიუთითებს ისეთი გარეგნული ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, როგორცაა მოქმედი პირის უესტიკა, მიმიკა, მეტყველების მანერა, ინტონაცია, ჩაცმულობა, ცხოვრების წესი, ქცევის მანერა; ყურადსაღებია, თუ როგორ ვითარდება ლეპორელას ცხოვრება: ბარონთან ხუთწუთიანმა საუბარმა იგი ჩააგდო მძიმე ფსიქიკურ მდგომარეობაში, რაც აისახა მისი ცხოვრების გზაზე:

**ნოველის მთავარი აქტანტის ყოფიერების გზა:**

**გზა ბარონის სახლიდან – ხიდამდე.**

**სიმბოლო– ხიდი**

**მარგინალი ლეპორელა → ჩამოსვლა ვენაში → შეხვედრა ბარონთან → კონფლიქტი ბარონესასთან → შურისძიების გრძნობის გამძაფრება → სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება.**

ლეპორელას აგრესიულ ქმედებებს განაპირობებს კონკრეტული შემთხვევა: ბარონთან ფამილარული საუბრის შემდეგ. ადამიანურმა ურთიერთობამ ჩლუნგი, პირუტყვეული არსება აქცია დამნაშავედ, რამაც არა მარტო დიასახლისი იმსხვერპლა, არამედ თავად კრესჩენციაც. ფსიქოლოგები აღიარებენ, რომ ქცევათა უმეტესობაზე ზეგავლენას ახდენს ფაქტორთა კომბინაცია. ზოგიერთი ფაქტორი გმირის შიგნით მოქმედებს როგორც გენეტიკური მოცემულობა ან ინტელექტის დონე. აქტანტის დანაშაულებრივ ქცევაზე დიდი გავლენას ახდენს პიროვნების გარეთ არსებული მოვლენები, სიტუაციური ცვლილებები. ლეპორელას დანაშაულებრივი ქმედების მიზეზები მჭიდროდ უკავშირდება იმ სოციო-კულტურულ გარემოს, რომელშიც იგი გაიზარდა და ცხოვრობდა.

## მეხუთე თავის დასკვნები

1. ინტერპრეტირებულ ტექსტს მთლიანობაში თუ შევაფასებთ ჰერმენევტიკული წრის მეშვეობით შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნა-ინფერენცი: დაუფიქრებელი, ქარაფშუტული ნაბიჯი ხშირად განსაცდელში აგდებს და ღუპავს არა მარტო ინიციატორს, არამედ სრულიად უცხო ადამიანსაც, განსაკუთრებით ისეთს, რომელიც გაუნათლებელია, მძიმე სოციალურ გარემოშია აღზრდილი და მცდარი ცხოვრებისეული მიზნები ამოძრავებს.

2. ნოველის ტექსტური სტრუქტურის ინტერპრეტაციის აუცილებელი კომპონენტებია ტექსტის როგორც შიდაენობრივი ასევე გარეენობრივი ასპექტების აღწერა და დახასიათება. ტექსტის შინაარსის ორგანიზება ხორციელდება, ერთი მხრივ, ნარატემების გამოყოფით, მეორე მხრივ, თემა-რემატული პროგრესით. ტექსტის სემანტიკური ორგანიზება ემყარება ტოპიკალური ჯაჭვებისა და სუიციდის აღმნიშვნელ მარკირებულ ლექსიკას.

3. ენობრივი პორტრეტების შექმნა ეფექტური სტილისტიკური ხერხია, რომელიც რეციპიენტს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის აქტანტების სულიერ მხარეზე.

4. ტექსტის ენობრივ-ფორმალური ბმულობას უზრუნველყოფს თხრობის პერსპექტივა, ჩარჩოს სხვადასხვაგვარი კონსტრუქცია. გაგებისა და გაგებინების განხორციელების ერთ-ერთი საშუალებაა ტექსტის არქიტექტონიკური მხარის ვიზუალიზება, რომლის კვლევაც პლოტის ნარატემებად დაყოფის გზით არის შესაძლებელი.

თავი VI  
ტექსტი II.

ბერნჰარდ შლინკის რომანი „უკითხავს მას“ (*Vorleser*)

**6.1. დიდი მოცულობის ტექსტის ინტერპრეტაციის სიძნელები.**

ჩვეულებრივ დიდი მოცულობის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტაცია ნაკლებად გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის შეუძლებელია ამგვარი ტექსტების ყველა შესაძლო რაკურსით ანალიზი, მაინც შევეცდებით ამგვარი რომანის ტექსტოლინგვისტიკურ ინტერპრეტაციას ტექსტის შიდაენობრივი და გარეენობრივი ასპექტების წინ წამოწევის გზით.

ბერნჰარდ შლინკის რომანი „უკითხავს მას“, ისევე როგორც შტ. ცვაიგის ნოველა „ლეპორელა“ დისერტაციაში განხილულია როგორც სუიციდის ცენტრალური ინტეგრანტი. ინტერპრეტაციას საფუძვლად ვუდებთ იმავე ზოგად პრინციპებსა და მეთოდებს, რომელთა მიხედვითაც მეხუთე თავში ინტერპრეტირებულია შტ. ცვაიგის ნოველა „ლეპორელა“. რა თქმა უნდა, ზოგადი პრინციპებისა და მეთოდების გამოყენება სუიციდის ორი ინტეგრანტის ინტერპრეტაციაში არ ნიშნავს ორივე ტექსტის აბსოლუტურად იგივეობრივ შეფასებას. მათ შორის აღინიშნება როგორც მსგავსება ასევე განსხვავება შიდაენობრივ და გარეენობრივ მახასიათებლებში.

ბერნჰარდ შლინკის რომანი „უკითხავს მას“ 1995 წელს გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რომანმა მიიღო უამრავი პრემია; იყო პირველი გერმანული წიგნი, რომელმაც გახეთ „ნიუ-ორკ ტაიმის“ ბესტსელერების სიაში პირველი ადგილი დაიკავა. (რომანი ნათარგმნია დღესდღეობით ოცდაჩვიდმეტ ენაზე, მათ შორის ქართულზეც.)

წინამდებარე ტექსტი ბევრი რამის ამოცნობას სთავაზობს მკითხველს, რომელსაც უნდა ჰქონდეს წინარეცოდნა. სიტუაციური ხდომილებები წარმოჩენილი არიან ერთმანეთისაგან მეტად თუ ნაკლებად დამოუკიდებლად და ვითარდებიან თანასწორუფლებიანად. მთავარი გამჭოლი თემის ირგვლივ დომინირებს გვერდითი თემები: მიხაელისა და ჰანას სიყვარულის ისტორია, თაობათა კონფლიქტი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის საზოგადოების სოციალურ-კულტურული ვითარება, მესამე რაიხის პრობლემა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის ნაცისტური ხელისუფლების მიერ ებრაელთა გენოციდი, რომელიც ჰოლოკოსტის (**Holocaust**) სახელით არის ცნობილი.

**6.2. ტექსტის ინტერპრეტაციის გარეუბრები დონე:**

მთლიანი ტექსტის სუპერსტრუქტურა დისერტაციაში განიხილება როგორც ნარატიული ტექსტების პლოტი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. თითოეული ნაწილი დაყოფილია არაბული ციფრებით გამოყოფილ მონაკვეთებად, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექსტის როგორც კომპოზიციური ასევე არქიტექტონიკური ერთეულების ბმულობას. კომპოზიციური თვალსაზრისით აღნიშნული ერთეულები მიჩნეულია ნარატიული ტექსტის ღერძის ანუ პლოტის ნარატემაებად.

**პ რ ე ს ი გ ნ ა ლ ი**

| ს უ პ ე რ ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა<br>პ ლ ო ტ ი |                                |                                 |
|--|--------------------------------|---------------------------------|
| პირველი ნაწილი                           | მეორე ნაწილი                   | მესამე ნაწილი                   |
| 17 ნარატემა<br>( გვ. 5 – 81)             | 17 ნარატემა<br>( გვ. 83 – 157) | 12 ნარატემა<br>( გვ. 159 – 207) |

ტექსტს თავისი არქიტექტონიკა აქვს. ტოპოლოგიური ჩარჩო ორდინარულია, მხოლოდ ორჯერ ირღვევა იგი: ერთხელ, პირველი ნაწილის მეთერთმეტე ნარატემაში ლექსით, რომელსაც პროტაგონისტი უძღვნის ჰანას:

**Wenn wir uns öffnen  
du dich mir und ich dir mich,  
wenn wir versinken  
in mich du und ich in dich,  
wenn wir vergehen  
du mir in und dir in ich.  
dann bin ich ich  
und bist du du. “ (95, 57)**

მეორედ, პლოტის მესამე ნაწილის მეშვიდე ნარატემაში. წვრილი შრიფტით დაწერილი წვრილი, რომელიც ერთი ინტერვალით არის გამოყოფილი მთლიანი ტექსტიდან და მოიცავს ორ გვერდს. (95, 181)

ტექსტის პირველი ნაწილი შეეხება მიხაელ ბერგის ჭაბუკობის ხანას, აქ უკვე გამოკვეთილია მთავარი თემა და მონიშნება შემდგომი ნარატემების გვერდითი თემები. მეორე ნაწილში სტუდენტი მიხაელი მოგვითხრობს თავის სტუდენტურ პერიოდზე და საბედისწერო სასამართლო პროცესებზე. ხოლო დასკვნითი, მესამე ნაწილი, უკვე მიხაელ ბერგის ცხოვრების სიმწიფის პერიოდს წარმოგვიდგენს.

რაც შეეხება კომპოზიციური ერთეულების/ნარატემების გამოყოფას ტექსტის სუპერსტრუქტურის ფარგლებში, ეს აუცილებელია მთლიანი ტექსტის ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციისთვის.

### 6.3. სემანტიკური ინტერპრეტაცია.

ტექსტის მოკლე შინაარსია:

*პროტაგონისტი მიხაელი 15 წლის ასაკში შემთხვევით გაიცნობს თავისზე გაცილებით უფროს ქალს ჰანას შმიტცს და მასთან გააბამს სასიყვარულო ურთიერთობას. ქალისა და ჭაბუკის ურთიერთობა თანდათანობით სულიერ სიყვარულში გადადის. ჰანას თხოვნით, ჭაბუკი მას ყოველი შესვენებისას ხმამაღლა უკითხავს კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს. მოულოდნელად ქალი გაუჩინარდება. მიხაელი ძლიერ განიცდის ქალთან განშორებას და დამნაშავედ გრძნობს თავს. გადის დრო. წლების შემდეგ უკვე სტუდენტი მიხაელი, რომელიც იურისპრუდენციას ეუფლება, ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე ხვდება ჰანას საკმაოდ უცნაურ ვითარებაში. ქალი ბრალდებულად არის შერაცხული. მიხაელი იგებს ქალის წარსულიდან რამდენიმე საეჭვო ფაქტს: თანამეინახესთან ერთად ჰანას ბრალი ედება პატიმარი ქალების დაღუპვაში, თუმცა ზედამხედველებს შეეძლოთ მათი გადარჩენა. საპაერო თავდასხმის დროს აღმოდებულ ეკლესიაში შემთხვევით მყოფი ებრაელი დედა-შვილი გადაურჩა სიკვდილს, რომლებიც მთავარი მოწმეები არიან იმ ავბედითი მოვლენისა. მოგვიანებით ქალიშვილი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს, აქვეყნებს წიგნს, სადაც აღწერს საკონცენტრაციო ბანაკში გატარებულ დღეებს. სასამართლო მოიპოვებს პროტოკოლს, რომელშიც იმ საშინელი ამბის ფაქტები არის დაფიქსირებული. ერთ-ერთმა ბრალდებულმა ამ ოქმის დაწერა ჰანას დააბრალა; თავდაპირველად ჰანა უარყოფდა ამ ბრალდებას, მაგრამ როცა*



კალიგრაფიის იდენტიფიკაციის საკითხი დადგა დღის წესრიგში, განაცხადა რომ მან დაწერა ეს ოქმი, რისთვისაც სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. გავიდა ხანი. მიხაელი ქორწინდება გერტრუდზე. იურიდიული განათლების მიღების შემდეგ სამართლის ისტორიკოსად იწყებს მუშაობას. მისი ქორწინება უიღბლო გამოდგა. მეუღლესთან გაშორების შემდეგ იგი კვლავ იწყებს ხმამაღლა კითხვას ჰანასათვის, იწერს კასეტებზე და უგზავნის ქაღალს ციხეში. სასამართლოს მიერ შეწყალებული ჰანა ციხიდან გამოსვლის წინ თავს ჩამოიხრჩობს. სიკვდილის წინ იგი ტოვებს მიხაელისათვის 7000 გერმანულ მარკას, რათა მან მისი თხოვნით გადასცეს ეკლესიაში შემთხვევით გადარჩენილ გოგონას, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს. ასეთია ხლომიდეების განვითარება მესამე ნაწილის მეათე ნარატემაზე (95,192), რომელიც იწყება წინადადებით: „**Am nächsten Morgen war Hanna tot. Sie hatte sich bei Tagesanbruch erhängt**“.

თხრობიდან ვეცნობით როგორც მთავარ ასევე მეორეხარისხოვან აქტანტებს: მიხაელ ბერგს, ჰანა შმიტცს, ფილოსოფოსს (მიხაელის მამა), სოფიას გერტრუდს, მოსამართლეს, ციხის ზედამხედველს.

რაც შეეხება მოქმედების ადგილებს, ტექსტში მოხსენიებულია როგორც გერმანიის ქალაქები (ბერლინი, კასელი, ვიმპფენი, ამორბახი, მილტენბერგი), ასევე რუმინეთის ქალაქები, სადაც ბავშვობა და სიყმაწვილე გაატარა ჰანა შმიტცმა.

ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაციისათვის აუცილებელ ფაქტორად მიგვაჩნია რომანის შინაარსისა და ნაწილების მიხედვით ტექსტში კომპოზიციური ერთეულების/ნარატემების გამოყოფა. მთლიან ტექსტში რვა ნარატემა გამოიყოფა. **პირველი ნარატემა**, რომელიც ჩვიდმეტ მონაკვეთს მოიცავს, მოგვითხრობს მიხაელის ავადმყოფობაზე, მის სასიყვარულო თავგადასავალზე შემთხვევით გაცნობილ ქალთან. ტექსტის მთავარი აქტანტი მთხრობელი „მე“ გადმოსცემს განცდილ ამბებს თავის ოჯახზე, ფილოსოფოს მამაზე. აქვე ეძლევა ინტერპრეტატორს საშუალება, ჩაწვდეს რომანის სათაურის არსს. მიხაელი ჰანას თხოვნით ქაღალს უკითხავს კლასიკურ ლიტერატურას.

**მეორე ნარატემაში** აღწერილია საყვარელი ქალისაგან მიტოვებული მიხაელი ბერგის განცდები. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას აგრძელებს იურიდიულ ფაკულტეტზე. ეს ნარატემა მოიცავს ორ მონაკვეთს.

**მესამე ნარატემაში** ფოკუსირებულია სასამართლო პროცესებზე გამოაშკარავებული ჰანას წარსულის მოულოდნელი შტრიხები, მიხაელის

იმედგაცრუება, ქალის შემთხვევით აღმოჩენილი საიდუმლო – წერა-კითხვის უცოდინარობა, ეკლესიაში გადარჩენილი გოგონას ჩანაწერები.

**მეოთხე ნარატემაში**, რომელიც ხუთი მონაკვეთისაგან შედგება, პროტაგონისტის სულიერი განცდებია აღწერილი. იგი საკუთარ თავთან მსჯელობს და სათანადო დასკვნებს აკეთებს. მიუხედავად სურვილისა დაეხმაროს საყვარელ ქალს, იგი არაფერს აკეთებს მისთვის, რადგან საყვარელ ქალში, ერთი მხრივ, დამნაშავეს ხედავს, მეორე მხრივ, ვერ ივიწყებს მასთან გატარებულ დროს.

**მეხუთე ნარატემაში** პროტაგონისტი მოგვითხრობს თავის ცხოვრებაზე სწავლის დასრულების შემდეგ. იგი ქორწინდება გერტრუდზე. თუმცა ვერაფრით ივიწყებს თხუთმეტი წლის ასაკში განცდილ სიყვარულს. მიხაელი უბრუნდება ჭაბუკობის პერიოდში დაწყებულ საქმეს და კვლავ იწყებს ხმამაღლა კითხვას ჰანასათვის, იწერს კასეტებზე და უგზავნის ციხეში.

**მექვსე ნარატემიდან** შევიტყობთ, რომ კასეტების დახმარებით და ბიბლიოთეკიდან გამოწერილი წიგნებით ჰანამ შეძლო წერა-კითხვის შესწავლა, რასაც აღტაცებაში მოჰყავს მიხაელი.

**მეშვიდე ნარატემაში** პროტაგონისტი მოგვითხრობს ჰანას შეწყალების შესახებ, წლების შემდეგ საპყრობილეში მათ შეხვედრაზე. იგი ზრუნავს ჰანაზე, მის მომავალ ცხოვრებაზე და სამუშაოზე.

**მერვე ნარატემა**, რომელიც ბოლო სამ მონაკვეთს მოიცავს, დასკვნით ნაწილს წარმოადგენს. ჰანა ციხიდან გასვლის წინ თავს ჩამოიხრჩობს. იგი მიხაელს უტოვებს ანგარიშზე 7000 გერმანულ მარკას ეკლესიაში შემთხვევით გადარჩენილი გოგონასათვის. მიხაელი ჰანას უკანასკნელ სურვილს ასრულებს.

რომანის სათაური **პრესიგნალს** წარმოადგენს, რომლის ირგვლივ იკვრება პლოტის გვერდითი თემები. სათაური კოჰერენციის ერთ-ერთი კომპონენტია მთლიანი ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის გასაერთიანებლად. მისი წყალობით ხორციელდება **ენდოფორული** (ტექსტის შიგნით მიმართული) რეფერენცია. სათაური „**Vorleser**” ასრულებს კატაფორულ ფუნქციას, რომელიც წინასწარ მიგვანიშნებს მოვლენების იმ განვითარებაზე, რომლის უშუალო მონაწილეც მოგვიანებით ხდება მიხაელი (95, 42-43). რეფერენციული მიმართების ახსნა ხდება პირველი ნაწილის მეცხრე ნარატემაში პრედიკატული კონსტრუქციებით, როგორცაა მაგალითად: „**Lies es mir vor!**”, „**Zuerst mußt du mir vorlesen.**” „**Lies ... vor**” და „**vorlesen**”. (95,43 )

რომანში სულ სამი მთავარი აქტანტია: მიხაელ ბერგი, ჰანა შმიტცი და მიხაელის მამა. მხოლოდ მთლიანი ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის დაკვირვების საფუძველზე არის შესაძლებელი თითოეული მათგანის სახასიათო შტრიხების წარმოჩენა.

პროტაგონისტ მიხაელის ირგვლივ იწყება, ვითარდება და იკვრება მთავარი თემა. მართალია ტექსტის მიხედვით არსად არ არის მოცემული კლასიკური დაპირისპირება რომანის მთავარ აქტანტებს – მიხაელსა და ჰანას შორის, მაგრამ პირველი აქტანტი მიხაელი გამუდმებით აწყდება მეორე აქტანტის ჰანას წინააღმდეგობას. ამდენად მიხაელი შეიძლება მივიჩნიოთ პროტაგონისტად, ხოლო ჰანა მიხაელის ანტაგონისტად. თუმცა შესაძლებელია ეს აზრი ყველა მკითხველმა და ინტერპრეტატორმა არ გაიზიაროს.

ტექსტში საკმაოდ ფაქიზად არის დახატული მიხაელის პორტრეტი. ინტელექტუალი ჭაბუკის მთელ ცხოვრებას თხუთმეტი წლის ასაკში დაწყებული პირველი სიყვარული განსაზღვრავს. იმდენად ძლიერია ჭაბუკური ვნება, რომ ცხოვრების გზაზე მრავალ სასურველ ქალთან შეხვედრის მიუხედავად, მან მაინც ვერ შეძლო ჰანას ხორციელი აჩრდილის მოშორება. იგი ყოველ ქალში, მეუღლის ჩათვლით, ჰანას ეძებდა. მიხაელის გრძნობების ჭიდილს განაპირობებს მისი ამბივალენტური ბუნება, რაც მთლიანი ტექსტის მეორე ნაწილში აშკარად შეინიშნება. ახალმა აღმოჩენამ – **ჰანას წერა-კითხვის უცოდინარობამ**, დაარწმუნა პროტაგონისტი ჰანას უდანაშაულობაში, თუმცა მოსამართლის დაუმსახურებელ სასჯელს ჰანას წინააღმდეგ რეალურად არ შეწინააღმდეგებია. დასკვნით ნაწილშიც იკვეთება პროტაგონისტის საკუთარ თავთან ჭიდილის მომენტები: იგი მთელ თავის ცხოვრებას ჰანას უკავშირებს. იგი ცხოველი ინტერესით ადევნებს თვალს სასამართლო პროცესებს. ჰანას დაპატიმრების შემდეგ მაინც არ წყვეტს კავშირს ქალთან და ცდილობს დაეხმაროს არასრულფასოვნებისა და დანაშაულის კომპლექსის დაძლევაში. თუმცა მას შემდეგ რაც გაიგებს მისი შეწყალების ამბავს, თავის მომავალს სასჯელმისჯილს ვერ უკავშირებს. მიხაელი შეწყალებულ ჰანას მოუძებნის საცხოვრებელ ადგილს, სამუშაოს, მაგრამ არ გეგმავს მასთან ერთად ცხოვრებას. მიხაელ ბერგი არის მთხრობელი „მე“, რომელიც მკითხველს უყვება საკუთარ ისტორიას თავისი ჭაბუკობიდან შეგნებულ ასაკამდე. ჰანასთან ფატალურმა ურთიერთობამ მიხაელი ჩააგდო მძიმე მდგომარეობაში. ფაქტობრივად მის ცხოვრებას

აზრდილივით თან სდევს ამ საიდუმლოებით მოცული ქალის აზრდილი. იგი მოწიფულობის ასაკში თავის ცხოვრებას ატარებს იმ ისტორიული პრობლემების ანალიზში, რაც მას და მის თაობას მემკვიდრეობით ხვდა წილად. ტექსტის მეორე ნაწილში გაორებული პროტაგონისტი საკუთარ პიროვნებასთან მუდმივ კონფლიქტშია.

საინტერესოა როგორ ყალიბდება **ჰანა შმიტცის** პიროვნება გარე სამყაროს ცვლილებებთან მიმართებაში: საკუთარი დანაშაულის დაფარვის ფსიქოლოგიური კონსტელაციები, სირცხვილი, შიში, აგრესია, ავტორიტარული ბუნება, წერა-კითხვის უცოდინარობისგან გამოწვეული კომპლექსი, აგრესია, რაც რიყავს მას ნორმალური საზოგადოების წრეებიდან – ყოველივე ეს მთელ ტექსტში ბევრი დეტალით არის იმპლიციტურად მინიშნებული.

მართალია ტექსტში ჰანაზე საკმაოდ მწირ ინფორმაციას ვხვდებით, მაგრამ მთლიან ტექსტზე დაკვირვებით მაინც შესაძლებელია ბიოგრაფიული მონაცემების დადგენა. იგი 1922 წლის 21 ოქტომბერს დაიბადა რუმინეთის ქალაქ ჰერმანშტადტის მახლობლად (95, 91), ჩვიდმეტი წლის ასაკში გადადის ბერლინში და მუშაობას იწყებს სიმენსის ფირმაში (95, 91). 1943 წლიდან, როცა მიხაელი დაიბადა, შედის ესეს-ში. 1944 წლის გაზაფხულამდე იმყოფება ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ზედამხედველთა ნაწილში. 1944-1945 წლებში მსახურობს კრაკოვთან არსებულ პატარა საკონცენტრაციო ბანაკში, საიდანაც ზედამხედველად მიჰყვება პატიმრების ერთ ნაწილს, რომელიც დასავლეთში უნდა გადაეყვანათ. ერთი წლის შემდეგ სამუშაოდ გადადის პოლონეთის ერთ-ერთ ქალაქში კვლავ საკონცენტრაციო ბანაკის ზედამხედველად. ომის დამთავრების შემდეგ ასრულებს დროებით სამუშაოებს, ბოლოს კი მიხაელის ქალაქში იწყებს კონდუქტორად მუშაობას. არსად ჩანს იმის მიზეზი, თუ რატომ არ იცის ჰანამ წერა-კითხვა. უცოდინარობა რიყავს მას საზოგადოებიდან და აქცევს მარგინალად. ჰანამ ამ კომპლექსის გამო უარი თქვა ფაბრიკაში დაწინაურებაზე, ვატმანის კურსებზე სწავლის გაგრძელებაზეც და მიხაელთან შემდგომ ურთიერთობებზე. სირცხვილის გრძნობამ და თავმოყვარეობამ გადააწყვეტინა მას არ გაეპროტესტებინა განაჩენი. მან იცრუა, რომ ოქმი თავად დაწერა და აღიარა თავი დამნაშავედ. არასრულფასოვნების კომპლექსმა განსაზღვრა ჰანას არა მარტო მთელი ცხოვრება, არამედ სიცოცხლის ფინალიც. რომანს გამჭოლად გასდევს იმპლიციტური მინიშნებები იმის თაობაზე, რომ ჰანა – წერა-კითხვის უცოდინარია, თუმცა შესაძლოა ყველა

მკითხველმა ამ მინიშნებებს ყურადღება არც მიაქციოს. ქვემოთ მოგვყავს ერთი მაგალითი ნათქვამის საილუსტრაციოდ:

**„Wie heißt du?“**

**„Ich dachte, sie wüßte es. Es war gerade schick, die Schulsachen nicht mehr in der Tasche, sondern unter dem Arm zu tragen, und wenn ich sie bei ihr auf den Küchentisch legte, stand obenauf mein Name, auf den Heften und auf den Büchern, die ich gelernt hatte, mit starkem Papier einzubinden und mit einem Etikett zu bekleben, das den Titel des Buches und meinen Namen trug.“ (95, 35)**

მიხაელი გააოცა ჰანას შეკითხვამ. ჭაბუკი ფიქრობდა, რომ ქალს უნდა სცოდნოდა მისი სახელი, რადგან სასკოლო ნივთებზე ხომ მიხაელის სახელიცა და გვარიც ეწერა. ჰანა თითქმის ყოველდღე ხედავდა სამზარეულო მაგიდაზე დალაგებულ რეგულებს, წიგნებს. გამოუცდელი მიხაელი სათანადოდ ვერ ხსნის ჰანას შეკითხვის მიზეზს და მას ქალის უყურადღებობას აბრალებს.

რომანის პირველსავე ნაწილში პროტაგონისტი მიგვანიშნებს ანტაგონისტის წარსულზე, მისი პიროვნების მახასიათებელ შტრიხებზე, თუმცა მკითხველს რომანის დასაწყისში არ ძალუძს მინიშნებების საფუძველზე დივინაცია და ინფერენცის გამოყვანა, მიხაელი წლების შემდეგ რეტროსპექტივაში ახერხებს მსგავსი სიტუაციების ანალიზს და აკათებს სათანადო დასკვნებს:

**„ Hanna konnte nicht lesen und schreiben. Deswegen hatte sie sich vorlesen lassen. Deswegen hatte sie mich auf unserer Fahrradtour das Schreiben und Lesen übernehmen lassen und war am Morgen im Hotel außer sich gewesen, als sie meinen Zettel gefunden, meine Erwartung, sie kenne seinen Inhalt, geahnt und ihre Bloßstellung gefürchtet hatte. Deswegen hatte sie sich der Beförderung bei der Straßenbahn entzogen... Deswegen hatte sie, um der Konfrontation mit dem Sachverständigen zu entgehen, zugegeben, den Bericht geschrieben zu haben... Deswegen? daß sie sich schämte, nicht lesen und schreiben zu können, und lieber mich befremdet als sich bloßgestellt hatte, verstand ich. “ (95, 126-127)**

ამორბახში, როდესაც პროტაგონისტმა ქალს ბარათი დაუტოვა და თვითონ საუზმის მოსატანად წავიდა, უკან დაბრუნებულს ჰანა ქამრით ხელში ხვდება. ამ სცენაში ჰანას არსებაში რაღაც ძალზე სახიფათო რამ ხდება, რაღაც საშიში,

უცხო და ფარული განწყობა ვითარდება. თავი იჩინა ქალში უცნობმა ფსიქოლოგიურმა და დესპოტურმა ენერგიამ, რომლის მართვა არც თავად მას და არც მიხაელს არ შეუძლია. განრისხებული ქალი სახეზე გადაუჭერს ქამარს გაოგნებულ ჭაბუკს. დასისხლიანებულ მიხაელს ვერ აუხსნია ჰანას საქციელი, მხოლოდ წლების შემდეგ, სასამართლო დარბაზში, ხვდება ქალის დესპოტური საქციელის ნამდვილ მიზეზს. ავტორი ამ ეპიზოდში ნომინალურ სტილში ქმნის განრისხებული ქალის პორტრეტს:

**„ Als ich wiederkam, stand sie im Zimmer, halb angezogen, zitternd vor Wut, weiß im Gesicht. ... Ihr Gesicht verlor alle Form. Aufgerissene Augen, aufgerissener Mund, die Lider nach den ersten Tränen verquollen, rote Flecken auf Wange und Hals“. (95, 54 )**

საკონცენტრაციო ბანაკში ჰანას „ჭაკი ცხენი“ (Stute) შეარქვეს. როგორც ჩანს ეს იცოდა ჰანამ და ამიტომაც ჰქონდა მას ასეთი მძაფრი რეაქცია, როცა მიხაელმა ის სიყვარულით ცხენს შეადარა. პროტაგონისტი სათანადო ინფერენცის გამოყვანას მხოლოდ წლების შემდეგ სასამართლო პროცესზე ასერხებს:

**„ In einem Lager hatte die Tochter eine Aufseherin erlebt, die „Stute“ genannt wurde, ebenfalls jung, schön und tüchtig, aber grausam und unbeherrscht. An die erinnerte sie die Aufseherin im Lager. Hatten auch andere den Vergleich gezogen? Wußte Hanna davon, erinnerte sie sich daran und war sie darum betroffen, als ich sie mit einem Pferd verglich?“ ( 95,115.)**

ჰანას ქცევა უცნაური იყო სასამართლო პროცესებზეც. მოსამართლეს აღიზიანებდა მისი დაუინებელი წინააღმდეგობა. სხვა ბრალდებულებიც არ იყვნენ კეთილგანწყობილნი მის მიმართ. მათი ადვოკატები ცდილობდნენ ეჭვმიტანილის აღიარებითი ჩვენება თავიანთი მიზნებისთვის გამოეყენებინათ, რომ დანაშაულის მთელი სიმძიმე მასზე გადაეტანათ.

ტექსტზე დაკვირვებით შესაძლებელია მოვნიშნოთ ჰანა შმიტცის როგორც ყოფიერების გზა, ასევე მიზეზები, რამაც იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა:

### ჰანა შმიტცის ყოფიერების გზა

სოციალური წარმოშობა უცნობია → დაბადების ადგილი რუმინეთი-საცხოვრებლად ბერლინში გადასვლა და აუშვიტცისა და პოლონეთის ერთ-ერთ ქალაქში საკონცენტრაციო ბანაკში ზედამხედველად მოწყობა → დროებითი სამუშაოების შესრულება → კონდუქტორად მუშაობა მიხაელის მშობლიურ ქალაქში → უგზო-უკვლოდ გაუჩინარება → სასამართლო პროცესები → სამუდამო პატიმრობა → -  
წერა-კითხვის შესწავლა → თვითმკვლელობა.

### თვითმკვლელობის მოტივაცია

წერა-კითხვის უცოდინარობით გამოწვეული არასრულფასოვნების კომპლექსი → - საკუთარი პიროვნების დაფარვის კონსტელაციები → ერთ-ერთი საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრის მიერ გამოქვეყნებული მამხილებელი მასალა → ხასიათის სიმტკიცე → არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევა და საკუთარი დესპოტური ბუნების შეცნობა → წერა-კითხვის შესწავლა → საკუთარი ცხოვრების შეფასება სხვა თვალთ → თვითმკვლელობამდე მისვლა.

პირობითად შესაძლებელია აგრეთვე მონიშნოს პროტაგონისტისა და ანტაგონისტის ცხოვრების ქრონოლოგია, დივერგენტული და კონვერგენტული მოვლენების თანაშეწონილობა:

**1943 წლის შემოდგომა:** ჰანა: ესეს-ში შესვლა, აუშვიტცის საკონცენტრაციო ბანაკში ზედამხედველად მოწყობა (95, 92); იგლისი: მიხაელის დაბადება (95, 5, 40, 70, 91);

**1958 წლის ოქტომბერი:** ჰანასა და მიხაელის პირველი შეხვედრა (95, 5);

**1959 თებერვალი:** მიხაელისა და ჰანას ურთიერთობის დასაწყისი. (95, 15);

**არდადეგების პირველი დღე:** გაუგებრობა ტრამვაიში (95, 45);

**ადღგომა:** ოთხდღიანი ექსკურსია: ვიმპფენი /ამორბახი/ მილტენბერგი; (95, 51);

**არდადეგების ბოლო კვირა:** ჰანა მიხაელთან ბინაში (95, 58);

**ზაფხული:** ჰანა საცურო აუზზე (95, 78);

**ზაფხული:** ჰანას უგზო-უკვლოდ გაუჩინარება (95, 76-79);

**1966 გაზაფხული:** ჰანას წინააღმდეგ სასამართლო პროცესების დაწყება; მიხაელის დაკვირვება პროცესებზე (95, 87-156);

**იენისი:** პირველი სტუმრობა შტრუტჰოფის საკონცენტრაციო ბანაკში, (96, 144);

**იენისის ბოლო:** ჰანასთვის მუდმივი პატიმრობის მისჯა; პატიმრობა (95, 156)

**1974 – 1984** პროტაგონისტის მიერ კასეტების ჩაწერა; ამერიკაში ყოფნა (95, 174- 179, 183) ანტაგონისტი იღებს დაპირებულ კასეტებს.

**1978** წერა-კითხვის შესწავლის საფუძველზე არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევა (95, 177); პირველი წერილი მიხაელისთვის;

**1984** აპელაცია შეწყობაზე (95, 181)

ზრუნვა ჰანას ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მის მომავალზე; მიხაელისა და ჰანას შეხვედრა საპატიმროს ბაღში (95, 184 -188);

**ზაფხული:** თვითმკვლელობა საპატიმროდან განთავისუფლების დღეს (95, 192)

სიცოცხლის ნებაყოფლობით დასრულება განპირობებულია ანტაგონისტის პიროვნულ სტრუქტურაში მომხდარი და განვითარებული გარდატეხით. არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევა და წერა-კითხვის შესწავლამ მიიყვანა ჰანა ფინალურ გადაწყვეტილებამდე. საპატიმროდან გამოსვლის წინ იგი აღმოჩნდა ზნეობრივი უფსკრულის პირას.

მესამე აქტანტი, რომელსაც ეპიზოდური როლი აქვს ტექსტში, მიხაელ ბერგის მამაა. ფილოსოფიის პროფესორი დაკავებულია იმანუელ კანტისა და გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის ფილოსოფიის ანალიზით. ნაციონალ-სოციალიზმის პერიოდში მან დაკარგა დოცენტის ადგილი, რადგან სურდა ლექციები წაეკითხა ებრაელ ფილოსოფოს სპინოზას შესახებ, რაც კატეგორიულად აუკრძალეს. ამის შემდეგ იძულებული გახდა, ლექტორად დაეწყო მუშაობა გამომცემლობაში, სადაც ტურიზმის მოყვარულთათვის რუკებსა და წიგნებს გამოსცემდნენ. მიხაელის მამა არასდროს საუბრობს თავის თავზე, წარსულზე, შვილებთანაც გარკვეულ დისტანციას ინარჩუნებს. მამის როლში იგი წარმოდგენილია მკვეთრი კონტურების გარეშე, უემოციო,



ნეგატიური მშობელი, რომლისთვისაც საკუთარი შვილები შინაური ცხოველებივითაა. მიხაელი ერთ-ერთი მსჯელობის დროს სინანულით აღნიშნავს:

**„Manchmal hatte ich das Gefühl, wir, seine Familie, seien für ihn wie Haustiere. Der Hund, mit dem man spazierengeht, und die Katze, mit der man spielt, auch die Katze, die sich im Schoß kringelt und schnurrend streicheln läßt” (95, 31)**

მიხაელის მამა არის იმ თაობის წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ნაციონალ-სოციალიზმის შეცდომებზე და მის ნაკლოვანებებზე. სასამართლო პროცესებმა ნათლად აჩვენა, რომ უფსკრული თაობებს შორის კვლავაც არსებობს. პროცესებზე ხდებოდა წარსულის გადასინჯვა, დამნაშავე უნდა დასჯილიყო. სტუდენტებმა საკუთარ მშობლებს სასირცხვილო განაჩენი გამოუტანეს. ისინი ხომ ორმოცდახუთი წლის შემდეგაც დამნაშავეებს იტანდნენ თავიანთ გვერდით:

**„ Wir alle verurteilten unsere Eltern zu Scham, und wenn wir sie nur anklagen konnten, die Täter nach 1945 bei sich, unter sich geduldet zu haben.” ( 95, 88 )**

ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის მთლიანობას რომანში უზრუნველყოფენ თემა-რემატული ოპოზიციები. ძველი და ახალი ინფორმაციები მთელ ტექსტში ენაცვლება ერთმანეთს. ერთი ნარატემის რემა გადადის მეორე ნარატემის თემად და ა.შ. ტექსტის აგების პროცესში თემა იგივეობრივია, გამჭოლია, რომელთან უშუალო კავშირშიც შემოიყვანება რემა. რემული ინფორმაცია კომუნიკანტისთვის მოულოდნელია. მთლიან ტექსტში თემა-რემატული პროგრესია შეიძლება გამოიყოს პლოტის ფარგლებში. ქვემოთ საილუსტრაციოდ გამოგვაქვს პირველი ნარატემა, რომლის ფარგლებში გამოიყოფა თემა-რემატული სტრუქტურა:

**თემა:**

ავადმყოფობის შემდეგ მიხაელის გასეირნება  
ბლუმენშტრასეზე; ჰანას შემოყვანა ტექსტში;  
დახმარების გაწევა; შინ მისულისთვის ჰეპატიტის  
დადგენა.

**რემა:**

ბანჰოფშტრასეზე გასეირნება; პირველ ნარატემაში  
ნახსენები აქტანტის მონახულება;

**თემა;**

**მომდევნო კომპოზიციურ ერთეულში სახელდება მთავარი აქტანტის სახელი და გვარი და ფიქსირდება პროტაგონისტისა და ანტაგონისტის სასიყვარულო ურთიერთობის დასაწყისი.**

ეს თემა ივსება ახლ-ახალი ინფორმაციით მომდევნო რემაში. მსგავსი დაყოფა შესაძლებელია მთლიანი ტექსტის საფუძველზე.

თითოეული ნარატემა წარმოადგენს სტრუქტურულად და სემანტიკურად დასრულებულ ერთეულს, რომელიც კომუნიკანტს აწვდის ძველ და ახალ ინფორმაციას. მსგავსი დაყოფა შესაძლებელია გაგრძელდეს მთელ პლოტში. ძველი და ახალი ინფორმაციის შემოტანა ტექსტში ხორციელდება ექსპლიციტური საშუალებებით. პირველ ნარატემაში ახალი ინფორმაციის შემცველი ერთეულები შემდეგი სტრუქტურებია:

**Mein erster Weg führte mich von der Blumenstraße... (95, 5)**

**Die Frau, die sich meiner annahm...(95, 6) Gelbsucht... (95, 7)**

ტოპიკალური ჯაჭვების მეშვეობით ხდება ტექსტის მთლიანობისა და მთავარი თემის სემანტიკურ განვითარებაზე დაკვირვება. მთლიან ტექსტში გამოიყოფა რამდენიმე ტოპიკალური ჯაჭვი, რომლებიც იქმნება უმეტეს წილად მსოფლიოთი რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელებით, მათ ენაცვლება კუთვნილებითი, მიმართებითი, უკუქცევითი ნაცვალსახელები.

ტექსტის მოცულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტოპიკალური ჯაჭვების გამოყოფა როგორც ცალკეული ნარატემების ასევე მთელი ტექსტის ფარგლებში, რომელთა რეფერენტები ტექსტის მთავარი აქტანტებია.

**პირველი ტოპიკალური ჯაჭვი ტექსტის დონეზე (რეფერენტი – Michael Berg) :**

**„ ich.. ... Fünfzähnjähriger Jüngchen ..... Michael Berg ...Vorleser ..... Student .... Referendar .....Vorleser .”**

**მეორე ტოპიკალური ჯაჭვი ტექსტის დონეზე (რეფერენტი Hanna Schmitz)**

**„ Die Frau.... Sie...Frau Schmitz.... Hanna.... Hörerin.... Straßenbahnschaffnerin... ein Pferd... Angeklagte.... Aufsehrin in SSS... Analphabetin...Häftlinge....Leserin... Selbstmörderin”**

რაც შეეხება ცალკეულ ნარატებებში ტოპიკალური ჯაჭვების გამოყოფას, საილუსტრაციოდ ვიღებთ ტექსტის ორ მონაკვეთს:

ტოპიკალური ჯაჭვები ნარატებების ფარგლებში:

**რეფერენტი Michael Berg:** „ ich...ich...ich...meine Mutter... mir... Ich... ich... Mein erster Weg... mich... ich... ich... mich... ich...Ich...Ich...ich...mir...in meinem Leben... Mein Mund...ich...ich...mir... mein... Jungchen.....ich.. Ich..ich ...mich... mir... meine Schutasch... an meinen Arm..., mir...,Ich...von meinem Taschengeld mich...ich. (95, 5-7)

**რეფერენტი Hanna Schmitz :** „ Die Frau..., Sie..., Die Frau..., sie..., sie..., Sie..., Sie..., ihre..., ihren..., Sie..., Sie..., Sie..., sie..., von der Frau...,sie. . (95, 5-7)

**რეფერენტი Vater:** „mit meinem Vater..., mein Vater..., seine Gefuhle..., ihm..., er als Junge..., junger Mann..., mit ihm..., mit dem Philosophem..., der..., Er..., unseren Vater..., Er..., seine Kollegs..., ihn..., zu ihm..., Ich..., meines Vaters..., Mein Vater..., er..., er..., er..., er..., Er..., seine..., Er..., mit meinem Vater..., nach seinem Tod..., mit ihm..., von meines Vaters..., er..., mit ihm..., ich..., Mein Vater...” (95, 134-137 )

ამ ნარატიულ ტექსტში სემანტიკური ბმულობა აგრეთვე ხორციელდება ემოციებისა და გრძნობების გამომხატველი ენობრივი ერთეულებით. ემოციური შტრიხები ხომ აქტანტების ცხოვრების თანმდევნი ფაქტორებია. ისინი განსაზღვრავენ მათ ყოფიერების გზას, ცნობიერებას და რიგ შემთხვევაში ცხოვრების დასასრულსაც. კარლ ბიულერმა ენის სამი ფუნქცია წამოსწია წინა პლანზე: **ექსპრესიული ფუნქცია**, რომელიც მოიაზრებს ადრესანტსა და ნიშანს შორის მიმართებებს. მეორეა **აპელატიური ფუნქცია**, რომელიც ხაზს უსვამს იმ ზემოქმედებას, რომელსაც ნიშანი ახდენს ადრესატზე. ენის მესამე ფუნქცია **რეპრეზენტაციულია** და მიმართულია საგნებისა და ფუნქციების გამომხატვით მხარეზე. ექსპრესიული ფუნქცია მჭიდრო კავშირშია ემოციის თემატიკასთან. ლიტერატურულ ტექსტებში განსაკუთრებით ღრმად აირეკლება ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ემოციური მდგომარეობა, რომელიც ტექსტის სემანტიკურ ფენაშია გაშლილი. განსაკუთრებით საინტერესოა ტექსტში სუიციდის თემატიკასთან დაკავშირებული ემოციური ერთეულების წინ წამოწევა. სიკვდილის მიმართ ადამიანის განცდა ორგვარია: ერთი მხრივ, იგი უკავშირდება

შიშს, მეორე მხრივ წუხილს. სიკვდილი გარდაუვალი ფაქტია ადამიანის ცხოვრებაში. ლექსიკურ ერთეულში „გარდაცვალება“ ორი სემა იგულისხმება: სიცოცხლის ნებაყოფლობით დასრულება და ბუნებრივი ანუ ფიზიოლოგიური გარდაცვალება. პირველი ჰანა შმიტცის ბედისწერაა. ფსიქიკურმა ფაქტორებმა, არასრულფასოვნების კომპლექსებმა, მომავლის შიშმა და ავტოაგრესიამ მიიყვანა იგი ამ ფატალურ გადაწყვეტილებამდე. თვითმკვლელობა ნიშნავს არა მარტო ცხოვრების დასასრულს, არამედ მომავალი ცხოვრების თავისუფლების უარყოფას, რომელიც მას ბედისწერამ არგუნა.

სუიციდის აღმნიშვნელი ლექსემები ექსლიციტურადაა განლაგებული რომანის მესამე ნაწილში. ჰანასთვის როგორც დამნაშავესათვის თვითმკვლელობა არის გამოსავალი მძიმე სულიერი დეპრესიიდან, საკუთარი არაჯანსაღი ცნობიერებით გამოწვეული სიცოცხლის ლოგიკური დასასრული. სუიციდი ავტოაგრესიის გამოხატვის ძლიერი ფორმაა, ნეგატიური ქმედება და ამავდროულად ფსიქიკური კრიზისის მანიშნებელი. სიცოცხლის ნებაყოფლობით დასრულება არის გაქცევა არსებული რეალური სიტუაციიდან, რომლისკენაც ადამიანს უბიძგებს რამდენიმე ფაქტორი, იქნება ეს სოციო-კულტურული, ფსიქიკური თუ მსოფლმხედველობითი. სუიციდის თემასთან დაკავშირებული ლექსიკა ტექსტში განლაგებულია მიზანმიმართულად. ეს ჩნდება განსაკუთრებით მკაფიოდ ტექსტის ფინალურ ეპიზოდებში. მაშინ, როცა ჰანა დაძლევს არასრულფასოვნების კომპლექსს, შეისწავლის წერა-კითხვას და თავისუფლებამდე მხოლოდ ერთი დღეა დარჩენილი, გადაწყვეტს თავის ჩამოხრჩობას, რათა გაექცეს სინდისის ქენჯნას და დარჩენილი ცხოვრების მწარე რეალობას.

ციხიდან გასვლის წინა დღეს მიხაელი და ჰანა საუბრობენ მომავალი ცხოვრების დეტალებზე. ქვემოთ მოცემულ მოკლე დიალოგში კოჰერენცი უზრუნველყოფილია კითხვა-პასუხის კორესპონდენციით, რომელშიც ემოციური შტრიხები იმპლიციტურადაა კოდირებული:

**„Überleg dir, was wir morgen machen. Ob du gleich zu dir nach Hause willst oder wir in den Wald oder an den Fluss wollen“**

**„Ich überleg’ s mir.Du bist immer noch ein großer Planer, nicht wahr?“**

**(95,190-191)**

ამავე დიალოგიდან შესაძლებელია სემანტიკური ინფერენცის გამოყვანა, რომელიც ინტერპრეტატორს საშუალებას აძლევს ჩასწვდეს ტექსტის მთავარ

საზრისს, წინარე ცოდნის საფუძველზე ამოიკითხოს და სათანადოდ შეაფასოს სიტუაციის ბუნდოვანი ადგილები, რომლებიც ექსპლიციტირებულია ტექსტის მომდევნო ნარატებში. ჰანას ირაციონალური ქმედებები და არაადეკვატური ემოციები ტექსტის პირველსავე ნაწილში უღვივებს ეჭვს ინტერპრეტატორს. წლების შემდეგ მიხაელი შემდეგნაირად გადმოსცემს ჰანას შინაგან მდგომარეობას, მის ემოციურ ინსტიქტებს, რომლებიც ერთი შეხედვით შენიღბულია:

**„ Sie hatte den schmalen ledernen Gürtel in der Hand,den sie um ihr Kleid tat, machte einen Schritt zurück und zog ihn mir durchs Gesicht... Sie ließ den Arm sinken und den Gürtel fallen und weinte.Ich hatte sie noch nie weinen sehen.Ihr Gesicht verlor alle Form. Aufgerissene Augen,aufgerissener Mund,die Lider nach den ersten Tränen verquollen,rote Flecken auf Wange und Hals. Aus ihrem Mund kamen krächzende,kehlige Laute,ähnlich dem tonlosen Schrei,wenn wir uns liebten. Sie stand da und sah mich durch ihre Tränen an.“ (95,54)**

ემოციური სემები ამ კონკრეტულ სცენაში კოდირებულია შემდეგი ლექსემებით – **weinte, weinen, Tränen, Schrei**, ნეიტრალურ განსაზღვრებაში - **tonlos**. ეს ლექსემები ემსახურება აქტანტის ემოციური მდგომარეობის დესკრიფციულ სახელდებას. ცემის სცენა აქტანტის ფსიქიკურ გამოვლინებათა წინააღმდეგობრივ ხასიათზე, ე.წ. ამბივალენტობაზე მიგვანიშნებს. ჰანას ქმედება ვლინდება ორმაგი ქმედებისაკენ მიდრეკილებაში –ემოციურ პლანში- მიხაელის მიმართ დადებითი და უარყოფითი განცდების ერთობლიობაში. ჰანას ამბივალენტური ბუნება გამოწვეულია მისი პიროვნების არამდგრადობით. ჰანა ქვეშეცნეულად სჯის ბიჭს როგორც შესაძლო დამნაშავეს. ანტაგონისტის მოწინააღმდეგე ყველანაირად ძლიერია: ფიზიკურად, სულიერად, სოციალურად. აქტანტის ქცევის მოტივაცია შემდეგნაირია: საკმარისია მისთვის ერთი წინააღმდეგობის გაწევა, ერთი არასწორი ნაბიჯი და მკითხველის თვალწინ გადმოედინება ყველაფერი, რაც ცხოვრებამ ჩააგუბა ჰანას გულში: სიძულვილი, რისხვა, სისასტიკე, გაბოროტება.

ტექსტის მესამე ნაწილის მეთორმეტე ნარატებში ექსპლიციტირებულია თვითმკვლელობის ფაქტი. პირველსავე წინადადებაში ფიქსირდება ლექსემა „სიკვდილი“, რომელსაც მოსდევს იმ სიტუაციის დაზუსტება, თუ როგორ იკლავს დამნაშავე თავს. სიკვდილის ლექსემა ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურია. იგი არის რეზულტატი, შედეგი აქტანტის ფსიქიკური მდგომარეობისა:

**„ Am nächsten Morgen war Hanna tot. Sie hatte sich bei Tagesanbruch erhängt.“**

**(95, 192 )**

ძლიერი ემოციური ელემენტებით არის დატვირთული ნარატემის ის სცენა, როდესაც მიხაელი იგებს ჰანას თვითმკვლელობის ამბავს. მოულოდნელობისაგან თავზარდაცემული პროტაგონისტის შინაგანი რეაქციები გადმოცემულია ემოციის აღმნიშვნელი შემდეგი ლექსემებით:

**„ Ich zuckte mit den Schultern. Ich sah nicht, was Hannas und meine Geschichte sie anging. Ich hatte Tränen in Brust und Hals und Angst, nicht reden zu können. Ich wollte vor ihr nicht weinen.“ (95, 193)**

კოჰერენცის მოტივაციური ჯაჭვი ფიქსირდება შემდეგ მონაკვეთში:

**„ Ich hatte, während sie sprach, weiter mit dem Blick auf die Bilder und Zettel gekniet und die Tränen niedergekämpft...Ich hätte nicht reden, ich hätte nur stammeln und weinen können. (95, 195).**

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ სუიციდის აღმნიშვნელი ლექსემები ქმნიან იზოტოპიურ ჯაჭვებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექსტის კოჰერენცს.

ამრიგად, ტექსტის სემანტიკური ბმულობა ხორციელდება ტოპიკების მეშვეობით, რომელთა ფუნქციაა მთლიან ტექსტში სემანტიკური ინფორმაციის მონიშვნა. ტოპიკალური ჯაჭვების რეფერენტები გამოხატულია შემდეგი ენობრივი ერთეულებით: პირის, კუთვნილებითი, წინდებულებიანი ნაცვალსახელებით, სიტყვასიტყვით გამეორებული ლექსემებითა და ემოციის გამომხატველი სხვა ვერბალური საშუალებებით.

პროტაგონისტის პროფესიიდან გამომდინარე ტექსტისთვის ნიშანდობლივია დარგობრივი კომუნიკაციის ელემენტები. ტექსტი შეიცავს თვალშისაცემ სიგნალებს: აბრევიატურებს, კომპოზიტებს, იურიდიული ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელი სიტყვაწარმოების საშუალებებს. ნარატიული ტექსტის მეორე და მესამე ნაწილში მატულობს აქტანტის დარგობრივი კომპეტენციის აღმნიშვნელი ენობრივი საშუალებები. ამ მონაკვეთში გაბნეულია სპეციალური ლექსიკა. სიტყვაწარმოებით ერთეულებში ხშირად გამოყენებულია ნორმირებული ენის სიტყვები ტერმინოლოგიური ფუნქციით. ეს ნარატემა ასევე გამოირჩევა კომპლექსური წინადადებებით, ინფინიტივიანი და პასივიანი

კონსტრუქციებით. უნდა ითქვას, რომ ტექსტის მეორე და მესამე ნაწილში სამართლებრივი ქმედებები გამოიხატება ადეკვატური ენობრივი საშუალებებით, რომლებითაც აღინიშნება კანონთა ენა, განაჩენი, გადაწყვეტილებები, ექსპერტიზა, დაწესებულებებს შორის საქმიანი მიმოწერა, სასამართლო არგუმენტაციები რიტორიკული სტრუქტურები, მოსამართლესა და მსჯავრდებულს შორის დიალოგები, სასჯელის აღსრულების რამდენიმე ფაზა: პრეისტორია – გამოძიება, ბრალდება, სასამართლო საქმის წარმოება და სასამართლო პროცესის დასასრული. სამართლებრივი ცნებების გამომხატველი ლექსემები ქმნიან იურიდიული ტერმინების ქსელს:

**Gerichtsverhandlung -Verteidiger-Vernehmung – Angekaltge – Gericht-Richter –Vorsitzende –Anwalt – Mandatin –Haftrichter – Tat -Nazi-Haftgrund-Verhandlungstagen-Gerichtsbank-Verhandlungspause-KZ-Häftling**

ლექსემების გარდა გვხვდება ფუნქციურზმნიანი შენაერთებიც:

**Ein wörtliches Protokoll führten,**

**Der Anwalt stellte den Antrag,und das Gericht lehnte den Antrag ab.(გვ.94)**

**In der zweiten Woche wurde die Anklage verlesen (95, 101)**

მთლიანი ტექსტის მეორე ნაწილის მეორე მონაკვეთში გამოკვეთილად ჩანს, თუ როგორ იქმნება ტექსტში იურიდიული ცნებების აღმნიშვნელი ლექსემების ქსელი:

**„Ich sah Hanna im (1)Gerichtssaal wieder. Es war nicht (2)der erste KZ-Prozess und keiner der großen. Der Professor,einer der wenigen,die damals über die (3)Nazi-Vergangenheit und die einschlägigen (4)Gerichtsfverfahren arbeiteten, hatte ihn zum Gegenstand eines Seminars gemacht,weil er hoffte, ihn mit Hilfe von Studenten über die ganze Dauer verfolgen und auswerten zu können... Genügt es,daß der (5)Paragraph ,nach dem die (6)KZ-Wächter und –Schergen (7)verurteilt werden, schon zur Zeit ihrer Taten im (8) Strafgesetzbuch stand, ...Was ist (9)das Recht? Was im Buch steht oder was in der Gesellschaft tatsächlich durchgesetzt und befolgt wird? (95, 86)**

თუ ტექსტიდან კონტექსტის გარეშე ამოვიღებთ იურიდიულ ლექსემებს და დავაჯგუფებთ ერთი მეორის გვერდით, ეს იქნება ტერმინოლოგიური ველი.

მაგრამ, თუ კონტექსტში გაბნეულს ვაჩვენებთ და სემანტიკური ნიშნით დავუკავშირებთ ერთმანეთს, ეს იქნება იურიდიული ცნებების აღმნიშვნელი ლექსემების ქსელი:

„..... (1)Gerichtssaal ..... (2)der erste KZ-Prozess .....  
....., ..... (3)Nazi-Vergangenheit .....  
(4)Gerichtsverfahren .....  
..... (5)Paragraph ..... (6)KZ-  
Wächter und –Schergen (7)verurteilt werden,..... (8) Strafgesetzbuch  
.....?..... (9)das Recht? .....

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტექსტში ან მის მონაკვეთებში ერთი და იგივე ენობრივი ერთეულებში ამოიკითხება როგორც სემანტიკური ისე გრამატიკული ინფორმაცია. ამდენად შესაძლებელია იურიდიული ცნებების აღმნიშვნელი ლექსემები განხილულ იქნას როგორც სემანტიკურ ისე გრამატიკულ ასპექტში:

**(1)Gerichtssaal**-პირველსავე წინადადებაში სახელდება ახალი ინფორმაცია ადგილის დეიქსისით, რომელიც გამომხატულია წინდებულებიანი არსებითი სახელით.

**(2)der erste KZ-Prozess**- მარტივი ნომინალური ჩარჩო, რომელიც ანაფორულ მიმართებაშია მომდევნო ნეგატიურ სიტყვასთან. ჩარჩოს კონსტრუქციაში სუბიექტი წარმოდგენილია კომპოზიტის სახით, რომელშიც მსაზღვრელი კომპონენტი აბრევიატურული ფორმით არის წარმოდგენილი. ნომინალური ჩარჩო ანაფორულ მიმართებაშია პირის ნაცვალსახელთან **ihn**.

**(3)Nazi-Vergangenheit**- ტექსტში რემული ინფორმაციის შემომტანი კომპოზიტი. ამავე მონაკვეთში იშლება სემანტიკური ბმულობის გამომხატველი ტოპიკალური ჯაჭვი, რომლის რეფერენტია **პროფესორი: Der Professor- einer - er**.

**(4)Gerichtsverfahren**- ორკომპონენტიანი კომპოზიტი.

**(5) Paragraph** –ანაფორულ მიმართებას ამყარებს წინდებულებიან შენაერთთან **nach dem**.

**(6)KZ-Wächter und – Schergen- (8) Strafgesetzbuch სამკომპონენტიანი კომპოზიტები, რომლებიც ტექსტში ქმნიან იურიდიული ლექსიკის ველს.**

**(7)verurteilt werden** - პასიური კონსტრუქცია.

**(9)das Recht**-ენდოფორული რეფერენცი.



ჩვენ მიერ განხილული ტექსტის მონაკვეთები ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება სხვადასხვა კონოტაციებით შეფერილი ლექსემების მეშვეობით ტექსტის ქსოვილის შექმნა, ცალკეული წინადადებებისა და აბზაცების გადაბმა. ეს ლექსემები გამოხატავენ აგრეთვე კონოტაციებს, რომლებიც ამოიკითხება ტექსტის სტილისტიკური ინტერპრეტაციის დროს.

#### **6.4. ტექსტის სტილისტიკური ინტერპრეტაცია.**

ტექსტის ზემოქმედების ხარისხი უშუალოდ უკავშირდება ტექსტური სტრუქტურის ენობრივ ნიშნებს. ტექსტის სწორი აგება და სათანადო ენობრივი საშუალებებით გაფორმება სტილისტიკურ მახასიათებლებთან ერთად განაპირობებს სხვადასხვა მოსალოდნელ თუ მოულოდნელ ეფექტს.

ბერნჰარდ შლინკის თხრობის სტილი სადა და მოკრძალებულია, თუმცა საკმაოდ შთამბეჭდავი. მთელ ტექსტში ერთმანეთს ენაცვლება პირდაპირი ნათქვამი და შინაგანი მონოლოგები. სტილი უმეტესწილად დინამიკურია. მარტივი წინადადებები, რომლებსაც ავტორი ხშირად იყენებს მონაკვეთების დასაწყისში, ხშირად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია, ისინი გარკვეულ ემოციურ ზეგავლენას ახდენენ მკითხველზე. მსგავსი სიგნალები გვხვდება პირველი ნაწილის პირველ და მეჩვიდმეტე ნარატემებში, მესამე ნაწილის მეორე, მეხუთე და მერვე მონაკვეთებში:

**„Als ich fünfzehn Jahre alt war, hatte ich Gelbsucht;“ (95, 5)**

**„Dann habe ich begonnen, sie zu verraten;“ (95,72)**

**„Am nächsten Tag war sie weg;“ (95, 79)**

**„ Ende Juni wurde das Urteil verkündet;“ (95, 156)**

**„Ich habe als Referender geheiratet.“ (95,164)**

**„Mit Odyssee habe ich angefangen.“ (95,174)**

**„Am nächsten Sonntag war ich bei ihr.“ (95,184)**

**„Am nächsten Morgen war Hanna tot.“ (95, 192)**

მიუხედავად მოლიანი ტექსტის დინამიკური სტილისა, ცალკეულ ნარატებში მაინც ფიქსირდება მდოვრე რეგისტრი, რომელსაც ქმნის არსებითი სახელების ჭარბი გამოყენება:

**„ Kein Stuck, keine Spiegel, kein Läufer. Was das Treppenhaus ursprünglich an bescheidener, der Prächtigkeit der Fassade nicht vergleichbarer Schönheit besessen haben mochte, war längst vergangen. Der rote Anstrich der Stufen war in der Mitte abgetreten, das geprägte grüne Linoleum, das neben der Treppe schulterhoch an der Wand klebte, abgewetzt, und wo im Geländer die Stäbe fehlten waren Schnüre gespannt“ (95, 12)**

რომანის სპეციფიკურ სტილს ქმნიან რთული ქვეწყობილი წინადადებები - ჰიპოტაქსები, რომლებშიც დამოკიდებული წინადადებები მთავარს უკავშირდება მიმართებითი ნაცვალსახელებითა და მაქვემდებარებელი კავშირებით.


ტრადიციულად ნარატიულ ტექსტში თხრობის სტილი მკვეთრად უფრო რთული და განსხვავებულია, ვიდრე პრაგმატულ ტექსტებში, რაც განპირობებულია ლიტერატურული ჟანრით. რომანში თხრობა მიმდინარეობს ორ პერსპექტივაში: ერთია, როცა ავტორი ამბავს გვიამბობს საკუთარი პოზიციებიდან და მეორე, ტექსტის აქტანტი გადმოსცემს საკუთარ თავგადასავალს და ხდება თხრობის საგანი. ორპოლუსიანი თხრობა პარალელურად მიმდინარეობს და რომანის ეს განსაკუთრებული სტილი მკითხველისათვის შთამბეჭდავია. თხრობის ორპოლუსიანი სტრუქტურის კომპონენტებია:

1. მთხრობელი აქტანტი, რომელიც რეტროსპექტივაში გადმოსცემს მომხდარ ისტორიებს, განცდილ ამბებს;

2. მთხრობელი „მე“, როდესაც თავად „მე“ არის თხრობის საგანი. მას რამდენიმე ნიშანი ახასიათებს:

- მხოლოდითი რიცხვის პირველი პირი.
- პირველი პირი არ უიგივდება პროტაგონისტს.
- აუქტორიალური თხრობა მიმდინარეობს რეტროსპექტიულ პერსპექტივაში.
- მთხრობელი „მე“ -ს უპირატესობაა: დროის რეტროსპექტიული თხრობის ფორმით განცდილის გადმოსცემა. მიხედავად ბერგი ორმოცდაათი წლის ასაკში

რეტროსპექტიულად მოგვითხრობს განცდილ ამბავს. გრაფიკულად ეს მიმართებები შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს:



ტექსტის ერთ-ერთ ეფექტურ კომპონენტად შეიძლება ჩაითვალოს ჰანას ენობრივი პორტრეტი. პირველივე ნაწილის პირველსავე ნარატემაში იქმნება ჰანას ენობრივი პორტრეტი ფრაზით: „**Nimm den anderen!**” მომდევნო მონაკვეთებში გრძელდება ანტაგონისტის ენობრივი მეტყველების თავისებურებების ხაზგასმა. დანაწევრებული მეტყველება, ლაპარაკის პროცესში ზმნური ფორმების ძებნა, შეკვეცილი ფორმების გამოყენება, მოკლე პასუხები. ყოველივე ეს მიუთითებს ჰანას გაუნათლებლობაზე, იმ სოციო - კულტურულ გარემოზე, რომლის წიაღშიც ის დაიბადა და გაიზარდა. ასევე ნათლად ჩნდება სასამართლო პროცესებში მისი მეტყველების თავისებურებები:

**„ Ich habe...ich meine...Was hätten Sie denn gemacht? (95, 107)**

**Also hätte ich...hätte nicht...hätte ich nicht bei Siemens nicht melden dürfen? (95, 107)**

**Ich glaube, dass ich nicht die einzige war,die...”(95, 111)**

**Wir waren...wir hatten...”(95, 121)**

სტილისტიკური დატვირთვა აქვს აგრეთვე თემისა და რემის მონაცვლეობას ტექსტში. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა მონაკვეთი ახალი ინფორმაციით იწყება, რაც ტექსტის დინამიკურ სტილს ქმნის. მოულოდნელი

სიტუაციური ეფექტების შექმნით თხრობა უფრო დაძაბული ხდება. თემატიკური პროგრესის ჩვენება უზრუნველყოფს მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნას.

რომანში თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ მთელ ტექსტს ლაიტმოტივად გასდევს პროტაგონისტის ფიქრები და განსჯები განვლილ ცხოვრებაზე. მთელ ტექსტში გვხვდება შეფასებითი ანალიზი, რომლებშიც მთხრობელის ფიქრებია განზოგადებული. ეს თხრობა მოგონებასთან არის დაკავშირებული. მოგონებაში ცენტრალური ადგილი სუბიექტს უკავია, მოგონება მის მიერ განცდილი ისტორიაა. წარსულის აჩრდილები და აწმყოს რეალობები ერთმანეთს ერწყმის და წარსული აწმყოში ცოცხლდება. „მე“ მთხრობელი განაზოგადებს თავის განცდებსა და ქმედებებს, კრიტიკულად აფასებს მათ, თავისი თაობის ბედისწერის ნაწილად მიიჩნევს და სანუგეშოს ვერაფერს ხედავს.

**„ Wie sollte es ein Trost sein, dass mein Leiden an meiner Liebe zu Hanna in gewisser Weise das Schicksal meiner Generation, das deutsche Schicksal war, dem ich mich nur schlechter entziehen, das ich nur schlechter überspielen konnte als die anderen. (95, 163.)**

**Gleichwohl hätte es mir damals gutgetan, wenn ich mich meiner Generation hätte zugehörig fühlen können.... Weil die Wahrheit dessen, was man redet, das ist, was man tut, kann man das Reden auch lassen” (95, 166)”**

სასამართლო პროცესების აღწერისას მოსამართლის მხრიდან ჰანას მისამართით ირონია დომინირებს. ეს სტილისტური ფიგურა დადებით აზრს საპირისპიროდ ცვლის. მოსამართლე კონკრეტული კითხვით აბნევს ეჭვიმტანილს და ცდილობს მის კომპრომეტირებას.

**„ Sie sind freiwillig zur SS gegangen?”**

**„ Ja”**

**„ Warum?”**

**Hanna antwortet nicht.**

**„ Stimmt es, daß Sie zur SS gegangen sind, obwohl Ihnen bei Siemens eine Stelle als Vorarbeiterin angeboten worden war?” (95, 91)**

მთელი ტექსტი განვლილი ცხოვრების შეფასებას წარმოადგენს, ტექსტში ჩართული დიალოგების მეშვეობით ცოცხლდება თხრობის სტილი და მკითხველისათვის გასაგები ხდება პროტაგონისტის ფარული განცდები. ავტორი

პრედიკატებით მიგვანიშნებს იმ სანუკუარ ოცნებაზე, რომელსაც წლების შემდეგ უწერია ასრულება:

**„Wirst du eines Tages auch solche Bücher schreiben?“**

**Ich schüttelte den Kopf.**

**„Wirst du andere Bücher schreiben?“**

**Ich weiß nicht.**

**Wirst du Stücke schreiben?**

**Ich weiß nicht, Hanna.” ( 95, 62)**

ჰანა მიხაელს მიმართავს კინობით-აღერსობითი სახელით „ Jungchen“, რაც ქმნის სიტყვაწარმოების საშუალებით გამოსატულ ექსპრესიულ შეფერილობას.

**„ Ach, Jungchen,was redest du.” (95, 27)**

**„ Nichts, Jungchen,nichts ist daran falsch.( 95, 35)**

**Mein Jungchen heißt Michael...” (95, 35)**

**„ Du hast so eine schöne Stimme, Jungchen,ich mag dir lieber zuhören als selbst lesen”’(95, 43)**

**Mach’s gut, Jungchen. (95, 188)**


ტექსტში გამოყენებულია სტილისტური შედარების მარტივი ფორმები, რომლებიც გამოსატულია განსახვავებული ენობრივი ნიშნებით. შედარების ერთეულები ერთმანეთთან დაკავშირებულია შედარების ნაწილაკით **wie**:

**„ Hier wie dort weiteten die Fenster den Raum nicht in die Welt draußen, sondern hängten diese in das Zimmer wie Bilder.” (95,135)**

ახ

**„ Wenn wir Kinder unseren Vater sprechen wollten,**

**gab uns Termine wie seinen Studenten.” (95,134)**



## 6.5. გრამატიკული ინტერპრეტაცია.

რომანში შერჩეულია დროის ნეიტრალური პერსპექტივა და პრეტერიტუმის ფორმით არის მოთხრობილი განცდილი ამბები, რომლებიც მოცემულ მომენტში უკვე დამთავრებულია.

თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, მთელ ტექსტში დომინირებს ზმნა-შემასმენლის პირველი პირის ფორმები მხოლოდით რიცხვში:

**„bis ich aufhörte, ... bis ich mich daran gewöhnte,...bis ich Bücher ansah,...ich erinnere mich,... ich mied ihr Haus, nahm andere Wege ,...Ich gewöhnte mir ein großspuriges, überlegenes Gehabe an, ich präsentierte mich als einen , ... Ich erinnere mich auch an Sophie“( 95, 83-84)**

ტექსტში ფიქსირდება ზმნების რესტრიქტიული ფორმები, რომლებიც გამოსატული არიან დამხმარე, სრულმნიშვნელოვანი და მოდალური ზმნების კავშირებითი კილოს ფორმებით:

**„ Nicht weil wir uns so nahe gewesen wären. Ich habe dir nicht helfen können....Ich wusste, wann er sich mehr um uns hätte kümmern und wie er uns mehr hätte helfen können“ ( 95, 138)**

**„ ..sondern um ihrer Haltungen und Bewegungen willen die Augen nicht von ihr hatte lassen können. ...wovon ich meine Augen nicht hatte lassen können.... Nicht dass sie so schwer gewesen wäre.“ ( 95, 17)**

მოკლე წინადადებები, როგორც წესი, მოიცავენ გრამატიკულად აუცილებელ წინადადების წევრებს. წინადადების ლაკონური სტილი დამახასიათებელია ექსპრესიული თხრობისთვის, ხოლო გრძელი წინადადებები დახასიათებებს ინტენსიურს ხდიან და თხრობის დინამიკას აძლიერებენ.

ქვემოთ მოყვანილ ნიმუშებში წარმოდგენილია რთული წინადადებები, რომლებიც შედგება სხვადასხვა რანგის დამოკიდებული წინადადებებისაგან.

**„ Wie sollte es ein Trost sein, dass mein Leiden an meiner Liebe zu Hanna in gewisser Weise das Schicksal meiner Generation, das deutsche Schicksal war, dem ich mich nur schlechter entziehen, das ich nur schlechter überspielen konnte als die anderen. Gleichwohl hätte ich es mir damals gutgetan ,wenn ich mich meiner Generation hätte zugehörig fühlen können“ (95, 163)**

ტექსტის ზედაპირული სტრუქტურისა და შინაგანი აზრობრივი ორგანიზაციის ურთიერთმიმართებები გამოიხატება გრამატიკული

საშუალებებით. თითოეულ ნარატემაში გვხვდება დეტერმინანტების განსაზღვრული ჯგუფი:

ატრიბუტული დეტერმინანტები, რომლებიც ხშირად ტექსტში განისაზღვრება ზედსართავი სახელით:

**Die eiserne Geländer  
das alte Haus  
aus diamantgeschliffenen Sandsteinquadern  
aus Backsteinmauerwerk mit sandsteinernen Erkern  
Balkonen und Fensterfassungen.  
ein großflachiges, herbes,fräuliches Gesicht**

პრედიკატიული დეტერმინანტები:

**von peinlicher Sauberkeit,  
nach vergangenem Glück,  
hässliche Wahrheit,  
elegante Anzüge,  
glattes Leder,**

აპლიკატიური დეტერმინანტები:

**machte mich traurig,  
was schon war,  
wenn es ewig halt,  
freilich lebte.**

ტექსტში გამოიყოფა ჩარჩოს კონსტრუქციის მრავალი ტიპი. ასე მაგალითად, პირველი ნაწილის მეოთხე ნარატემა გამოირჩევა ზმნური ჩარჩოს კონსტრუქციებით, რომლის საწყისი და ბოლო კომპონენტები მოიცავს დაზუსტებულ ინფორმაციას.

**„Sie zog sich in der Küche um.  
Sie zog die Kittelschürze aus und stand in hellgrünem Unterkleid...  
...bewegte sich vor,...  
Sie richtete sich auf  
...dann hielt ich es nicht mehr aus,  
... rannte die Treppe hinunter. ...” (ნიმუშები მოყვანილია ცალკეული ნარატემების მაგალითზე)**

მთელ ტექსტში დომინირებს ადიუნქტების ჩარჩო. იგი გაშლილია დამოკიდებულ წინადადებებში საწყისს იუნქტორსა და ბოლო პოზიციაზე მდგომ ზმნას შორის. ეს იუნქტორები სინონიმური არ არიან. მათ თავიანთი ფუნქციური დატვირთვა აქვთ და გამოირჩევიან მათთვის დამახასიათებელი შინაარსებითა და გამოყენების თავისებურებებით.

„ wie jemand gleichmäßigen, langsamen, schweren Schritts die Treppe hinaufkam” (95,23)

„warum ich in den zweiten statt den ersten Wagen gestiegen war (95, 49)

„als ich nachfragte (95, 50)

„bis ich nicht mehr fürchtete, (95,53)

„ob ich schon ein offenes Blumengeschäft finde (95, 54)

„ wohin meine Eltern, die große Schwester und der große Bruder verreisten” (95,58)

ტექსტი გამოირჩევა კონექტორების და კომპოზიციური სიგნალების სიუხვით, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც წინადადებებს შორის ბმულობას ასევე მონაკვეთების ბმულობასაც.

ტექსტში გამოყენებულია როგორც ნეიტრალური სტილის გამონათქვამები, ასევე მეტაფორებიც: პროტაგონისტი ჰანას ადარებს ცხენს (**Pferd**), კერძოდ ჭაკ ცხენს. (**Stute**).

ტექსტში სახელდება გეოგრაფიული სახელები, რომლებიც იმპლიციტურად მიგვანიშნებს აქტანტის სოციალურ მდგომარეობაზე, ყოფიერების გზაზე.

„ So fuhren wir in der Woche nach Ostern mit dem Fahrrad weg, vier Tage Wimpfen, Amorbach und Miltenberg. “(95, 51)

„ Sie hatte sich nach Hamburg abgemeldet, ohne Angabe einer Anschrift”. (95, 80)

„ Ja, sie sei am 21. Oktober 1922 bei Hermannstadt geboren worden... “ (95, 91)

„ Der Vorsitzende ließ sich von Hanna einsilbig bestätigen, dass sie bis Frühjahr in Auschwitz und bis Winter 1944/ 1945 in einem kleinen Lager bei Krakau eingesetzt war.” (95,92)

„ Die Tochter lebte in New York, und ich nahm eine Tagung in Boston zum Anlaß, ihr das Geld zu bringen”(95, 199)

ტექსტს განსაკუთრებულ ექსპრესიულობას სძენს ინიცილებით შედგენილი სიტყვები, აბრევიატურები. მათი გამოყენება ტექსტში ენობრივი ეკონომიისაკენ



სწრაფვას უკავშირდება. ამ კონკრეტულ შემთხვევებში ისინი იურიდიულ ტერმინოლოგიის დონეს მიეკუთვნება, თუმცა შეიძლება ნორმატიულ ენასაც მიეკუთვნოთ.

**„KZ-“ Konzentrationslager ( 95, 86)**

**„SS“-Schutzstaffel ( national-sozialistische Organisation) ( 95,88)**

**„ Drittes Reich” ( 95,87)**

ტექსტში ასევე შთამბეჭდავია თხრობის გამდიდრება სათანადო სიტუაციებით, დეტალებით, მტკიცებულებით ისეთ ისტორიულ თემებზე, როგორცაა მეორე მსოფლიო ომი, საკონცენტრაციო ბანაკები, თაობათა კონფლიქტი, წერა-კითხვის უცოდინარობა და. ა.შ ისტორიული რეაქციების აღმნიშვნელი ენობრივი ერთეულები უფრო თვალსაჩინოს ხდის რთულ პოლიტიკურ პროცესებს, წარსულის აჩრდილებსა და შორეულ ხდომილებებს. რეფლექსიების დიდ რაოდენობას ვხვდებით მთლიან ტექსტში. ჯერ კიდევ ახალგაზრდა პროტაგონისტი მიხაელი ცდილობს არა მარტო საკუთარ ფიქრებსა და განსჯებში წარსულის გადასინჯვას და რეალურად უპირისპირდება საკუთარ მამას, არამედ სასამართლო პროცესებზეც გარკვეული წლების შემდეგ კვლავ წარსულის ანალიზშია. წარსულმა გაურკვეველობის თავისი კვალი დაამჩნია მიხაელის როგორც პირად ცხოვრებას ასევე პროფესიულ წინსვლასაც. როგორც ჩანს, მესამე რაიხის პრობლემა გერმანელთათვის კვლავ აქტუალური რჩება. ტექსტის სემანტიკურ ფენაში დივინაციისა და ინფერენცის გამოყენებით საკმაოდ დიდი ინფორმაციის ამოკითხვა შეიძლება.

### **მექვსე თავის დასკვნები**

1. დიდი მოცულობის ნარატიული ტექსტის სტრუქტურა განსხვავებული საშუალებებით შეიძლება იყოს აგებული, რასაც რამდენადმე განაპირობებს ტექსტის ნიმუშის სპეციფიკაც.
2. ინტერპრეტირებული რომანის სემანტიკურ საყრდენს წარმოადგენს პლოტი, რომელშიც იშლება აქტანტების ენობრივი პორტრეტები. მათში ამოკითხება თითოეულის ყოფიერების გზა, რაც ხელს უწყობს ტექსტის სემანტიკურ სიღრმეში ჩადებულ ინფორმაციის ამოკითხვას.

3. ნარატიული თხრობის სტრუქტურის ჩვენება უზრუნველყოფს თხრობის ორი პერსპექტივის თავისებურებების წარმოჩენას, კერძოდ: ეს არის ამბივალენტური „მე“, რომელიც მოგვითხრობს თავის მიერ განცდილ ამბავს და მთხრობელი „მე“, რომელიც თავად არის თხრობის საგანი.
4. ტექსტის ინტერპრეტაციისას ანალიზის ფოკუსი მიმართულია რომანის როგორც შიდაენობრივ – გრამატიკულ, სტილისტიკურ და სემანტიკურ მახასიათებლებზე, ასევე გარეენობრივ ისტორიულ ფაქტებსა და სოციო-კულტურულ ფონზე, რომელთა ინტერპრეტაცია ემსახურება ტექსტში ჩადებული საზრისის დივინაციას და სემანტიკური ინფერენცის გამოყვანას.

## თავი VII.

### ტექსტი III.

ჰაინრიხ ფონ კლაისტის პაროდია

„ახალი (უფრო ბედნიერი) ვერთერი“

*Der neuere (glücklichere) Werther*

#### 7.1. პაროდია–დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის პერიფერიული ინტეგრანტი.

სიცოცხლის ნებაყოფლობით შეწყვეტის დისკურსის ინტეგრანტად შეიძლება ჩაითვალოს პაროდია ტექსტებიც. თუმცა ლიტერატურული ჟანრის სპეციფიკის შესაბამისად ასეთ ტექსტებად სუიციდი შეიძლება მცდელობის სახით ან რაიმე სხვა კომიკური სიტუაციით იყოს გამოხატული. ამდენად მთავარი თემის ამ თანათემას არშემდგარ სუიციდს ვუწოდებთ. დისკურსიულ კონსტრუქციაში კი პერიფერიულ ინტეგრანტს. პაროდია ბერძნული სიტყვაა *parodia* და სიტყვასიტყვით საწინააღმდეგო აზრის შემცველ სიმღერას ნიშნავს. ლიტერატურათმცოდნეობაში *პაროდია* ცალკეული ნაწარმოებისა თუ კონკრეტული პიროვნების (პერსონაჟის) კომიკურ მიბადვასა და მხატვრულ იმიტაციას ნიშნავს. შესაძლებელია პაროდირებულ იქნას როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, ასევე ფილმი, თეატრალური თუ მუსიკალური წარმოდგენა. პაროდიას ჩამოყალიბების და განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში მიმართავდნენ პაროდიის სხვადასხვა ხერხებს მაგ, პოეტი ჰიპონაქე ეფესელი (ძვ. წ. VI ს) წერდა პაროდიებს ჰომეროსის ეპოსზე. პაროდიის უდიდეს ოსტატებად ითვლებოდნენ არისტოფანე, ევრიპიდე და ესქილე. პაროდია თანდათანობით გავრცელდა ევროპაში. გერმანულ ლიტერატურაში განასხვავებენ პაროდიის სამ სახეობას: კრიტიკულ პაროდიას, კომიკურ პაროდიას და პოლემიკურ პაროდიას. **კრიტიკული პაროდია** კომიკურ მინიშნებებს აკეთებს ორიგინალის სტილისტურ და შინაარსობრივ „სისუსტეებზე“. **კომიკური პაროდია** ძირითადად ავტორის ინტენციაზეა დამოკიდებული და გულისხმობს კონკრეტული ნაწარმოების იუმორისტული თვალსაზრისით გარდაქმნას. **პოლემიკური პაროდია** ცდილობს ორიგინალს მიანიჭოს სასაცილო, ზოგჯერ დამაკნინებელი ეფექტი. ასეთი შემთხვევა იწვევს კარიკატურულ ჰიპერბოლიზაციას.

გამომდინარე იქიდან, რომ პაროდია ტექსტი გარკვეულ მიმართებაშია რომელიმე კონკრეტულ ტექსტთან, ამ რელაციას შესაძლებელია

ინტერტექსტუალური მიმართებაც ეწოდოს. პაროდის კომიკურობის ეფექტი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც მკითხველისათვის ორიგინალი კარგად ცნობილია. პაროდისტი მწერალი ირჩევს რომელიმე ავტორის თხზულებას, მის შინაარსსა და ფორმას ავსებს ახალ-ახალი კონტრასტული ელემენტებითა და ამბებით, რითაც ცდილობს ტექსტს მიანიჭოს იუმორისტული ეფექტი. მსგავსი ტექსტები მეორად ტექსტებს მიეკუთვნება.

გერმანული ლიტერატურის ისტორიაში პაროდias ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. იგი ითვლებოდა უარყოფითი მხარეების მხატვრული მხილების საუკეთესო საშუალებად. თ. მანი პაროდias განსაზღვრავს როგორც ტრადიციული თხრობის მანერის დაშლას, დაქუცმაცებას (**Zersetzung**), (81,25). პაროდის შესანიშნავ ნიმუშებს ქმნიდნენ კლასიკოსი მწერლები: იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ფრიდრიხ შილერი, ბერტოლტ ბრეხტი, ფრიდრიხ ჰებელი, პეტერ ალტენბერგი, კურტ ტუხოლსკი და სხვები.

ჩვენი ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენს ჰაინრიხ ფონ კლაისტის ცნობილი პაროდია „ახალი (უფრო) ბედნიერი ვერთერი“, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ინტერტექსტუალურ ტექსტად გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებასთან“ მიმართებაში, მაგრამ ჩვენ მას განვიხილავთ როგორც სუიციდის დისკურსის ერთ-ერთ ინტეგრანტს, რომლის სიუჟეტიც პაროდის უანრის შესაბამისად ვითარდება. ტექსტის ინტერპრეტაციისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია პაროდის მთლიანი ტექსტის მოყვანა და მისი მოკლე შინაარსის გადმოცემა:

### ***Der neuere (glücklichere) Werther***

*Zu L....e Frankreich war ein junger Kaufmannsdiener Charles C....., der die Frau seines Prinzipals, eines reichen, aber bejahrten Kaufmanns namens D....., heimlich liebte. Tugendhaft und rechtschaffen, wie er die Frau kannte, machte er nicht den mindesten Versuch, ihre Gegenliebe zu erhalten: um so weniger, als er durch manche Bande der Dankbarkeit und Ehrfurcht an seinen Prinzipal geknüpft war. Die Frau, welche mit seinem Zustande, der seiner Gesundheit nachteilig zu werden drohte, Mitleid hatte, forderte ihren Mann unter mancherlei Vorwand auf, ihn aus dem Hause zu entfernen; der Mann schob eine Reise, zu welcher er ihn bestimmt hatte, von Tag zu Tag auf und erklärte endlich ganz und gar, daß er ihn in seinem Kontor nicht entbehren könne. Einst machte Herr D..... mit seiner Frau eine Reise zu einem Freunde aufs Land; er ließ den jungen C....., um die Geschäfte der Handlung zu führen, im Hause zurück. Abends, da schon alles schläft, macht sich der junge Mann, von welchen Empfindungen getrieben, weiß ich nicht, auf, um noch einen Spaziergang durch den Garten zu machen. Er kommt bei dem Schlafzimmer der teuern Frau vorbei, er steht still, er legt die Hand auf die Klinke, er öffnet das Zimmer: das Herz schwillt ihm bei dem Anblick des Bettes, in welchem sie zu ruhen pflegt, empor und kurz, er begeht nach*

*manchen Kämpfen mit sich selbst die Torheit, weil es doch, niemand sieht, zieht sich aus und legt sich hinein. Nachts, da er schon mehrere Stunden sanft und ruhig geschlafen, kommt aus irgendeinem besonderen Grunde, den hier anzugeben gleichgültig ist, das Ehepaar unerwartet nach Hause zurück, und da der alte Herr mit seiner Frau ins Schlafzimmer tritt, finden sie den jungen C..., der sich, von dem Geräusch, das sie verursachen, aufgeschreckt, halb im Bette erhebt. Scham und Verwirrung bei diesem Anblick ergreifen ihn; und während das Ehepaar betroffen umkehrt und wieder in das Nebenzimmer, aus dem sie gekommen sind, verschwindet, steht er auf und zieht sich an; er schleicht, seines Lebens müde, in sein Zimmer, schreibt einen kurzen Brief, in welchem er den Vorfall erklärt, an die Frau und schießt sich mit einer Pistole, die an der Wand hängt, in die Brust. Hier scheint die Geschichte seines Lebens aus; und gleichwohl (sonderbar genug) fängt sie hier erst an. Denn statt ihn, den Jüngling, auf den er gemünzt war, zu töten, zog der Schuß dem alten Herrn, der in dem Nebenzimmer war, einen Schlaganfall zu: Herr D... verschied wenige Stunden darauf, ohne daß es der Kunst aller Ärzte, die man herbeigerufen hatte, gelungen wäre, ihn zu retten. Fünf Tage nachher, da Herr D... schon längst begraben war, erwachte der junge C., dem der Schuß, nicht lebensgefährlich, durch die Lunge gegangen war: und wer beschreibt wohl- wie soll ich sagen, seinen Schmerz oder seine Freude?- als er erfuhr, was vorgefallen war, und sich in den Armen der lieben Frau befand, um derentwillen er sich den Tod hatte geben wollen! Nach Verlauf eines Jahres heiratete ihn die Frau; und beide lebten noch im Jahre 1801, wo ihre Familie bereits, wie ein Bekannter erzählte, aus dreizehn Kindern bestand.“*

ტექსტში ხდომილებები შემდეგნაირად ვითარდება: საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში მსახური შარლი შეყვარებულია თავის პრინციპალის, ხანშიშესული კაცის საკმაოდ სათნო და პატიოსან ცოლზე. ერთხელ, როდესაც ცოლ-ქმარი სამოგზაუროდ არის წასული, შარლი ჩაივლის ქალის საძინებლის გვერდით, გული ვედარ მოუთმენს, შევა შიგ და ჩაწვება ლოგინში. მოულოდნელად მას თავზე წამოადგება უკან დაბრუნებული ცოლ-ქმარი, რომლებიც გაოცებული არიან მსახურის უცნაური საქციელით. უნუგემო სიყვარულით გულნატკეპნი შარლი შედის თავის ოთახში, წერს გამოსათხოვარ ბარათს და კედელზე ჩამოკიდებულ პისტოლეტს დაიმიზნებს გულში. ხდება სასწაული. უეცარი გასროლის ხმა იწვევს მეზობელ ოთახში მყოფი მოხუცი პრინციპალის ინსულტს. ექიმების ცდის მიუხედავად საცოდავი კაცი გარდაიცვლება. ხუდი დღის შემდეგ გონსმოსული შარლი, რომელსაც ტყვიამ მხოლოდ ფილტვში გაუარა, სიხარულისაგან გაოგნებულია. ერთი წლის შემდეგ იგი ქორწინდება საყვარელ ქალზე და ისინი დიდხანს ცხოვრობენ ბედნიერად. მომდევნო პარაგრაფში შევეცდებით სუიციდის დისკურსის ამ პერიფერიული ინტეგრანტის ტექსტოლინგვისტიკურ ინტერპეტაციას ტექსტის შიდაენობრივ და გარეენობრივ ასპექტებზე დაყრდნობით.

## 7.2 . პაროდია როგორც მეორადი ტექსტი. ინტერპრეტაციის შიდაენობრივი ასპექტები.

პაროდის როგორც მეორადი ტექსტის ინტერპრეტაციისთვის აუცილებელია გამოვაპირობოთ სუიციდის ამ პერიფერიული ინტერპრეტაციის შიდაენობრივი და გარეენობრივი ასპექტები, სტილისტიკური რეგისტრი და შემდეგ ამოვიკითხოთ პაროდის საზრისი.

მეორადი ტექსტის შემთხვევაშიც სემანტიკური ინტერპრეტაციის ძირითად ორიენტირებად ფუნქციური დატვირთვა აქვს ტექსტის სათაურს, კომპოზიციურ ნარატემებს, თემა-რემატულ სტრუქტურას და ტოპიკალურ ჯაჭვებს.

ტექსტის სათაური პრესიგნალს წარმოადგენს, რომელსაც კატაფორული ფუნქცია აქვს. სახელად ჩარჩოში მოცემული ინფორმაცია წინასწარ უქმნის ადრესატს გარკვეულ წარმოდგენას არა მარტო ტექსტის შინაარსზე, არამედ მის ფინალზეც, რომელიც სავარაუდოდ „Happyend“ უნდა იყოს. სათაურის წაკითხვისთანავე მკითხველისათვის ნათელია ტექსტის თემა და პარალელი გოეთეს „ვერთერთან“, თუმცა სათაურში მსაზღვრელად სათანადო ზედსართავი სახელის შერჩევა მკითხველს მიაჩნდება, რომ გოეთეს ვერთერისგან განსხვავებით კლაისტის „ვერთერი“ ბოლოს და ბოლოს ბედნიერი ხდება. თავად ტექსტში არსად არის ნახსენები გოეთეს ვერთერი. მხოლოდ სათაური მიგვანიშნებს გოეთეს ნაწარმოებზე, სხვა არაფერი მონაცემი არ გვხვდება. როგორც ცნობილია, ტექსტის ინტერპრეტაციისათვის უპირველესი კრიტერიუმი ემპირიული მასალის ანალიზისას არის წინარეცოდნა, რომლის მეშვეობით ხერხდება ადრესატში გარკვეული მოლოდინის აღძვრა. კლაისტის პაროდის მხოლოდ შინაარსი, სათაურის გარეშე ადრესატს ვერ მიიყვანდა გოეთეს ვერთერის მსგავსად ანალოგამდე. ამ ორ ნაწარმოებში შეუსაბამოა ტექსტების როგორც ფორმა ასევე შინაარსიც. ისიც არ არის გამორიცხული, რომ ეს პაროდია მიხნეულ იქნას ინტერტექსტად, რომლის წყაროტექსტს წარმოადგენს გოეთეს ვერთერი.

გოეთეს ნაწარმოები პაროდისგან განსხვავებით ტექსტების სხვა სახეობას მიეკუთვნება, იგი დღიურის ფორმით არის დაწერილი. საკმაოდ განსხვავებულია აგრეთვე მათი ფინალიც. რაც უფრო შეუსაბამოა წყარო ტექსტის და მეორადი შინაარსობრივი და სიტუაციური მხარე, მით უფრო ძლიერია კომიკურობის ეფექტი. გოეთეს ვერთერისაგან განსხვავებით კლაისტის

პაროდის მთავარი აქტანტი ქორწინდება საყვარელ ქალზე და ბედნიერად განაგრძობს დარჩენილ ცხოვრებას.

ტექსტი მონოთემატურია, აგებულია ერთ თემაზე, კერძოდ სიყვარულზე. ტექსტის ექსპოზიციისთვის სახელდება პაროდის ძირითადი თემა:

**„ Zu L....e Frankreich war ein junger Kaufmannsdiener Charles C....., der die Frau seines Prinzipals, eines reichen, aber bejahrten Kaufmanns namens D....., heimlich liebte. „**

ინტეგრანტებში ნარატემების ხელოვნური გამოყოფა ხელს უწყობს ტექსტის მთლიანი სტრუქტურის დინამიკის შეცნობას. პლოტში ფიქსირდება ექვსი ნარატემა:

**პირველ ნარატემაში** სახელდება პაროდის თემა, ტექსტის სამივე აქტანტი, რომელთაგან მთავარი აქტანტია – შარლი, ხოლო მეორე რანგის აქტანტები ვაჭარი და მისი მეუღლე. პაროდიაში დასახელებულია მოქმედების ადგილი (საფრანგეთი) და მოქმედების მიმდინარეობის დეტალების თანდათანობითი გაშლით ნათელი ეფინება ხდომილებების პროცესს:

**„Der Mann schob eine Reise, zu welcher er ihn bestimmt hatte, von Tag zu Tag auf und erklärte endlich ganz und gar, daß er ihn in seinem Kontor nicht entbehren könne“**

**მეორე ნარატემაში** აღწერილია როგორ მიდის ცოლ-ქმარი სამოგზაუროდ. კომერსანტი საქმეების გაძღოლას ახალგაზრდა შარლს ავალებს. ეს მონაკვეთი იხსნება ტემპორალური სიგნალით **einst** და იხურება ზმნის ჩარჩოს მარჯვენა ნაწილით:

**„Einst machte Herr D..... mit seiner Frau eine Reise zu einem Freunde aufs Land; ...er ließ den jungen C....., um die Geschäfte der Handlung zu führen, im Hause zurück“**

**მესამე ნარატემაში** ფოკუსირებულია შეყვარებული შარლი, რომელიც ვერ იმორჩილებს გრძნობებს, შეწვება სატრფოს საწოლში და გააოგნებს თავისი საქციელით მოულოდნელად დაბრუნებულ ცოლ-ქმარს. ეს ნარატემაც იხსნება ტემპორალური სიგნალით **abends** და მთავრდება პრეზენსის მესამე პირით, რომლის ფუნქცია დროის ნეიტრალური პერსპექტივის გამოხატვაა.

**„Abends, da schon alles schläft, macht sich der junge Mann, von welchen Empfindungen getrieben, weiß ich nicht, auf, um noch einen Spaziergang durch den Garten zu machen.....; und während das Ehepaar betroffen umkehrt und wieder in das Nebenzimmer, aus dem sie gekommen sind, verschwindet, steht er auf und zieht**

an“

მეოთხე ნარატემაში გადმოცემულია ის ემოციები, რამაც უზომოდ შეყვარებული აქტანტი თვითმკვლელობის მცდელობამდე მიიყვანა. შარლი ტოვებს წერილს, რომელშიც საკუთარი საქციელის მიზეზს ასახელებს და მკერდში დაიხლის ტყვიას.

მეხუთე ნარატემით მთავრდება ტექსტის პირველი ნაწილი და იწყება მეორე, რომელშიც უკვე ექსპლიციტურად იკვეთება პაროდიის ნიშნები. შარლის მიერ თავის თავზე დამიზნებული გასროლილი ტყვიის ხმა მეზობელ ოთახში მყოფი კომერსანტის სიკვდილის მიზეზი ხდება. სწორედ ეს მოულოდნელი სცენა იწვევს კომიკურობის ეფექტს, რომელიც პაროდიის ძირითადი კომპონენტია.

მეექვსე ნარატემა დასკვნით ნაწილს წარმოადგენს. შარლი ქორწინდება საყვარელ ქალზე და ისინი ბედნიერად ცხოვრობენ ცამეტ შვილთან ერთად.

მთლიანი ტექსტის ნარატემებად დანაწევრებას უზრუნველყოფს კომპოზიციური სიგნალები, რომლებითაც იწყება და იხურება თითოეული ნარატემა. ყოველი მათგანი იხსნება ტემპორალური სიგნალით, რაც ქმნის პაროდიის დინამიკურ რეგისტრს. მთლიანი ტექსტის ორ გვერდში ამოიკითხება მთავარი აქტანტის ცხოვრების არა მარტო ერთი წელიწადი, არამედ თითქმის მთელი ცხოვრება:

**„und beide lebten noch im Jahre 1801, wo ihre Familie bereits, wie ein Bekannter erzählte, aus dreizehn Kindern bestand.“**

ტექსტში არცერთი აქტანტი არ არის წარმოდგენილი თავისი სრული სახელითა და გვარით. არც ქალაქი არის სრულად დასახელებული. ტექსტის პირველ ნარატემაში ადრესატზე სათანადო ზეგაველენას ახდენს მასში ინიციალებით წარმოდგენილი აქტანტების საკუთარი სახელებითა და ქალაქის დასახელებით, რაც მეტ ინტერესს იწვევს მკითხველში:

**„Zu L....e Frankreich war ein junger Kaufmannsdiener Charles C....., der die Frau seines Prinzipals, eines reichen, aber bejahrten Kaufmanns namens D....., heimlich liebte.“**

ტექსტის შინაარსიდან ვეცნობით აქტანტებს, მათი ქმედების სტრატეგიებს: ვინ მოქმედებს, რას საქმიანობენ, როგორ ვითარდება მათი ცხოვრება და ა.შ. ტექსტში სულ სამი აქტანტია: ვაჭრის მსახური შარლი, ვაჭარი კომერსანტი **Herr...D** და მისი მეუღლე. თუმცა ამ უკანასკნელს მხოლოდ ეპიზოდური როლი აქვს და მისი პორტრეტის შექმნა არც ისე იოლად ხერხდება.



ტექსტში სხვადასხვაგვარად ხორციელდება პირობითად გამოყოფილი ნარატემების სინტაქსურ-სემანტიკური ბმულობა: ყველაზე მნიშვნელოვანია ტოპიკალური ჯაჭვები, რომლებიც უზრუნველყოფენ არა მარტო ცალკეული ნარატემების სემანტიკურ გადაბმას, არამედ მთლიანი ტექსტის კოჰერენცს.

პირველი აქტანტი ახალგაზრდა **Charles C.....** კომერსანტის მსახურია. იგი ფარულად ეტრფის საკუთარი უფროსის მეუღლეს. მკითხველს პირველსავე წინადადებიდან შეუძლია ტოპიკალური ჯაჭვისათვის თვალის მიდევნება, რომლის რეფერენტი შარლია:

**Ein junger Kaufmannsdieners Charles C... ,der..., seines..., er..., er..., er...,  
Ihn..., ihn..., den jungen C., der junge Mann..., er..., er..., er..., er..., ..., er..., er...,  
denjungenC., ihn..., er..., er..., seines..., sein, er..., seines..., ihn...,den Jüngling..., der  
junge C., seinen...,seine..., er..., er..., ihn.**

მეორე ტოპიკალური ჯაჭვის რეფერენტი არის კომერსანტი **Herr D...-:**

**Prinzips..., Kaufmann..., Mann..., der Mann..., er..., er..., seinem..., Herr  
D., er..., der alte Herr..., dem alten Herrn..., der..., Herr D., ihn..., Herr D.**

მესამე ტოპიკალური ჯაჭვის რეფერენტი კომერსანტის მეუღლე:

**die Frau..., die Frau...,die Frau...,ihren...,der teuren Frau...,sie...,der lieben Frau...,  
die Frau.**

ემპირიული მასალის ინტერპრეტაციისას აუცილებელია ტექსტის მთლიანი სტრუქტურის წარმოდგენა პაროდის პლოტზე დაყრდნობით:

### პლოტის სტრუქტურა

| ნარატემა | თემა   | რემა  |
|----------|--|---|
| 1        | აქტანტების შემოყვანა<br>ტექსტში;<br>ტექსტის თემის<br>დასახელება; | სიყვარულის თემა;<br>მთავარი აქტანტები;                                    |
| 2        | სამოგზაუროდ წასვლა;  | საქმეების გადაბარება მსახურზე;  |
| 3        | მოქმედების ადგილი  | შარლის უცნაური საქციელი;<br>მოულოდნელად დაბრუნებული<br>ცოლ-ქმრის რეაქცია; |

|   |                               |   |
|---|-------------------------------|---|
| 4 | საძინებელი ოთახი              | თვითმკვლელობის მცდელობა;<br>ახსნა-განმარტებითი ბარათი;                  |
| 5 | გასროლილი ტყვია               | მოხუცი კომერსანტის სიკვდილი;<br>შარლის გადარჩენა;                       |
| 6 | სიკვდილს გადარჩენილი<br>შარლი | საყვარელ ქალზე დაქორწინება;<br>ბედნიერი ცხოვრება ცამეტ<br>შვილთან ერთად |

მთლიანი ტექსტის თემა-რემატული პროგრესია ნათელს ხდის, თუ როგორ ხდება ტექსტის სიუჟეტის განვითარება დინამიკაში. შეიძლება ითქვას, რომ ტექსტში ყოველი ნარატემა წარმოადგენს ახალ-ახალ ინფორმაციის წყაროს, რაც განსაკუთრებულ დაძაბულობასა და მოლოდინს იწვევს მკითხველში.

ტექსტის გრამატიკული სპეციფიკის აღწერა და დახასიათება სუიციდის დისკურსის ამ ინტეგრანტში რამდენიმე მომენტს გულისხმობს: ცალკეული ნარატემების გადაბმის საშუალებების – კომპოზიციური სიგნალების დადგენას, სიტყვაწარმოების ასპექტის წინ წამოწევას, თხრობის პერსპექტივების გამოკვეთას და ზოგადად პლოტში არსებული თვალშისაცემი გრამატიკული სტრუქტურების აღწერას.

ტექსტის ენობრივ ქსოვილში ჭარბობს რთული ქვეწყობილი წინადადების მრავალი სახეობა. სემანტიკურად სხვადასხვა სახის წინადადებები - შიშის, გაკვირვების, შეძრწუნების და აღტაცების გამომხატველია, რომლებიც ხასიათდებიან როგორც საერთო, ისე გარკვეული ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით და ლოგიკურ-სემანტიკური მიმართებებით. ტექსტში შეინიშნება წინადადებების შეკავშირების განსაკუთრებული შემთხვევები, იქნება ეს ჩართული წინადადებები თუ პერიოდები. თანწყობილი და ქვეწყობილი შენაერთების სიმრავლე ქმნის წინადადებების პერიოდებს, რომლებიც უძველესი დროიდან მჭევრმეტყველების უმაღლეს ფორმად ითვლებიან:

**„ Die Frau, welche mit seinem Zustande, der seiner Gesundheit nachteilig zu werden drohte, Mitleid hatte, forderte ihren Mann unter mancherlei Vorwand auf, ihn aus dem Hause zu entfernen; der Mann schob eine Reise, zu welcher er ihn bestimmt hatte, von Tag zu Tag auf und erklärte endlich ganz und gar, daß er ihn in seinem Kontor nicht entbehren könne.“**

ტექსტში სიტყვაწარმოების უამრავი საშუალებაა გამოყენებული, იქნება ეს გავრცობილი ფორმები, გრამატიკული გარდასახვა სხვა მეტყველების ნაწილად თუ შემოკლება. თავად მთავარი აქტანტის სულიერი მდგომარეობის ხაზგასასმელად შარლი ტექსტის სათაურშივე შედარებულია უგონოდ შეყვარებულ ვერთერთან, ხოლო ერთ-ერთ ნარატემაში იგი იწოდება „Jüngling“-ად, ამ ლექსემას ფამილარული კონოტაცია აქვს და მასში ამოიკითხება ჭაბუკის უმწიფრობა, ტემპერამენტი, თავშეუკავებლობა და არაადეკვატური მისწრაფება. მოსალოდნელია, რომ ამ თვისებებმა ჭაბუკი ლოგიკურად მიიყვანოს არასასურველ შედეგამდე. მკითხველიც ამის მოლოდინშია. თუმცა პაროდის ნიშანი თავიდანვე ჩადებულია მოხუცი კომერსანტისა და ახლაგაზრდა ცოლის ასაკობრივ განსხვავებაში. თუ როგორ დაიძლევა ეს უცნაური სიტუაცია, ამისთვის სხვადასხვა ხერხი არსებობს, რომელთაგან ორია შესაძლებელი: ან ჭაბუკი მოიკლავს თავს, ან სასწაულებრივად გადარჩება და მიაღწევს თავის მიზანს. ამ შემთხვევაში მეორე რეალიზდება და ბედნიერი დასასრულის წყალობით ახალგაზრდა წყვილი ბედნიერად ცხოვრობს თავისი მრავალშვილიანი ოჯახის გარემოცვაში.

ტექსტში აღწერილ ფიქციონალურ სამყაროს ყოველი მკითხველი თავისებურად აღიქვამს, მაგრამ ყოველთვის ერთი რამ არის ნიშანდობლივი: მოლოდინი იმისა, თუ როგორ გადაწყდება კონფლიქტი. რა თქმა უნდა, ატრიბუტი „უფრო ბედნიერი“ იმ მკითხველისათვის, ვინც იცნობს გოეთეს „ვერთერს“ არის მინიშნება, რომ ამბავი ტრაგიკულად არ უნდა დასრულდეს. მაგრამ კონფლიქტის ასეთი გზით გადაწყვეტა, რომელსაც ეს პაროდია თავაზობს მკითხველს, მაინც მოულოდნელია და პაროდირების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

პაროდიაში გვხვდება კომპოზიტები, რომელთა სტრუქტურა შედგება ძირეული და სიტყვაწარმოებითი მორფემებისაგან. ნაწარმოები სიტყვებით ახალი შინაარსობრივი ერთეულების შექმნა უაღრესად პროდუქტიულია, რადგან მათი მეშვეობით იცვლება არა მარტო ტექსტის გარეენობრივი ქსოვილი, არამედ შინაარსიც. მთავარ წინადადებებში გვხვდება მინიშნების სიგნალები. ისინი გარკვეული კატაფორული ფუნქციას ასრულებენ და მიუთითებენ იმაზე, რაც მომდევნო წინადადებაში დასახელდება.

ტექსტის მრავალფეროვან ენობრივ ფონს ქმნიან დეტერმინანტების სხვადასხვა სახეობები, იქნება ეს პრედიკატული, ატრიბუტული თუ აპლიკაციური:

**„Nachts, da er schon mehrere Stunden sanft und ruhig geschlafen, kommt aus irgendeinem besonderen Grunde, den hier anzugeben gleichgültig ist, das Ehepaar unerwartet nach Hause zurück, und da der alte Herr mit seiner Frau ins Schlafzimmer tritt, finden sie den jungen C...., der sich, von dem Geräusch, das sie verursachen, aufgeschreckt, halb im Bette erhebt.“**

პაროდიაში თვალშისაცემია ჩარჩოს კონსტრუქციების ვარირება. ერთმანეთს ენაცვლება ზმნური და სახელადი ჩარჩოები. დამოკიდებულ წინადადებებში გაშლილია ადიუნქტების ჩარჩოს მრავალი სახეობა. იუნქტორები განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებენ ამ კონსტრუქციებში, ისინი გარკვეულ მოლოდინს აღძრავენ მკითხველში, რაც მართლდება ან არ მართლდება ჩარჩოს დამხურავი კომპონენტით. ნარატიული თხრობა მესამე პირში მიმდინარეობს. ძირითადი საშუალებებია ნეიტრალური პერსპექტივის გამომხატველი ზმნური ფორმები. მაგალითად, არსებითად ჭარბობს ზმნის მესამე პირის ფორმები. მხოლოდ ერთ ნარატივში ფიქსირდება მოლაპარაკის როლი, რომელიც ავტორს ეკუთვნის: მთელ ტექსტში თხრობა მიმდინარეობს ნეიტრალურ პერსპექტივაში, თუმცა მაინც ფიქსირდება დიფერენციალური პერსპექტივა, კერძოდ პლუსკვამპერფექტის დროის ფორმით:

**„Tugendhaft und rechtschaffen, wie er die Frau kannte, machte er nicht den mindesten Versuch, ihre Gegenliebe zu erhalten: um so weniger, als er durch manche Bande der Dankbarkeit und Ehrfurcht an seinen Prinzipal geknüpft war.“**

წინადადებებსა და წინადადებების წევრებს შორის არსებული სინტაქსურ-სემანტიკურ ბმულობას ასორციელებენ კონექტორები, რომლებიც მთლიან ტექსტში უხვად არიან გაბნეულნი. ისინი გამოხატავენ ყველა სახის მიმართებებს: იქნება ეს მოდალური, დროის თუ უბრალო მიმართება:

**მოდალური მიმართება: tugendhaft und rechtsschaffen, heimlich, nachhaltig, ganz und gar, betroffen .**

**დროის მიმართება: von Tag zu Tag, einst, Abends, Nachts, wenige Stunden darauf, fünf Tage, nachher, nach Verlauf eines Jahres.**

**უბრალო მიმართება: und, aber, zu.**

რაც შეეხება თხრობის სტილისტიკურ ასპექტს, ცალკე უნდა გამოიყოს სტილისტიკური ერთეულების და რეგისტრის ურთიერთმიმართება. შესანიშნავად არის გადმოტანილი პრეტექსტის სტილისტიკური შტრიხები და მეორად ტექსტში სათანადო რეგისტრში მათი ტრანსფორმაცია. ხდება ტექსტის რეგისტრის

ვარირება, რაც დამახასიათებელია ზოგადად პაროდის უანრისათვის. საკმაოდ მრავალმხრივად არის წარმოდგენილი ამაღლებული კონოტაციის მქონე სტილისტიკური საშუალებები, როგორცაა:

**„der Mann schob eine Reise,.. von welchen Empfindungen getrieben,.. er begeht nach manchen Kämpfen mit sich die Torheit“**

დინამიკურ რეგისტრშია ირონიულად გადმოცემული შარლის ცხოვრების საინტერესო პერიოდი. სტილისტიკური შტრიხების გამუქებით წინა პლანზეა წამოწეული მთავარი აქტანტის ემოციური სამყარო. მესამე ნარატემა გაჯერებულია შარლის გრძნობების გამომხატველი ემოციური ლექსემების ქსელით, რაც დამახასიათებელია მაღალი ლიტერატურული სტილისთვის:

**„ Er kommt bei dem Schlafzimmer der teuern Frau vorbei, er steht still, er legt die Hand auf die Klinke, er öffnet das Zimmer: das Herz schwillt ihm bei dem Anblick des Bettes, in welchem sie zu ruhen pflegt, empor und kurz, er begeht nach manchen Kämpfen mit sich selbst die Torheit, weil es doch niemand sieht, zieht sich aus und legt sich hinein.“**

რიტმული სინტაქსური კონსტრუქციებით, კომპლექსური როული წინადადებებით, სიტყვაწარმოების ფორმების გამოყენებით, ადეკვატური ლექსემების შერჩევითა და ვარირებით თვალსაჩინო ხდება მთავარი აქტანტის გრძნობების სამყარო და პაროდის განუმეორებელი რეგისტრი.

### **7.3. ტექსტის არქიტექტონიკური თავისებურებები.**

პაროდის ტექსტი მონოლითურია, არსად არის ქვესათაურები, აბზაცები, გამოყოფილი ადგილები, დიალოგები, რაც გაადვილებდა ტექსტის აღქმის პროცესს. თავად ტექსტი პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად, რის საშუალებასაც იძლევა პაროდის კომპოზიციური სიგნალი **und gleichwohl**:

**„Hier scheint die Geschichte seines Lebens aus; und gleichwohl fängt sie hier erst an. “**

ტექსტის ექსპოზიციას წარმოადგენს პაროდის პირველი წინადადება:

**„ Zu L....e Frankreich war ein junger Kaufmannsdiener Charles C....., der die Frau seines Prinzipals, eines reichen, aber bejahrten Kaufmanns namens D....., heimlich liebte “**

პლოტი შედგება ორი ნაწილისაგან, ხოლო თითოეული ნაწილი სამ-სამი ნარატემისგან.

პ რ ე ს ი გ ნ ა ლ ი

|   |               |               |               |               |               |
|---|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|
| ს უ პ ე რ ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა / პ ლ ო ტ ი |               |               |               |               |               |
| 1 ნაწილი                                |               |               | 2 ნაწილი      |               |               |
| 1<br>ნარატემა                           | 2<br>ნარატემა | 3<br>ნარატემა | 4<br>ნარატემა | 5<br>ნარატემა | 6<br>ნარატემა |

პაროდის ინტერპრეტაცია ხორციელდება როგორც შიდაენობრივი ასევე გარეენობრივი მახასიათებლების გამოკვეთით. მთლიანი ტექსტი იყოფა კომპოზიციურ ერთეულებად ანუ ნარატემებად. თემა-რემატული პროგრესია და ტოპიკალური ჯაჭვები უზრუნველყოფენ ტექსტის კოჰერენცს. კომპოზიციური სიგნალები ამთლიანებენ ნარატემებს და იქმნება პაროდის დინამიკური რეგისტრი, ხოლო სტილისტიკური საშუალებები განაპირობებენ პაროდის კომიკურობის ეფექტს.

**7.4. ინტერანტების თანხვედრი და განმასხვავებელი მახასიათებლები.**

ცალკეული ინტერანტების ტექსტოლინგვისტიკური ინტერპრეტაციის შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დისკურსში როგორც ტექსტების ფორმაციაში თანხვედრი და განმასხვავებელი ელემენტების და მახასიათებლების დადგენა, რომელთა გამოვლენა შედარების გზით არის შესაძლებელი. საკუთრივ შედარება შეიძლება მოხდეს როგორც სხვადასხვა ასევე ერთი ტექსტის ფარგლებში. შესაბამისად შეპირისპირების ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ცალკეული კატეგორიები, ასევე ტექსტები. ორი ან მეტი ტექსტის სტრუქტურის შეპირისპირებით წარმოჩინდება მათი მსგავსება-განსხვავებანი, რაც საფუძვლად შეიძლება დაედოს ზოგადად დისკურსის სტრუქტურის თავისებურებების აღწერას. შეპირისპირებითი ანუ კონტრასტული ლინგვისტიკის ცენტრალური ამოცანაა შეპირისპირების ბაზისის შერჩევა. შედარების მესამე კომპონენტი- ე.წ. **tertium comparationis**, მრავალფუნქციური კატეგორიაა და შეირჩევა საინტერპრეტაციო ტექსტების არსებითი ნიშნების გათვალისწინებით. შედარების დროს შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც

განსხვავებები ასევე მსგავსებები. **tertium comparationis** არის სწორედ ის კომპონენტი, რომლის საფუძველზეც შეიძლება შედარების ობიექტების შეპირისპირება. ინტეგრანტების დივერგენტული და კონვერგენტული ელემენტების გამოვლენისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ თავად დისკურსის ინტეგრანტების სტრუქტურირების განმასხვავებელი ნიშნები.

სუიციდის დისკურსის ინტეგრანტების შეპირისპირების კრიტერიუმებად გარდა ინტეგრანტების საერთო სემანტიკური ბაზისისა შერჩეულია:

- ინტეგრანტებში განფენილი სუიციდის აღმნიშვნელი ლექსემების სემანტიკური ქსელი;
- ინტეგრანტების სემანტიკური, სტილისტიკური და გრამატიკული მახასიათებლები;
- მთავარი აქტანტების ყოფიერების გზა;
- არქიტექტონიკური ფენა;
- მოქმედების ადგილი, დრო და თხრობის პერსპექტივები;
- ლიტერატურული ჟანრი;

თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ თუ არა საერთო სემანტიკური ბაზისი (თემა), ცალკეული ტექსტები ვერ გადაიქცეოდნენ დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის სტრუქტურულ ინტეგრანტებად.

მხატვრულ ლიტერატურაში – სუიციდი აქტუალური თემაა, რომელიც განსხვავებულ კონტექსტებში განსხვავებულ სემანტიკურ და ემოციურ კონოტაციებს წარმოშობს. სუიციდის თემის უმთავრესი ფუნქცია ნებისმიერი სახის ტექსტების გაერთიანებაა.

სუიციდის იმპლიციტური თუ ექსპლიციტური ლექსემების რაოდენობა ერთ ტექსტში შეიძლება აღემატებოდეს ან ჩამორჩებოდეს მეორე ინტეგრანტში არსებულ ერთეულთა რაოდენობას. სუიციდის აღმნიშვნელი ლექსემების ქსელი ნაკლები სიხშირით გვხვდება დისკურსის პირველ ცენტრალურ ინტეგრანტში (შტ.ცვაივის „ლეპორელა“), თუმცა ნოველის ტექსტოლინგვისტიკური ინტერპრეტაციისას შესაძლებელი ხდება აღნიშნული ერთეულების იმპლიციტური და ექსპლიციტური სახელდება. სუიციდის შესაბამისი ლექსიკური ერთეულები ექსპლიტიციტირებულია ნოველის მეხუთე და მეექვსე ნარატემაში განსაზღვრების, ქვემდებარისა თუ შემასმენლის გრამატიკული ფორმითა და ლექსიკალიზირებული ერთეულებით. რაც შეეხება მეორე ცენტრალურ ინტეგრანტს ( ბ.შლინკის „უკითხავს მას“) სუიციდის ლექსიკური ქსელი განფენილია მესამე ნაწილის მეთორმეტე ნარატემაში. აქ პირველსავე

წინადადებაში ფიქსირდება ლექსემა „tot“, რომელსაც მოსდევს თვითმკვლელობის ფაქტის სახელდება. რაც შეეხება პერიფერიულ ინტეგრანტს (ჰ.კლაისტის „ახალი (უფრო ბედნიერი) ვერთერი“), მასში სუიციდის თემატიკა მესუთე ნარატემაში იკვეთება. აქვე ეთხოვება სიცოცხლეს ტექსტის ერთ-ერთი აქტანტი-კომერსანტი. ინტეგრანტების ინტერპრეტაცია ცხადყოფს, რომ სიკვდილის აღმნიშვნელი ლექსემებით სემანტიკური ბმულობა ხორციელდება არა მარტო ერთი ინტეგრანტის ფარგლებში, არამედ მთლიანად დისკურსიულ სტრუქტურაშიც.

ინტეგრანტების ინტერპრეტაციისას ძნელია აბსოლუტური სიზუსტით დადგინდეს აქტანტების თვითმკვლელობის გამომწვევ მიზეზთა მთელი კომპლექსი, რომელშიც დიდი ალბათობით შედის როგორც სოციალური, ისე ბიოლოგიური, კულტურული და სხვა არავერბალური ფაქტორები. ამ თვალსაზრისით, ცენტრალური ინტეგრანტების მთავარი აქტანტები (კრეჩცენცია, ჰანა) ორ განსხვავებულ პიროვნებას წარმოადგენენ, თუმცა მათ აერთიანებთ არასრულფასოვნების საერთო კომპლექსი და ქმედება - სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება. თუ თვალს გადავაავლებთ და შევადარებთ ინტეგრანტების აქტანტების ყოფიერების გზას, ნათლად დავინახავთ, რომ ლეპორელაცა და ჰანაც არიან მარგინალები, არცერთ მათგანს არ აქვს განათლება, არ გააჩნია წერა-კითხვის კომპეტენცია, ორივე მათგანი მხოლოდ ხელმოწერას ახერხებს ბიუროკრატიულ ქაღალდებზე.

დისკურსის ინტეგრანტების სემანტიკური ინტერპრეტაციისას ყურადღება გამახვილებულია ტექსტის თემა-რემატულ სტრუქტურაზე, ტოპიკალურ ჯაჭვებსა და ტექსტის კოჰერენცის უზრუნველყოფაზე. სამივე ტექსტის სათაური პრესიგნალს წარმოადგენს, მათ აქვთ გარკვეული ფუნქციური დატვირთვა, რომელიც რეციპიენტს ერთგვარ წარმოდგენას უქმნის მოსალოდნელ ხდომილებებზე.

დისკურსის თითოეული ინტეგრანტის სუპერსტრუქტურა დაყოფილია – ნარატემბად, რომელთა მიხედვით საფეხურებრივად იშლება ტექსტის სიუჟეტი და იკვეთება საერთო თემატიკა-სიცოცხლის ნებაყოფლობით დასრულება. პირველ ცენტრალურ ინტეგრანტში გამოყოფილია ექვსი ნარატემა, რაც შეეხება მეორე ინტეგრანტს, მასში ხელოვნურად გამოყოფილი ნარატემები ემთხვევა ტექსტში მარკირებულ მონაკვეთებს. მესამე – პერიფერიული ინტეგრანტი დაყოფილია ექვს ნარატემად.



სტილისტიკური ინტერპრეტაციისას სამივე ინტეგრანტში ყურადღება მახვილდება ტექსტის მთლიან სტილზე, რეგისტრზე, აქტანტების ენობრივ პორტრეტზე. პირველ ცენტრალურ ინტეგრანტში „Leporella“ მოქმედება ლაკონურად არის გადმოცემული, მთელი ყურადღება მთავარი აქტანტის სულიერ მდგომარეობაზეა გადატანილი. მეორე ცენტრალურ ინტეგრანტში „Vorleser“ თხრობის სტილი საკმაოდ მოკრძალებულია, თუმცა ტექსტის დინამიკური რეგისტრი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ამ ტექსტის ძალზე საინტერესო სტილს ქმნის პირდაპირი ნათქვამი და შინაგანი მონოლოგები. პერიფერიული ინტეგრანტის – „Der neuere (glücklichere) Werther“ თხრობა პაროდის შესაბამისად სათანადო კომიკურ რეგისტრშია გადმოცემული. სტილისტიკური საშუალებების ამადლებული შეუსაბამო ფორმებით დინამიკურ რეგისტრშია წარმოდგენილი ტექსტის მთავარი ხდომილებები.

გრამატიკული ინტერპრეტაციისას წინ წამოწეულია ისეთი ტექსტოგრამატიკული კატეგორიები როგორცაა მორფოლოგიური და სინტაქსური ასპექტები, თხრობის პერსპექტივები, ჩარჩოს მრავალი კონსტრუქციის ტიპი. რაც შეეხება თხრობის პერსპექტივებს, პირველ ინტეგრანტში ხდომილებებს მთხრობელი გადმოსცემს როგორც ობიექტური მეთვალყურე მესამე პირის გრამატიკული ფორმით, ხოლო მეორე ინტეგრანტში – აუქტორიალური მთხრობელი პირველი პირის გრამატიკული ფორმით გადმოსცემს რეტროსპექტიულად საკუთარ თავგადასავალს. პერიფერიულ ინტეგრანტში მთხრობელის ფუნქცია მესამე პირის ფორმებით არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება ინტეგრანტების არქიტექტონიკურ ფენას, კონტრასტი მათ შორის აშკარაა. პირველი ინტეგრანტი არ არის ექსპლიციტურად დაყოფილი არქიტექტონიკურ ერთეულებად. ტოპოლოგიური ჩარჩო მხოლოდ ორ ადგილას ირღვევა სტრიქონთშორისი ინტერვალებით. სუიციდის დისკურსის მეორე ინტეგრანტს სპეციფიკური არქიტექტონიკა აქვს. ტექსტი შედგება სამი ნაწილისაგან, ხოლო თითოეული ნაწილი დაყოფილია არაბული ციფრებით გამოყოფილ მონაკვეთებად. ტოპოლოგიური ჩარჩო აქაც ორჯერ ირღვევა: პირველ ნაწილის მეთერთმეტე ნარატემაში ლექსით და მესამე ნაწილის მეშვიდე ნარატემაში წვრილი შრიფტით დაწერილი წერილით. პერიფერიული ინტეგრანტი მონოლითურია, არსად არის ქვესათაურები, აბზაცები და დიალოგები. ტექსტი პირობითად შეიძლება დაიყოს ორ მიკროტექსტად და ექვს ნარატემად.

რაც შეეხება ინტეგრანტებში ასახული ხდომილებების ადგილსა და დროს, ასევე თხრობის პერსპექტივას დისკურსის პირველ ინტეგრანტში ხდომილებები ვითარდება ავსტრიის სახელმწიფოში, ხოლო მეორე ინტეგრანტში როგორც გერმანიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მესამე ინტეგრანტში კი საფრანგეთია შერჩეული სიუჟეტის განვითარების ეპიცენტრად.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე ნარატიული ტექსტი სუიციდის დისკურსს მიეკუთვნება, მათ შორის ჟანრობრივი სხვაობა აშკარაა. პირველი ინტეგრანტი ნოველაა, მეორე - რომანი, მესამე კი- პაროდია, რომლებიც გაერთიანებულია სუიციდის სემანტიკური ბაზისის საფუძველზე ნარატიული ტექსტების ფორმაციადა.

## საერთო დასკვნები

1. ტექსტის ლინგვისტიკამ განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა. თავდაპირველად მეტი ყურადღება ექცეოდა ტექსტის დეფინიციის საკითხს, შემდეგ კვლევის ფოკუსმა გადაინაცვლა საკვლევი ობიექტის კომინიკაციურ-პრაგმატულ ასპექტებზე და ბოლოს კოგნიტიური და კულტუროლოგიური ფაქტორების გათვალისწინება გახდა აუცილებელი. ტექსტის ლინგვისტიკის ენათმეცნიერულ დისციპლინად დამკვიდრებას შეუწყო ხელი ისეთმა დისციპლინებმა და თეორიებმა, როგორებიცაა რიტორიკა, ჰერმენევტიკა, სტილისტიკა, გრამატიკა, სემანტიკა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს დისციპლინები, ერთი მხრივ, ინტეგრირებულია ტექსტის ლინგვისტიკის სფეროში, ხოლო მეორე მხრივ, თითოეული მათგანი დღესაც განაგრძობს არსებობას დამოუკიდებელ დისციპლინად. თანამედროვე მკვლევარების ძალისხმევით ტრადიციული მეთოდები გადაიშალა, არსებითად განახლდა და შეივსო ენათმეცნიერების უახლესი მიღწევებითა და შედეგებით.
2. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინტერპრეტაციული სკოლისა და მისი ფუძემდებლის ლეო შპიცერის ლინგვისტურმა და ლიტერატურათმცოდნეობითმა მოღვაწეობამ. ტექსტების ანალიზისას ლ.შპიცერი იყენებს ინტერპრეტაციის ისეთ ხერხებს, რომლებიც ითვალისწინებენ ტექსტის როგორც ლიტერატურულ-ესთეტიკურ მხარეებს, ასევე მის ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებს.
3. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი გამოირჩევა ტექსტის კვლევის ახალი პერსპექტივების წინ წამოწევით. ცალკეული გრამატიკული პრობლემები ვეღარ თავსდება წინადადების ფარგლებში. გრამატიკულ მოვლენებს გარკვეული სტატუსი მიენიჭათ ტექსტის დონეზე და მოხდა შესაბამისი ტერმინოლოგიის სპეციალიზაცია. ტექსტის გრამატიკის კვლევის ფოკუსი მიმართულია არა მხოლოდ ენის სისტემაზე, არამედ ენის გამოყენების სპეციფიკაზეც, კერძოდ კომუნიკაციურ და პრაგმატულ ასპექტებზე.
4. ტექსტის ლინგვისტიკის ინტერესები მარტო ცალკეული ტექსტით არ შემოიფარგლება, ენათმეცნიერების ამ დისციპლინის განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მის ფარგლებში ფიქსირდება ახალი ცნებები/ტერმინები, რომლებიც კვლავაც განიცდიან ტრანსფორმაციას. ერთ-ერთ ასეთ ცნება/ტერმინად მიჩნეულია დისკურსი, რომლის ტერმინოლოგიური შინაარსი საკმაოდ მრავალმხრივი და კომპლექსურია. დისკურსის ერთ-ერთი სახეობა

წარმოადგენს ტექსტების მთლიანობას, რომელშიც გაერთიანებულია საერთო სემანტიკურ ბაზისზე დაფუძნებული ცალკეული ტექსტები. ამ გაგებით დისკურსი არის ტექსტების ფორმაცია, ხოლო ცალკეული ტექსტები შეიძლება განხილულ იქნას მის ინტეგრანტებად. დისკურსიული კორპუსი მუდმივად შეიძლება განვითარდეს და შეივსოს ახალ-ახალი ინტეგრანტებით, რაშიც პრიორიტეტული როლი თემატურ ფაქტორს ენიჭება.

5. დისერტაციაში საინტერპრეტაციოდ წარმოდგენილია გარკვეული სტრუქტურული ორგანიზაციის მქონე დისკურსიული წარმონაქმნი, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა ჟანრის, ეპოქისა და მწერლის ნარატიული ტექსტები, მათ აერთიანებთ საერთო სემანტიკური ბაზისი, კერძოდ სიცოცხლის ნებაყოფლობით დასრულების თემა. ჩვენ მიერ ინტერპრეტირებული ინტეგრანტები ერთმანეთთან დისკურსიულ მიმართებაშია, რომელიც ცალკეული ტექსტების სიუჟეტშია კოდირებული. მხოლოდ ინტეგრანტების გარეგნული მახასიათებლებით ვერ მოხერხდება მათი ურთიერთმიმართების დადგენა. დისკურსიული მიმართება დისერტაციაში გაზიარებული გაგებით საკმაოდ უახლოვდება ინტერტექსტუალობის ცნებას. თუმცა მათ შორის განსხვავება მაინც ვლინდება. დისკურსიული მიმართება გულისხმობს ტექსტებს შორის ურთიერთკავშირს სემანტიკური ბაზისის საფუძველზე, ხოლო ინტერტექსტუალური რელაცია ტექსტებს შორის წარმოდგენილია უმეტეს წილად ექსპლიციტურად სათაურის, ციტატის ან რომელიმე კონკრეტული პერსონაჟის დონეზე.

6. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში გამოიკვეთა ერთგანზომილებიანი და მრავალგანზომილებიანი მოდელები, რომლებშიც განსხვავებულია როგორც ტექსტის კლასი, ფუნქცია, ასევე შეფასების კრიტერიუმი და მიზანი. დისერტაციაში განხილულია ისეთი მოდელიც, რომლის კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმია მედიუმის ფიზიკალური პარამეტრი. გამომდინარე იქიდან, რომ ლინგვისტიკის უმაღლეს საკლასიფიკაციო ერთეულად დისერტაციაში პოსტულირებულია დისკურსი, როგორც ტექსტების ფორმაცია, ნაშრომში წარმოდგენილია დისკურსის გამარტივებული მოდელი, რომლის საკლასიფიკაციო პარამეტრიც სემანტიკური ბაზისია.

7. დისკურსი წარმოადგენს ინტეგრანტების ერთობლიობას, რომელშიც პრიორიტეტული როლი თემატურ ფაქტორს ენიჭება. წარმოდგენილ ნაშრომში საინტერპრეტაციოდ შერჩეულია სუიციდის თემატიკის ირგვლივ ორგანიზებული ნარატიული ტექსტები, რომლებიც სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის

წარმომადგენელი მწერლის, ეპოქისა და ჟანრის ტექსტებია. გამომდინარე იქიდან, რომ დისკურსი მთლიანობას წარმოადგენს, მის ფარგლებში ფიქსირდება როგორც ცენტრალური, ასევე პერიფერიული ინტეგრანტები. ცენტრალურ ინტეგრანტებად მიჩნეულია – 1. შტ.ცვაიგის ნოველა „ლეპორელა“ (Leporella) და 2. ბერნჰარდ შლინკის რომანი „უკითხავს მას“ (Vorleser), ხოლო პერიფერიულ ინტეგრანტად გამომდინარე ჟანრიდან - ჰაინრიხ ფონ კლაისტის პაროდია „ახალი (უფრო ბედნიერი) ვერთერი“ (Der neuere (glücklichere) Werther).

8. ნარატიული ტექსტების ინტერპრეტაცია ორ კრიტერიუმს ეყრდნობა-შიდაენობრივს და გარეენობრივს. შიდაენობრივი ასპექტებიდან ყურადღება მახვილდება ტექსტების სემანტიკურ, სტილისტიკურ და გრამატიკულ ფაქტორებზე, ხოლო გარეენობრივიდან სოციო-კულტურულ ფონსა და არქიტექტონიკურ ფენაზე.

9. პირველ ცენტრალურ ინტეგრანტად შერჩეულია შტ. ცვაიგის ნოველა - „ლეპორელა“. ძირითადი თემატური დერძი, რომელზედაც აგებულია ნოველა არის ერთ-ერთი მთავარი აქტანტის სიცოცხლის ნებაყოფლობით დასრულება. ტექსტში პლოტისა და ნარატემების გამოკვეთით, თემა-რემატული პროგრესიის ჩვენებით, აქტანტების ტოპიკალური ჯაჭვების გამოყოფით, სუიციდის აღმნიშვნელი სიტყვების ქსელის ჩვენებით ინტერპრეტაციის პროცესში დადგენილია როგორც სუიციდის გამომწვევი მიზეზები ასევე ამოკითხულია ტექსტის საზრისი. სტილისტიკური ინტერპრეტაციისას გამოყოფილია ტექსტის ამადლებული სტილი, თხრობის ელემენტები, რაც სათანადო ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს რეციპიენტზე. გრამატიკული ინტერპრეტაციისას წინა პლანზეა წამოწეული ისეთი ტექსტოგრამატიკული კატეგორიები როგორცაა კოჰეზია, მორფოლოგიური და სინტაქსური ასპექტები. ინტეგრანტის ტექსტური ქსოვილის შექმნას უზრუნველყოფენ, ერთი მხრივ, თხრობის პერსპექტივა, მეორე მხრივ, ჩარჩოს სხვადასხვა კონსტრუქცია.

10. ბერნჰარდ შლინკის რომანი „უკითხავს მას“ დისერტაციაში კვალიფიცირებულია აგრეთვე სუიციდის ცენტრალურ ინტეგრანტად, რომლის ტექსტოლინგვისტიკური ინტერპრეტაციისას წინა პლანზეა წამოწეული ტექსტის როგორც გარეენობრივი ასევე შიდაენობრივი ასპექტები. სემანტიკურ საყრდენად მიჩნეულია პლოტი, რომელიც თავის მხრივ იყოფა ნარატემებად. ანტაგონისტის ყოფიერების გზის ჩვენება ხელს უწყობს თვითმკვლელობის მოტივაციის გამოვლენას და ტექსტში ჩადებული საზრისის ამოკითხვას. ინტეგრანტში გაშლილია როგორც იურიდიულ ტერმინთა აღმნიშვნელი

ლექსიკური ქსელი ასევე ემოციური კონოტაციით შეფერილი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ქმნიან ლექსემების სემანტიკურ ქსელს. სტილისტიკური მახასიათებლების გამოვლენა ათვალსაჩინოებს რომანის თხრობის პერსპექტივას, რომელიც რომანში ორპოლუსიანია, კერძოდ, ამბივალენტური „მე“ და მოხრობელი „მე“, რომლებიც განსხვავებულ პერსპექტივაში გადმოსცემენ განცდილ ხდომილებებს.

11. პერიფერიულ ინტეგრანტად მიჩნეულია ჰაინრიხ ფონ კლაისტის პაროდია

„ახალი (უფრო ბედნიერი) ვერთერი“. ლიტერატურული ჟანრის შესაბამისად ტექსტში სუიციდის მხოლოდ მცდელობაა, რომელსაც არშემდგარი სუიციდი შეიძლება ეწოდოს. ამ ინტეგრანტშიც შიდაენობრივი და გარეენობრივი ასპექტების გამოვლენით ხერხდება საზრისის ამოკითხვა.

12. ინტეგრანტების ინტერპრეტაციის შემდეგ დაჯამებულია ცალკეული ტექსტების თანხვედრი და განმასხვავებელი მახასიათებლები, რომელთა გამოვლენა შედარების მესამე კომპონენტის – ე.წ. **tertium comparationis** საფუძველზეა შესაძლებელი. კრიტერიუმებად შერჩეულია ინტეგრანტებში განფენილი სუიციდის აღმნიშვნელი ლექსემების სემანტიკური ქსელი, ინტეგრანტების სემანტიკური, სტილისტიკური და გრამატიკული მახასიათებლები, მთავარი აქტანტების ყოფიერების გზა, არქიტექტონიკური ფენა, მოქმედების ადგილი, დრო, თხრობის პერსპექტივები და ლიტერატურული ჟანრი.

13. ინტერპრეტირებული ტექსტების შიდაენობრივი და გარეენობრივი ასპექტები მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, მაგრამ მათ აერთიანებთ საერთო სემანტიკური ბაზისი, კერძოდ სუიციდის თემა. ამიტომაც მიზანშეწონილია მათი გაერთიანება ერთ დისკურსიულ ერთეულში. ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის პოსტულირება კვლევის ახალ პერსპექტივებს თავაზობს ტექსტის მკვლევარებს.

14. დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის აღიარება გამართლებულია იმ კუთხით, რომ მის ინტერპრეტაციაში უფრო ღრმად უნდა იყოს ჩართული ის კრიტერიუმები და ასპექტები, რომლებიც, ერთი მხრივ, ტრადიციული ხედვით არის განპირობებული და, მეორე მხრივ, ენათმეცნიერების განვითარების კვალდაკვალ ტექსტის ინტერპრეტაციას გაამდიდრებენ ახალი მიდგომების, შიდაენობრივი და გარეენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით. ასეთ ერთ-ერთ სიახლედ შეიძლება, მაგალითად, ჩაითვალოს ლიტერატურათმცოდნეობიდან შემოსული ცნება „პლოტი“, რომელიც შედგება ჩვენ მიერ ხელოვნურად

დაყოფილი „ნარატემებისაგან“. ტექსტის სუპერსტრუქტურა ამთლიანებს ტექსტს (განსაკუთრებით კი დიდი მოცულობის ტექსტს) სემანტიკური, გრამატიკული, ლექსიკური, სტილისტიკური და სოციო-კულტურული ფაქტორების ინტერპრეტაციის საფუძველზე. ხოლო „ნარატემების“ ცნება შეესაბამება ტექსტის სუპერსტრუქტურის დისკრეტულ ნაწილებად დაყოფას, რაც ათვალსაჩინოებს ტექსტის თემის განვითარების ეტაპებს.

**15.** დისკურსის როგორც ტექსტების ფორმაციის პოსტულირება შეესაბამება ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპს. დისკურსის ასეთი გაგება არ უპირისპირდება ცალკეული ტექსტის სტატუსს, ორივე ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის საგანია, ერთი როგორც კერძო და მეორე როგორც ზოგადი ფენომენი. დისკურსი როგორც ტექსტების ფორმაცია რჩება იმავე გრაფაში, რომელშიც ცალკეულ ტექსტს აქვს მიჩნეული ადგილი იმ განსხვავებით, რომ დისკურსი როგორც ტექსტების ფორმაცია იკავებს უფრო მაღალ ადგილს მრავალი შიდაენობრივი და გარეენობრივი მახვენებლებით. მას შეიძლება ეწოდოს ზეტექსტური ფენომენი. ამრიგად ფართოსანი გამონათქვამი **Quo vadis Textlinguistik** კვლავ ინარჩუნებს თავის ძალას და აქტუალური რჩება ტექსტის ლინგვისტიკის შემდგომი განვითარების მოლოდინში.

## გამოყენებული და მითითებული ლიტერატურის სია

1. ალფენიძე ი. სერია *ევროპული ძიებანი*. სტატიების კრებული. ქართული პაპავა პ. საზოგადოება და ევროპული ღირებულებები. თბილისი 2008.  
შათირიშვილი ზ. (შემდგენელთა ჯგუფი)
2. ანდრაზაშვილი მ. *გერმანული ენის გრამატიკა* ოთხ წიგნად: თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1999 – 2003
3. არისტოტელე „*პოეტიკა*” (წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარები პროფ. ს. დანელიასი). მეორე გამოცემა. თბილისი. „განათლება”. 1979.
4. ბარბაქაძე ც. *ქართული საკანონმდებლო სტილი*. თბილისი. „მეცნიერება” 1996.
5. გამყრელიძე თ. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003.  
კიკნაძე ზ.  
შადური ი.  
შენგელაია ნ.
6. გაფრინდაშვილი ნ. *რიტორიკის შესავალი*. თბილისი. გამომცემლობა „ნეკერი” 2007.  
თვალთვაძე დ.
7. გვენცაძე მ. *ლინგვისტური გერმანისტიკა*. თბილისი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2009.
8. გომართელი ა. *ტექსტი, როგორც დისკურსი. პოეტური საგალობლები*. „ლიტერატურა და სხვა”. თბილისი. „ალმანახი” 2003.
9. ენუქიძე რ. *ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესულობა*. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1990.
10. თოფურია ვ. *ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი*. თბილისი. გიგინეიშვილი ივ. „განათლება”. 1998
11. კვარაცხელია გ. *ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა*. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1990.



- 12.კვარაცხელია გ. *მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები*. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1995.
- 13.ლებანიძე გ. *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი. „ენა და კულტურა.“ 2004.
- 14.ნებიერიძე გ. *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი. „განათლება“ 1991.
- 15.სერგია ვ. *ტექსტის ლინგვისტიკა*. თბილისი. „განათლება“. 1989.
- 16.ფანჯიკიძე დ. *თარგმნის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტურობის პრობლემა*. თბილისი. „განათლება“. 1995
- 17.ფურცელაძე ვ. *ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი ვაცხადება*. ნაწ.1. თბილისი. „სამშობლო“ 1998
- 18.ფურცელაძე ვ. *ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი ვაცხადება*. ნაწ.2. თბილისი. „სამშობლო“ 1998
- 19.ქეცბა-ხუნდაძე ლ. *ენა, როგორც ტექსტის „ღიაობის“ პირობა და მისი ინტერპრეტაციის ზღვარი.(95-101.)* ცივილიზაციური ძიებანი.N5,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2007
- 20.შამელაშვილი რ. *ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი*. თბილისი. 1975
- 21.შენგელაია ნ. *ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემები*. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1987.
- 22.შლინკი ბ. *როცა უკითხავდა*. (გერმანულიდან თარგმნა მაია მირიანაშვილმა) თბილისი. გამომცემლობა „იბისი“. 2005
- 23.ცვაიგი შტ. *რჩეული თხზულებანი*. თბილისი.საბჭოთა საქართველო. 1982
- 24.Москальская *Грамматика текста*. Москва. Высшая школа. 1981.
- 25.Adamzik K. *Textlinguistik. Eine einführende Darstellung*. Tübingen, Max Niemeyer Verlag. 2004.
26. Adamzik K. *Sprache: Wege zum Verstehen*. Tübingen/Basel. A. Francke Verlag 2004
27. Adamzik K. *Texte. Diskurse. Interaktionsrollen*. Tübingen. Stauffenburg Verlag Brigitte Narr GmbH.2002.
- 28.Agricola E. *Textstruktur-Textanalyse-Informationskern*. Leipzig. VEB.1979
- 29.Angermüller J. *Diskurs als Aussage und Äußerung(53-59) In:Warnke I. Methoden der Diskurslinguistik. Sprachwissenschaftliche Zugänge zur transtextuellen Ebene* Berlin / New York: de Gruyter 2008
- 30.Antos G./Krings *Textproduktion. Ein interdisziplinärer Forschungsüberblick*. Tübingen.

- H.P.(Hgg.) *Niemeyer.1989*
31. Antos G./Tietz H. *Die Zukunft der Textlinguistik. Traditionen, Transformationen, Trends.*  
(Hgg.) Tübingen. Niemeyer. 1997
32. Beaugrande R.A *Einführung in die Textlinguistik.* Tübingen. Max Niemeyer. 1981  
de/Dressler W.U
33. Blödorn A./ *Stimme(n) im Text.* Berlin. New York. Walter de Gruyter. 2006.  
Langer D./  
Scheffel M.
34. Blühdorn H, *Text-Verstehen. Grammatik und darüber hinaus.* Berlin Walter de  
Breindl E, Gruyter. 2006  
Waßner U
35. Brinker K. *Linguistische Textanalyse. 2., durchgesehene und ergänzte Auflage.*  
Berlin. Erich Schmidt Verlag GmbH. 1985
36. Bühler K. *Sprachtheorie. Die Darstellungsfunktion der Sprache.* Stuttgart. Gustav  
Fischer. 1934/1965
37. Busse D. *Textinterpretation. Sprachtheoretische Grundlagen einer explikativen  
Semantik.* Opladen Westdeutscher Verlag. 1992
38. Bußmann H. *Lexikon der Sprachwissenschaft. Dritte, aktualisierte und erweiterte  
Auflage.* Stuttgart. Alfred Kröner Verlag. 2002.
39. Bühler K. *Sprachtheorie. Die Darstellungsfunktion der Sprache.* Gustav Fischer  
Jena. 1934.
40. Coseriu E. *Textlinguistik. Eine Einführung.* Tübingen. Gunter Warr. 1980
41. Dimter M. *Textklassenkonzepte heutiger Alltagssprache. Tübingen. Niemeyer. 1981*
42. Dressler W. *Einführung in die Textlinguistik. 2. durchgesehene Auflage.* Tübingen.  
Max Niemeyer. 1972
43. Duden *Grammatik der deutschen Sprache. 6., neu, bearb. Auflage* Mannheim  
u.a. 1998
44. Eco U. *Einführung in die Semiotik.* München 8. Auflage. 1994
45. Eisenberg P. *Grundriss der deutschen Grammatik. Zweite Auflage.* Stuttgart. Metzler.  
1989
46. Ernst P. *Germanistische Sprachwissenschaft.* Wien. Facultas Verlags- und  
Buchhandels AG. 2004
47. Feilke K. *Die pragmatische Wende in der Textlinguistik.* In:  
Brinker, Klaus (Hrsg.): *Text und Gesprächslinguistik.*  
Bd. 16. Berlin. Walter de Gruyter. 2000

48. Fix U. *Texte und Textsorten- sprachliche, kommunikative und kulturelle Phänomene*. Berlin. Verlag für wissenschaftliche Literatur. 2008
49. Fleischer W.  
Michel G. *Stilistik der deutschen Gegenwartssprache* ,3.durchgesehene Auflage. Leipzig.VEB Bibliographisches Institut. 1979
- 50.Foucault M. *Die Ordnung des Diskurses*.Aus dem Französischen von Walter Seitter Frankfurt a.M. u.a. Fischer Taschenbuch Verlag. 1991
- 51.Foucault M. *Archäologie des Wissens*,Frankfurt a.M 1973
- 52.Gadamer H.G. *Wahrheit und Methode*.Tübingen 1960
- 53.Gansel C./  
Jürgens F. *Textlinguistik und Textgrammatik*. Göttingen. Vandenhoeck& Ruprecht.2009
- 54.Gardt A. *Diskursanalyse-Aktueller theoretischer Ort und methodische Möglichkeiten(27-34) In:Warnke I. Methoden der Diskurslinguistik. Sprachwissenschaftliche Zugänge zur transtextuellen Ebene* Berlin / New York: de Gruyter 2008
55. Glück H.(Hg) Metzler-Lexikon Sprache.Stuttgart/Weimar 1993
- 56.Grote K. *Der Tod in der Literatur der Jahrhundertwende*.Frankfurt a.M u.a. Peter Lang 1996
- 57.Gwenzadse M. *Einführung in die Stilistik der deutschen Sprache*.Tbilissi.Bakur Sulakauri Verlag.2002
- 58.Götze L. *Grammatik der deutschen Sprache*. München. Bertelsman Lexikon Verlag.1999.
- 59.Greimas A. J. *Strukturelle Semantik*.Braunschweig 1970
- 60.Große E.U. *Text und Kommunikation. Eine linguistische Einführung in die Funktionen der Texte*. Stuttgart. Berlin. Köln. Mainz. W.Kohlhammer.1976
- 61.Gülich E./ Raible W. *Textsorten.Differenzierungskriterien aus linguistischer Sicht*. Frankfurt a.M.Athenäum Fischer.1972
- 62.Gülich E./Heger K./Raible W. *Linguistische Textanalyse.2., durchgesehene und ergänzte Auflage*. Hamburg .Helmut Buska. 1979.
- 63.Habermas J. *Der philosophische Diskurs der Moderne*. Zwölf Vorlesungen.suhrkamp taschenbuch wissenschaft. Frankfurt am Main. Suhrkamp Verlag, 1988
- 64.Hartmann P. *Zum Begriff des sprachlichen Zeichens*. Zeitschrift für Phonetik, Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung.Band 21,Heft ¾,. 1968.

65. **Heidegger M.** *Unterwegs zur Sprache.* Stuttgart. Günther Neske Pfullingen. 1986
66. **Heinemann W./Viehweger D.** *Textlinguistik. Eine Einführung.* Tübingen. Max Niemeyer Verlag. 1991.
67. **Heinemann M/ Heinemann W:** *Grundlagen der Textlinguistik: Interaktion-Text-Diskurs:* Tübingen. Max Niemeyer Verlag. 2002
68. **Heinemann W.** *Zur Eingrenzung des Intertextualitätsbegriffes aus textlinguistischer Sicht.* In: **Klein, Josef/,Fix U:** Textbeziehungen. Linguistische und literaturwissenschaftliche Beiträge zur Intertextualität .Tübingen. 21-37. 1997
69. **Helbig G. Buscha J.** *Deutsche Grammatik. Ein Handbuch für die Ausländerunterricht.* Leipzig .VEB Enzyklopädie. 1987.
70. **Herrmann T.** *Sprache verwenden: Funktion-Evolution-Prozesse. Grundriss der Psychologie. Bd.9* Stuttgart. Kohlhammer. 2005
71. **Hoffmann L.** *Thema, Themenentfaltung, Makrostruktur.* In: Brinker, Klaus (Hrsg): *Text und Gesprächslinguistik.* Bd. 16. Berlin. Walter de Gruyter. 2000
72. **Holthuis S.** *Intertextualität. Aspekte einer rezipientorientierten Konzeption.* Tübingen. Stauffenburg 1993
73. **Isenberg H.** *Texttypen als Interaktionstypen. Eine Texttypologie.* Zeitschrift für Germanistik. Leipzig. VEB Verlag Enzyklopädie. 1984.
74. **Jung W.** *Grammatik der deutschen Sprache.* Leipzig. VEB Bibliographisches Institut. 1966.
75. **Kallmeyer W. (Hg)** *Kommunikationstypologie. Handlungsmuster, Textsorten, Situationstypen.* Düsseldorf. Schwann 1986
76. **Keller R.** *Diskursforschung. Eine Einführung für SozialwissenschaftlerInnen.* 3., aktualisierte Auflage. Wiesbaden. VS Verlag für Sozialwissenschaften/GWV Fachverlage GmbH. 2007
77. **Kleist H.** *Der neuere (glücklichere) Werther.* In: Deutsche Anekdoten. Die Schaubude. Berlin. Verlag Neues Leben. 1964.
78. **Kezba-Chundadze L.** *-Zur Strukturspezifik des Textes. „Eine indische Dichtung“ von Hermann Hesse;* In: Zeitschrift für Germanistik. Neue Folge 2. Peter Lang. Europäischer Verlag der Wissenschaft. 1997.
79. **Kezba-Chundadze L.** *-Manifestation der kulturspezifischen Deutungsweisen verbaler Vergangenheitsgefüge (Im Kontrast: Deutsch/Georgisch)* In: Hess-Lüttich Ernest W.B. gemeinsam m. Anita Czegledy & Ulrich Langanke (eds.) Frankfurt/Main etc: Peter Lang. 2009

- 80.Kron O.** *Probleme der Texttypologie.*Frankfurt a.M. Peter Lang.2002
- 81.Kyora S. Neuhaus St.** *Realistisches Schreiben in der Weimarer Republik.* Würzburg: Königshausen & Neumann 2006.
- 82.Linke A, Nussbaumer M, Portmann Paul R.** *Studienbuch Linguistik, 5.,erweiterte Auflage,* Tübingen. Max Niemeyer Verlag. 2004
- 83.Maas U.** *Probleme und Traditionen der Diskursanalyse ZPSK.*Band 41.Heft 6. Berlin.Akademie. 1988.
- 84.Michel G.** *Stilistische Textanalyse.Eine Einführung.* Frankfurt a.M.u.a.Lang.2001
- 85.Mills S.** *Der Diskurs:Begriff ,Theorie und Praxis.*A.Franke.2007
- 86.Motsch W.** *Ebenen der Textstruktur.*Tübingen.Niemeyer.1996
- 87.Nussbaumer M.** *Was Texte sind und wie sie sein sollen, Ansätze zu einer sprachwissenschaftlichen Begründung eines Kriterienrasters zur Beurteilung von schriftlichen Schülertexten.*Tübingen.Niemeyer.1991
- 88.Plenzdorf U.** *Die neuen Leiden des jungen W.* Rostock. VEB Hinstorff Verlag. 1973
- 89.Riesel E.** *Stilistik der Deutschen Sprache.* Moskau. Staatsverlag „Hochschule“. 1963
- 90.Rößler E.** *Intertextualität und Rezeption.Linguistische Untersuchungen zur Rolle von Text-Text-Kontakten im Textverstehen aktueller Zeitungstexte.* Frankfurt a.M. Lang .1999
- 91.Sandig B.** *Stilistik. Sprachpragmatische Grundlegung der Stilbeschreibung.* Walter de Gruyter. Berlin.New York. 1978
- 92.Sandig B.** *Stilistik der deutschen Sprache.* Berlin. New York.1986
- 93.Sandig B.** *Textstilistik des Deutschen.* Berlin. New York. Walter de Gruyter. 2006.
- 94.Schleiermacher F.D. E.** *Hermeneutik und Kritik.* Mit einem Anhang sprachphilosophischen Texten Schleiermachers. Herausgegeben und eingeleitet von Manfred Frank.5. Auflage. Suhrkamp.Frankfurt am Main. 1993
- 95.Schlink B.** *Der Vorleser.* Zürich.Diogenes Verlag.1997
- 96.Schößler F** *Literaturwissenschaft als Kulturwissenschaft.* Tübingen. Narr Franke Attempto Verlag GmbH+Co.KG.,2006
- 97.Schmid W.** *Elemente der Narratologie.* Berlin.New York. Walter de Gruyter. 2005.
- 98.Schwarz M.** *Einführung in die Kognitive Linguistik.* 3.Auflage. Tübingen und Basel. A.Francke Verlag 2008
- 99.Schwarz M.** *Indirekte Anaphern in Texten: Studien zur domänengebundenen Referenz und Kohärenz im Deutschen.* Tübingen.Niemeyer.2000

100. **Schwarz-Friesel M.** *Sprache und Emotion.* Tübingen. Narr Francke Attempto Verlag. 2007
101. **Schröder T.** *Die Handlungsstruktur von Texten.* Tübingen. Narr. 2003
102. **Seiffert H.** *Einführung in die Hermeneutik.* Franke. Tübingen. 1992
103. **Sommerfeldt K.E.(Hg)** *Sprachwissenschaft und Sprachkultur.* Frankfurt a.M. Lang 1991
104. **Sowinski B.** *Stilistik. Stiltheorien und Stilanalysen.* Stuttgart-Weimar. Verlag-Metzler 1999
105. **Sowinski B.** *Textlinguistik. Eine Einführung,* Stuttgart u.a. Kohlhammer 1983
106. **Spillner B.** *Linguistik und Literaturwissenschaft. Stilforschung, Rhetorik, Textlinguistik.* Stuttgart u.a., 1974
107. **Spitzer L.** *Stilstudien. Erster Teil. Sprachstile.* unveränderte Auflage. München. Max Huber. 1961
108. **Spitzer L.** *Stilstudien. Zweiter Band. Stilsprachen. 2.,* unveränderte Auflage. München. Max Huber. 1961
109. **Stede M.** *Korpusgestützte Textanalyse. Grundzüge der Ebenen-orientierten Textlinguistik.* Tübingen. Gunter Narr Verlag. 2007
110. **Stede M.** *Kontrast im Diskurs. In: Blühdorn H. (Hrsg); Breindl E. (Hrsg): Wassner H.U.(Hrsg): Brücken schlagen. Grundlagen der Konnektorenssemantik.* Berlin: Walter de Gruyter. 2004
111. **Steinthal H.** *Die Arten und Formen der Interpretation.* In: Abriss der Sprachwissenschaft in 2 Bdn. G. Olms. Hildesheim –New York. BD.2. 1972.
112. **Teun A. van Dijk.** *-Tetxwissenschaft. Eine interdisziplinäre Einführung.* Tübingen. Max Niemeyer. 1980
113. **Teun A. van Dijk.** *-Discourse as Structure and Process.* London-Thousand Oaks-New Delhi. SAGE Publications. 1997.
114. **Ulrich W.** *Linguistische Grundbegriffe, 5.,* völlig neu bearbeitete Auflage, Berlin, Stuttgart. Gebrüder Borntraeger Verlagsbuchhandlung. 2002.
115. **Vater H.** *Referenzrelationen in Texten.* In: Brinker, K. (Hrsg): *Aspekte der Textlinguistik.* Hildesheim. Olms. 1991
116. **Vater H.** *Einführung in die Textlinguistik. Thema, Struktur und Referenz von Texten.* München. Fink. 1992
117. **Vater H.** *Einführung in die Textlinguistik. Struktur und Verstehen von Texten.* München. Fink. 2001

- 118.Vater H.** *Einführung in die Sprachwissenschaft.*4.Auflage.München. Wilhelm Fink Verlag 2002.
- 119.Viehweger D.** *Probleme der semantischen Analyse.*Berlin. Akademie. 1977
- 120.Warnke I.** *Diskurslinguistik nach Foucault Theorie und Gegenstände.* Berlin /New York: de Gruyter 2007
- 121.Warnke I.** *Methoden der Diskurslinguistik. Sprachwissenschaftliche Zugänge zur transtextuellen Ebene* Berlin / New York: de Gruyter 2008
- 122.Weinrich H.** *Textgrammatik der deutschen Sprache.*Mannheim.Bibliographisches Institut&F.A. Brockhaus AG. 1993
- 123.Weinrich H** *Sprache in Texten.* Stuttgart. Ernst Klett-Verlag. 1976.
- 124.Weise G.** *Zur Spezifik der Intertextualität in literarischen Texten.*In: Klein/Fix(Hgg.)1997
- 125.Werlich E.** *Typologie der Texte.* Heidelberg. Quelle und Meyer.1975
- 126.Zweig St.** *Leporella.*In: Novellen. Frankfurt. Verlag Fischer (Tb.), 1991.